

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის  
ხათუნა ჭითანავას

სადისერტაციო თემა

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია  
თანამედროვე საქართველოში თანამედროვე  
მეთოდებით

ხელმძღვანელი პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, საქართველო  
დეკემბერი, 2017 წელი

# ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია თანამედროვე საქართველოში თანამედროვე მეთოდებით

შინაარსი:

შესავალი

1. თავი პირველი - საერთაშორისო დოკუმენტები და ინსტრუმენტები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში:
  - 1.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციები
  - 1.2. ევროპის საბჭოს კონვენციები
  - 1.3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები
  - 1.4. სხვა საერთაშორისო დოკუმენტები
  
2. თავი მეორე - საერთაშორისო სააგენტოები და მექანიზმები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში
  - 2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA)
  - 2.2. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ტრეფიკინგის საკითხებზე
  - 2.3. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
  - 2.4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
  - 2.5. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო
  - 2.6. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
  - 2.7. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში ტრეფიკინგის შესახებ
  - 2.8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
  
3. თავი მესამე - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სამართლებრივი თავისებურებანი ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში
  
4. თავი მეოთხე - ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის კანონმდებლობა შერჩეულ წარმომადგენლისა და დანიშნულები ქვეყნებში
  - 4.1. კანონმდებლობა წარმომადგენლის ქვეყნებში
    - 4.1.1. მოლდოვა
    - 4.1.2. უკრაინა
    - 4.1.3. ჩინეთი
    - 4.1.4. იამაკა
  - 4.2. კანონმდებლობა დანიშნულების ქვეყნებში
    - 4.2.1. ისრაელი
    - 4.2.2. საბერძნეთი
    - 4.2.3. ფინეთი
    - 4.2.4. თურქეთი
    - 4.2.5. ამერიკის შეერთებული შტატები

**5. თავი მეხუთე - საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში:**

- 5.1. სისხლის სამართლის კოდექსი
- 5.2. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
- 5.3. ტრეფიკინგთან ბრძოლის და პრევენციის სფეროს სხვა აქტები
- 5.3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრძოლის სამოქმედო გეგმა
- 5.3.2. საკანონმდებლო ცვლილებები ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებისა და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის
- 5.3.3. შრომის ინსპექციის სისტემის შექმნა
- 5.3.4. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება
- 5.3.5. სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები

**6. თავი მეექვსე - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის საუკეთესო გამოცდილება ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში**

- 6.1. მონაცემთა შეგროვება და კვლევა
- 6.2. ცნობიერების ამაღლება
- 6.3. მიზნობრივი პრევენცია მოწყვლადი ჯგუფებისათვის
- 6.4. მოთხოვნის შესამცირებლად გატარებული ქმედებები
- 6.5. შრომითი ექსპლუატაციის თავიდან აცილების მიზნით გატარებული ღონისძიებები
- 6.6. ტრენინგები

**7. თავი მეშვიდე - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის პრაქტიკა შერჩეულ წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებში**

- 7.1. წარმოშობის ქვეყნებში
  - 7.1.1. მოლდოვა
  - 7.1.2. უკრაინა
  - 7.1.3. ჩინეთი
  - 7.1.4. იამაკა
- 7.2. დანიშნულების ქვეყნებში
  - 7.2.1. ისრაელი
  - 7.2.2. საბერძნეთი
  - 7.2.3. ფინეთი
  - 7.2.4. თურქეთი
  - 7.2.5. ამერიკის შეერთებული შტატები

**8. თავი მერვე - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში არსებული პრაქტიკა საქართველოში**

- 8.1. ცნობიერების ამაღლება
- 8.2. ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება, მათი ინფორმირება იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე

- 8.3. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტრეფიკინგის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი
- 8.4. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობა
- 8.5. ტრეფიკინგის ერთიანი მონაცემთა ბაზა
- 8.6. ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სტატისტიკა
  - 8.6.1. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კრიმინალიზაცია და გამოძიება
  - 8.6.2. საქართველოს მთავრობის სტატისტიკა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე
- 8.7. ტრენინგები
- 8.8. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გადრმაეება
- 8.9. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში
- 8.10. ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) პირველი შეფასების ანგარიში
- 8.11. ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) შეფასების მეორე რაუნდი

## 9. დასკვნა

### 10. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

## გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

UNODC - United Nations Office on Drugs and Crime, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო.

ILO - International Labour Organization, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

GRETA - Council of Europe's Group of Experts on Action against Trafficking in Human Beings, ტრეფიკინგის საკითხებში ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი.

IOM - International Organization for Migration, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ეუთო - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

DC FTA - Deep and Comprehensive Free Trade Area, ღრმა და ყოველმხომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტი

„შსს“ ან „შს სამინისტრო“ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„პალერმოს ოქმი“ - გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ.

„საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო“ ან „საუწყებათაშორისო საბჭო“ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო.

## შესავალი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)<sup>1</sup> დანაშაულმა, რომელსაც „თანამედროვე მონობას“ უწოდებენ, მსოფლიოში საგანგაშო ზღვარს მიაღწია. საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციით დღეისთვის 20 მილიონ ადამიანზე მეტი არის ტრეფიკინგის მსხვერპლი<sup>2</sup>. ბევრ ანგარიშში და დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტრეფიკინგი არის სწრაფად მზარდი და უდიდესი დანაშაულებრივი ბიზნესი მსოფლიოში<sup>3</sup>, რომლის შედეგად წლიურად 600,000-800,000 ადამიანი გადააყვავთ საზღვარზე<sup>4</sup>, მათი ექსპლუატაციის მიზნით<sup>5</sup>. ეს არის ბიზნესი, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევით იღებს მილიარდიან შემოსავლებს.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლში გვაქვს ტერმინი – „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ (სსმ 41(48) 13/08/1999, №2287-რს), 2006 წელს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (სსმ, 15, 16/05/2006 №2944-იხ). შესაბამისად საქართველოში ამ დანაშაულისთვის დამკვიდრდა ტერმინი „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. ინგლისურენოვან ლიტერატურასა და კონვენციებში დამკვიდრებულია ტერმინი „Trafficking in Persons“ ან „Trafficking in Human Beings“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გაეროს კონვენციის ოქმი მოხსენებულია როგორც „ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ (Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, especially Women and Children) და ევროპის საბჭოს კონვენცია – „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings). ორივე საერთაშორისო დოკუმენტის შემთხვევაში ოფიციალური ვერსია არის ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, შესაბამისად საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე მოყვანილი დოკუმენტი ქართული არაოფიციალური თარგმანია. ამ თემის მიზნებისთვის ვარჩიეთ ყველაზე გვეხმარა ტერმინი „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. ნაშრომში აგრეთვე ხშირად იქნება ნახსენები მსოფლიო ტერმინი „ტრეფიკინგი“, ამ ტერმინში ნაშრომში ვგულისხმობთ – „ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს)“.

<sup>2</sup> შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გლობალური შეფასება (2012)

[http://www.ilo.org/washington/WCMS\\_182004/lang--en/index.htm](http://www.ilo.org/washington/WCMS_182004/lang--en/index.htm) გვ.13, იხ. - *Human trafficking: more than 20 million victims worldwide* (2016) European Parliament

<http://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/world/20161014STO47261/human-trafficking-more-than-20-million-victims-worldwide>, *UN Secretary-General António Guterres's speech at the UN Security Council 7898th Meeting (AM) on Prevention, Protection, Prosecution Stressed as Security Council Holds Open Debate on Human Trafficking, Modern Slavery, Forced Labour in Conflict Situations* SC/12751, (15 მარტი 2017) <https://www.un.org/press/en/2017/sc12751.doc.htm>

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>3</sup> ადამიანით ვაჭრობა, ნარკოტიკებითა და იარაღით უკონო ვაჭრობასთან ერთად, უკანონო შემოსავლების სიდიდით მსოფლიოში ყველაზე დიდი არალეგალური ბიზნესია

- Joshi Yasmeeen (2016) *Human Trafficking: The Sexual Exploitation of Women and Children*, Queen Mary Law Journal Vol. 7, Issue 1, გვ.30-43, *Global report on trafficking in persons* (2014) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) <http://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/glotip.html> გვ.5, Ramsey Geoffrey (15 November 2011) *Human Trafficking is World's 2nd Most Profitable Crime: Report* <http://www.insightcrime.org/news-briefs/human-trafficking-is-worlds-2nd-most-profitable-crime-report>, Spindler William, ed. Dobbs Leo (11 October 2010) *Conference puts focus on human trafficking, fastest growing criminal industry* <http://www.unhcr.org/news/latest/2010/10/4cb315c96/conference-puts-focus-human-trafficking-fastest-growing-criminal-industry.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>4</sup> ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისთვის არ არის აუცილებელი საზღვრის გადაკვეთა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაზარალებული საზღვარგარეთ გაყვანა დამამძიმებელი გარემოებაა. თუმცა მითი, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის აუცილებელი პირობაა საზღვარგარეთ გაყვანა, დღემდე არსებობს, რაც ართულებს ტრეფიკინგის მსხვერპლების თვითიდენტიფიცირებას. სწორედ ამიტომ, დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი ცნობიერების ჩატარებას, სადაც ახსნილია, რომ ტრეფიკინგის

ტრეფიკინგის დანაშაულის თავისებურებაა, რომ დანაშაულის დადგომამდე<sup>6</sup> რთულია დანაშაულის აღკვეთა, რადგან საჭიროა ექსპლუატაციის მიზანის დამტკიცება<sup>7</sup>. იმისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც ადამიანებით უკანონო ვაჭრობა, სამივე კატეგორიის კომპონენტი<sup>8</sup> ერთდროულად უნდა იყოს სახეზე<sup>9</sup>. გადაბირების, ტრანსპორტირების ან გადაყვანის ეტაპზე ექსპლუატაციის მიზანის დადგენა საკმაოდ რთულია. ამიტომ თანამედროვე სამყაროში უფრო მეტი ყურადღება ექცევა ტრეფიკინგის პრევენციას – ადამიანები უნდა იყვნენ უკეთ ინფორმირებულნი, რათა არ მოხვდნენ დანაშაულების ხელში.

ნაშრომის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციის საუკეთესო თანამედროვე გამოცდილების მოძებნა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების, საერთაშორისო ნორმების და მექანიზმების და ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო სააგენტოების და ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე; საქართველოსთვის საუკეთესო, თანამედროვე და მისაღები ზომების არჩევა თვითონ საქართველოში არსებული კანონმდებლობის და პრაქტიკის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოსთვის გაწეული შეფასებების და რეკომენდაციების ანალიზის გზით; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების გატარების რეკომენდაციების ჩამოყალიბება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოდელისა და მექანიზმების სრულყოფის მიზნით.

ტრეფიკინგის დანაშაულთან შედგენიანი ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს მისი პრევენცია, რათა ინფორმირებული ადამიანები აღარ მოხვდნენ კრმინალების ხაფანგში. პირები, რომლებიც მომავალი მსხვერპლების გადაბირებით არიან დაკავებულნი, სისტემატიურად იყენებენ ახალ და თანამედროვე მეთოდებს რათა მიიზიდონ ადამიანები, შეიტყუონ დაპირებებით და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით

---

დანაშაული ქვეყნის შიგნითაც ხდება. აგრეთვე ხშირად ხდება ადამიანების სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის (ადამიანების კონტრაბანდის) დანაშაულის აღრევა ტრეფიკინგის დანაშაულთან. მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის დანაშაული შეიძლება მოიცავდეს საზღვრის გადაკვეთას, მთავარი ტრეფიკინგის დანაშაულში ექსპლუატაციის მიზანია, რაც არ გვაქვს საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის დროს – ამ დროს გადაყვანს უნდა მოგების მიღება ადამიანების საზღვარზე უკანონოდ გადაყვანით, მაგრამ შემდეგ მათი ბედი აღარ აინტერესებს, ხოლო ტრეფიკინგის დანაშაულის დროს მსხვერპლი მიჰყავთ დანიშნულების ადგილას და ხდება მისი ექსპლუატაცია.

<sup>5</sup> Schaffner Jessica E. (2014) *Optimal deterrence: a law and economics assessment of sex and labor trafficking law in the United States*, Houston Law Review Vol. 51, Issue 5, გვ.1525.

<sup>6</sup> ანუ მსხვერპლის ექსპლუატაციის გამწვევი პირის ხელში მოხვედრამდე.

<sup>7</sup> ხშირად ტრეფიკინგის დანაშაული ერეკათ ადამიანების უკანონოდ საზღვარზე გადაყვანის დანაშაულში ან თაღლითობის დანაშაულში, როდესაც ადამიანს გამოართმევენ თანხას სამუშაოს შოვნის დაპირებით და შემდეგ უჩინარდებიან, ან უფრო ნაკლებ თანხას უხდიან გაწეულ სამუშაოში.

<sup>8</sup> ქმედება, საშუალება, მიზანი.

<sup>9</sup> საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტისათვის „*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ*“ (07-2/199, 07.04.2014).

<http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9/kvlevebiblioteka/sainformacio-furceli-kanonproeqtebistvis1/sainformacio-furceli-kanonproeqtebistvis-2014-weli.page> გვ.2

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/07/2017).

მოახდინონ მათი ექსპლუატაცია. დამნაშავეთა მეთოდები სისტემატიურად იხვეწება, ისინი პოულობენ ახალ გზებს რათა მოიზიდონ მეტი მსხვერპლები, გატეხონ მათი ნება და მიიღონ რაც შეიძლება მეტი მოგება<sup>10</sup>. სწორედ ამიტომ თანამედროვე სამყაროში ტრეფიკინგის პრევენციას ნელ-ნელა უფრო დიდი ყურადღება ექცევა. ინფორმირებული ადამიანის მოტყუება უფრო რთულია. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით 2016 წლის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში სწორედ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციაზე ამახვილებს ყურადღებას. ანგარიშში წახალისებულია მთავრობების მიერ გატარებული ღონისძიებები, რათა აღმოაჩინონ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე მოწყვლადია ტრეფიკინგის დანაშაულის მიმართ და შეისწავლონ ადამიანთ მოვაჭრეების მიერ გამოყენებული მეთოდები. მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებისას მთავრობას შეუძლია ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან<sup>11</sup>. არასამთავრობო ორგანიზაციები დიდ როლს თამაშობენ როგორც ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარებაში, აგრეთვე გამოძიების პროცესში ტრეფიკინგის მსხვერპის ნდობის მოპოვებაში<sup>12</sup>.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ რა თანამედროვე სამართლებრივ ღონისძიებებს ახორციელებს სხვადასხვა ქვეყანა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის. საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაცია და შექმნას ან განაახლოს სამართლებრივი ბაზა, რათა მოხდეს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია, ადამიანთ მოვაჭრეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ შეიმუშავა მოდელური კანონი<sup>13</sup>, რომელშიც მოყვანილია თუ ტრეფიკინგთან ბრძოლის როგორი კანონი უნდა მიიღოს ქვეყანამ, ამასთან მხედველობაში უნდა იყოს მიღებული თვითონ ამ ქვეყნის სამართლებრივი ბაზის თავისებურებები; თუმცა სპეციფიური დებულებები, რომლებიც ტრეფიკინგის საბაზისო ცნებებს ეხება, აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი ქვეყნის

<sup>10</sup> Spruce Hannah (15/02/2017) *Methods of Human Trafficking and Recruitment*, <https://www.highspeedtraining.co.uk/hub/methods-of-human-trafficking/> , Tomkiewicz Katie (23/08/2016) *Disillusion: How Traffickers Are Luring Victims*, <https://www.redeemingloveca.com/new-blog/disillusion-how-traffickers-are-luring-victims> , Withers Mellissa, Ph.D., MHS (19/10/2016) *Psychological Tactics Used by Human Traffickers, Modern Day Slavery*, <https://www.psychologytoday.com/blog/modern-day-slavery/201610/psychological-tactics-used-human-traffickers> , Gummow Jodie (21/11/2013) *What Is the Most Common Way People Are Lured into Sex Trafficking? New Study Shows Surprising Trends*, AlterNet, <https://www.alternet.org/news-and-politics/what-most-common-way-people-are-lured-sex-trafficking-new-study-shows-surprising>

<sup>11</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიში* <https://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2016/258685.htm> გვ. 1 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05/10/2017).

<sup>12</sup> *100 Best Practices in Combating Trafficking in Persons: The Role of Civil Society* (2012) The Protection Project at The Johns Hopkins University Paul H. Nitze School of Advanced International Studies [http://www.protectionproject.org/wp-content/uploads/2012/07/100-Best-Practices-in-Combating-TIP\\_Final-Doc1.pdf](http://www.protectionproject.org/wp-content/uploads/2012/07/100-Best-Practices-in-Combating-TIP_Final-Doc1.pdf) გვ. 1 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>13</sup> *Model Law against Trafficking in Persons* (2009) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), [http://www.unodc.org/documents/human-trafficking/Model\\_Law\\_against\\_TIP.pdf](http://www.unodc.org/documents/human-trafficking/Model_Law_against_TIP.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).



საკანონმდებლო სისტემაში. აგრეთვე უნდა შეიცვალოს საკანონმდებლო ბაზა, რათა ტრეფიკინგის დანაშაულის თანმდევი და ხელშემწყობი დანაშაული და დარღვევებიც აგრეთვე იყოს კრიმინალიზებული<sup>14</sup>.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პირველ საერთაშორისო დეფინიციად ითვლება გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ<sup>15</sup> შესაბამის მუხლებში ჩამოყალიბებული დეფინიცია. ამ ორი დოკუმენტის მიღებამ, ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოთა მიერ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის<sup>16</sup> შექმნას<sup>17</sup>. კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ამ სფეროს, არის ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 2005 წელს. ნაშრომში ჩვენ უფრო ფართოდ გავარჩევთ საერთაშორისო კანონმდებლობას, თუმცა აქ გვინდა ავლნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებული საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად სახელმწიფოს ვალდებულებაა განახორციელოს ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლა და მისი პრევენცია. ტრეფიკინგის დანაშაული ხშირად არის ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ, მათ შორის საერთაშორისო ჯგუფების მიერ. სწორედ ამიტომ იქნა მიღებული ტრეფიკინგის სფეროს მარეგულირებელი ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო დოკუმენტი - ადამიანის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმი - გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის კონვენციისა და მატებით ოქმად.

საერთაშორისო კონვენციები ტრეფიკინგის პრევენციას ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის კომპონენტად განიხილავენ, და მიუთითებენ ქვეყნებს თუ რა ღონისძიებები უნდა გაატარონ ტრეფიკინგის პრევენციისთვის. ამ მიზნით სახელმწიფოს საქმიანობა უნდა

<sup>14</sup> როგორცაა ფულის გათეთრება ან გადასახადების გადახდის თავის არიდება, იარაღის ან ნარკოტიკების კონტრაბანდა, დოკუმენტების გაყალბება, თანამდებობის პირების კორუფცია, საიმიგრაციო და საზღვრის დაცვის კანონმდებლობის დარღვევები, ა.შ.

<sup>15</sup> შემდგომში იქნება ნახსენები როგორც „პალერმოს ოქმი“.

<sup>16</sup> მესხი მარინა (2014) *ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა*, გვ.28, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი [https://www.tsu.ge/ge/faculties/law/go8knyzegtrnhgfk/pvppr5hsqbjhv0pq/t-b0w8smhtvj\\_wu7o//](https://www.tsu.ge/ge/faculties/law/go8knyzegtrnhgfk/pvppr5hsqbjhv0pq/t-b0w8smhtvj_wu7o//) (უკანასკნელად იქნა ვადამოწმებული 07/10/2017).

<sup>17</sup> „პალერმოს“ ოქმი პირველი დოკუმენტი იყო, რომელმაც სრულად ასახა ტრეფიკინგის დანაშაულის დეფინიცია, ეტაპები, მასთან ბრძოლის გზები და განსახორციელებელი ქმედებები. ამ დოკუმენტის მიღებამდე მონობასთან და თანამედროვე მონობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა აქტიურად მიმდინარეობდა, რასაც მოგვიანებით შევეხებით, თუმცა აქ გვინდა ავლნიშნოთ რომ მთავარ ფუძემდებლურ დოკუმენტებში ადამიანის უფლებების სფეროში მონობა აკრძალულია; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წ.) მე-4 მუხლში აღნიშნულია: „არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. ყველა სხვის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წ.) მე-4 მუხლი: „1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. 2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.“

გულისხმობდეს ცნობიერების ამაღლებას ტრეფიკინგის საკითხებზე, სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას რათა ქვეყანაში შემცირდეს სიღარიბის დონე და უმუშევრობა, მოხდეს ეკონომიკური განვითარება და შესაძლებლობებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემცირება. სახელმწიფო აგრეთვე უნდა მუშაობდეს მიგრაციის სრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებასა და ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშეწყობაზე.

პრაქტიკაში ძირითადად მთავრობები ყურადღებას ამახვილებენ ადამიანთ მოვაჭრეების სისხლისსამართლებრივ დევნასა და ცოტა უფრო ნაკლებად, მსხვერპლთა დაცვასა და რეინტეგრაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ მსაგვის ქმედებები აღმოფხვრის ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგს, არ ხდება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, სოციალ-ეკონომიკური პირობების აღმოფხვრა<sup>18</sup> და პრევენცია. საკმაოდ რთულია შეფასდეს რამდენად წარმატებულად ახდენენ ქვეყნები ტრეფიკინგის პრევენციას. ამის შეფასება შეიძლება ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების, მოთხოვნის შესამცირებლად გატარებული ქმედებების, ტრეფიკინგის დანაშაულისადმი მოწვევლადი ჯგუფებისათვის განხორციელებული სპეციალური პროგრამების რაოდენობით, თვითიდენტიფიცირებული მსხვერპლების რაოდენობით, ჩატარებული კვლევებით თუ რამდენად იცის საზოგადოებამ ტრეფიკინგის შესახებ, და კონკრეტულად რა ინფორმაცია აქვს ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნებასა და შედეგებზე. ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფმა (GRETA) გამოქვეყნა სახელმძღვანელო<sup>19</sup>, სადაც შეკრიბა ტრეფიკინგის ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, პირველ თავში არის თავმოყრილი საუკეთესო გამოცდილება ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში. ამ გამოცდილებას ნაშრომის მეშვიდე თავში გავეცნობით. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად ტრეფიკინგის შესახებ ანგარიშს აქვეყნებს, სადაც აფასებს ქვეყნებს ტრეფიკინგთან ბრძოლისთვის გატარებული ღონისძიებების მიხედვით. ქვეყნები, რომლებიც არ იღებენ ზომებს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის, ტრეფიკინგის საქმეების გამოიძიებისა და მსხვერპლთა დახმარებისთვის, ყველაზე დაბალ შეფასებას იღებენ. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებს ნაშრომში უფრო ფართოდ შევხებით, თუმცა აქ გვინდა ავლნიშნოთ, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ მხოლოდ რამდენიმე არამიზნობრივი საინფორმაციო რგოლის ტელევიზიით გაშვება არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც ტრეფიკინგის პრევენციისთვის გატარებული ქმედება.

სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვანაირად მიუდგნენ ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი ბაზის შედგენას. ზოგიერთმა შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში და მოახდინა

<sup>18</sup> Chuang Janie (2006) *Beyond a Snapshot: Preventing Human Trafficking in the Global Economy*, American University, Washington College of Law, Indiana Journal of Global Legal Studies, Volume 13, Issue 1, გვ. 150-153, <http://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1323&context=ijgls> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06/10/2017).

<sup>19</sup> *Compendium of good practices on the implementation of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings* (2016) Secretariat of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings (GRETA and Committee of the Parties), Council of Europe, F-67075 Strasbourg Cedex, France, გვ.5-13, <https://rm.coe.int/16806af624>.

ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაცია, მაგრამ არ მიიღო სპეციალური კანონი, რომელშიც ტრეფიკინგის პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის საკითხები იქნებოდა რეგულირებული. ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო ცალკე დოკუმენტი – კანონი ან აქტი, სადაც მოყვანილია ტრეფიკინგის დეფინიცია, მისი ფორმები, რომლებიც ძირითადად იმეორებს „პალერმოს ოქმს“, და იქვეა მოყვანილი ტრეფიკინგის დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელი. ზოგიერთმა ქვეყანამ ცალკე მოახდინა ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზება სისხლის სამართლის და/ან შრომის კოდექსში და ცალკე მიიღო კანონი, რომელშიც დარეგულირდა ტრეფიკინგის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები.

თემაში დავაჯგუფეთ ქვეყნები წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნების შესაბამისად, თუმცა სინამდვილეში ასეთი დაყოფა საკმაოდ პირობითია, რადგან იგივე წყარო ქვეყნებში შიდა ტრეფიკინგიც ხორციელდება და თავისთავად ქვეყანა დანიშნულების ქვეყანაც გამოდის, ან იგივე ქვეყანაში შეიძლება ნაკლები რაოდენობით, მაგრამ მაინც ხდებოდეს ტრეფიკინგი მეზობელი ქვეყნებიდან. მაგალითად ფინეთი ძირითადად დანიშნულების ან სატრანზიტო ქვეყანაა, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ხდება ფინელი გოგონებისა და ქალების სექსუალური ტრეფიკინგი ფინეთში<sup>20</sup>.

პირველ ნაწილში განვიხილავთ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა ქვეყნების კანონმდებლობების შეცვლა, მათ შორის „პალერმოს ოქმს“, ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს.

მეორე თავში მიმოვიხილავთ სააგენტოებს და მექანიზმებს, რომლებიც საქმიანობენ ტრეფიკინგთან ბრძოლაში საერთაშორისო დონეზე, მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფს (GRETA), რომელიც მონიტორინგს უწევს მონაწილეთა მიერ ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის განხორციელებას, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშებს, გაეროს სპეციალურ მომხსენებელს ტრეფიკინგის საკითხებზე და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ტრეფიკინგის პრევენციის და ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე.

მესამე თავში განვიხილავთ ტრეფიკინგის პრევენციას ადამიანის უფლებების დარღვევის ჭრილში, რადგან ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის ყველა სტადიაზე ირღვევა ადამიანის უფლებები, თვითონ ექსპლუატაცია თავისთავად ნიშნავს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ჩაყენებას. ადამიანს ექცევიან როგორც საგანს, ან საკუთრებას, რომელიც შეიძლება გაიყიდოს. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სიმძიმე, პატივისა და ღირსების შელახვა, ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლა ადამიანით ვაჭრობის

<sup>20</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ტრეფიკინგის ანგარიში, გვ.158-159 <https://www.state.gov/documents/organization/245365.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

(ტრეფიკინგის) დანაშაულს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ დარღვევად აქცევს<sup>21</sup>.

შემდეგ განვიხილავთ ქვეყნების კანონმდებლობას წარმოშობისა (მოლდოვა, უკრაინა, ჩინეთი, იამაიკა) და დანიშნულების (ისრაელი, საბერძნეთი, ფინეთი, თურქეთი, აშშ) დაჯგუფების მიხედვით (მეოთხე თავი) და საქართველოს კანონმდებლობას ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში (მეხუთე თავი). ქვეყნების არჩევისას ვეცადეთ ისეთი ქვეყნები აგვეჩინოთ, რომლებიც სოციალურად, ეკონომიკურად ან პოლიტიკურად ახლოს არიან საქართველოს სიტუაციასთან, აგრეთვე ის ქვეყნები, სადაც ხშირად ხდება საქართველოს მოქალაქეების შრომითი მიგრაცია ან ქვეყნები საიდანაც ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლების იდენტიფიცირება, რომელთა ექსპლუატაცია ხდება იმ ქვეყნებში, სადაც იმყოფებიან საქართველოს მოქალაქეები სამუშაოდ.

მეექვსე თავში განვიხილავთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მიერ შემუშავებულ საუკეთესო გამოცდილებას ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის სფეროში ევროპული კონვენციის ხელშემკრულ ქვეყნებში, როგორცაა ცნობიერების ამაღლება, კვლევები, ტრენინგები და ა.შ.

მეშვიდე თავში ვნახავთ იმ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას, რომელთა კანონმდებლობაც მიმოვიხილეთ მეოთხე თავში – რა ღონისძიებებს ატარებენ ეს ქვეყნები ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის, ხოლო მერვე თავი საქართველოში ტრეფიკინგის პრევენციის არსებულ პრაქტიკას ეძღვნება – ღონისძიებები გატარებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების სტატისტიკა, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებები.

ბოლო თავში ვეცადეთ მოგვეძებნა საქართველოსთვის ყველაზე მისაღები თანამედროვე პრაქტიკა, რომელიც დაეხმარება საქართველოს მოახდინოს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია და დაიცვას საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეები ადამიანის უფლებების ამ საზარელი დარღვევისგან.

---

<sup>21</sup> მესხი მარინა (2014) *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა*, გვ. 5, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი  
[https://www.tsu.ge/ge/faculties/law/go8knyzegtrnhgfk/pvppr5hsqbjhv0pq/t-b0w8smhtvj\\_wu7o//](https://www.tsu.ge/ge/faculties/law/go8knyzegtrnhgfk/pvppr5hsqbjhv0pq/t-b0w8smhtvj_wu7o//).

## 1. თავი პირველი - საერთაშორისო დოკუმენტები და ინსტრუმენტები ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის საკთხებზე წლების განმავლობაში ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობდა - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა.შ. ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, ორგანიზაციები ადგენდნენ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომელთა შესაბამისად ხელშემკვრელ მხარეებს უნდა გაეტარებინათ ღონისძიებები ტრეფიკინგის დანაშაულთან საბრძოლველად - ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია, დანაშაულის გამოძიება და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბლიტაცია და ინტეგრაცია საზოგადოებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაციაში<sup>22</sup> აღნიშნულია, რომ ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს ქალთა ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლუატაციის აღმოფხვრისთვის აუცილებელი პრევენციისა და სადამსჯელო ზომების მიღებას<sup>23</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოცი წელის გავიდა რეკომენდაციის მიღების შემდგომ, ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების დღის წესრიგში მწვავედ დგას<sup>24</sup>. ტრეფიკინგის დანაშაულზე ადამიანების განათლება და ცოდნის გავრცელება არის ერთ-ერთი მთავარი საშუალება ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის და დამარცხებისთვის. მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებამ, მედიამ, კერძო კომპანიებმა უნდა გაავრცელონ ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნების, მიზეზების და მსხვერპლებისთვის მიყენებული ზიანის შესახებ<sup>25</sup>.

ფუძემდებლურ დოკუმენტად ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში ითვლება გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის კონვენცია და „პალერმოს ოქმი“. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიცია ითვლება ტრეფიკინგის პირველ საერთაშორისო დეფინიციად. ამ თავში მიმოვიხილავთ „პალერმოს ოქმს“ და დოკუმენტებს, რომლებიც წინ უძღვოდა და საფუძვლად დაედო ოქმის შექმნას.

<sup>22</sup> XI სესია, 1992 ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა <http://nihf.freeuni.edu.ge/uploads/files/CEDAW%2019.pdf> გვ.1-2 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>23</sup> <http://nihf.freeuni.edu.ge/uploads/files/CEDAW%2019.pdf> გვ.1-7 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>24</sup> De Vido Sara (2017) *The Ratification of the Council of Europe Istanbul Convention by the EU: A Step Forward in the Protection of Women from Violence in the European Legal System*, European Journal of Legal Studies Vol. 9, Issue 2, გვ. 74.

<sup>25</sup> *ინტერვიუ გაეროს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების ნებაყოფლობითი მიზნობრივი ფონდის წარმომადგენელ დოქტორ საიდურე ჩითქულთან* <https://www.unodc.org/unodc/en/frontpage/2011/February/awareness-and-education-are-key-to-beating-human-trafficking.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

2005 წელს მიღებულმა ევროპის საბჭოს კონვენციამ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კიდევ უფრო განავრცო ტრეფიკინგის დანაშაულის ცნებები და მეტი აქცენტი გააკეთა ქვეყნებს შორის თანამშრომლობაზე ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და მასთან ბრძოლისთვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფრო ეფექტიანი დახმარებისთვის.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აყალიბებს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს კონვენციების და რეკომენდაციების სახით და ამით ადგენს ძირითადი შრომითი უფლებების მინიმალურ სტანდარტებს. ქვემოთ ჩამოთვლილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების შესაბამისად ხელშეკრული მხარეები ახდენენ იძულებითი ან სავალდებულო შრომის დანაშაულთან ბრძოლას.

საერთაშორისო ორგანიზაციები და გაერთიანებები აგრეთვე იღებენ სხვადასხვა დოკუმენტებს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის. ეს შეიძლება იყოს კონვენციები ან დირექტივები, თანამშრომლობის შეთანხმებები და ხელშეკრულები, სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები და პროგრამები ან რეკომენდაციები ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობის შექმნასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩატარების სფეროებში, მაგალითად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC) 2009 წელს შეიმუშავა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონი, რომელიც ეხმარება ქვეყნებს შეიმუშაონ ან განაახლონ შესაბამისი კანონმდებლობა მათი ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციების და სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე. UNODC-ს აგრეთვე აქვს შემუშავებული ტრეფიკინგთან ბრძოლის ინსტრუმენტთა ნაკრები, სადაც ჩამოთვლილია რა ტიპის ცნობიერების ამაღლების კამპანიები უნდა ჩატაროს ქვეყანამ.

ამ თავში განვიხილავთ ის საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებზე დაყრდნობითაც ქვეყნებმა უნდა განახორციელონ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა.

## 1.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციები

**კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ოქმი ადამიანის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ**

2000 წელს გაერომ მიიღო და 2003 წელს ძალაში შევიდა კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ოქმი ადამიანის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ<sup>26</sup>. გაერომ განაცხადა, რომ ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მოითხოვს წარმოშობის, ტრანზიტისა და დანიშნულების ქვეყნებში

<sup>26</sup> ე.წ. „პალერმოს ოქმი“, ნაშრომში შემდგომში მოვისხენიებთ ამ დასახელებით.

მრავალმხრივ საერთაშორისო მიდგომის გატარებას, რომელიც მოიცავს ტრეფიკინგის აღკვეთის, ადამიანით მოვაჭრეების დასჯისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს, ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების დაცვის ჩათვლით. დღეისთვის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციაზე<sup>27</sup> 147 სახელმწიფოსა და 188 მხარეს აქვს ხელი მოწერილი<sup>28</sup>, ხოლო ადამიანის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმზე 117 სახელმწიფოსა და 171 მხარეს აქვს ხელი მოწერილი<sup>29</sup>.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მონობის დაგმობა ემფატიკური და არაორაზროვანია. მონობის აკრძალვა განიხილება როგორც *jus cogens* და მას გრძელი ისტორია აქვს<sup>30</sup>. მონობასთან ბრძოლა მთელს მსოფლიოში მიმდინარეობდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში<sup>31</sup>. ვენის 1815 წლის კონგრესმა მონებით ვაჭრობა

<sup>27</sup> [https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XVIII-12&chapter=18&clang=\\_en](https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XVIII-12&chapter=18&clang=_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>28</sup> საქართველომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 07/06/2006 *საქართველოს პარლამენტის დადგენილება 3202-III* (გამოქვეყნების თარიღი 15/06/2006).

<sup>29</sup> [https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XVIII-12-a&chapter=18&clang=\\_en](https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XVIII-12-a&chapter=18&clang=_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>30</sup> Anghie Antony (2017) *Slavery and International Law: The Jurisprudence of Henry Richardson*, Temple International and Comparative Law Journal Vol. 31, Issue 1, გვ.12.

<sup>31</sup> ერთა ლიგის 1926 წლის მონობის შესახებ კონვენციაში მონობა განმარტებულია, როგორც ადამიანის მდგომარეობა ან სტატუსი, რომლის მიმართაც ხორციელდება საკუთრების უფლების ყველა ატრიბუტი ან მათი ნაწილი. ტრეფიკინგი აღქმულია როგორც თანამედროვე მონობის ფორმა, ტრეფიკინგის მსხვერპლებს ზოგჯერ „თეთრ მონებს უწოდებენ“. გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზაციის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის, ადამიანის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ტრეფიკინგი ოქმის შესაბამისად, ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმში, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, კატორღულ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას. მონობას და ტრეფიკინგს შორის მხოლოდ მცირე განსხვავებაა: მონობა ყოველთვის გულისხმობს იძულებით შრომას/ექსპლუატაციას, ხოლო ტრეფიკინგი ყოველთვის არ გულისხმობს მონობას. აღსანიშნავია ის განსხვავებაც, რომ მონობა პერმანენტული მდგომარეობაა, თუ მას არ გამოისყიდიან ან/და არ გაანთავისუფლებენ. ადამიანი შეიძლება დაიბადოს მონად (როცა მისი მშობლები მონობაში იმყოფებიან), ხოლო ტრეფიკინგის მსხვერპლებად ხდებიან. ტრეფიკინგში ძირითად შემთხვევაში ხდება პირის გადაყვანა/ტრანსპორტირება მისი ექსპლუატაციის ადგილას (ზოგჯერ ქვეყნებს შორის საზღვრის გადაკვეთით). (იხ. Jordan Ann (2011) *Slavery, forced labor, debt bondage, and Human trafficking: from conceptual confusion to targeted solutions*, Issue Paper 2, February 2011, გვ.2-3 <http://traffickinggroundtable.org/wp-content/uploads/2012/07/Issue-Paper-2-Slavery-Forced-Labor-Debt-Bondage-and-Human-Trafficking.pdf> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017). თუმცა ეს განსხვავება ძალიან უმნიშვნელოა და ტრეფიკინგი აღიქმება მონობის მსგავს მდგომარეობად. მონობაც და ტრეფიკინგიც ორივე შეიცავს მოგების მიზნით პირის ექსპლუატაციას და ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად იძულებას. (იხ. *Factsheet: Understanding human trafficking and slavery*, (2012) World Vision Australia, გვ.2,

გამოაცხადა მიუღებელ საქმიანობად როგორც მორალური, ასევე ჰუმანურობის თვალსაზრისით. XIX საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთის მთავრობამ ხელი მოაწერა მთელ რიგ ორმხრივ შეთანხმებებს, რომლითაც გარანტირებული იყო საერთაშორისო წყლებში იმ ხომალდების ჩხრეკა-დათვალიერების უფლება, რომელთა მიმართაც არსებობდა მონობით ვაჭრობაში მონაწილეობის ეჭვი. შეთანხმებები დადებული იყო, ინტერ ალია, ესპანეთთან, შვედეთთან, ჰოლანდიასთან, რუსეთთან, პრუსიასთან, საფრანგეთთან და აშშ-თან. ბრიუსელის 1890 წლის კონფერენციამ მიაღწია შეთანხმებას აფრიკის მიმდებარე ზღვების გარკვეულ ტერიტორიებზე საეჭვო ხომალდების ჩხრეკასთან დაკავშირებით. ეს სამუშაო გააგრძელა ერთა ლიგამ, რომელმაც შემდგომში ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ სხვა მრავალმხრივი კონვენცია შეიმუშავა. 1865 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიტანა მეცამეტე შესწორება კონსტიტუციაში, რითაც გააუქმა მონობა<sup>32</sup>. მონობის საკითხთა კომისია 1924 წელს ჩამოაყალიბა ლიგის საბჭომ. წევრებს ეთხოვათ ნასყიდობის, გაცვლისა და საჩუქრების ფორმით განხორციელებული მონობით ვაჭრობის პრაქტიკის აღმოფხვრა. ასევე დაგმობილი იქნა იძულებითი შრომა და „იძულებითი“ შვილობა. უნდა აღინიშნოს, რომ ლიგის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ რიგ მანდატის ქვეშ მყოფ თუ კოლონიზებულ ტერიტორიებზე. მონობით ვაჭრობის შემთხვევები ერთა ლიგას 1937 წელსაც კი აქვს დაფიქსირებული. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი კოდიფიცირებულ იქნა 1926 წლის კონვენციით მონობის შესახებ, ხოლო 1956 წელს სამართლის ეს დარგი განვირცო დამატებითი კონვენციით მონობის, მონობით ვაჭრობის და შესაბამისი დაწესებულებებისა და მსგავსი პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებები აშკარა ფორმით კრძალავდნენ მონობას. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა საგანგებო კონვენციები მიზნად ისახავს ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის აღმოფხვრას<sup>33</sup>. გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში კი აღნიშნულია, რომ მონობა და მონობით ვაჭრობის ნებისმიერი ფორმა აკრძალულია. მუხლი 4 განმარტავს, რომ „არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.“<sup>34</sup>. ტრეფიკინგი მონობის

<https://campaign.worldvision.com.au/wp-content/uploads/2013/04/Understanding-human-trafficking-fact-sheet.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017), ლობჟანიძე გივი [რედ.: ხუროშვილი გ.] (2006) *ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები: ტრანსნაციონალური დანაშაული*, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა No.: 343.43/1, 979916.).

<sup>32</sup> აშშ-ს კონსტიტუციაში მეცამეტე, მეოთხმეტე და მეთხუთმეტე შესწორებები შეტანილ იქნა სამოქალაქო ომის (1861-65წწ.) შედეგად, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ აკრძალა მონობა შეერთებულ შტატებში, ამიტომ ამ შესწორებებს „სამოქალაქო ომის შესწორებები“ ეწოდება. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, გვ. 32, [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6905/1/Amerikis\\_Konstitucia.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6905/1/Amerikis_Konstitucia.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>33</sup> სმიტი კ.მ. რონა, რედაქტორი გიორგი ჯოხაძე (2006) *ადამიანის საერთაშორისო უფლებები*, გვ.15, გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ISBN 9994058711, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&cl=CL4.2&d=HASH013ff4c7373719a90e547cec>.

<sup>34</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948)

<http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).



თანამედროვე ფორმაა, თუმცა თავად ტრეფიკინგი იმდენად რთული და მრავალწახნაგიანი დანაშაულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მონობას გულისხმობს, მხოლოდ მონობის წინააღმდეგ არსებული დებულებები ამ დანაშაულთან ბრძოლისთვის არასაკმარისია და ტრეფიკინგის დანაშაულის აღკვეთისთვის საჭირო გახდა კონკრეტულად ტრეფიკინგის შესახებ დოკუმენტის მიღება, რომელიც ასახავს ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა სტადიებს. ტრეფიკინგი თავისათავედ მონობის მსგავს სიტუაციაში ჩაყენებას ნიშნავს, მაგრამ მოიცავს მრავალ ეტაპებს – გადაბირება, გადაყვანა, მსხვერპლის დაშინება, მისი ნების გატეხვა, და ექსპლუატაცია. ყველაფერი ეს შეიძლება მოტყუებით, შანტაჟით, დაშინებით, მუქარით, ძალადობით ხდებოდეს, თუმცა ბევრ შემთხვევაში სანამ მსხვერპლის ექსპლუატაციაში ჩართვის ეტაპამდე არ მივა, მხოლოდ მოტყუებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

1949 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ადამიანთა ტრეფიკინგისა და სხვათა პროსტიტუციის გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომლის შესაბამისად პროსტიტუცია და მისი „თანამდები ბოროტება“, პროსტიტუციის მიზნით ადამიანით ვაჭრობა, შეუთავსებელია ადამიანურ ღირსებასთან (პრეამბულა). ბევრი მიმართებით, ეს კონვენცია არ იყო ახალი კანონი, ვინაიდან მასში თავმოყრილი და კონსოლიდირებულია მანამდე არსებული საერთაშორისო დოკუმენტები - 1904 წლის საერთაშორისო შეთანხმება თეთრი მონებით ვაჭრობის აღმოფხვრის თაობაზე; 1910 წლის საერთაშორისო კონვენციის თეთრი მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ; 1921 წლის საერთაშორისო კონვენცია ქალებითა და ბავშვებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ; 1933 წლის საერთაშორისო კონვენცია სრულწლოვანი ქალებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ - რომელთაგან ყველა იქნა გაგრძელებული სადღეისო გამოყენების მიზნით, რისთვისაც გენერალურმა ასამბლეამ თავის საინაუგურაციო შეხვედრებზე მიღებული ოქმების საშუალებით ცვლილებები შეიტანა მათში. 1949 წლის კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოთაგან ითხოვს დასაჯონ „ნებისმიერი პირი, რომელიც სხვისი სურვილის დაკმაყოფილების მიზნით: (1) იყიდის, აცდუნებს ან წაიყვანს სხვაგან პროსტიტუციის მიზნით სხვა პირს, თუნდაც ეს მოხდეს ამ პირის თანხმობით; (2) იყენებს სხვა პირის პროსტიტუციას, თუნდაც ეს ხდებოდეს ამ პირის თანხმობით;“ (მუხლი 1). უნდა დაისაჯოს აგრეთვე ნებისმიერ პირი, რომელსაც „(1) აქვს საროსკიპო ან მართავს მას, ან შეგნებულად აფინანსებს მას, ან მონაწილეობას იღებს მის დაფინანსებაში; (2) შეგნებულად აქირავებს ან აკირავებს შენობას ან სხვა ადგილს ან მის რომელიმე ნაწილს სხვა პირთა პროსტიტუციის მიზნით“ (მუხლი 2). ალბათ საინტერესო იქნება აღინიშნოს, რომ კონვენციის მოთხოვნით, როცა ეს შესაძლებელია, ზემოაღნიშნულ საქმიანობაში საერთაშორისო მონაწილეობა უნდა ისჯებოდეს აგრეთვე ადგილობრივი კანონმდებლობით (მუხლი 3), რომელშიც ნებისმიერი ასეთი შემთხვევისათვის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო, გათვალისწინებული უნდა იყოს ექსტრადიციის პრინციპი (მუხლი 8). კონვენციის დიდი ნაწილი ეძღვნება სამართლებრივ საკითხებს და ტრეფიკინგსა და პროსტიტუციაში ბრალდებულ პირთა დამსჯელი პროცედურების ელემენტებს, აგრეთვე, გათვალისწინებულია დაზარალებულთა რეაბილიტაცია. თავისი ბუნებით, ეს არის



ქალებსა და ბავშვებზე და სექსუალურ ტრეფიკინგზე, შესაბამისად შრომითი ტრეფიკინგი ან უგულვებელყოფილია ან ნაკლებადაა ასახული. ამის ერთ-ერთ მიზეზად კონვენციის დაწერის მომენტში ფემინისტების აქტიურობა სახელდება, რომლებმაც განსაკუთრებით მიაქციეს ყურადღება ქალების და ბავშვების დიკრიმინაციას და სექსუალურ ექსპლუატაციას. ამ გადმოსახედიდან რთულია შეაფასო იმ მომენტში რითი ხელმძღვანელობდა გაერო და რამდენად განიხილებოდა შრომითი ტრეფიკინგის პრობლემა, თუმცა კონვენციაშიც და ოქმშიც საუბარია ექსპლუატაციის მიზანზე და მისგან მიღებულ სარგებელზე, შესაბამისად ექსპლუატაციაში ორივე ტიპის – სექსუალური და შრომითი ტრეფიკინგის ნაგულისხმევი, თუმცა რთულია იმის უარყოფა რომ XXI საუკუნის დასაწყისში აქცენტი მაინც უფრო სექსუალურ ტრეფიკინგზე კეთდებოდა.

ამ კრიტიკული შეფასებების გათვალისწინებით, და აგრეთვე იმის გამო, რომ ტრეფიკინგის ფორმები მუდმივად იცვლება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC), რომელიც ოქმის მთავარ დამცველს (მეურვეს) წარმოადგენს, და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ, კიდევ ერთხელ განმარტეს ოქმის მესამე მუხლის ცნება. UNODC-მ შეიმუშავა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც შეეხება ტრეფიკინგის დანაშაულის მთავარ ასპექტებს და განმარტავს ოქმის მესამე მუხლს: „პირების დაუცველი მდგომარეობის ბოროტი გამოყენება და სხვა „საშუალებები“ ადამიანით ვაჭრობის ცნებებში“<sup>38</sup> (2012), „თანხმობის როლი ადამიანით ვაჭრობის ოქმში“<sup>39</sup> (2014) და „ექსპლუატაციის“ ცნება ადამიანით ვაჭრობის ოქმში“<sup>40</sup> (2015). 2013 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატარა სამმხრივი შეხვედრა იძულებითი შრომის და შრომითი ტრეფიკინგის ექსპერტებთან, რათა მათ რეკომენდაცია მიეცათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის რა სტანდარტები იყო დამატებით შემოსაღები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებთან ერთად, რათა შეიმუშავებული ყოფილიყო შესაბამისი მიდგომები შრომით ექსპლუატაციასთან საბრძოლველად<sup>41</sup>.

---

*Beyond Border Security: Feminist Approaches to Human Trafficking Security Studies*, 18, გვ.319–344, Copyright Taylor & Francis Group, LLC, ISSN: 1556-1852 online  
<http://jenniferlobasz.typepad.com/files/lobasz-2009.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>38</sup> *Abuse of a position of vulnerability and other „means“ within the definition of trafficking in persons* (2012) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) [https://www.unodc.org/documents/human-trafficking/2012/UNODC\\_2012\\_Issue\\_Paper\\_-\\_Abuse\\_of\\_a\\_Position\\_of\\_Vulnerability.pdf](https://www.unodc.org/documents/human-trafficking/2012/UNODC_2012_Issue_Paper_-_Abuse_of_a_Position_of_Vulnerability.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>39</sup> *The role of „consent“ in the trafficking in persons protocol* (2014) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) [http://www.unodc.org/documents/human-trafficking/2014/UNODC\\_2014\\_Issue\\_Paper\\_Consent.pdf](http://www.unodc.org/documents/human-trafficking/2014/UNODC_2014_Issue_Paper_Consent.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>40</sup> *The concept of „exploitation“ in the trafficking in persons protocol* (2015) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) [http://www.unodc.org/documents/human-trafficking/2015/UNODC\\_IP\\_Exploitation\\_2015.pdf](http://www.unodc.org/documents/human-trafficking/2015/UNODC_IP_Exploitation_2015.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>41</sup> *Tripartite Meeting of Experts on Forced Labour and Trafficking for Labour Exploitation* (11–15 February 2013) International Labour Organization (ILO), Geneva  
[http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_norm/---](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---)

„პალერმოს ოქმის“ მეხუთე მუხლის შესამაბისად თითოეულმა მონაწილე ქვეყანამ უნდა მიიღოს ზომები ეროვნულ დონეზე კოორდინაციის განხორციელების ან განმტკიცების მიზნით იმ ორგანოთა შორის, რომლებსაც ევალებათ ადამიანით ვაჭრობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა. ქვეყნებმა უნდა შეიმუშავეონ და/ან გააძლიერონ ეფექტურ პოლიტიკა და პროგრამები ადამიანით ვაჭრობის პრევენციის მიზნით ისეთი საშუალებების გამოყენების გზით, როგორებიცაა: კვლევა, ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება და საგანმანათლებლო კამპანიები, სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები და სასწავლო პროგრამები, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც წარმოადგენენ ტრეფიკინგის სამიზნეს და იმ პროფესიონალებისათვის, რომლებიც მუშაობენ ადამიანით ვაჭრობის სფეროში. ამ პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების დროს, თითოეულმა მონაწილემ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი მეთოდების დანერგვას, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, გენდერულ თანასწორობასა და განსაკუთრებით ბავშვთა ინტერესების დაცვაზე.

ქვეყანამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოს მიგრაციის კანონიერი ფორმით განხორციელება, შესაბამისი სამსახურების მიერ თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერი შესვლისა და ყოფნის პირობების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გავრცელების გზით. მონაწილე ქვეყნებმა უნდა გაატარონ სპეციალურ ზომები, რათა შეამცირონ ბავშვების ტრეფიკინგში ჩათრევის შესაძლებლობა, მათთვის დამცავი გარემოს შექმნის გზით.

მეხუთე მუხლით გათვალისწინებულ ზომებს, სათანადო შემთხვევებში, განხორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა შესაბამისი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ის ერთეულები, რომლებიც მუშაობენ ადამიანით ვაჭრობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა ან მათთვის დახმარების გაწევის სფეროში.

**გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ<sup>42</sup>.** ოქმის მონაწილე სახელმწიფოები შემფოთებულნი არიან ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის მიზნით ბავშვთა საერთაშორისო ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი და მზარდი მასშტაბებით, და თვლიან რომ შემდგომში ბავშვთა უფლებების კონვენციის მიზნების მიღწევისა და მისი დებულებების, განსაკუთრებით 1-ლი, მე-11, 21-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლების განხორციელებისათვის მიზანშეწონილია იმ ზომების გაფართოება, რომლებსაც მიმართავენ მონაწილე სახელმწიფოები ბავშვებით ვაჭრობისაგან, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიისაგან ბავშვთა დაცვის უზრუნველსაყოფად<sup>43</sup>.

normes/documents/meetingdocument/wcms\_203982.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>42</sup> ძალაში შევიდა 2002 წლის 18 იანვარს.

<sup>43</sup> საქართველო მიუერთდა ოქმს 27/09/2002, *საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1675/ს* (ძალაში შესვლის თარიღი 28/07/2005).

მონაწილე სახელმწიფოები, ოქმის შესაბამისად, კრძალავენ ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას. ოქმის მიზნებისათვის:

(ა) ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რომლის შედეგადაც ბავშვი გადაეცემა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირს ან პირთა ჯგუფს ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად;

(ბ) ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად;

(გ) ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს სხვადასხვა საშუალებებით იმ ბავშვის ნებისმიერ გამოსახვას, რომელიც ასრულებს რეალურ ან მოდელირებულ აშკარა სექსუალურ ქმედებებს, ან ბავშვის სასქესო ორგანოების გამოსახვას ძირითად სექსუალური მიზნებისათვის;

თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყანაში მოქმედ სისხლის სამართალთან ან პენიტენციურ სამართალთან ქმედებების შესაბამისობას, იმისდა მიუხედავად, ჩადენილია თუ არა დანაშაული ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ, ერთი პირის თუ ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

**გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ<sup>44</sup>.** ოქმის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ რომ იღებენ ყველა შესაძლო ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ თავიანთი შეიარაღებული ძალების 18 წლის ასაკს მიუღწევებელმა წევრებმა არ მიიღონ უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირები არ იყვნენ გაწვეულნი სავალდებულო სამსახურში თავიანთ შეიარაღებულ ძალებში<sup>45</sup>.

**კონვენცია<sup>46</sup> ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ<sup>47</sup>** მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას, ყველა საჭირო საშუალებით განუხრელად განახორციელებენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკას<sup>48</sup>. მეექვსე მუხლის შესაბამისად ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან აღკვეთონ ქალთა ტრეფიკინგი და იძულებითი პროსტიტუცია, რაც ხელს უწყობს ქალთა ექსპლუატაციას.

<sup>44</sup> ძალაში შევიდა 12 თებერვალი, 2002 წ.

<sup>45</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 21.06.2002 წლის 1571-II ს დადგენილებით. საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 22 დეკემბერის 4086-რს დადგენილების შესაბამისად კონვენციის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზედაც საქართველო ახორციელებს სრულ იურისდიქციას.

<sup>46</sup> *The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW)* <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08/10/2017).

<sup>47</sup> 1979 წლის 18 დეკემბერი, ძალაშია: 1981 წლის 3 სექტემბრიდან 27(1)-ე მუხლის თანახმად.

<sup>48</sup> *საქართველოს პარლამენტის დადგენილება 561-IV* (22/09/1994).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაციაში<sup>49</sup> აღნიშნულია<sup>50</sup>, რომ სიღარიბე და უმუშევრობა ქალთა ტრეფიკინგს უწყობს ხელს. ტრეფიკინგის სხვადასხვა ფორმის გახშირებასთან ერთად სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებიც ვითარდება, როგორცაა, სექსუალური ტურიზმი, განვითარებადი სახელმწიფოებიდან ქალების განვითარებულ სახელმწიფოებში შინამოსამსახურებად დასაქმება და მათი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქორწინების ორგანიზება. ასეთი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით ქალთა მიერ უფლებებით სრულად სარგებლობასთან, ისევე როგორც მათი უფლებებისა და ღირსებების დაცვასთან. ამავდროულად, ისინი ქალებს ძალადობისა და ხელყოფის განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აყენებენ. ომები, შეიარაღებული კონფლიქტები და ტერიტორიების ოკუპაცია ხშირად იწვევს პროსტიტუციის, ქალების ტრეფიკინგისა და სექსუალური ხელყოფის შემთხვევების ზრდას. ასეთ დროს განსაკუთრებული დაცვითი და სადამსჯელო ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს<sup>51</sup>.

## 1.2. ევროპის საბჭოს კონვენციები

**ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**

2005 წელს ევროპის საბჭომ მიიღო და 2008 წელს ძალაში შევიდა კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ<sup>52</sup>. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და კონვენციის სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოები, მიიხნევენ რომ ადამიანით ვაჭრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას და ადამიანის ღირსებისა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ღონისძიება ან ინიციატივა უნდა ემყარებოდეს არადისკრიმინაციულობისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს და მსხვერპლთა უფლებების პატივისცემას. მსხვერპლთა დაცვა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს უპირატესი მნიშვნელობის მქონე მიზნებს.

დღეისთვის კონვენცია 47 ქვეყანას აქვს რატიფიცირებული და შესაბამისად აქვს შეტანილი კონვენციაში მოყვანილი ზომები თავის შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში<sup>53</sup>. 2016 წელს კონვენციას

<sup>49</sup> XI სესია, 1992 ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა.

<sup>50</sup> <http://nihr.freeuni.edu.ge/uploads/files/CEDAW%2019.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>51</sup> Bessner Deborah (2017) *Will the United States Continue to Say You're Fired to CEDAW: Lessons Learned from Germany and Chile's Implementation of CEDAW and the Potential for United States Ratification*, Fordham International Law Journal Vol. 40, Issue 4, გვ.1226-1228.

<sup>52</sup> საქართველომ რატიფიცირება 2006 წელს გაუკეთა - 2006 წლის 24 ნოემბერს 3697-III.

<sup>53</sup> [http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/197/signatures?p\\_auth=C8VCXTSf](http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/197/signatures?p_auth=C8VCXTSf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

მიუერთდა ჩეხეთი<sup>54</sup>. იგივე 2016 წელს კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს და/ან ძალში შევიდა ლისტენშტეინში, მონაკოსა და თურქეთში<sup>55</sup>.

კონვენციაში მითითებულია, რომ იმისათვის, რომ ადამიანით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლა ქმედითი იყოს, ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში უნდა დამკვიდრდეს სხვადასხვა დარგის ერთობაზე დამყარებული მიდგომა, რომელშიც შევა პრევენცია, მსხვერპლთა უფლებების დაცვა და ადამიანით უკანონო მოვაჭრეთა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან ერთად უნდა მოხდეს სახელმწიფოთა შესაბამისი კანონების ჰარმონიზება და უზრუნველყოფა იმისა, რომ ეს კანონები უნიფიცირებული და ქმედითი სახით იქნეს გამოყენებული.

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ურჩევს ქვეყნებს ტრეფიკინგის პრევენციისთვის შემდეგი ქმედებების გატარებას:

- 1) მიიღონ ზომები იმ ორგანოთა შორის ეროვნულ დონეზე კოორდინაციის განხორციელების ან განტვიცების მიზნით, რომლებსაც ევალებათ ადამიანით უკანონო ვაჭრობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა;
- 2) გაატარონ ან მხარი უნდა დაუჭირონ პოლიტიკას და პროგრამებს, რომლებიც იმ პირთათვის, რომლებიც წარმოადგენენ ტრეფიკინგის სამიზნეს, და იმ პროფესიონალებისთვის, რომლებიც მუშაობენ ადამიანით უკანონო ვაჭრობის სფეროში;
- 3) ხელი შეუწყოთ ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მეთოდების დანერგვას;
- 4) მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა ადამიანებს მისცენ კანონიერი ემიგრაციისა და იმიგრაციის საშუალება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პოტენციურ იმიგრანტებს ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია მიგრაციასთან, დასაქმების პირობებთან და საკუთარ უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული კანონიერი შესაძლებლობების შესახებ;
- 5) გაატარონ სპეციალური პრევენციული ზომები ბავშვებთან დაკავშირებით;
- 6) ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა შესაბამისი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ერთეულებთან ადამიანით უკანონო ვაჭრობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვისა თუ მათთვის დახმარების გაწევის სფეროში.

ტრეფიკინგის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზომაა ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირება. ტრეფიკინგი რომ მომგებიანი და წარმატებული იყოს ადამიანით მოვაჭრეებისთვის, უნდა არსებობდეს მოთხოვნა. მოთხოვნის გარეშე, ეს მრავალ-მილიარდიანი მრეწველობა არ, ან უფრო მეტიც, ვერ არსებობს<sup>56</sup>. მიუხედავად იმისა,

<sup>54</sup> ძალაში შევიდა 2017 წელს.

<sup>55</sup> სირიელი დევნილების ნაკადმა ევროპისკენ და განსაკუთრებით თურქეთისკენ, დააჩქარა ამ ქვეყნების გადაწყვეტილება კონვენციის რატიფიცირების თაობაზე.

<sup>56</sup> George Cheryl (2012) *Jailing the Johns: The Issue of Demand in Human Sex Trafficking*, Florida Coastal Law Review, Vol. 13, Issue 3, გვ.295.

რომ არ არსებობს განმარტება „მოთხოვნა“ „პალერმოს ოქმში“ (და ევროსაბჭოს კონვენციაში), ექსპერტები ვარაუდობენ რომ მოთხოვნა შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: „სამომხმარებლო მოთხოვნა“ და „საწარმოო მოთხოვნა.“ როდესაც ადამიანები, რომლებიც აქტიურად ან პასიურად ყიდულობენ ტრეფიკინგის მსხვერპლების მიერ ნაწარმოებ პროდუქციას ან მომსახურებას „სამომხმარებლო მოთხოვნაა“. ხოლო როდესაც პირებს უნდათ მოგების მიღება ტრეფიკინგის დანაშაულისგან ეს „საწარმოო მოთხოვნაა“: როგორც წესი, ესენი არიან ექსპლუატაციის გამწვევი პირები და ადამიანით მოვაჭრეები; მათ უნდათ შინაარსუნონ შრომის დაბალი ანაზღაურება და ამასთან ჰქონდეთ მაღალი მოგება. ცნობიერების ამაღლების კამპანიები ამ ორივე ტიპის მოთხოვნაზე უნდა იქნეს მიმართული<sup>57</sup>.

ევროსაბჭოს კონვენცია მხარეებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღონ და გააძლიერონ ზომები სექსუალურ ექსპლუატაციაზე, იძულებით შრომაზე თუ სამსახურზე, მონობაზე და მონობის მსგავს პრაქტიკაზე, მომსახურებასა და ორგანოების ამოცლაზე მოთხოვნის შესუსტების მიზნით. კონვენცია იძლევა განმარტებებს იმ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო, სოციალურ, კულტურულ ან სხვა ზომებზე, რომლებიც უნდა გატარდეს ან გაძლიერდეს მოთხოვნის შესუსტების მიზნით, რასაც შედეგად მოსდევს ტრეფიკინგი:

- 1) კვლევა კლიენტების მოთხოვნის შესასუსტებელი ეფექტური პრაქტიკის, მეთოდების და სტრატეგიების სფეროში;
- 2) მედია და სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობის როლისა და პასუხისმგებლობის თაობაზე საზოგადოების ცოდნისა და აღიარების მაქსიმალური გაზრდა, საინფორმაციო კამპანიების ჩატარება შესაბამისი ჯგუფებისათვის და ამ პროცესში, შესაბამის შემთხვევებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართვა.
- 3) და ბოლოს, მოთხოვნის შესუსტებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგანმანათლებლო ღონისძიებებს. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამებს სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის.

კონვენციის შესაბამისად სახელმწიფოებმა ტრეფიკინგის პრევენციისთვის უნდა გაატარონ სხვა ზომებიც: სასაზღვრო კონტროლის ისეთი ზომების გაძლიერება, რომლებიც აუცილებელია ადამიანით ვაჭრობის პრევენციისა და გამოაშკარავების მიზნით, ქვეყნის მიერ ან მისი სახელით გაცემული სამგზავრო დოკუმენტაციის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთების უსაფრთხოება და კონტროლი, გონივრულ ვადაში იმ სამგზავრო დოკუმენტაციის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთების კანონიერების და ნამდვილობის შემოწმება, რომლებიც ქვეყნის მიერ არის გაცემული ან ივარაუდება რომ გაცემულ იქნა მისი სახელით და რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი, რომ ისინი გამოიყენება ადამიანით ვაჭრობის მიზნით.

<sup>57</sup> Schloenhardt Andreas, Astill-Torchia Paris, Jolly Jarrod M. (2012) *Be Careful What You Pay For: Awareness Raising On Trafficking In Persons*, Washington University Global Studies Law Review, Vol. 11, Issue 2, გვ.417-418.



ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ<sup>58</sup>. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და სხვა ხელმომწერები ითვალისწინებენ, რომ თითოეულ ბავშვს თავისი ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან გააჩნია დაცვის ისეთი ზომებით სარგებლობის უფლება, რომელსაც ითვალისწინებს მისი, როგორც არასრულწლოვანის სტატუსი; თვლიან რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, კერძოდ ბავშვთა პორნოგრაფია და პროსტიტუცია, და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა, საზღვარგარეთ ჩადენილი აქტების ჩათვლით, დამლუპველად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე; თვლიან რომ ბავშვთა სექსუალურმა ექსპლუატაციამ და ბავშვთა მიმართ სექსუალურმა ძალადობამ შემაწვოთებელი მასშტაბები შეიძინა როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, როგორც ბავშვთა ისე დანაშაულის ჩამდენთა მხრიდან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გაძლიერებული სარგებლობის გამო, და რომ ასეთი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას.

კონვენციის მიზნებია:

- ა) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ბ) სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვა;
- გ) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მხარეთა მიერ მისი დებულებების ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით, კონვენცია ითვალისწინებს მონიტორინგის სპეციფიკური მექანიზმის შექმნას<sup>59</sup>.

### 13. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია<sup>60</sup> აყალიბებს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს კონვენციების და რეკომენდაციების სახით და ამით ადგენს ძირითადი შრომითი უფლებების მინიმალურ სტანდარტებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები შეეხება იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის აკრძალვას, მათ შორის ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვასა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრას:

<sup>58</sup> ლანსაროტი, 2007 წლის 25 ოქტომბერი.

<sup>59</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება №2145-III (მიღების თარიღი 19/03/2014).

<sup>60</sup> International Labour Organization – ILO.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია №105 - კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ**<sup>61</sup>. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, რომელიც ჟენევაში მოიწვია შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციულმა საბჭომ და 1957 წლის 5 ივნისს შეიკრიბა თავის მეორმოცე სესიაზე, რომელმაც განიხილა საკითხი იძულებითი შრომის შესახებ, გადაწყვიტა ამ წინადადებებს მისცეს საერთაშორისო კონვენციის ფორმა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ 1957 წლის კონვენცია<sup>62</sup>. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, ვალდებულია კისრულობს გააუქმოს იძულებითი ან სავალდებულო შრომა და არ მიმართოს მის რომელიმე ფორმას, აგრეთვე გაატაროს ეფექტიანი ზომები ამ დანაშაულის დაუყოვნებლივი და სრული გაუქმებისთვის.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია №29 - კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ**<sup>63</sup> - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 1930 წლის 10 ივნისს თავის მე-14 სესიაზე, დაადგინა მიიღოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ რიგი წინადადებები, და მისცა ამ წინადადებებს საერთაშორისო კონვენციის ფორმა<sup>64</sup>. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელიც მოახდენს კონვენციის რატიფიკაციას, ვალდებულია რაც შეიძლება მოკლე დროში გააუქმოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის გამოყენება. კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ ნიშნავს ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც რაიმე სასჯელის მუქარით მოეთხოვება პირს, და რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია №182 - კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ**<sup>65</sup> - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა 1999 წლის 1 ივნისს ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 87-ე სესიაზე, ჩათვალა საჭიროდ მიღებულ იქნას ახალი აქტები ბავშვთა შრომის აკრძალვისა და უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისათვის, როგორც ეროვნული და საერთაშორისო მოქმედებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და დახმარების ჩათვლით, რომლებიც ბავშვთა შრომის ფუძემდებელი

<sup>61</sup> [http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO::P12100\\_ILO\\_CODE:C105](http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C105)

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06/10/2017)

<sup>62</sup> საქართველომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1996 წელს, *საქართველოს პარლამენტის დადგენილება 234 –II ს.* (16/05/1996).

<sup>63</sup> [http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO::P12100\\_ILO\\_CODE:C029](http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C029)

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>64</sup> საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით.

<sup>65</sup> [http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100\\_ILO\\_CODE:C182](http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C182)

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

აქტების – მინიმალური ასაკის შესახებ 1973 წლის კონვენციისა და რეკომენდაციის დანამატს წარმოადგენენ<sup>66</sup>.

ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც კონვენციის რატიფიცირებას ახდენს, დაუყოვნებლივ მიიღებს ეფექტურ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრის სასწრაფო წესით. კონვენციის მიზნებისთვის ტერმინი ბავშვი გამოიყენება 18 წლამდე ასაკის ყველა პირის მიმართ. კონვენციის მიზნებისთვის ტერმინი „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები“ შეიცავს:

ა) მონობის ან მონობის მსგავსი პრაქტიკის ყველა ფორმას, როგორცაა, მაგალითად, ბავშვების გაყიდვა და ბავშვებით ვაჭრობა, სავალო კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება, და აგრეთვე იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო დაქირავება შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი გამოყენების მიზნით;

ბ) ბავშვის გამოყენებას, შეთავაზებას ან დაქირავებას პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისთვის ან პორნოგრაფიული წარმოდგენისთვის;

გ) ბავშვის გამოყენებას, დაქირავებას ან შეთავაზებას სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის, კერძოდ, ნარკოტიკების წარმოებისა და გაყიდვისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში;

დ) სამუშაოს, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობებით, რომელშიც ის სრულდება, შეიძლება ზიანი მოუტანოს ბავშვების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას.

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს კონვენციის მოქმედებისთვის საჭირო დებულებების შესრულებისა და აღსრულებისთვის ყველა აუცილებელი ზომა, საჯარო სანქციებს ან შესაბამისი სხვა სანქციების, პირობის და მოთხოვნის ჩათვლით.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია №189 - ღირსეული შრომა შინამეურნეობაში მომუშავე პირებისთვის<sup>67</sup>**, მიღებული 2011 წლის 16 ივნისს, შრომის საერთაშორისო კონფერენციის მიერ. კონვენცია სთავაზობს კონკრეტულ დაცვის ღონისძიებებს საოჯახო საქმეებში ან მეურნეობებში დასაქმებული პირებს. იგი აყალიბებს ძირითად უფლებებსა და პრინციპებს და მოითხოვს, ქვეყანამ გაატაროს მიიღოს რიგი ღონისძიებები, რათა შინამეურნეობებში დასაქმებული პირებს შეექმნათ ღირსეული სამუშაო პირობები. კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 24 ქვეყანამ, აქედან 22 ქვეყანაში კონვენცია ძალაშია, დანარჩენ 2 ქვეყანაში კონვენცია ძალაში 2018 წელს შევა.

<sup>66</sup> საქართველომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით 1473-რს, 2002 წლის 18 მაისი.

<sup>67</sup> [http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100\\_ILO\\_CODE:C189](http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C189) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017)

#### 14. სხვა საერთაშორისო დოკუმენტები

საერთაშორისო ორგანიზაციები და გაერთიანებები აგრეთვე იღებენ სხვადასხვა დოკუმენტებს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის. ეს შეიძლება იყოს კონვენციები ან დირექტივები, თანამშრომლობის შეთანხმებები და ხელშეკრულები, სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები და პროგრამები ან რეკომენდაციები ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობის შექმნასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩატარების სფეროებში. ტრეფიკინგთან ბრძოლის დოკუმენტები ხშირად ე.წ. „სამი პ-ს პრინციპის“<sup>68</sup> მიხედვით არის შედგენილი<sup>69</sup>.

- J ევროკავშირის დირექტივა 2011/36/EU ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილებისა და ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვის მიზნით (2011 წ.)<sup>70</sup>,
- J ევროკავშირის სტრატეგია 2012-2016 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღმოფხვრის შესახებ<sup>71</sup>,
- J ეუთოს ადამიანით ვაჭრობის აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა<sup>72</sup> (2003წ.)<sup>73</sup> და ადამიანით ვაჭრობის აღმოფხვრის სამოქმედო პლატფორმა (2007წ.),
- J გაეროს ადამიანით ვაჭრობისათან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის გლობალური გეგმა (2010 წ.),
- J ინტერ-ამერიკული კონვენცია არასრულწლოვანთა საერთაშორისო გადაადგილების შესახებ (1994 წ.),
- J აფრიკის გაერთიანების<sup>74</sup> ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა (2006წ.);

<sup>68</sup>სამი-პ-ს პრინციპი მოდის ინგლისური სიტყვების პირველი ასოებიდან „Prevention, Protection, Prosecution“ (პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და სისხლისსამართლებრივი დევნა). ზოგიერთი დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში (მაგალითად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგის ანგარიში) სწორედ ამ პირინციპით არის შედგენილი. ზოგიერთ დოკუმენტში დამატებულია მეოთხე „პ“ – Partnership (თანამშრომლობა), რადგან ტრეფიკინგთან ბრძოლის დარგში მნიშვნელოვანია მთავრობის თანამშრომლობა ადგილობრივ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოს მთავრობებთან. საინტერესოა, რომ ექსპერტები მსხვერპლთა დაცვის მიდგომებში სამი „რ“-ს პრინციპს ახსენებენ – გადარჩენა, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია (Rescue, Rehabilitation and Reintegration).

<sup>69</sup>Chuang Janie (2006) *Beyond a Snapshot: Preventing Human Trafficking in the Global Economy*, American University, Washington College of Law, Indiana Journal of Global Legal Studies, Volume 13, Issue 1, გვ. 151, <http://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1323&context=ijgls> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06/10/2017).

<sup>70</sup><http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:101:0001:0011:EN:PDF> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>71</sup>[https://ec.europa.eu/anti-trafficking/sites/antitrafficking/files/eu\\_strategy\\_towards\\_the\\_eradication\\_of\\_trafficking\\_in\\_human\\_being\\_2012-2016\\_1.pdf](https://ec.europa.eu/anti-trafficking/sites/antitrafficking/files/eu_strategy_towards_the_eradication_of_trafficking_in_human_being_2012-2016_1.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>72</sup><http://www.osce.org/actionplan> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>73</sup> 2003 წელს ეუთომ დააფუძნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის ოფისი და შექმნა კოორდინატორის თანამდებობა, რათა დახმარებოდა მონაწილე ქვეყნებს ტრეფიკინგთან ბრძოლის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

<sup>74</sup>African Union ქვეყნები: ალჟირი, ანგოლა, ბენინი, ბოტსვანა, ბურკინა ფასო, ბურუნდი, კაბო-ვერდე, კამერუნი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, კომორის კუნძულები, კონგო, კოტ-დ'ივუარი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჯიბუტი, ეგვიპტე, ეკვატორული გვინეა, ერიტრეა, ეთიოპია, გაბონი, გამბია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ,

- J) სამხრეთ-აღმოსავლეთის ასოციაციის<sup>75</sup> კონვენცია ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის წინააღმდეგ (2015 წ.) და დეკლარაცია ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის წინააღმდეგ (2004 წ.),
- J) სამხრეთ აზიის რეგიონალური თანამშრომლობის ასოციაციის<sup>76</sup> კონვენცია ქალებისა და ბავშვების პროსტიტუციის მიზნით ტრეფიკინგის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ (ძალაშია 2005 წლიდან).
- J) დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის<sup>77</sup> თანამშრომლობის ხელშეკრულება თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის ადამიანით, ადამიანის ორგანოებითა და ქსოვილით ვაჭრობის შესახებ (2005წ.) და წევრ ქვეყანათა ტრეფიკინგის აღმოფხვრის პროგრამა (2011-2013)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC) 2009 წელს შეიმუშავა<sup>78</sup> ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონი<sup>79</sup> გაეროს

კენია, ლესოთო, ლიბერია, ლიბია, მადაგასკარი, მალავი, მალი, მავრიტანია, მავრიკი, მოზამბიკი, ნამიბია, ნიგერი, ნიგერია, რუანდა, საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკა, სან-ტომე და პრინსიპი, სენეგალი, სეიშელის კუნძულები, სიერა-ლეონე, სომალი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სამხრეთ სუდანი, სუდანი, სვაზილენდი, ტოგო, ტუნისი, უგანდა, ტანზანია, ზამბია, ზიმბაბვე (09/10/2017 მდგომარეობით).

<sup>75</sup> Association of Southeast Nations-ASEAN (ASEAN) წევრი ქვეყნები: ბრუნეი, კამბოჯა, ინდონეზია, ლაოსი, მალაიზია, მიანმარი, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი და ვიეტნამი. 1 დამკვირვებელი - პაპუა-ახალი გვინეა (09/10/2017 მდგომარეობით).

<sup>76</sup> South Asian Association for Regional Cooperation (SAARC) ქვეყნები: ავღანეთი, ბანგლადეში, ბუტანი, ინდოეთი, მალდივი, ნეპალი, პაკისტანი, შრი-ლანკა (09/10/2017 მდგომარეობით).

<sup>77</sup> Commonwealth of Independent States (CIS) ქვეყნები: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, მოლდოვა, ასოცირებული წევრი თურქმენეთი (09/10/2017 მდგომარეობით).

<sup>78</sup> Model Law against Trafficking in Persons (2009) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) [http://www.unodc.org/documents/human-trafficking/Model\\_Law\\_against\\_TIP.pdf](http://www.unodc.org/documents/human-trafficking/Model_Law_against_TIP.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>79</sup> 2014 წელს საქართველოში საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტური განხორციელების, პროაქტიული გამოძიებების წარმოების, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ წარმატებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებების დაცვის მიზნით გამოძიებულებისა და პროკურორებისათვის შემუშავდა სახელმძღვანელო პრინციპები. პრინციპების შემუშავებაში გამოყენებულ იქნა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონი; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარები. სახელმძღვანელო პრინციპებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივ ასპექტებს - ტრეფიკინგის ნორმის შემადგენლობის განმარტებას, ქმედებების, საშუალებებისა და მიზნის დეფინიციას. 2017 წლის დეკემბერში საუწყებთაშორისო საბჭოს მიერ დამტკიცდა სახელმძღვანელო პრინციპების ახალი რედაქცია განახლებული ინფორმაციითა და მეთოდებით. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.1-2, [http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsaertashoriso-dep%2FGuideline\\_outline.pdf](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsaertashoriso-dep%2FGuideline_outline.pdf)

გენერალური ასამბლეის მოთხოვნით რათა წევრ ქვეყნებს გაადვილებოდათ გაეროს კონვენციის და ოქმის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულება. მოდელური კანონი ეხმარება ქვეყნებს შეიმუშაონ ან განაახლონ შესაბამისი კანონმდებლობა მათი ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციების და სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე. მოდელური კანონი შეიცავს ყველა იმ ცნებას, რომლებიც ქვეყნებმა უნდა შეიტანონ, ან რეკომენდირებულია რომ შეიტანონ, შიდა კანონმდებლობაში, რათა შეასრულონ ოქმით დაკისრებული ვალდებულებები. რომელი რეგულაციების შეტანა არის სავალდებულო და რომელი რეგულაციები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, აღნიშნულია კანონის კომენტარებში. თუმცა სავალდებულოა რეგულაციები, რომლებიც შეეხება ძირითად დებულებებს და ცნებებს, რომლებიც შეიძლება არ იყოს სავალდებულო ოქმის შესაბამისად, მაგრამ წარმოადგენს ამ კანონის ხელშეუვალ დებულებებს. მოყვანილია დებულებების რამდენიმე ვერსია, რომ შეესაბამებოდეს კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ კულტურას.

დამატებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ქვეყნის კონსტიტუციურ პრინციპებს, სამართლებრივი სისტემის საბაზისო სისტემას, არსებულ სამართლებრივ სტრუქტურას და აღსრულების ზომებს, და ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობაში არსებული ცნებები გამოყენებული იყოს ქვეყნის სხვა კანონებშიც. მოდელური კანონი არ უნდა იყოს პირდაპირ შეტანილი ქვეყნის კანონმდებლობაში, ქვეყნის მთლიანი სამართლებრივი ბაზის მნიშვნელოვანი განხილვის გარეშე.

მოდელური კანონი შემდეგი თავებისგან შედგება:

- )] თავი I. ზოგადი დებულებები
- )] თავი II. განმარტებები
- )] თავი III. იურისდიქცია
- )] თავი IV. სისხლის სამართლის დებულებები: ბაზისური სისხლის სამართლის დანაშაული, როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის საფუძველი
- )] თავი V. სისხლის სამართლის დებულებები: ტრეფიკინგისთვის დამახასიათებელი დებულებები
- )] თავი VI. სისხლის სამართლის დებულებები: დამტებითი დანაშაულები და დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია ტრეფიკინგთან
- )] თავი VII. დაზარალებულის და მოწმის დაცვა, დახმარება და კომპენსაცია
- )] თავი VIII. იმიგრაცია და დაბრუნება
- )] თავი IX. პრევენცია, ტრენინგები და თანამშრომლობა
- )] თავი X. მარეგულირებელი ძალაუფლება

---

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017), ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებოთაშორისო საბჭოს სხდომა 19/12/2017  
<http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7590> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25/12/2017).

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) აგრეთვე აქვს შემუშავებული ტრეფიკინგთან ბრძოლის ინსტრუმენტთა ნაკრები<sup>80</sup>, სადაც ჩამოთვლილია რა ტიპის ცნობიერების ამაღლების კამპანიები უნდა ჩაატაროს ქვეყანამ:

- 1) საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულის ნამდვილ ბუნებასა და შედეგებზე;
- 2) კარგია, როდესაც კამპანიებს ზურგს უმაგრებს მნიშვნელოვანი კვლევები ჩატარებული სანდო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ;
- 3) კამპანიამ უნდა მობილიზაცია გაუკეთოს საზოგადოების დამოკიდებულებას არ ჩავარდნენ კრიმინალების ხელში;
- 4) უნდა იყოს ხაზგასმული ტრეფიკინგის სოციალური და ადამიანური შედეგები;
- 5) პოტენციურ მსხვერპლებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ტრეფიკინგის რისკების შესახებ, რა საშუალებები არსებობს ღვეაღური მიგრაციისა და დასაქმებისთვის, როგორ უნდა შეფასდეს შეთავაზებული სამუშაო რისკები, რათა პირი არ აღმოჩნდეს ჩათრეული ტრეფიკინგის დანაშაულში;
- 6) საინფორმაციო კამპანიები აგრეთვე უნდა შეეხონ ჯანმრთელობის რისკებს, როგორცაა არასასურველი ფეხმძიმობა და სექსუალურად გადამდები დაავადებები, შიდსის ჩათვლით;
- 7) კამპანიებით ადამიანებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია როგორ უნდა მოახდინონ თვითდენტიფიცირება, რომ ისინი არიან ტრეფიკინგის მსხვერპლები და უნდა მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს;
- 8) მნიშვნელობა უნდა მიექცეს რომ საინფორმაციო კამპანია ჩატარდეს პოტენციური მსხვერპლებისთვის გასაგებად, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ენაზე და ადაპტირებული უნდა იყოს ადვილად გასაგებად;
- 9) საზოგადოებრივი კამპანია შეიძლება შეეხებოდეს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას როგორც უნდა ამოიცნონ ტრეფიკინგის დანაშაული, თუ შეამჩნიეს მსგავსი ფაქტი, და ვის უნდა მიმართონ ამ შემთხვევაში;
- 10) კამპანიებში უნდა იქნეს აღწერილი არსებული ტრეფიკინგთან ბრძოლის პროგრამები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანით მოვაჭრეებისთვის;
- 11) საინფორმაციო კამპანია უნდა იყოს მიმართული მოთხოვნის შემცირებაზე.

იმის გათვალისწინებით რომ არსებობს პოტენციური მესიჯების ნაირსახეობა, ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტულად ვინ არის თითოეული საინფორმაციო კამპანიის ადრესატი, რა არის მიზანი და რა შედეგი გვინდა რომ მივიღოთ. მაგალითად პოტენციურ მსხვერპლებზე მიმართული საინფორმაციო კამპანია შედეგიანი იქნება წარმოშობის ქვეყანაში, მაგრამ საეჭვოა შედეგი მოიტანოს დანიშნულების ქვეყანაში,

<sup>80</sup> *Toolkit to Combat Trafficking in Persons* (2008) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) [http://www.unodc.org/documents/human-trafficking/Toolkit-files/07-89375\\_Ebook%5B1%5D.pdf](http://www.unodc.org/documents/human-trafficking/Toolkit-files/07-89375_Ebook%5B1%5D.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

სადაც უკვე საჭიროა ინფორმაციის მიწოდება როგორ უნდა მოახდინონ თვითიდენტიფიცირება ტრეფიკინგის მსხვერპლებმა და ვის უნდა მიმართონ, აგრეთვე აქ საჭიროა მოთხოვნის შემცირებაზე ორიენტირებული ინფორმაციის გავრცელება.

მაგალითად, ავსტრალიაში არ ჩატარებულა კვლევა თუ რა მასშტაბების ტრეფიკინგი არსებობს ქვეყანაში და საინფორმაციო კამპანიები ძირითადად ავრცელებდნენ ინფორმაციას რომ მსოფლიოში შემოსავლების მიხედვით ტრეფიკინგი არის მესამე სწრაფად მზარდი დანაშაულებრივი ბიზნესი, რომ მსოფლიოში არსებობს 27 მილიონი მონა და 2.5 მილიონი ტრეფიკინგის მსხვერპლი. საერთოდ არ ვრცელდებოდა ინფორმაცია არსებობენ თუ არა ავსტრალიაში ტრეფიკინგის მსხვერპლები და რა ტიპის ტრეფიკინგი არსებობს ქვეყანაში<sup>81</sup>, რამაც შედეგად მოიტანა რომ საზოგადოებამ ვერ გაიგო არსებობდა თუ არა ტრეფიკინგის დანაშაული ავსტრალიაში და თუ არსებობდა, რა მასშტაბით, და რამდენი მსხვერპლი იყო ქვეყანაში. მეორე პრობლემა იყო, რომ ტრეფიკინგის მიმართ არსებობდა მითები: ადამიანებს იტაცებენ სახლებიდან და ისე მიყავთ, მსხვერპლები ჯაჭვებით არიან მიბმულები სამუშაო ადგილს ან გვერდზე შეიარაღებული დაცვა უდგათ, რომ არ გაიქცნენ და ა.შ. საინფორმაციო კამპანიებმა არ დაამსხვრია ეს მითები, რამაც შედეგად მოიტანა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლები ვერ ახერხებდნენ თვითიდენტიფიცირებას, რადგან სამუშაოს დაწყებამდე ძირითადად ისინი გათვითცნობიერებულები იყვნენ რა ტიპის სამუშაოს შეასრულებდნენ და თავისი ნებით იწყებდნენ მუშაობას, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა მათი ექსპლუატაცია. შესაბამისად, ისინი თვლიდნენ, რომ უბრალოდ მძიმე პირობებში მუშაობდნენ და ისინი მოატყუეს, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ რომ ტრეფიკინგის მსხვერპლები იყვნენ<sup>82</sup>. ხშირად ადამიანები ტრეფიკინგზე მხოლოდ პოლიციუდის მიერ გადაღებული ფილმებით მსჯელობენ, სადაც ადამიანით მოვაჭრეები არიან უცხო ენაზე მოლაპარაკე მამაკაცები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მსხვერპლებს კი იტაცებენ ქუჩაში და მიჰყავთ დაბურულ შუშებიანი ფურგონებით. სინამდვილეში კი ადამიანები ძირითადად ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლები ნაცნობი პირის საშუალებით<sup>83</sup>.

მარკ ენსალაკო თავის ნაშრომში „ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა ადგილობრივი მუშაკებისთვის: ერთიანი მიდგომა შრომითი ტრეფიკინგის პრევენციაზე“<sup>84</sup> აღნიშნავს, რომ ტრეფიკინგის პრევენციისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ კულტურულ ღირებულებებს და მიდგომებს. სანამ საზოგადოებაში იქნება მიდგომა რომ შეიძლება ადამიანის იძულება იშრომოს, არ მიიღოს ანაზღაურება, იშრომოს მძიმე პირობებში ან მოხდეს მისი დაშინება და მისი უფლებების დარღვევა,

<sup>81</sup> შრომითი თუ სექსუალური ექსპლუატაცია.

<sup>82</sup> Schloenhardt Andreas, Astill-Torchia Paris, Jolly Jarrod M. (2012) *Be Careful What You Pay For: Awareness Raising On Trafficking In Persons*, Washington University Global Studies Law Review, Vol. 11, Issue 2, გვ.420-423.

<sup>83</sup> Patrick Wendy L. (2017) *Trafficking in Priceless Goods: The Invisible Epidemic of Modern Day Slavery*, Christian Law vol. 13, გვ. 10-11.

<sup>84</sup> Ensalaco Mark (2012) *Ensuring Decent Work for Domestic Workers: An Integral Approach to the Prevention of Labor Trafficking*, Intercultural Human Rights Law Review, Vol. 7, გვ.63-64.



სანამ საზოგადოება ამ საკითხისადმი იქნება გულგრილი, მანამდე იარსებებს ტრეფიკინგის დანაშაული. აქ მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქოლოგის დანახვა, მან იცის საზოგადოების ასეთი მიდგომა და იყენებს ამას, ზოგ შემთხვევაში კი ხელსაც უწყობს ასეთი სტიმას ჩამოყალიბებას. ეს განსაკუთრებულად შეეხება მოწყვლადი ჯგუფების ტრეფიკინგს: ქალები, მიგრანტები, ლტოლვილები და დევნილები. ისინი ისედაც გარიყულნი არიან საზოგადოებისგან და მათი უფლებების დარღვევა არ აღიქმება ისე, როგორც უნდა აღიქმებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამის შემდეგ თვითონ ტრეფიკინგის მსხვერპლებიც ისეთ მდგომარეობაში ხვდებიან, რომ არ აცხადებენ ტრეფიკინგის დანაშაულზე, რადგან მათ მიმართ საზოგადოების მიდგომა არასწორი იქნება. ასეთი მიდგომის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების და განათლების კამპანიებით და საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის სწორი გამოყენებით.

ჯონათან ტოდრესი სტატიაში „ადამიანთ ვაჭრობა და ფილმი: რა გავლენას ახდენს პოპულარული გამოსახულება კანონსა და საზოგადოებრივ აღქმაზე“<sup>85</sup> აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება არის სოციალური პრობლემების მოგვარების განუყოფელი ნაწილი. ამ თვალსაზრისით, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცოდნის ზრდა დადებითი გაუმჯობესებაა. თუმცა, მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება: ახლა, როდესაც უფრო მეტმა ადამიანმა იცის ადამიანთ ვაჭრობის შესახებ, რა იციან მათ სინამდვილეში ამ საკითხზე? და სად გაიგეს ეს ინფორმაცია? აშშ-ს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა ტრეფიკინგთან დაკავშირებული პირადი გამოცდილება. ცოტა ადამიანია ისეთი, ვინც პირადად შეხვდა და ესაუბრა ტრეფიკინგის მსხვერპლებს. მოსახლეობის შედარებით უფრო დიდი ჯგუფი, თუმცა კვლავაც მთლიანი მოსახლეობის მცირე ნაწილი, დაესწრო ადამიანთ ვაჭრობის შესახებ კონფერენციებსა და შეხვედრებს, სადაც მსხვერპლები ყვებიან თავისი გამოცდილების შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილი, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი გზა, რომ ადამიანებმა გაიგონ ადამიანთ ვაჭრობის შესახებ, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრ ადამიანს არ აქვს დრო, რომ შეძლოს ტრეფიკინგის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის წაკითხვა და შესწავლა. საზოგადოების უმრავლესობამ, მათ შორის, იმ ადამიანებმა, ვინც ახლა მუშაობენ ტრეფიკინგის ბრძოლის ინიციატივებზე, შეიტყვეს ტრეფიკინგის შესახებ მედია საშუალებებიდან. პოპულარული მედიის გავლენა ტრეფიკინგის საკითხებზე დიდ ყურადღებასა და ანალიზს საჭიროებს. ის, თუ როგორ შეუქდება ტრეფიკინგი მედია საშუალებებით, გავლენას ახდენს ტრეფიკინგის დანაშაულის ცნების გაგებაზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს პოლიტიკის არჩევაზე თუ როგორ უნდა მოხდეს ბრძოლა ტრეფიკინგის პრობლემასთან. თუ პოპულარული მედია არასწორად წარმოადგენს ამ საკითხს ან უგულვებელყოფს ტრეფიკინგის რომელიმე სახეობას, ამან

<sup>85</sup> Todres Jonathan (2015-2016) *Human Trafficking and Film: How Popular Portrayals Influence Law and Public Perception*, Cornell Law Review Online Vol.101, გვ.2-4.  
<http://cornelllawreview.org/files/2016/02/Todresessayfinal-2.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08/10/2017)

შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული პოტენციური პრობლემები, კერძოდ, პოლიციის ნაკლები აქტიურობა გარკვეულ სფეროებში, მსხვერპლთა იდენტიფიცირების ნაკლებობა, არასაკმარისი რესურსის გამოყოფა პრობლემის მოსაგვარებლად. ადამიანთ ვაჭრობის დანაშაულის შესახებ საზოგადოების განათლება, პოლიტიკოსებისთვის მტკიცებულებაზე/ფაქტებზე დაფუძნებული კვლევის მიწოდება და იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი იმოქმედებენ ამ ინფორმაციის თანახმად, არ არის იოლი ამოცანა. მაგრამ ტრეფიკინგის პრევენცია თავისთავად არ არის იოლი ამოცანა.

ამ თავში მიმოვიხილეთ საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში. ფუძემდებლურ დოკუმენტებად ითვლება „პალერმოს ოქმი“ და ევროპის საბჭოს კონვენცია ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრძოლის შესახებ. ამ დოკუმენტებმა ჩამოყალიბეს ადამიანთ ვაჭრობის დეფინიცია, მისი პრევენციის, მასთან ბრძოლის გზები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები აყალიბებენ იძულებით და სავალდებულო შრომის ყველა ფორმის გაუქმების ნორმებს. დამატებით, საერთაშორისო ორგანიზაციები და გაერთიანებები იღებენ სხვადასხვა დოკუმენტებს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის - კონვენციები ან დირექტივები, თანამშრომლობის შეთანხმებები და ხელშეკრულებები, სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები და პროგრამები ან რეკომენდაციები ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობის დასახვეწად.

შემდეგ თავში მიმოვიხილავთ იმ მექანიზმებს, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ტრეფიკინგის პრევენციის და მასთან ბრძოლის მიზნით - ექსპერტთა ჯგუფი ევროკავშირის კონვენციის შესრულების მონიტორინგისთვის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ქვეყნების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებისთვის, და სხვა.

## 2. თავი მეორე - საერთაშორისო სააგენტოები და მექანიზმები ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშში სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი აღნიშნავს რომ ტრეფიკინგის დანაშაულის შემოსავალი წლიურად 150 მილიარდ დოლარს შეადგენს<sup>86</sup>. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული ხდება მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში<sup>87</sup>. ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია დასახელდეს ზუსტი ციფრი თუ რამდენი ადამიანი გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი, თუმცა თუ ვიმსჯელებთ იდენტიფიცირებული მსხვერპლების რაოდენობით<sup>88</sup> და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების მიახლოებითი შეფასებით<sup>89</sup>, ნათელი ხდება<sup>90</sup>, რომ ხორციელდება ტრეფიკინგის მსხვერპლების მხოლოდ მცირე პროცენტის იდენტიფიცირება<sup>91</sup>. და ეს აგრეთვე იმას ნიშნავს, რომ ამჟამად უფრო მეტი ადამიანია მონა, ვიდრე მსოფლიო ისტორიის ნებისმიერ ხანაში<sup>92</sup>.

ამ თავში მიმოვიხილავთ იმ მექანიზმებს, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბეს ადამიანთ ვაჭრობის დანაშაულის შემცირების, თავიდან აცილებისა და აღკვეთისთვის. მაგალითად ევროპის საბჭოს ეგიდით შექმნილია ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA), რომელიც მონიტორინგს უწევს ხელშემკერედი ქვეყნების მიერ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელებას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად ტრეფიკინგის შესახებ ანგარიშს აქვეყნებს და მასში მსოფლიოს ქვეყნებში ამ კუთხით არსებული ვითარებაა შეფასებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2004 წელს დააფუძნა ტრეფიკინგის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ოფისი, რომელიც ტრეფიკინგის სფეროში სახელმწიფო ვალდებულებების მონიტორინგის ახორციელებს.

<sup>86</sup> <https://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2016/258685.htm> გვ.2 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>87</sup> 2010-2012 წლებში იდენტიფიცირებული იქნა 152 ქვეყნის მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლი მსოფლიოს 124 ქვეყანაში - *Global report on trafficking in persons* (2014) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) <http://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/glotip.html> გვ.5-6, (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>88</sup> 2016 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიშის შესაბამისად 66,520 მსხვერპლი იქნა იდენტიფიცირებული, 2015 წელს 77,823, 2014 წელს - 44,462 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> გვ.34 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>89</sup> 20.9 მილიონი ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით 2002-2011 წწ., რაც იმას ნიშნავს რომ მსოფლიოში ყოველი 1,000 ადამიანიდან 3 არის ან იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გლობალური შეფასება (2012) [http://www.ilo.org/washington/WCMS\\_182004/lang--en/index.htm](http://www.ilo.org/washington/WCMS_182004/lang--en/index.htm) გვ.13.

<sup>90</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2013 წლის ტრეფიკინგის ანგარიშში <https://www.state.gov/documents/organization/210737.pdf> გვ.4 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

<sup>91</sup> Joshi Yasmeen (2016) *Human Trafficking: The Sexual Exploitation of Women and Children*, Queen Mary Law Journal Vol. 7, Issue 1, გვ.30-31.

<sup>92</sup> McNally Terrence (2015) *There Are More Slaves Today Than at Any Time in Human History*, AlterNet, January 12, 2015 <http://www.alternet.org/civil-liberties/there-are-more-slaves-today-any-time-human-history> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

მიუხედავად იმისა, ტრეფიკინგის დანაშაული არ არის ნახსენები ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციაში, დეკლარაციის მე-4 მუხლით აკრძალულია „მონობა და ყველა სახის მონათვაჭრობა“, შესაბამისად საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რადგან ევროპული სასამართლო თავისი გადაწყვეტილების მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა არსს და ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

## 2.1. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA)

ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA<sup>93</sup>) მონიტორინგს უწევს მონაწილეთა მიერ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელებას. GRETA შედგება არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 წევრისაგან, გენდერული და გეოგრაფიული ბალანსის დაცვითა და მრავალდარგობრივი გამოცდილების გათვალისწინებით. ამ წევრებს კომიტეტი ირჩევს 4 წლის ვადით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეების მხრიდან. GRETA-ს 28-ე შეხვედრაზე<sup>94</sup>, აირჩიეს ამჟამინდელი ბიურო, ორი წლის ვადით. ქალბატონი სიობან მულალი არჩეულ იქნა GRETA-ს პრეზიდენტად<sup>95</sup>.

GRETA წელიწადში სამჯერ იკრიბება პლენარულ სესიებზე. GRETA-ს წარმომდგენლები ახორციელებენ ვიზიტებს და ადგენენ და აქვეყნებენ ანგარიშებს, რომლებშიც აფასებენ ხელშემკვრელი ქვეყნების მიერ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად გატარებულ საკანონმდებლო და სხვა ზომებს. გარდა ამისა, GRETA რეგულარულად აქვეყნებს ზოგად ანგარიშებს მისი საქმიანობის შესახებ.

GRETA შეფასებას რამდენიმე რაუნდით ახორციელებს. პირველი შეფასება ტარდება კონვენციის რატიფიკაციიდან ყველაზე ადრე ერთ წელიწადში და ყველაზე გვიან ორ წელიწადში. ყოველი შემდეგი შეფასება ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ. თითოეული შეფასების რაუნდისათვის GRETA ამზადებს კითხვარს მხარეთა მიერ კონვენციის კონკრეტულ დებულებათა განხორციელების შესახებ, რომელსაც აწვდის სახელმწიფოს „საკონტაქტო პირის“ მეშვეობით. კითხვარი საჯაროა. GRETA იღებს ინფორმაციას არა მხოლოდ სახელმწიფოებიდან, არამედ აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივი ოფისებიდან. GRETA აგრეთვე

<sup>93</sup> Council of Europe's Group of Experts on Action against Trafficking in Human Beings (GRETA).

<sup>94</sup> 2017 წლის 27-31 მარტი.

<sup>95</sup> <http://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/greta> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08/10/2017).

ახორციელებს ვიზიტებს ამ ქვეყნებში, რათა დელეგაციამ ადგილზე მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია<sup>96</sup>.

GRETA-მ 2017 წლის 30 მარტს გამოაქვეყნა მე-6 ზოგადი ანგარიში, რომელშიც საზოგადოებას გააცნო 2016 წელს ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებული კონვენციის მანდატით გათვალისწინებული საქმიანობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში<sup>97</sup>. GRETA-ს სამუშაო უფრო ინტენსიური გახდა გასულ წელს ნაწილობრივ იმის გამო, რომ ევროპის კონტინენტზე ლტოლვილთა დაცვის კრიზისის შემდეგ, ტრეფიკინგის დანაშაული გახდა არა მარტო გავრცელებული, არამედ გაძლიერებული ფენომენი. თუმცა ამან თავის მხრივ ისიც გამოიწვია, რომ უფრო მეტმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი კონვენციას, დღეისთვის მათი რიცხვი 47-ს შეადგენს.

2016 წელს შეფასებისა და რეგულარულად გამოქვეყნებული ქვეყნის ანგარიშების გარდა, ექსპერტთა პანელმა წამოიწყო „გადაუდებელი პროცედურები“ იტალიასთან მიმართებით. GRETA-ს პრეზიდენტის ნიკოლას ლე კოზის აზრით, ასეთი პროცედურა შეიძლება იქნას წამოწყებული ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, როდესაც GRETA მიიღებს სანდო ინფორმაციას კონვენციის დარღვევის შესახებ<sup>98</sup>.

## 2.2. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ტრეფიკინგის საკითხებზე

ტრეფიკინგის სფეროში სახელმწიფო ვალდებულებების მონიტორინგის კიდევ ინსტრუმენტი არის გაეროს სპეციალური მომხსენებელი ტრეფიკინგის საკითხებზე<sup>99</sup>, რომლის ოფისიც შეიქმნა გაეროს მიერ 2004 წელს. მომხსენებელი ამზადებს სპეციალურ ანგარიშებს და რეკომენდაციებს, სტუმრობს სხვადასხვა ქვეყნებს, ურთიერთობს მთავრობებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, განიხილავს და ახორციელებს ქმედებებს ინდივიდუალურ საჩივრებზე. უნდა ითქვას, რომ მისი მანდატი ფარავს როგორც არსებულ, ისე პოტენციურ ტრეფიკინგის მსხვერპლებს<sup>100</sup>.

<sup>96</sup> GRETA Rules of procedure for evaluating implementation of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings by the parties (მიღებული 17/06/2009 და ცვლილება შევიდა 21/11/2014, ძალაში შევიდა 01/01/2015) Council of Europe's Group of Experts on Action against Trafficking in Human Beings (GRETA) <https://rm.coe.int/16805a983c> .

<sup>97</sup> [http://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/news/-/asset\\_publisher/fX6ZWufj34JY/content/greta-s-6th-general-report-european-states-must-do-more-to-protect-children-from-human-trafficking-and-exploitation?inheritRedirect=false&redirect=http%3A%2F%2Fwww.coe.int%2Fen%2Fweb%2Fanti-human-trafficking%2Fnews%3Fp\\_p\\_id%3D101\\_INSTANCE\\_fX6ZWufj34JY%26p\\_p\\_lifecycle%3D0%26p\\_p\\_state%3Dnormal%26p\\_p\\_mode%3Dview%26p\\_p\\_col\\_id%3Dcolumn-4%26p\\_p\\_col\\_count%3D1](http://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/news/-/asset_publisher/fX6ZWufj34JY/content/greta-s-6th-general-report-european-states-must-do-more-to-protect-children-from-human-trafficking-and-exploitation?inheritRedirect=false&redirect=http%3A%2F%2Fwww.coe.int%2Fen%2Fweb%2Fanti-human-trafficking%2Fnews%3Fp_p_id%3D101_INSTANCE_fX6ZWufj34JY%26p_p_lifecycle%3D0%26p_p_state%3Dnormal%26p_p_mode%3Dview%26p_p_col_id%3Dcolumn-4%26p_p_col_count%3D1) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08/10/2017).

<sup>98</sup> მეექვსე ზოგადი ანგარიში GRETA-ს საქმიანობაზე.

<sup>99</sup> <http://www.ohchr.org/EN/Issues/Trafficking/Pages/TraffickingIndex.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08/10/2017).

<sup>100</sup> Pati Roza (2011) *States' Positive Obligations with Respect to Human Trafficking: the European Court Of Human Rights Breaks New Ground in Rantsev V. Cyprus And Russia*, The Boston University International Law Journal, Vol. 29, Issue 1, გვ. 124.

### 2.3. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია<sup>101</sup> 1951 წელს დაარსდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში იძულებით ადგილნაცვალი ან უმუშევრად დარჩენილი უამრავი ადამიანისათვის გადაადგილებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით<sup>102</sup>. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მიგრაციის სფეროში მოღვაწე წამყვანი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა და მჭიდროდ თანამშრომლობს სამთავრობო, მთავრობათაშორის და არასამთავრობო პარტნიორებთან.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 146 წევრი და 98 დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნით, 100-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობს<sup>103</sup>. იგი ცდილობს ხელი შეუწყოს ჰუმანურ და კანონიერ მიგრაციას მთავრობებისა და მიგრანტებისათვის რჩევების მიწოდების გზით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ტრეფიკინგის პრევენციის საკითხებზე<sup>104</sup>. IOM საზოგადოების განათლების მიზნით ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით, მოსახლეობას სთხოვს საეჭვო შემთხვევების აღმოჩენის დროს მოახსენონ შესაბამის ორგანიზაციებს და აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას როგორ უნდა დაიცვან თავი ტრეფიკინგის დანაშაულის ხაფანგში მოხვედრისგან.

### 2.4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია<sup>105</sup>

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია<sup>106</sup> დაარსდა 1919 წელს, და იგი გახდა გაეროს პირველი სპეციალიზებული სააგენტო 1946 წელს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აყალიბებს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს კონვენციების და რეკომენდაციების სახით და ამით ადგენს ძირითადი შრომითი უფლებების მინიმალურ სტანდარტებს.

<sup>101</sup> International Organization for Migration (IOM). საქართველოში მისია 1993 წელს გაიხსნა.

<sup>102</sup> <http://iom.ge/1/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

<sup>103</sup> [http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/un\\_agencies?info\\_id=25#.WfdeN2iCzIU](http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/un_agencies?info_id=25#.WfdeN2iCzIU) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

<sup>104</sup> მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში 2000 წლიდან მუშაობს ტრეფიკინგის დაძლევის საკითხებზე. 15-ზე მეტი პროექტი განხორციელდა ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასაცავად, რომელთაც სთავაზობს საკუთარ სახლებში დაბრუნებას და/ან უსაფრთხო და მდგრად რეინტეგრაციას თავიანთ გარემოში. IOM თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მოხარდთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლებში დანერგა გაკვეთილები ტრეფიკინგის პრევენციის საკითხებზე. [http://www.migration.commission.ge/index.php?article\\_id=57](http://www.migration.commission.ge/index.php?article_id=57) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

<sup>105</sup> International Labour Organization (ILO).

<sup>106</sup> [http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/un\\_agencies?info\\_id=27#.WfdiiWiCzIU](http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/un_agencies?info_id=27#.WfdiiWiCzIU) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

ორგანიზაცია ძირითადად ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს დასაქმების პოლიტიკის, შრომის ადმინისტრაციის, შრომის კანონმდებლობის და სამრეწველო ურთიერთობების, სამუშაო პირობების, კოოპერატივების, სოციალური უსაფრთხოების, შრომითი სტატისტიკის და შრომის დაცვის, მიგრაციის, იძულებითი შრომის და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში.

დღევანდელი მონაცემებით, ILO-ს ჰყავს 180 წევრი სახელმწიფო. 1920 წლიდან მისი შტაბ-ოფისი არის ჟენევაში.

ILO-ს განსაკუთრებული მახასიათებელია ტრიპარტიზმი<sup>107</sup> – მისი სამხსრივი სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მოლაპარაკებები მთავრობებს, მშრომელთა ორგანიზაციებსა და დამსაქმებლებს შორის. აღსანიშნავია, რომ ამ სამი ჯგუფის დელეგატებს ერთნაირი უფლებები აქვთ.

ILO-ს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს შრომის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ყოველ წელს, ივნისის თვეში ტარდება. მის შემადგენლობაში შედიან წევრი სახელმწიფოების დელეგატები: მთავრობა (2 წარმომადგენელი), მშრომელთა ორგანიზაცია (1 წარმომადგენელი), დამსაქმებლები (1 წარმომადგენელი).

თემაში უკვე ვახსენეთ ILO-ს კონვენციები: იძულებითი შრომის შესახებ კონვენცია 29 (1930წ.), იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ კონვენცია 105, (1957წ.). ორგანიზაციას შრომის საერთაშორისო ნორმების სხვადასხვა თემატური საკითხებზე აქვს კონვენციები, როგორცაა გაერთიანების თავისუფლება, კოლექტიური მოლაპარაკებები, ბავშვთა შრომა, შესაძლებლობებსა და მოპყრობაში თანასწორობა, შრომის ინსპექტირება, დასაქმების პოლიტიკა და ხელშეწყობა, შრომის ანაზღაურება, მიგრანტი მუშაკები და ა.შ.<sup>108</sup>

## 2.5. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო<sup>109</sup>

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC)<sup>110</sup>, არაღებულური ნარკოტიკების და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ლიდერი და გაერთიანებული ერების წამყვანი ორგანიზაცია სამართლებრივ-ტექნიკური დახმარების მიწოდებაში ტერორიზმის აღსაკვეთად. მისი სათაო ოფისი მდებარეობს ვენაში. მთელს მსოფლიოში მოქმედებს

<sup>107</sup> <http://www.gtuc.ge/?p=7198> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

<sup>108</sup> *თამაშის წესები, მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში*, (გადასინჯული რედაქცია 2009წ.) შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ISBN 978-92-2-822183-1 (ვებ-გამოცემა pdf) [http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_norm/---normes/documents/publication/wcms\\_226313.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---normes/documents/publication/wcms_226313.pdf) გვ.3. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

<sup>109</sup> United Nations Office on Drugs and Crime (UNODC).

<sup>110</sup> [http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/un\\_agencies?info\\_id=78#.WfdwJ2iCzIU](http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/un_agencies?info_id=78#.WfdwJ2iCzIU) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

UNODC-ის 54 ოფისი, რომელიც თავისი საქმიანობით ფარავს 150 ქვეყანას<sup>111</sup>.

UNODC მუშაობს ხუთი თემატური მიმართულებით: ორგანიზებული დანაშაული და ტრეფიკინგი, კორუფცია, სისხლის სამართლის რეფორმა, ჯანმრთელობა და მოსახლეობის ცხოვრების პირობები, ტერორიზმის პრევენცია. მთავრობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაეროს სხვა ქვედანაყოფებთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან პირდაპირი მუშაობით, UNODC მოქმედებს, როგორც კატალიზატორი ქვეყნისა და რეგიონების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

UNODC ქვეყნების მთავრობებს სთავაზობს ექსპერტულ ცოდნას და ფართო სპექტრის ინოვაციურ ტექნოლოგიებს და ტექნიკურ დახმარებას, ზუსტ და საიმედო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კვლევებს, საკანონმდებლო და სასამართლო მხარდაჭერას, და სხვა სახის დახმარებას სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

## 2.6. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია<sup>112</sup>

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ჩამოყალიბდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს საფუძველზე პარიზის 1990 წლის და ვენისა და ჰელსინკის 1992 წლის დეკლარაციების საფუძველზე. ფუნქციონირებს 1995 წლიდან. მისი წევრია 57 სახელმწიფო.

ეუთო-ს მთავარი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სათათბირო, რომელიც თავის სესიაზე ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება. სათათბირო განსაზღვრავს ეუთოს პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს.

2003 წელს ეუთო-მ დააფუძნა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხების სპეციალური წარმომადგენლის და კოორდინატორის ოფისი და პოსტი, რათა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს დასახონ და განახორციელონ ეფექტური პოლიტიკა ამ სფეროში. 2014 წლიდან მადინა ჯარბუსინოვა (ყაზახეთი) იკავებს ამ თანამდებობას<sup>113</sup>.

## 2.7. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში ტრეფიკინგის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ტრეფიკინგის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად აქვეყნებს. მასში მსოფლიოს ქვეყნებში ამ კუთხით არსებული ვითარებაა შეფასებული.

<sup>111</sup> 2011 წელს UNODC-ის პროექტის ოფისი გაიხსნა საქართველოში.

<sup>112</sup> Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).

<sup>113</sup> <http://www.osce.org/combating-human-trafficking> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21/10/2017).



2017 წლის ანგარიშში 187 ქვეყანა და ტერიტორია მოხვდა<sup>114</sup>. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ქვეყნებს გატარებული ღონისძიებების, კანონმდებლობის და პოლიტიკის მიხედვით სამ კატეგორიად ყოფს: პირველ კალათაში შედიან ის სახელმწიფოები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ ტრეფიკინგის მძიმე ფორმების აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს, მეორე და მესამე კალათაში კი ხვდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც ნაწილობრივ აკმაყოფილებენ ან სრულიად ვერ აკმაყოფილებენ მინიმალურ სტანდარტებს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ეს ანგარიში ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტია ქვეყნებში ტრეფიკინგის სიტუაციის გასაცნობად, თუმცა, ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ინფორმაციას აგროვებენ იმ ქვეყანაში მომუშავე აშშ საელჩოს თანამშრომლები და თუ იმ ქვეყნის მთავრობასა და საელჩოს თანამშრომლებს შორის არ არის კარგი ურთიერთობა, ინფორმაციის შეგროვება რთულია, თუმცა ასეთ დროს ინფორმაციას ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან იღებენ<sup>115</sup>.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურ ანგარიშში თითოეულ ქვეყანას აფასებს სამი პარამეტრით – ადამიანით მოვაჭრეთა სისხლისსამართლებრივი დევნა, მსხვერპლთა დაცვა და ტრეფიკინგის დანაშაული პრევენცია. თითოეული ამ სამი ელემენტიდან შეფასებულია „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის – ადამიანით ვაჭრობის აღმოფხვრის მინიმალური სტანდარტების“<sup>116</sup> შესაბამისად. პრევენციის შემთხვევაში ყურადღება ექცევა შემდეგ კომპონენტებს: მიიღო თუ არა მთავრობამ ზომები თავიდან აეცილებინა ტრეფიკინგის მძიმე ფორმები, მაგალითად ჩაატარა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია და საზოგადოებას, განსაკუთრებით პოტენციურ მსხვერპლებს, მიაწოდა ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ, მიიღო ზომები რომ ამ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უცხო ქვეყნებში არიან დიპლომატიურ, მშვიდობის დაცვის ან მსგავს მისიებში, არ უწყობენ ხელს ან ახორციელებენ ტრეფიკინგის დანაშაულს, და თუ მსგავსი ფაქტი მოხდა, ეს მოხელეები იქნებიან სისხლისსამართლებრივად დასჯილნი. აგრეთვე გაატარა თუ არა ქვეყანამ ზომები, რათა აიცილოს იძულებითი შრომის ან ბავშვთა შრომის გამოყენება, დადო თუ არა თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვა ქვეყნებთან და გაუზიარა ინფორმაცია, ხდება თუ არა ქვეყანაში გადამბირებლების სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება და თუ არსებობს ამისთვის სამართლებრივი ბაზა. მეორე კომპონენტი რასაც ექცევა ყურადღება, არის გაატარა თუ არა სახელმწიფომ სერიოზული და მდგრადი ზომები ქვეყანაში, რათა შემცირებულიყო მოთხოვნა კომერციულ სექსუალურ

<sup>114</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიში, გვ.444,

<https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>115</sup> Hepburn Stephanie, Simon Rita J. (2013) *Human Trafficking around the world, Hidden in Plain Sight*, გვ. 5-6, Columbia University Press, 2013, ISBN: 9780231161459.

<sup>116</sup> *Trafficking Victims Protection Act: Minimum Standards for the Elimination of Trafficking in Persons* (2000) <http://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2014/226655.htm>,

<https://www.law.cornell.edu/uscode/text/22/7106> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

მომსახურებაზე და ამ ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობა საერთაშორისო სექს-ტურიზმში.

ამერიკის შეერთებული შტატები დიდ ყურადღებას აქცევს თუ რამდენად მუშაობს ქვეყნის ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის და პრევენციის საკითხებზე. მესამე კალათაში მოხვედრილი ქვეყნების მთავრობები შეიძლება დაექვემდებარონ გარკვეულ შეზღუდვებს მათთვის დახმარების გამოყოფის საკითხში: აშშ-ს პრეზიდენტმა შეიძლება გადაწყვიტოს არ გაუწიოს საგარეო დახმარება ამ ქვეყანას<sup>117</sup>. ამასთანავე, პრეზიდენტს შეუძლია განსაზღვროს, რომ არ გაუწიოს დაფინანსება მესამე კალათაში მყოფი სახელმწიფოს მთავრობის პირებს ან თანამშრომლებს საგანმანათლებლო და კულტურულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. პრეზიდენტს შეუძლია მისცეს მითითება მრავალმხრივი განვითარების ბანკებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის აშშ-ს აღმასრულებელ დირექტორებს, გამოიყენონ თავისი საუკეთესო ძალისხმევა, რათა არ მისცენ სესხი ან სხვა სახის ფინანსური დახმარება მესამე კალათაში მყოფ ქვეყნებს, ჰუმანიტარული, ვაჭრობასთან დაკავშირებული და განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული დახმარების გარდა. გარდა ამისა, პრეზიდენტს შეუძლია მოხსნას ზემოთაღნიშნული შეზღუდვების გამოყენება, თუ მიაჩნია რომ ფინანსური დახმარება გამოყენებული იქნება ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლისათვის ან ემსახურება აშშ-ს ეროვნული ინტერესებს, აგრეთვე თუ ფინანსური შეზღუდვა მძიმე ტვირთად დააწვება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს<sup>118</sup>.

## 2.8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ტრეფიკინგის დანაშაული არ არის ნახსენები ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციაში<sup>119</sup>, რაც არ არის გასაკვირი - კონვენცია იყო ინსპირირებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რომელიც მიღებული იქნა 1948 წელს, სადაც თავისთავადად არ არის ნახსენები ტრეფიკინგი, თუმცა დეკლარაციის მე-4 მუხლით აკრძალულია „მონობა და ყველა სახის მონათვაჭრობა“. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში მე-4 მუხლში აღნიშნულია: „1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. 2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.“

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებები კონვენციის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის<sup>120</sup>, კონვენციის ხელშემკრელი სახელმწიფოები, მათ შორის ეროვნული სასამართლოები, მნიშვნელობას

<sup>117</sup> ეს შეზღუდვა არ შეეხება ჰუმანიტარულ ან სავაჭრო დახმარებებს.

<sup>118</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიში*, გვ.29,

<https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>119</sup> <https://rm.coe.int/168008db54> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>120</sup> *The ECHR in 50 questions* (2014), European Court of Human Rights,

[http://echr.coe.int/Documents/50Questions\\_ENG.pdf](http://echr.coe.int/Documents/50Questions_ENG.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

ანიჭებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელიც არის კონვენციის საზედამხებელო ორგანო და ახდენს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის დებულებათა განმარტებას. ამიტომ, სახელმწიფოები მნიშვნელოვნად მიიხრევიან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების, ასე ვთქვათ პრეცედენტული სამართლის, გამოყენებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მიეკუთვნებიან პრეცედენტული სამართლის (ანგლოსაქსურ) ქვეყნებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისი გადაწყვეტილების მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა არსს, ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს, ავითარებს კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებს და შესაბამისად ხელს უწყოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს დანერგონ მაღალი სტანდარტის სამართალი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში<sup>121</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე არც ისე ფართოა<sup>122</sup>. 2005 წლის საქმე სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>123</sup> იყო პირველი საქმე, რომელიც სასამართლომ განიხილა ტრეფიკინგის დანაშაულთან დაკავშირებით. სასამართლომ მხედველებაში მიიღო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც ზუსტად იმ წელს მიიღო ევროსაბჭომ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ (1930 წ.), მონობის შესახებ 1926 წლის კონვენცია, დამატებითი კონვენცია მონობის, მონებით ვაჭრობის და შესაბამისი დაწესებულებებისა და მსგავსი პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ (1956 წ.) და ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენცია (1989 წ.). სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-4 მუხლის განმარტების შესაბამისად, სილიადინი ექვემდებარებოდა იძულებით შრომას და იმსჯელა იყო მისი მდგომარეობა მონობა თუ ყმობა. სასამართლომ დაასკვნა, რომ მონობის განმარტება შეუსაბამო იყო, რადგან „არ იქნა გამოყენებული მონობის უმთავრეს მახასიათებელი - მასზე კანონიერი საკუთრების უფლება“. სასამართლო შეჩერდა „ყმობის“ განმარტებაზე<sup>124</sup>.

<sup>121</sup> Abdelgawad Elisabeth Lambert, *The execution of judgments of the European Court of Human Rights*, 2<sup>nd</sup> edition, გვ.62-65 (2008) <http://www.echr.coe.int/LibraryDocs/DG2/HRFILES/DG2-EN-HRFILES-19%282008%29.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>122</sup> Rainey Bernadette, Wicks Elizabeth, Ovey Clare (2014) *The European Convention on Human Rights, Sixth Edition*, გვ.198-205, Oxford University Press, Great Clarendon Street, Oxford, OX2 6DP, United Kingdom, ISBN 978-0-19-965508-3.

<sup>123</sup> *Siliadin v. France*, Application no. 73316/01, 26/10/2005 წ. [https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/siliadin-v-france-application-no-7331601\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/siliadin-v-france-application-no-7331601_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>124</sup> 1996 წლის დამატებითი კონვენციაში მონობის, მონათვაჭრობის, მონობის მსგავსი მდგომარეობისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ მუხლში 1(ბ) ყმობა განმარტებულია, როგორც „ბატონყმობა ეს არის მდგომარეობა ან სტატუსი დამკვირვებლისა, რომელიც დადგენილია კანონით, ადათით ან შეთანხმებით. იგი ნიშნავს პიროვნების ბინადრობას და მუშაობას მიწაზე, რომელიც სხვისი კუთვნილებაა, დადგენილი სამუშაოს შესრულებას ანაზღაურების ან მისგარეშე და მდგომარეობას, რომლის შეცვლის უფლებაც მას არ აქვს“ <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/SupplementaryConventionAbolitionOfSlavery.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017). „პალერმოს ოქმში“ და ევროსაბჭოს

ამასთანავე, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლო განიხილავდა, საკითხს, აკისრებდა თუ არა მე-4 მუხლი სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებებს მიეღოთ სისხლის სამართლის კანონები. რომლებიც გახდიდა დასჯადს კონვენციის მე-4 მუხლში მოყვანილი ცნებების დარღვევას. სასამართლომ მიიჩნია, რომ აკისრებდა პოზიტიურ ვალდებულებებს, ისევე როგორც მე-3 მუხლის შემთხვევაში<sup>125</sup>.

საქმეში რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ<sup>126</sup> ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ტრეფიკინგი, როგორც გლობალური მოვლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში. ევროპაში მის ზრდას ხელი შეუწყო ყოფილი კომუნისტური ბლოკის დაშლამ. 2000 წლის „პალერმოს ოქმი“ და 2005 წლის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია აჩვენებს, რომ საერთაშორისო დონეზე ტრეფიკინგის გაგვრცელებას და მისი აღმოფხვრის საჭიროებას<sup>127</sup>. ამ საქმეში სასამართლო გადავიდა სილიადინის საქმეში არსებული სემანტკური მიდგომიდან ტრეფიკინგის არსის უფრო ფართო გაგებაზე, როგორც დანაშაულზე, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას. და იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს ვალდებულებაა განამტკიცოს კონვენცია, როგორც ცოცხალი ინსტრუმენტი, სასამართლომ დაასკვნა, რომ „თავად ტრეფიკინგი, რომელიც განმარტებულია პალერმოს ოქმის მე-3(ა) მუხლში და ტრეფიკინგთან ბრძოლის კონვენციის მე-4(ა) მუხლში, ხვდება ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მეოთხე მუხლის ფარგლებში.“ სასამართლომ ამით შეიტანა ამ კონკრეტული კონვენციებში ჩამოყალიბებული დეფინიციები სასამართლოს სამართალწარმოებაში<sup>128</sup>.

რანცევის საქმეში სასამართლომ ასევე აღნიშნა გამოძიების დროს საერთაშორისო თანამშრომლობის როლი – „ტრეფიკინგისთვის დამახასიათებელია, რომ ის არ არის შემოფარგლული მხოლოდ ქვეყნის შიდა ტერიტორიით, მსხვერპლი ძირითადად სხვა ქვეყნიდან მოჰყავთ. საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მოწმეები ერთზე მეტ ქვეყანაში შეიძლება მოიძებნოს. ამ მიზეზით, ქვეყნის ტერიტორიის შიგნით მომხდარ საქმეებთან დაკავშირებით შიდა გამოძიების ჩატარების ვალდებულებასთან ერთად, წვერი ქვეყნები ასევე ჩართულები იყვნენ მოსაზღვრე ქვეყნებში მომხდარ ტრეფიკინგის დანაშაულებში რათა გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე უფრო ეფექტურად

---

კონვენციაში ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციაში აგრეთვე ნახსენებია ყმობა.

<sup>125</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი), მუხლი 3 წამების აკრძალვა: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>126</sup> *Rantsev v. Cyprus and Russia*, საჩივრის ნომერი - 25965/04, გადაწყვეტილების თარიღი 07/01/2017 §§277-278.

<sup>127</sup> *Factsheet - Trafficking in human beings* (March 2017) European Court of Human Rights [www.echr.coe.int/Documents/FS\\_Trafficking\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/FS_Trafficking_ENG.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>128</sup> Rainey Bernadette, Wicks Elizabeth, Ovey Clare (2014) *The European Convention on Human Rights, Sixth Edition*, გვ.200-2002, Oxford University Press, Great Clarendon Street, Oxford, OX2 6DP, United Kingdom, ISBN 978-0-19-965508-3.

ეთანამშრომლათ დაინტერესებულ ქვეყნებთან და ჩამოყვალიბებინათ ერთიანი საერთაშორისო მიდგომა ტრეფიკინგის წარმოშობის, ტრანზიტისა და დანიშნულების ქვეყნებში.“

ევროპული სასამართლოს მიერ ტრეფიკინგის თემაზე იქნა განხილული შემდეგი საქმეები:

1) 2017 წელს ჩოუდური და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ<sup>129</sup> არის პირველი საქმე, როდესაც ევროპულმა სასამართლომ განიხილა სასოფლო სამეურნეო სექტორში იძულებითი შრომისა და ტრეფიკინგის საქმე<sup>130</sup>. განმცხადებლები – 42 ბანგლადეშელი პირი, რომლებსაც არ ქონდათ საბერძნეთში მუშაობის უფლება, იყვნენ დაქირავებულნი საბერძნეთში 2012-2013 წწ. და გადაყვანილნი მარწყვის ფერმაში მანოლადაში, სადაც მათ თავს ადგათ შეიარაღებული დაცვა და ხდებოდა მათი შრომითი ექსპლუატაცია<sup>131</sup>. განმცხადებლების ინფორმაციით სახელმწიფოს ჰქონდა პოზიტიური ვადლებულება მოეხდინა მათი ტრეფიკინგის მსხვერპლებად გახდომის პრევენცია, გაეტარებინა პრევენციული ზომები და დაესაჯა დამქირავებლები.

ამ საქმეში ორგანიზაცია „ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა“ მოქმედებდა როგორც თანა-დამცველი საბერძნეთის ლტოლვილთა საბჭოსთან ერთად, რომელიც წარმოადგენდა მუშებს სასამართლო პროცესებზე. 2015 წლის დეკემბერში ევროპის სასამართლომ საქმეში ჩართო „საერთაშორისო პროფკავშირების ფედერაცია“, „საერთაშორისო მონობასთან ბრძოლის ორგანიზაცია“, „უსაბუთო მიგრანტების საერთაშორისო დახმარების პლატფორმა“, „ცენტრი AIRE“ და ლუნდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი<sup>132</sup>.

2017 წლის 30 მარტს სასამართლომ დაადგინა კონვენციის მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა<sup>133</sup>, განაცხადა რა, რომ მომჩივანებმა არ მიიღეს საკმარისი ეფექტური დაცვა საბერძნეთის სახელმწიფოსგან. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ შრომითი ექსპლუატაცია არის ტრეფიკინგის ერთ-ერთი ნაწილი.

<sup>129</sup> *Choudury and Others v. Greece*, განაცხადის №21884/15, გადაწყვეტილების თარიღი 30/03/2017 [https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/choudury-and-others-v-greece-0\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/choudury-and-others-v-greece-0_en)

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>130</sup> Yazdani Zubier (2017) *Landmark European victory for exploited migrant workers* Anti-Slavery Society <https://www.antislavery.org/landmark-european-victory-exploited-migrant-workers/>

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>131</sup> საბერძნეთის სასამართლომ უარი თქვა მათი საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რასაც საფუძვლად დაუდო, რომ მათ არ ჰქონდათ შეზღუდული გადაადგილება. ევროპის სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა რა კონტროლის მექანიზმები გამოიყენებოდა მსხვერპლთა დასამორჩილებლად, და დაადგინა, რომ გადაადგილების თავისუფლება არ გამოიციხავს იძულებით შრომას ან ტრეფიკინგს. სხვა სიტყვებით, პირის უმწეო მდგომარეობის გამოყენება შეიძლება იქნეს გამოყენებული ადამიანის მონობაში მოსახვედრად, ისე როგორც ჯაჭვები იჭერდა მას ადრე.

<https://www.antislavery.org/landmark-european-victory-exploited-migrant-workers/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>132</sup> [https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/choudury-and-others-v-greece-0\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/choudury-and-others-v-greece-0_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>133</sup> იძულებითი შრომის აკრძალვა.

სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ საბერძნეთმა არ შეასრულა ვალდებულება მოეხდინა ტრეფიკინგის პრევენცია, დაეცვა მსხვერპლები, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება და დაესაჯა დამნაშავეები.

- J) 2017 წელს ჯ. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ<sup>134</sup> არ დაადგინა მეოთხე და მესამე მუხლის დარღვევა. განმცხადებლის ინფორმაციით ორი ფილიპინელი პირი გადაყვანილი იქნენ გაერთიანებული არაბეთის ემირატებში სამუშაოდ, სადაც მათ წაართვეს პასპორტები და მოხდა მათი ექსპლუატაცია. ისინი ცოტა ხნით იყვნენ გადაყვანილი ავსტრიაში, სადაც გრძელდებოდა მათი ექსპლუატაცია, და სადაც მათ მოახერხეს გაქცევა. ავსტრიის ხელსუფლებამ განაცხადა რომ არ ჰქონდა ამ საქმის გამოძიების იურისდიქცია, რადგან დანაშაული სხვა ქვეყანაში ხდებოდა. განმცხადებელების აზრით, ავსტრიას უნდა გამოეძიებინა საქმე, რადგან მათი ავსტრიაში ცოტა ხნის ყოფნის განმავლობაში მათი ექსპლუატაცია გრძელდებოდა. სასამართლომ არ დაადგინა მესამე და მეოთხე მუხლის დარღვევები და განაცხადა რომ ავსტრიამ გააკეთა ყველაფერი რასაც მისგან მოელოდნენ – მსხვერპლებს დაეხმარა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ მიიღეს ბინდარობის და მუშაობის უფლება ავსტრიაში.
- J) 2016 წელს ლ.ე. საბერძნეთის წინააღმდეგ<sup>135</sup> სასამართლომ დაადგინა მეოთხე მუხლის დარღვევა. განმცხადებელი – ნიგერიელი წარმოშობის პირი, რომელიც იძულებით იყო ჩართული პროსტიტუციაში, ოფიციალურად იქნა ცნობილი ტრეფიკინგის მსხვერპლად და მოუწია 9 თვეზე მეტის მოცდა, სანამ სასამართლო სისტემა მიანიჭებდა მას სტატუსს. სასამართლომ დაადგინა მეოთხე მუხლის დარღვევა, რადგან გამოძიების და სტატუსის მინიჭების პროცესში ბევრი შეფერხებები იყო. აგრეთვე დაადგინა მე-6 მუხლის პირველი ნაწილის და მე-13 მუხლის დარღვევა.
- J) 2013 წელს ფ.ა. ბრიტანეთის წინააღმდეგ<sup>136</sup> სადაც არ დადგინდა კონვენციის მესამე და მეოთხე მუხლების დარღვევები. განმცხადებლის ინფორმაციით ის ჩაიყვანეს განადან გაერთიანებულ სამეფოში და იძულებით ჩართეს პროსტიტუციაში. თუ მოხდებოდა მისი განაში დაბრუნება, ის მოხვდებოდა მისი ძველი ან ახალი ადამიანით მოვაჭრეების ხელში. ამასთან, ექსპლუატაციის შედეგად იგი დაავადა შიდსით და არსებობდა პოზიტიური ვალდებულება მიეცათ მისთვის გაერთიანებულ

<sup>134</sup> J. and Other v. Austria, 58216/12, გადაწყვეტილების თარიღი 07/01/2010 [https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/j-and-others-v-austria-no-5821612\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/j-and-others-v-austria-no-5821612_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>135</sup> L.E. v. Greece, 71545/12, გადაწყვეტილების თარიღი 17/01/2017 [https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/le-v-greece\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/le-v-greece_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>136</sup> F.A. v. the United Kingdom, №20658/11, დასაშვებობის გადაწყვეტილების თარიღი 10/09/2013 [https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/fa-v-united-kingdom-no-2065811\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/fa-v-united-kingdom-no-2065811_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

სამეფოში დარჩენის უფლება, რათა საჭირო სამედიცინო მკურნალობა ხელმისაწვდომი ყოფილიყო. სასამართლომ დაადგინა რომ განმცხადებელმა არ ამოწურა გასაჩივრების ყველა საშუალება ადგილობრივ დონეზე, სანამ მიმართავდა ევროპულ სასამართლოს.

- J) 2012 წელს მ. და სხვები იტალიის და ბულგარეთის წინააღმდეგ<sup>137</sup>, სადაც არ დადგინდა მეოთხე მუხლის დარღვევა, მაგრამ დადგინდა იტალიის მიერ მე-3 მუხლის დარღვევა პროცედურულ ნაწილში. განმცხადებელი, წარმოშობით ბოშა, ეროვნებით ბულგარელი, აცხადებდა რომ იტალიაში ჩასვლის შემდეგ მას წაართვეს ქალიშვილი იარაღის მუქარის ქვეშ, წაიყვანეს ბოშათა სოფელში, მას აიძულებდნენ მუშაობას და მოპარვას და მასზე ხორციელდებოდა სექსუალური ძალადობა. სასამართლომ არ დაადგინა მეოთხე მუხლის დარღვევა და ვერ აღმოაჩინა ტრეფიკინგის ნიშნები, თუმცა იტალიის მთავრობამ შესაბამისად ვერ გამოიძია არასრულწლოვნის ცემის და გაუპატიურების ფაქტები და ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა პროცედურულ ნაწილში.
- J) 2011 წელს ვ.ფ. საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>138</sup> დაუშვებლად ცნო – განმცხადებელის ინფორმაციით უნდა მომხდარიყო მისი დეპორტაცია ნიგერიაში, წარმოშობის ქვეყანაში, სადაც იგი იქნებოდა ჩათრეული პროსტიტუციაში, საიდანაც თავი დააღწია, კრიმინალები მის წინააღმდეგ რეპრესიებს გამოიყენებდნენ და ნიგერიის მთავრობა ვერ მოახერხებდა მის დაცვას. მომჩივანი აყენებდა პოტენციური ტრეფიკინგის მსხვერპლების დეპორტაციის დაუშვებლობას საფრანგეთის მთავრობის მიერ. სასამართლომ დაუშვებლად სცნო საჩივარი, რადგან მომჩივანმა ვერ დაასაბუთა, რომ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებმა დეპორტაციის გადაწყვეტილების მიღებისას იცოდნენ, რომ მომჩივანი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო. ამასთან, ნიგერიის მთავრობა ატარებს ღონისძიებებს ტრეფიკინგის დანაშაულის აღსაკვეთად და მომჩივანი მიიღებს დახმარებას, როცა დაბრუნდება სამშობლოში.
- J) 2010 წელს სასამართლომ განიხილა რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ<sup>139</sup> - მომჩივანის ქალიშვილი ქალბატონი რანცევა, ეროვნებით რუსი, 2011 წლის მარტში გაურკვეველ ვითარებაში, კერძო ბინის ფანჯრიდან გადმოვარდნის შედეგად დაიღუპა. სასამართლომ დაადგინა კვიპროსის მიერ კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა - დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა ორი ნაწილში: პირველ რიგში, მათ ვერ

<sup>137</sup> M. and Others v. Italy and Bulgaria, 40020/03, გადაწყვეტილების თარიღი 31/07/2012 [https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/m-and-others-v-italy-and-bulgaria\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/m-and-others-v-italy-and-bulgaria_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>138</sup> V.F. v. France, საჩივრის ნომერი - 7196/10, დასაშვებობის გადაწყვეტილების თარიღი 29/11/2011 [http://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/vf-v-france\\_en](http://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/vf-v-france_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>139</sup> Rantsev v. Cyprus and Russia [https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/rantsev-v-cyprus-and-russia-application-no-2596504\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/rantsev-v-cyprus-and-russia-application-no-2596504_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

უზრუნველყვეს ტრეფიკინგთან ბრძოლა შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული კუთხით და მეორე, პოლიციამ ვერ განახორციელა შესაბამისი ოპერატიული ღონისძიებები ქალბატონი რანცევას ტრეფიკინგისგან დასაცავად და მე-2 მუხლის დარღვევა - სახელმწიფოს ჰქონდა პოზიტიური ვალდებულება დაეცვა ქალბატონი რანცევა, რადგან არსებობდა საკმარისი ინდიკატორები პოლიციისთვის, რომ მათ გასჩენოდათ დასაბუთებული ეჭვი ამ ქალბატონის ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის რეალური და მყისიერი რისკის ქვეშ ყოფნისა. პოლიციამ არ შეასრულა მისი დაცვის კანონით დადგენილი ვალდებულება, და დადგინდა რუსეთის მიერ მე-4 მუხლის დარღვევა - რუსეთი ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო, რომ ჩაეტარებინა ქალბატონი რანცევას დასაქმების ეფექტური გამოძიება, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა. თუმცა არანაირი გამოძიება არ ჩატარებულა, რაც შეიძლება ჩაითვალოს წარუმატებლობად, რომელმაც ქალბატონი რანცევას სიკვდილსა და მის რუსეთიდან გამგზავრების გასაიდუმლოებულ გარემოებებს უკავშირდება<sup>140</sup>. აგრეთვე დადგინდა კვიპროსის მიერ მე-5 მუხლის დარღვევა - კვიპროსს დაეკისრა პასუხისმგებლობა ქალბატონი რანცევას ბინაში თავისუფლების აღკვეთის ფაქტის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისუფლება აღუკვეთა კერძო პირმა, რადგან ნათელი იყო, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა პოლიციის მხრიდან აქტიური თანამშრომლობის გარეშე. მისი ბინაში დაკავება იყო როგორც თვითნებური, ასევე უკანონო<sup>141</sup>.

ქ) 2009 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ დაუშვებლად ცნო ტასი ბელგიის წინააღმდეგ<sup>142</sup> – განმცხადებელი ითხოვდა ქონების დაბრუნებას, რომელიც იქნა ჩამორთმეული ტრეფიკინგის და ექსპლუატაციის საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის უფლება მისი საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობაზე არ იყო არაპროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ანუ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და უცხოელთა საეჭვო ვითარებაში ექსპლუატაციის საერთო ინტერესის მისაღწევად.

ქ) 2007 წელს კაია გერმანიის წინააღმდეგ<sup>143</sup> დაუშვებლად ცნო – მოსარჩელე თურქი ეროვნების გერმანიის მოქალაქე, რომელიც 1999 წელს მოხვდა ციხეში სხვადასხვა დანაშაულებისთვის, მათ შორის ტრეფიკინგისთვის, 2011 გაძევებული იქნა თურქეთში,

<sup>140</sup> Pati Roza (2011) *States' Positive Obligations with Respect to Human Trafficking: the European Court Of Human Rights Breaks New Ground in Rantsev V. Cyprus And Russia*, The Boston University International Law Journal, Vol. 29, Issue 1, გვ. 96-99.

<sup>141</sup> <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-23-07-04-54/354-2014-07-01-11-23-30> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>142</sup> *Tas v. Belgium*, №44614/06, დასაშვებობის გადაწყვეტილების თარიღი 12/02/2009 [https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/tas-v-belgium\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/tas-v-belgium_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>143</sup> *Kaya v. Germany*, №31753/02, დასაშვებობის გადაწყვეტილების თარიღი 28/06/2007 [https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/kaya-v-germany\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/case-law/kaya-v-germany_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).



რადგან იგი ჯერ კიდევ წარმოადგენდა საზოგადოებისთვის სეროზულ რისკს, მაშინ როდესაც მოხდელი ქონდა სასჯელის 2/3. იგი ამტკიცებდა, რომ დეპორტაციამ დაარღვია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. სასამართლომ არ დაადგინა მერვე მუხლის დარღვევა, მიიღო რა მხედველობაში, რამდენად სერიოზული დანაშაული ჰქონდა მას ჩადენილი გერმანიაში.

2005 წელს სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>144</sup> - მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის სამართლებრივი ნორმები მას საკმარისად ვერ იცავდა ყმობისგან ან იძულებითი შრომისგან. 1994 წელს 15 წლის სივალაკოვას სილიადინი ტოვოდან ჩამოვიდა საფრანგეთში და მამამისმა მოახერხა, რომ სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, მას ოჯახში ემუშავა და ვიზაც მოგვარებული ჰქონოდა. რეალურად, ეს გოგო გახდა ბ.-ის ოჯახის უფასო დამლაგებელი, მას ჩამოართვეს პასპორტი. სილიადინმა ბოლოს მოახერხა თავის პასპორტის მოპოვება და თავის მდგომარეობა გაანდო მეზობელს, რომელმაც ეს საგანგაშო მდგომარეობა აცნობა „დამონების თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ კომიტეტს“<sup>145</sup>. სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-4 მუხლის განმარტების შესაბამისად, სილიადინი ექვემდებარებოდა იძულებით შრომას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ნელ-ნელა ხსნის და განავრცობს კონვენციის მეოთხე მუხლის არსს და გამოყენებას, გადაწყვეტილებებში აისახება იძულებითი შრომის, მონობის მსგავს სიტუაციაში ჩაყენების და ტრეფიკინგის დანაშაულების საერთაშორისო და ადგილობრივი განვითარების ტენდენციები<sup>146</sup>. სასამართლომ განავრცო მეოთხე მუხლი, ასახა რა, რომ ტრეფიკინგის დეფინიცია აღებულ უნდა იქნას პალერმოს ოქმის მე-3(ა) მუხლში და ტრეფიკინგთან ბრძოლის კონვენციის მე-4(ა) მუხლში არსებული დეფინიციიდან. ევროპულმა სასამართლომ განიხილა შრომითი ტრეფიკინგის საქმე და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტული შეფასებების დახმარებით, განმარტა იძულებითი შრომის ხაფანგში მოხვედრილი ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც არ აღიქმებიან ტრეფიკინგის მსხვერპლებად, რადგან არ აქვთ შეზღუდული გადაადგილება. ევროპული სასამართლო ითხოვს პოზიტიურ ვალდებულებას ქვეყნებისგან მოახდინონ ტრეფიკინგის პრევენცია, დასაჯონ დამნაშავეები და დაიცვან ტრეფიკინგის მსხვერპლები.

წინამდებარე თავში მიმოვიხილეთ მექანიზმები, რომლებიც ჩამოაყალიბეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთისთვის. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA) მონიტორინგს უწევს ხელშემკვრელი ქვეყნების მიერ ადამიანით ვაჭრობის

<sup>144</sup> Siliadin v. France, №73316/01, გადაწყვეტილების თარიღი 26/10/2005 <http://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/siliadin-v-france-application-no-7331601>

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>145</sup> „CCEM, Comite Contre l' Esclavage Moderne“.

<sup>146</sup> Rainey Bernadette, Wicks Elizabeth, Ovey Clare (2014) *The European Convention on Human Rights, Sixth Edition*, გვ. 198, Oxford University Press, Great Clarendon Street, Oxford, OX2 6DP, United Kingdom, ISBN 978-0-19-965508-3.

(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელებას, ახორციელებს ვიზიტებს ხელშემკვრელ ქვეყნებში, აქვეყნებს ანგარიშებს და აძლევს რეკომენდაციებს ქვეყნების მთავრობებს ევროპის საბჭოს კონვენციის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო საჭიროების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად აქვეყნებს ტრეფიკინგის შესახებ ანგარიშს, და მასში მსოფლიოს ქვეყნებში ამ კუთხით არსებული ვითარებაა შეფასებული. მესამე კალათაში მოხვდრილი ქვეყნების მთავრობები შეიძლება დაექვემდებარონ გარკვეულ შეზღუდვებს მათთვის დახმარების გამოყოფის საკითხში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2004 წელს დააფუძნა ტრეფიკინგის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ოფისი, რომელიც ტრეფიკინგის სფეროში სახელმწიფო ვალდებულებების მონიტორინგის ახორციელებს. მიუხედავად იმისა, ტრეფიკინგის დანაშაული არ არის ნახსენები ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციაში, კონვენციის მე-4 მუხლით აკრძალულია „მონობა და ყველა სახის მონათვაჭრობა“, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჰქონდა რამდენიმე საქმე ტრეფიკინგის საკითხებზე. საქმეში „რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ტრეფიკინგი, როგორც გლობალური მოვლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში. 2000 წლის „პალერმოს ოქმი“ და 2005 წლის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია აჩვენებს, რომ საერთაშორისო დონეზე ტრეფიკინგის გავრცელებას, და მისი აღმოფხვრის საჭიროებას. ევროპული სასამართლო, რომელიც არის ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის საზედამხედველო ორგანო და ახდენს კონვენციის დებულებათა განმარტებას, ტრეფიკინგის დანაშაულს განიხილავს ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, დეკლარაციის მე-4 მუხლის დარღვევად. შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის სამართლებრივ თავისებურებებს სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში.

### 3. თავი მესამე - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სამართლებრივი თავისებურებანი ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში

ამ თავში განვიხილავთ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის სამართლებრივ თავისებურებებს, დანახულს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხიდან, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ ტრეფიკინგის დანაშაულს, რის შედეგადაც ადამიანით ვაჭრობა არის სწრაფად მზარდი დანაშაული და დამნაშავეებისთვის შემოსავლის უმსხვილესი წყარო. თავში აგრეთვე მოკლედ შევეხებით ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებსაც, რომლებიც ირღვევა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის ყველა სტადიაზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ადამიანით ვაჭრობა და ადამიანის ექსპლუატაცია არის ადამიანის უფლებების დარღვევა. ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მე-4 მუხლით აკრძალულია „მონობა და ყველა სახის მონათვაჭრობა“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჰქონდა რამდენიმე საქმე ტრეფიკინგის საკითხებზე – როგორც სექსუალურ ისე შრომით ექსპლუატაციაზე. გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში კი აღნიშნულია, რომ მონობა და მონებით ვაჭრობის ნებისმიერი ფორმა აკრძალულია. მუხლი 4 განმარტავს, რომ „არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.“ ტრეფიკინგი მონობის თანამედროვე ფორმაა, თუმცა თავად ტრეფიკინგი რთული და მრავალწახნაგიანი დანაშაულია, რომლის აღმოჩენაც საკამაოდ რთულია. 1949 წელს გაეროს-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ადამიანთა ტრეფიკინგისა და სხვათა პროსტიტუციის გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომლის შესაბამისად პროსტიტუცია და მისი „თანამდები ბოროტება“, პროსტიტუციის მიზნით ადამიანით ვაჭრობა, შეუთავსებელია ადამიანურ ღირსებასთან. XXI საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი სიტუაცია, როდესაც ადამიანი არ არის თავისუფალი სამუშაოს არჩევაში, მას ექცევიან როგორც საგანს ან საკუთრებას, რომელიც შეიძლება გაიყიდოს. იულია ტვერდოვა ნაშრომში „ადამიანის ტრეფიკინგი რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში“<sup>147</sup> აღნიშნავს, რომ არ არის უფრო მნიშვნელოვანი უფლება ვიდრე სიცოცხლის უფლება და მონობისგან თავისუფლების უფლება, და სწორედ ამ უფლებას არღვევენ ადამიანით მოვაჭრეები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ენტონიო გუტიერმა გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე განაცხადა<sup>148</sup>, რომ ტრეფიკინგის ქსელები გლობალურად მოედო მსოფლიოს. გაეროს

<sup>147</sup> Tverdova Yuliya V. (2011) *Human Trafficking in Russia and Other Post-Soviet States*, Human Rights Review Human Rights Review 12 (3):329-344, ISSN: 1874-6306 (Online), <https://link.springer.com/article/10.1007/s12142-010-0188-1> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>148</sup> *UN Secretary-General António Guterre's speech at the UN Security Council 7898th Meeting (AM) on Prevention, Protection, Prosecution Stressed as Security Council Holds Open Debate on Human Trafficking, Modern Slavery, Forced Labour in Conflict Situations SC/12751 (15/03/2017)* <https://www.un.org/press/en/2017/sc12751.doc.htm> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ინფორმაციის მიხედვით, ტრეფიკინგის მსხვერპლები აღმოჩენილი იქნენ 106 ქვეყანაში და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში 21 მილიონი ადამიანი განიცდის შრომით იძულებას და მძიმე ექსპლუატაციას, მაშინ როცა ამ დანაშაულისგან დამნაშავეები წლიურად 150 მილიონ აშშ დოლარს იღებენ. ამ ციფრების უკან დგას ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეში დარღვევების შედეგად შემცირებული ადამიანთა სიცოცხლე და გახლეჩილი ოჯახები და საზოგადოება.

ტრეფიკინგის დანაშაული ხშირად არის ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ<sup>149</sup>, მათ შორის საერთაშორისო ჯგუფების მიერ. სწორედ ორგანიზებული დანაშაულის მზარდი ხართულობა, და შესაბამისად მათი მეთოდების დახვეწა, იწვევს იმას, რომ ადამიანით ვაჭრობა სწრაფად მზარდი დანაშაულია და ორგანიზებული დანაშაულისათვის შემოსავლის უმსხვილესი წყაროა. ტრეფიკინგი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი საქმიანობაა. ბოლო წლებში მსოფლიოში ამ სფეროში მნიშვნელოვან პრობლემად იქცა არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმა და ქუჩაში მათხოვრობის იძულება. ორგანიზებული დანაშაული არის კომპლექსური ფენომენი და მისი აღმოჩენა რთულია<sup>150</sup>. ის საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ადამიანების უსაფრთხოებას და იწვევს ადამიანის უფლებების დარღვევას, აგრეთვე საფრთხეში აგდებს ქვეყნების ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას. ტრეფიკინგს მოაქვს მილიარდობით აშშ დოლარის მოგება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის მსხვერპლების ძირითადი უფლებების დარღვევის ხარჯზე<sup>151</sup>.

<sup>149</sup> გაეროს განმარტებიდან გამომდინარეობს ორგანიზებული დანაშაულის 3 ძირითადი ნიშანი: 1) გაერთიანებული პირების არსებობა დანაშაულთა სისტემატიური ჩადენისთვის. მათში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული იერარქია; 2) კანონის სისტემატიური დარღვევა მთავარ მიზნად ისახავს გამდიდრებასა და კაპიტალის დაგროვებას; 3) შემოსავლის მიღების წყაროა კორუფცია. ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ორგანიზებული დანაშაული არის „ანტისახელმწიფოებრივი მდგრადი სისტემა, რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელსაყრელად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისთვის, როგორც დანაშაულებრივი აქტივობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით“. ყველაზე მეტად გავრცელებულია ისეთი ორგანიზებული დანაშაულები, როგორცაა: ნარკოტიკებით ვაჭრობა, საბურო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატანა, ყალბი ფულის დამზადება, პროსტიტუციაზე კონტროლი, თაღლითობა, ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგი, იარაღის უკანონო გაყიდვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრება, ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობა და სხვა. მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო, [http://pog.gov.ge/res/docs/public\\_information/ORGANIZEBULIDANASHAULI.pdf](http://pog.gov.ge/res/docs/public_information/ORGANIZEBULIDANASHAULI.pdf) გვ.1-2 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>150</sup> Viuhko Minna, Jokinen Anniina (2009) *Human Trafficking and Organised Crime, Trafficking for sexual exploitation and organised procuring in Finland*, European Institute for Crime Prevention and Control, affiliated with the United Nations (HEUNI), Helsinki Finland Publication Series No. 62 [http://www.heuni.fi/material/attachments/heuni/reports/6KHnvL4X1/Uusittu\\_pdf\\_netsti\\_4.2.10.pdf](http://www.heuni.fi/material/attachments/heuni/reports/6KHnvL4X1/Uusittu_pdf_netsti_4.2.10.pdf) გვ.12 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>151</sup> Joshi Yasmeen (2016) *Human Trafficking: The Sexual Exploitation of Women and Children*, Queen Mary Law Journal Vol. 7, Issue 1, გვ.30-43; დადუნაშვილი ია (2012) *ადამიანებით ვაჭრობის*

ორგანიზებული დანაშაული, ისევე როგორც ყველა ბიზნესი, მიზნად ისახავს მოგების მიღებას, მიწოდების უზრუნველყოფას და მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მაგრამ განსხვავებით ლეგალური ბიზნესისგან, ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას ყოველთვის თან ახლავს ძალადობა და კორუფცია. ტრეფიკინგი ორგანიზებული დანაშაულის ნაწილია, რადგან ადამიანით მოვაჭრეები იყენებენ იძულებას, ტყუილს, კორუფციასა და ძალადობას ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა ეტაპზე<sup>152</sup>.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა მოითხოვს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის და მოსახლეობის ერთობლივ ჩართულობას და თანამშრომლობას<sup>153</sup>. ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა, მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც ამ პროცესებში სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად ჩართულია საზოგადოებაც. მიზანშეწონილია შესაბამისმა უწყებებმა გააგრძელონ ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეების შესახებ, მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებისა და ჩართულობისთვის საჭირო საინფორმაციო კამპანიების გატარება, საზოგადოების რისკ ჯგუფების, მათ შორის, სოციალურად დაუცველი ფენების ინფორმირება ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ<sup>154</sup>.

გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარის ინფორმაციის შესაბამისად ტრეფიკინგის დანაშაულის სურათი დაახლოებით ასეთია<sup>155</sup>:

**შრომითი ექსპლუატაცია** – ტრეფიკინგის მსხვერპლების დაახლოებით 78% პროცენტი არიან იძულებითი შრომის მსხვერპლები – ისინი არიან წარმოებებში, სადაც საჭიროა ხელით შრომა, როგორცაა ფერმები, შახტები, თევზჭერა, აგურის დამზადება, აგრეთვე მომსახურების სფერო, სადაც საჭიროა ჭურჭლის მრეცხავები, დამლაგებლები, მებაღეები, შინამოსამსახურეები.

**სექსუალური ექსპლუატაცია** - დაახლოებით 22% იძულებითი პროსტიტუციის ხაზანგში არიან.

---

(ტრეფიკინგის) მსხვერპლის /დაზარალებულის ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და სამართლიანი სასამართლოს უფლება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, No.: 343.43.001/1, D -6669.

<sup>152</sup> Shelley, L. (2010) *The Business of Human Trafficking*. In *Human Trafficking: A Global Perspective* Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511760433.007 [http://rorotoko.com/interview/20110411\\_louise\\_shelley\\_on\\_human\\_trafficking\\_global\\_perspective/?page=1](http://rorotoko.com/interview/20110411_louise_shelley_on_human_trafficking_global_perspective/?page=1) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>153</sup> *Transnational organized crime: Let's put them out of business*, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) <https://www.unodc.org/toc/en/whatsbeingdone.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>154</sup> *ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2018 წლების ეროვნული სტრატეგია*, (2015) თბილისი <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2993787> გვ.6 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05/10/2017).

<sup>155</sup> *Human Rights and Human Trafficking, Fact Sheet No. 36* (2014) Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, United Nations New York and Geneva [http://www.ohchr.org/Documents/Publications/FS36\\_en.pdf](http://www.ohchr.org/Documents/Publications/FS36_en.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

**ბავშვთა ექსპლუატაცია** – ტრეფიკინგის მსხვერპლთა 26% არიან ბავშვები.

ტრეფიკინგის დანაშაული ლატენტური დანაშაულია, ნებისმიერი არსებული ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს მხოლოდ იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა რაოდენობას. სფეროს ექსპერტები ხშირად ამბობენ რომ რეალური ციფრი ბევრად უფრო მაღალია<sup>156</sup>. ეს ხდება არა მარტო იმიტომ, რომ თვითონ ტრეფიკინგის დანაშაულის გამოვლენა რთულია, არამედ იმიტომ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლები იმდენად არიან დაშინებულნი ადამიანით მოვაჭრეების მხრიდან, რომ არ თანამშრომლობენ არც სამართალდამცველებთან და არც სოციალურ მუშაკებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რადგან მათ ეშინიათ რომ თვითონაც დაისჯებიან<sup>157</sup>, და აგრეთვე ეშინიათ ადამიანით მოვაჭრეების შურისძიების.

სფეროს ექსპერტებმა იციან რომ საკმაოდ დიდი დრო სჭირდება მსხვერპლის ნდობის მოპოვებას, ამიტომაც არის განსაზღვრული მოსაფიქრებელი დრო 30 დღის ვადით. ამ პერიოდში მსხვერპლმა უნდა იგრძნოს თავი უსაფრთხოდ, ჩამოყალიბდეს მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესახებ და გაიგოს ინფორმაცია რა საშუალებები არსებობს მის დასაცავად.

სამწუხაროდ, ზოგჯერ სამართალდამცავებს არ აქვთ სწორი ინფორმაცია ტრეფიკინგის შესახებ და იდენტიფიკაცია არასწორად ტარდება, სწორედ ამიტომ არის საერთაშორისო დოკუმენტებში მითითება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, რათა სწორად მოხდეს პოტენციური მსხვერპლის იდენტიფიკაცია და შემდეგ მასთან მუშაობა.

„პალერმოს ოქმი“ მოითხოვს სახელმწიფოსგან შეეცადოს უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოება, დაიცვას ინფორმაცია მათი პიროვნების შესახებ. აგრეთვე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა სათანადო ზომების მიღება, რათა ტრეფიკინგის მსხვერპლებს ჰქონდეთ საშუალება დროებით ან მუდმივად დარჩნენ ამ ქვეყანაში.

ოქმი სთხოვს სახელმწიფოებს სათანადოდ გაითვალისწინონ ჰუმანურობისა და თანაგრძნობის ფაქტორები, რადგან ტრეფიკინგის მსხვერპლის მიმართ უკვე განხორციელდა მძიმე დანაშაული, მსხვერპლად ყოფნის პერიოდში მისი უფლებები დაირღვა, ის არ ეკუთვნოდა საკუთარ თავს და არ შეეძლო ეკონტროლებინა მის მიერ ჩადენილი ქმედებები, მას აიძულებდნენ განეხორციელებინა კონკრეტული ქმედებები. ამიტომაც სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ეს

<sup>156</sup> იხ.: <http://www.humanrightsfirst.org/resource/human-trafficking-numbers> , <http://arkofhopeforchildren.org/child-trafficking/child-trafficking-statistics> , <https://www.theatlantic.com/politics/archive/2016/02/how-sex-trafficking-goes-unnoticed-in-america/470166/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>157</sup> მათ მიერ მსხვერპლად ყოფნის პერიოდში ჩადენილი დარღვევებისთვის ან დანაშაულისთვის, იქნება ეს პროსტიტუცია, საზღვრის უკანონო გადაკვეთა, მაიდენტიფიცირებელი საბუთის არქონა, სავიზო რეჟიმის დარღვევა, და ა.შ. ადამიანით მოვაჭრეები აშინებენ მსხვერპლს, რომ ის დაისჯება თუ მივა პოლიციაში, მას ან ციხეში ჩასვამენ, ან დეპორტს გაუკეთებენ.

გარემოება და არ დააყენონ მსხვერპლის პასუხისმგებლობა მის მიერ მსხვერპლად ყოფნის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისთვის.

გაერომ შექმნა ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონის მოდელი, რომელზე დაყრდნობითაც ქვეყნებს შეუძლიათ შექმნან ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობა. სამწუხაროდ, მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მსხვერპლის განთავისუფლებას მსხვერპლად ყოფნის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისგან, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა.

ევროპის საბჭოს კონვენცია სთხოვს ქვეყნებს მიიღონ საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა დამოკიდებული არ იყოს მათ სურვილზე მოწმედ გამოვიდნენ სასამართლო პროცესზე. სხვანაირად ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება მხოლოდ „მოწმეთა დახმარებად“ გადაიქცევა.

ტრეფიკინგის მსხვერპლთან მუშაობისას აგრეთვე გასათვალისწინებელია მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სტრესის გამო ზოგიერთი დეტალის დავიწყება, მისი განათლების და ცოდნის დონე, რადგანაც ბევრ შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლები ეკონომიკურად გაჭირვებული ფენებიდან მოდიან, არ აქვთ საკმარისი განათლება და უჭირთ უცხო სიტუაციაში გარკვევა, ეს ყველაფერი კი ხელს უშლის მათ დროულ რეაბილიტაციას და რეინტეგრაციას.

ყველაფერი ზემოთჩამოთვლილის გათვალისწინებით, ტრეფიკინგის დანაშაულის გამძიებისას, მსხვერპლის იდენტიფიკაციისთვის, მსხვერპლთან მუშაობასა და მისი რეაბილიტაციის დროს მრავალი საკითხი უნდა იყოს გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებსაც შეუძლიათ მსხვერპლის ნდობის მოპოვება, და სამართალდამცავთ ტრენინგები და ცოდნის ამაღლება ტრეფიკინგის დანაშაულის თავისებურებებზე.

თავისთავად თვითონ ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის ყველა სტადიაზე ირღვევა ადამიანის უფლებები - ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, ექსპლუატაციის მიზნით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება. თვითონ ექსპლუატაცია თავისთავად ნიშნავს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ჩაყენებას. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება გაეროს მთავარ დოკუმენტს - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, მიღებულს 1948 წლის 10 დეკემბერს. დეკლარაციაში არის მუხლი 4 - არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში; ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია, და მუხლი 5 - არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას.

როდესაც ადამიანით ვაჭრობის დანაშაულზე ვლაპარაკობთ, მთავარი აქცენტი უნდა გვქონდეს თვითონ ამ დანაშაულის მსხვერპლზე – ტრეფიკინგის მსხვერპლზე, ვისი უფლებებიც ირღვევა, და ნებისმიერი კანონი თუ აქტი ზუსტად იმიტომაა დაწერილი, რომ დაიცვას ეს ადამიანები და დაეხმაროს მათ აღადგინონ თავიანთი უფლებები და მოხდეს მათი რეაბილიტაცია, თუმცა პრაქტიკაში მთავრობების და

სამართალდამცავი ორგანოების აქცენტი ძირითადად გადადის დამნაშავეზე, მის დასჯაზე. არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო სააგენტოები მუშაობენ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციაზე, და მხოლოდ ნაწილი არასამთავრობოებისა და სახელმწიფო ორგანოებისა მუშაობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებასა და რეაბილიტაციაზე.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი ხაზს უსვამს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებები უნდა იყოს ცენტრი ყველა ღონისძიებებისა, რასაც ქვეყანა ახორციელებს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და დანაშაულთან ბრძოლისათვის<sup>158</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ ბევრ ქვეყანაში ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებები დაცულია და ბევრი რამ კეთდება მათთვის - ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების დასაცავად სახელმწიფოებმა კანონმდებლობებში სხვადასხვა ზომა გაითავისწინეს: ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, მოსაფიქრებელი დროის მიცემა პოლიციასთან თანამშრომლობისთვის, იურიდიული კონსულტაცია და სასამართლოში წარმომადგენლობა, თავშესაფრით უზრუნველყოფა, ფულადი დახმარება, ახალ პროფესიის შეძენასა, დასაქმებაში და რეინტეგრაციაში ხელშეწყობა. ზოგიერთი ქვეყანა ბინადრობის უფლებას ან მოქალაქეობას ანიჭებს არა მხოლოდ თვითონ მსხვერპლს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, თუ მსხვერპლი თანამშრომლობს სამართალდამცველებთან, მსხვერპლს ეპატიება წვრილმანი დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა მსხვერპლად ყოფნის პერიოდში. თუმცა ზოგიერთი ქვეყანა ღაზავს მსხვერპლის უფლებებს და ექცევა მათ როგორც „მათ განკარგულებაში მყოფ მოწმეებს“, რომლებიც მხოლოდ გამოძიების პროცესში იქნებიან გამოყენებულნი, ეს იწვევს მსხვერპლთა რე-ვიქტიმიზაციას<sup>159</sup>.

ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლის თანამშრომლობას სამართალდამცავ ორგანოებთან, რადგან მათგან მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე შესაძლებელია სხვა მსხვერპლების გადარჩენაც და დამნაშავეების დაკავების შემთხვევაში, მომავალი პოტენციური ტრეფიკინგის მსხვერპლების გადარჩენაც, და შესაბამისად დანაშაულის პრევენციაც. მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლები არ იყვნენ განთავისუფლებულნი მხოლოდ სამართალდამცავთა სპეციალური ოპერაციების შედეგად, არამედ მოახდინონ თვითიდენტიფიკაცია, და ჰქონდეთ სამართალდამცავების და/ან ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ნდობა, რომ მიმართონ შესაბამის უწყებებს. ეს შეიძლება მიღწეული იყოს როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით, სადაც გასაგებად იქნება ახსნილი

<sup>158</sup> *Recommended Principles and Guidelines on Human Rights and Human Trafficking* (2002) Office of the High Commissioner for Human Rights, <http://www.ohchr.org/Documents/Publications/Traffickingen.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>159</sup> *Trafficking in Persons as a Human Rights Issue* (2008) Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH Dag-Hammarskjöld-Weg 1-5 65760 Eschborn, Germany <http://www.oecd.org/dac/gender-development/44896390.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).



ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა ეტაპი და მახასიათებელი, ისე ინფორმაციის გავრცელებით ადამიანით მოვაჭრეთა სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის შესახებ.

როგორც მეორე თავში ავღნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეში ჩოუდური და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს ჰქონდა პოზიტიური ვალდებულება მოეხდინა მათი ტრეფიკინგის მსხვერპლებად გახდომის პრევენცია, გაეტარებინა პრევენციული ზომები და დაესაჯა დამჩირაველები. 2017 წლის 30 მარტს სასამართლომ დაადგინა კონვენციის მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა (იძულებითი შრომის აკრძალვა), განაცხადა რა, რომ მომჩივანებმა არ მიიღეს საკმარისი ეფექტური დაცვა საბერძნეთის სახელმწიფოსგან. სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ საბერძნეთმა არ შეასრულა ვალდებულება მოეხდინა ტრეფიკინგის პრევენცია, დაეცვა მსხვერპლები, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება და დაესაჯა დამნაშავეები.

ამ თავში მიმოვიხილეთ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის სამართლებრივი თავისებურებები, დანახული ადამიანის უფლებების დაცვის კუთხიდან. ის საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ადამიანების უსაფრთხოებას და იწვევს ადამიანის უფლებების დარღვევას, აგრეთვე საფრთხეში აგდებს ქვეყნების ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას. ტრეფიკინგის დანაშაული ხშირად არის ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ, მათ შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ და მოაქვს მილიარდობით აშშ დოლარის მოგება მსხვერპლების ძირითადი უფლებების დარღვევის ხარჯზე. ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებები ირღვევა დანაშაულის ყველა ეტაპზე და მნიშვნელოვანია მათი უფლებების დაცვა მათი იდენტიფიკაციის შემდეგ, ამისთვის კი საჭიროა თანამშრომლობა სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამართალდამცველთა განათლების დონის ამაღლება ტრეფიკინგის დანაშაულის თავისებურებზე. 2017 წლის 30 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეში ჩოუდური და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, რომ განმცხადებლებმა არ მიიღეს საკმარისი ეფექტური დაცვა საბერძნეთის სახელმწიფოსგან, ქვეყანამ არ შეასრულა ვალდებულება მოეხდინა ტრეფიკინგის პრევენცია, დაეცვა მსხვერპლები, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება და დაესაჯა დამნაშავეები. ქვეყნებმა ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლა და მისი პრევენცია საკანონმდებლო დონეზე უნდა დაარეგულირონ. შემდეგ თავში ჩვენ მიმოვიხილავთ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციას შერჩეულ ქვეყნებში, რომლებიც პირობითად დაყავით წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებად. განვიხილავთ როგორ მიუდგნენ ეს ქვეყნები „პალერმოს ოქმის“ ან ევროსაბჭოს კონვენციის მიერ დაკისრებულ ვალდებულებას, დაერეგულირებინათ ტრეფიკინგთან ბრძოლა და მისი პრევენცია საკანონმდებლო დონეზე.

#### 4. თავი მეოთხე - ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის კანონმდებლობა შერჩეულ წარმოშობისა და დანიშნულები ქვეყნებში

ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება იდენტიფიცირებული იქნას ბევრ სხვადასხვა სფეროსა და წარმოებაში - სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა, სამთო მრეწველობა, მეთევზეობა, მეტყევეობა, ტურიზმი, სასტუმროს და რესტორნის ბიზნესი, შინამეურნეობა, იძულებითი მათხოვრობა და სექსუალური მომსახურება. ტრეფიკინგის პრევენცია ამდენ და ასეთ განსხვავებულ სფეროსა და წარმოებაში საჭიროებს ყოველმხრივ და კოორდინირებულ მიდგომას<sup>160</sup>. ამასთან, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოძიება საკმაოდ რთულია, რადგან ტრეფიკინგის დანაშაული არ ხდება ყოველთვის ქვეყნის შიგნით და ხშირად ადამიანები სხვა ქვეყანაში ხდებიან მსხვერპლები<sup>161</sup>. სექსუალური ტრეფიკინგი არსებობს ტაილანდის ტურიზმის ინდუსტრიაშიც და ფართოდაა გავრცელებული ინდოეთშიც და სამხრეთ აზიაშიც. შრომითი ტრეფიკინგი არსებობს უზბეკეთის ბამბის წარმოებაშიც და ამარაგებს ბავშვი-ჯარისკაცებით ბირმას<sup>162</sup>, ტრეფიკინგის მსხვერპლები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ხვდებიან აზიაშიც, ევროპაშიც და ახლო აღმოსავლეთშიც<sup>163</sup>. ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადაყვანა უმეტესად კონკრეტული რეგიონის შიგნით ხდება, ამიტომ რთულია დადგინდეს გლობალური ტრეფიკინგის კვანძები/ჰაბები. თუმცა ძირითადად ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადაყვანა უფრო ღარიბი ქვეყნებიდან უფრო განვითარებულ ქვეყნებში<sup>164</sup>. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ჩამოყავთ ტრეფიკინგის მსხვერპლები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რეგიონებიდან და კონტინენტებიდანაც კი, მაშინ როდესაც ნაკლებად მდიდარ ქვეყნებში ძირითადად ხდება შიდა ტრეფიკინგი ან მსხვერპლები წარმოშობით იგივე რეგიონიდან არიან<sup>165</sup>. ამასთან, თვითონ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცნება“ სხვადასხვანაირად ესმით სხვადასხვა ქვეყანაში<sup>166</sup>, რაც შესაბამისად აისახება მათ ქვეყანაში არსებულ განსხვავებულ სამართლებრივ ინსტრუმენტებსა და ტრეფიკინგთან ბრძოლის სტატეგიებზე<sup>167</sup>,

<sup>160</sup> Todres Jonathan (2016) *Can mandatory reporting laws help child survivors of human trafficking?* Wisconsin Law Review Forward, Vol. 2016, გვ.69.

<sup>161</sup> თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საზღვრის გადაკვეთა არ არის ტრეფიკინგის დანაშაულის აუცილებელი პირობა.

<sup>162</sup> მიანმარის კავშირის რესპუბლიკა.

<sup>163</sup> Schaffner Jessica E. (2014) *Optimal deterrence: a law and economics assessment of sex and labor trafficking law in the United States*, Houston Law Review Vol. 51, Issue 5, გვ. 1525.

<sup>164</sup> ყოველ შემთხვევაში წარმოშობის ქვეყანასთან შედარებით უფრო განვითარებულ ქვეყანაში.

<sup>165</sup> *Global report on trafficking in persons* (2014) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) <http://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/glotip.html> გვ.5-12 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>166</sup> ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ სექსუალურ ექსპლუატაციას აღიქვამენ როგორც ტრეფიკინგის დანაშაულს და საერთოდ უგულვებელყოფილია შრომითი ექსპლუატაცია, ზოგან მათხოვრობას არ აღიქვამენ როგორც შრომით ექსპლუატაციას. ზოგიერთ ქვეყანაში ყურადღება ექცევა მსხვერპლის წინასწარ თანხმობას სექსუალური მომსახურების გაწევაზე და იგი არ აღიქმება ტრეფიკინგის მსხვერპლად.

<sup>167</sup> Chacon Jennifer M., (2017) *Human Trafficking, Immigration Regulation, and Subfederal Criminalization*, New Criminal Law Review Vol. 20, გვ.98.

შესაბამისად, ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები განსხვავებულია.

ამ თავში განვიხილავთ როგორ მიუდგნენ სხვადასხვა ქვეყნები ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციას საერთაშორისო დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად. კანონმდებლობის შექმნისას ქვეყნები ეყრდნობოდნენ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ საერთაშორისო დოკუმენტებს და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს.

ქვეყნებმა ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის შემუშავება გაეროს კონვენციის და „პალერმოს ოქმის“ მიღების შემდეგ დაიწყეს. ძირითადად ტრეფიკინგის დანაშაულის ცნება „პალერმოს ოქმიდან“ არის აღებული. თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით<sup>168</sup> „პალერმოს ოქმის“ შედგენისას ძლიერი იყო ფემინისტების გავლენა და ოქმში ძირითადი ყურადღება მიექცა ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაციის თემებს და შესაბამისად, სექსუალურ ტრეფიკინგის დანაშაულს. შედეგად შრომითი ტრეფიკინგის საკითხებს არ მიექცა შესაბამისი ყურადღება და არ მოხდა ამ ტიპის ტრეფიკინგის ცნების კარგი ახსნა და დეტალებში განხილვა. ამან კი თავისთავად შედეგად მოიტანა, რომ ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობები, რომლებიც ეფუძნება გაეროს კონვენციას და ოქმს, არც ისე ნათლად და მკვეთრად განსაზღვრავს ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა ასპექტს, კერძოდ კი შრომით ტრეფიკინგი არ არის ნათლად ჩამოყალიბებული და ახსნილი<sup>169</sup>.

2008 წელს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც მოიცავს უფრო ფართო ცნებების ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის, განსაკუთრებით არასრულწლოვან მსხვერპლებთან მიმართებაში, და აყალიბებს ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ტრეფიკინგის დანაშაულთან საბრძოლველად. შედეგად, ბევრ ქვეყანაში სამართლებრივი ბაზა შეიცვალა და დაიხვეწა.

ევროპის კონვენცია და „პალერმოს ოქმი“ ტრეფიკინგის პრევენციისთვის ქვეყნებს ურჩევენ ზომების გამოყენებას, რომელთა მიზანია ტრანსნაციონალური ტრეფიკინგის პრევენცია და სასაზღვრო კონტროლის მეშვეობით მისი გამოაშკარავება. ამ ზომებში იგულისხმება რომ:

- 1) ქვეყნებმა უნდა გააუმჯობესონ სასაზღვრო კონტროლი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია იმისათვის, რომ ადამიანებს შეეძლოთ ამა თუ იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლა და იქიდან გასვლა;
- 2) საკანონმდებლო ან სხვა შესაბამისი ზომების მიღება, რათა ხელი შეუშალოს კომერციული გადამზიდველი კომპანიების მიერ ექსპლუატირებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას;

<sup>168</sup> Kotiswaran Prabha (2014) *Beyond Sexual Humanitarianism: A Postcolonial Approach to Anti-Trafficking Law*, Irvine Law Review Vol. 4, Issue 1, გვ. 356-357.

<sup>169</sup> ან როგორც ზოგიერთი ექსპერტი უწოდებს – იძულებითი შრომის.

- J) სასაზღვრო კონტროლის სამსახურებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;
- J) სამგზავრო დოკუმენტაციის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთების ხარისხის, მთლიანობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- J) თანამშრომლობა სამგზავრო დოკუმენტაციის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთების ლეგიტიმურობის და ნამდვილობის შემოწმება, ა.შ.

საერთაშორისო დოკუმენტები აგრეთვე მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას და ადამიანით მოვაჭრეების სისხლისსამართლებრივ დევნას, იმ პირების განათლებას, ვისაც თავისი მუშაობის პროცესში მსხვერპლთან კონტაქტი უწევს<sup>170</sup>, კვლევების ჩატარებას.

საერთაშორისო ვალდებულებებით ქვეყნებმა აგრეთვე უნდა გაატარონ პროგრამები, რათა ქვეყანაში პოტენციურად არ ხდებოდეს ტერფიკინგის დანაშაული: შრომის ბაზრის რეგულირება, შრომის კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა/განახლება, მიგრაციის მართვა და ამ სფეროს სამართლებრივი ბაზის შექმნა/განახლება, ეკონომიკური განვითარება და შესაძლებლობებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემცირება, ქვეყანაში სიღარიბის დონის და უმუშევრობის შემცირება, დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ტრეფიკინგთან დაკავშირებული კორუფციის აღმოფხვრა, და ა.შ. თუმცა ქვეყნები მაინც ძირითადად საინფორმაციო კამპანიებითა და ტრენინგების ჩატარებით ახორციელებენ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციას.

ქვემოთ განვიხილავთ კანონმდებლობას წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებში, თუმცა ეს დაყოფა საკმაოდ პირობითია. ხშირად ე.წ. წარმოშობის ქვეყანაში შიდა ტრეფიკინგსაც აქვს ადგილი, შესაბამისად დანიშნულების ქვეყანაც გამოდის. აგრეთვე თვითონ დანიშნულების ქვეყანაშიც შეიძლება იყვნენ ადგილობრივი მსხვერპლები. მაგალითად, უკრაინა მოლდოვასთვის დანიშნულების ქვეყანაა, თუმცა თვითონ უკრაინა წარმოშობის ქვეყანაა მაგალითად თურქეთისთვის.

ჩვენი ნაშრომისთვის ავარჩიეთ ქვეყნები, რომელთა გამოცდილების გაანალიზება სასარგებლოა საქართველოსთვის – მაგალითად თურქეთში, საბერძნეთსა და ისრაელში ბევრი შრომითი მიგრანტია საქართველოდან, მოლდოვას აქვს დაახლოებით ისეთივე ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც საქართველოს, და მოლდოვას მოქალაქეები იგივე ქვეყნებში მიემგზავრებიან სამუშაოდ, სადაც საქართველოს მოქალაქეები<sup>171</sup>. ამასთან, მოლდოვას აქვს შიდა კონფლიქტი თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის ტერიტორიის სახით. უკრაინას ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ და დღემდე მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთთან. უკრაინა საბჭოთა ეპოქის განვითარებული სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის რესპუბლიკა იყო, ამჟამად ენერგომატარებლებზე მთლიანად სხვა ქვეყანაზეა დამოკიდებული. ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა 1.3 მილიარდზე მეტი

<sup>170</sup> პოლიცია, მესაზღვრეები, სოციალური მუშაკები, ექიმები და ა.შ.

<sup>171</sup> თურქეთი, რუსეთი, აშშ, საბერძნეთი.

მოსახლეობით და მისი მოქალაქეები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობენ, საქართველოს ჩათვლით. ჩინეთი ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი ცუდი მაგალითია, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიშის შესაბამისად ის მესამე კალათაში იმყოფება. ფინეთი კი პირიქით, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, ამასთან თავისი ტერიტორიის ზომითა და მოსახლეობის რაოდენობით საკმაოდ ახლოსაა საქართველოსთან. იამაკა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიშის შესაბამისად მეორე კალათაშია, ამასთან საინტერესოდ ჩავთვალოთ შეგვესწავლა კარიბის ქვეყნის გამოცდილება, რომელიც წარმოშობის ქვეყნას წარმოადგენს, მოსახლეობა 3 მილიონამდეა და ეკონომიკის მთავარი მიმართულებაა სოფლის მეურნეობა, სამთო მრეწველობა, ტურიზმი და ფინანსები, ანუ საკმაოდ ახლოს არის საქართველოს რეალობასთან. და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები გარდა იმისა, რომ საუკეთესო მაგალითია ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლისა და პრევენციისთვის, ამ ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტი ადგენს ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის ყოველწლიურ ანგარიშებს და საინტერესო იყო თვითონ ეს ქვეყანა როგორ ახორციელებს ტრეფიკინგის პრევენციას. ამასთან, საქართველოს ბევრი მოქალაქე ყოველწლიურად მიემგზავრება აშშ-ში როგორც სწავლისა და ტურიზმისთვის, ისე შრომით მიგრანტებად<sup>172</sup>.

#### 4.1. კანონმდებლობა წარმოშობის ქვეყნებში

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ კანონმდებლობას წარმოშობის ქვეყნებში, რომლებსაც მეტ-ნაკლებად მიეკუთვნება საქართველო. ქვემოთ განვიხილავთ მოლდოვის, უკრაინის, ჩინეთისა და იამაიკის გამოცდილებას.

##### 4.1.1. მოლდოვა

მოლდოვა<sup>173</sup> არის ძირითადად წარმოშობის წყარო ქვეყანა მამაკაცებისთვის, ქალებისა და ბავშვებისათვის როგორც სექსუალური ტრეფიკინგის, აგრეთვე შრომითი ტრეფიკინგის დანაშაულისთვის. მოლდოვაში არსებობს შიდა ტრეფიკინგიც<sup>174</sup> და აგრეთვე მოლდაველი მსხვერპლების ექსპლუატაცია ხდება რუსეთში, უკრაინაში, თურქეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, საბერძნეთში, კვიპროსში და სხვა ქვეყნებში. მოლდაველი მამაკაცები ხდებიან შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლები სოფლის მეურნეობის და მშენებლობის სფეროში რუსეთსა და უკრაინაში, ხოლო ქალები სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლები უკრაინაში. მოლდოვას მთავრობის კონტროლის ქვეშ არ მყოფი

<sup>172</sup> და უმეტეს შემთხვევაში ისინი მიემგზავრებიან სამუშაოდ ტურისტული ვიზით და შემდეგ უკანონოდ რჩებიან. სწორედ ამიტომ ისინი წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს ტრეფიკინგის დანაშაულთან მიმართებით. იგივე შეეხებათ შრომით მიგრანტებს თურქეთში, ისრაელში, საბერძნეთში, რუსეთში, გერმანიაში და ა.შ.

<sup>173</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგის 2017 წლის ანგარიში გვ.283-285 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>174</sup> ქალები და არასრულწლოვნები არიან სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლები ბორდელეებში, საუნებსა და მასაჟის სალონებში.

დნესტრისპირეთი რეგიონი არის სექსუალური და შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლების წყარო რეგიონი.

მოლდოვაში ტრეფიკინგის კრიმინალიზება მოხდა 2002 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით „ადამიანით ტრეფიკინგი“. მუხლის ცვლილება ოთხჯერ მოხდა – 2003, 2006, 2008 და 2009 წლებში<sup>175</sup>. ცალკე მუხლი არის არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისთვის – მუხლი 206. ტრეფიკინგის დეფინიცია დიდად არ განსხვავდება „პალერმოს ოქმის“ დეფინიციისგან, გარდა იმისა, რომ ექსპლუატაციისთვის „მიზანის“ ცნება უფრო ვრცელადაა ახსნილი<sup>176</sup>.

165-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულისთვის განსაზღვრულია 5-დან 12 წლამდე პატიმრობა კონკრეტულ თანამდებობებზე მუშაობის აკრძალვით 2-დან 5 წლამდე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში ჯარიმა 3000-5000 პირობითი ერთეულის ოდენობით და კონკრეტული საქმიანობის აკრძალვა ან საერთოდ ლიკვიდაცია. დამამძიმებელ გარემოებებში<sup>177</sup> პატიმრობის ვადა 7-დან 15 წლამდეა; ხოლო თუ დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი ან განსაკუთრებული მძიმე ზიანი მიაყენა მსხვერპლს, თვითმკვლელობის ჩათვლით, განსაზღვრულია პატიმრობა 10-დან 20 წლამდე.

ტრეფიკინგის მსხვერპლი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმ დანაშაულებისთვის, რაც მან ჩაიდინა მსხვერპლად ყოფნის პერიოდში.

206-ე მუხლით „არასრულწლოვანთს ტრეფიკინგი“ ჩადენილი დანაშაულისთვის განსაზღვრულია 8-დან 12 წლამდე პატიმრობა კონკრეტულ თანამდებობებზე მუშაობის აკრძალვით 2-დან 5 წლამდე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ჯარიმა 3000-5000 პირობითი ერთეულის ოდენობით და კონკრეტული საქმიანობის აკრძალვა ან საერთოდ ლიკვიდაცია. იგივე ქმედება თუ ჩადენილია ფიზიკური ან მენტალური ძალადობის, იარაღის გამოყენებით, პატიმრობის ვადა 10-დან 15 წლამდეა; ხოლო თუ დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, იმ პირის მიერ ვისაც მსგავსი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა, ან განსაკუთრებული მძიმე ზიანი მიაყენა მსხვერპლს, თვითმკვლელობის ჩათვლით, განსაზღვრულია პატიმრობა 15-დან 20 წლამდე.

2016 წლის ივლისში მოლდოვას სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლში „იძულებითი შრომა“ შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც გაიზარდა ჯარიმა იძულებითი შრომის გამოყენებაზე: იძულებითი შრომის გამოყენება პირის იძულებით ან მოტყუებით, თუ აქტი არ

<sup>175</sup> მოლდოვას სისხლის სამართლის კოდექსი (2002)

<http://www.legislationline.org/download/action/download/id/3559/file/Criminal%20Code%20RM.pdf>  
file:///C:/Users/user/Downloads/Criminal%20Code%20RM%20(1).pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

<sup>176</sup> პირების დაუცველი მდგომარეობის ბოროტი გამოყენება და სხვა „საშუალებები“ ადამიანით ვაჭრობის ცნებებში (2014) United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) UNODC Issue Paper [https://www.unodc.org/documents/human-trafficking/2012/UNODC\\_2012\\_Issue\\_Paper\\_-\\_Abuse\\_of\\_a\\_Position\\_of\\_Vulnerability.pdf](https://www.unodc.org/documents/human-trafficking/2012/UNODC_2012_Issue_Paper_-_Abuse_of_a_Position_of_Vulnerability.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

<sup>177</sup> დანაშაულის ხელმორედ ჩადენა, ორი ან მეტი პირის მიმართ, ფეხმძიმე ქალის მიმართ და ა.შ.

შეიცავს ტრეფიკინგის ელემენტებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 6 წლამდე ვადით. იგივე ქმედება ჩადენილი დამამძიმებელი გარემოებებით (ორი ან მეტი პირის მიმართ, ბავშვის ან ორსული ქალის მიმართ, ორი ან მეტი პირის მიერ, თანამდებობის პირის მიერ) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6 დან 10 წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის მიერ - ჯარიმა 2000-3500 პირობითი ერთეულის ოდენობით და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან იურიდიული პირის ლიკვიდაცია<sup>178</sup>.

2005 წელს მოლდოვამ მიიღო კანონი ადამიანთ ვაჭრობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ<sup>179</sup>. კანონი არეგულირებს შემდეგ სამართლებრივ ურთიერთობებს:

- )/ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა;
- )/ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
- )/ საჯარო ადმინისტრაციის თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ტრეფიკინგის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;
- )/ სხვა ქვეყნებთან და კომპეტენტურ საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

#### 4.12. უკრაინა

უკრაინა<sup>180</sup> წარმოშობის, ტრანზიტისა და დანიშნულების ქვეყანაა მამაკაცი, ქალი და არასრულწლოვანი ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის. უკრაინელები ხდებიან სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლები როგორც თვითონ უკრაინაში, ისე რუსეთში, პოლონეთში, თურქეთში, აშშ-ში და ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. უკრაინელი ბავშვები და სრულწლოვნები ხდებიან იძულებითი მათხოვრობის მსხვერპლები. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მცირე რაოდენობა<sup>181</sup> ხდებიან შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლები უკრაინაში ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში – ძირითადად მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, შინმეურნეობები, ხე-ტყის წარმოება, მოხუცთა მოვლა და ქუჩის მათხოვრობა.

რუსეთის აგრესიამ აღმოსავლეთ უკრაინაში შედეგად გამოიწვია 1.3 მილიონზე მეტი ადამიანის დევნილად გახდომა, ეს ადამიანები კი განსაკუთრებით დაუცველნი არიან ტრეფიკინგის დანაშაულის მიმართ.

<sup>178</sup> მოლდოვას სისხლის სამართლის კოდექსი №985, (2002). <http://lex.justice.md/ru/331268/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13/10/2017).

<sup>179</sup> Law on Preventing and Combating Trafficking in Human Beings, (2005) No. 241-XVI of 20/10/2005 <http://www.legislationline.org/download/action/download/id/980/file/4d9647d04900766dbf7a3a42b568.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

<sup>180</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.406-409 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>181</sup> მოლდოვადან, ვიეტნამიდან, უზბეკეთიდან, პაკისტანიდან, კამერუნიდან და აზერბაიჯანიდან.

არსებობს ცნობები, რომ ხდება ქალებისა და გოგონების გატაცება სესქსუალური და შრომითი ექსპლუატაციისთვის.

უკრაინაში შემცირდა ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიება და ადამიანით მოვაჭრეთა სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან მთავრობის ყურადღება რუსეთის აგრესიაზე გადასული<sup>182</sup>.

სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლი<sup>183</sup> ახდენს ტრეფიკინგის კრიმინალიზაციას. ამ მუხლით ჩადენილი დანაშაულისთვის განსაზღვრულია 3-დან 8 წლამდე პატიმრობა კონკრეტულ თანამდებობებზე მუშაობის აკრძალვით 2-დან 5 წლამდე, იგივე ქმედება ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ, განმეორებით, რამდენიმე პირის მიმართ ან თანამდებობის გამოყენებით ან იმ პირის მიმართ ვინც ფინანსურად ან სხვანაირად დამოკიდებულია დანაშაულის ჩამდენზე, ისჯება პატიმრობის ვადით 5-დან 12 წლამდე, შესაძლებელია ქონების ჩამორთმევა; ხოლო თუ დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი ან განსაკუთრებული მძიმე ზიანი მიაყენა მსხვერპლის ან/და მის ნათესავებს, განსაზღვრულია პატიმრობა 8-დან 15 წლამდე, შესაძლებელია ქონების ჩამორთმევა.

ამავე მუხლში არის შენიშვნა, რომელიც ხსნის „ექსპლუატაციის“ ცნებას და აგრეთვე „უმწეო მდგომარეობაში ყოფნის“ ცნებას. აგრეთვე ახსნილია, რომ არასრულწლოვნის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, ან მიღება, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა გამოყენებული მოტყუება, შანტაჟი, უმწეო მდგომარეობა, ძალა ან ოფიციალური პოზიცია, ან არასრულწლოვნის დამოკიდებული მდგომარეობა, მაინც ითვლება დანაშაულად.

ამ მუხლში არ არის კრიმინალიზირებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობა.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი 303 – სუტინიორობა ან პირის ჩართვა პროსტიტუციაში და ითვალისწინებს პატიმრობას 3-დან 5 წლამდე, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში, პატიმრობას 5-დან 10 წლამდე, ქონების ჩამორთმევის შემთხვევის გათვალისწინებითაც.

2011 წლის სექტემბერში უკრაინამ მიიღო კანონი ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ<sup>184</sup>. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა კანონში განმარტებულია, როგორც ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოვლენას<sup>185</sup>, ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციას, ტრეფიკინგის დანაშაულში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების გამოვლენას და მათ სისხლისსამართლებრივ დევნას.

<sup>182</sup> იქვე.

<sup>183</sup> უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი (2001)

<http://www.legislationline.org/documents/action/popup/id/16257/preview> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 102/10/2017).

<sup>184</sup> *Law of Ukraine on Combating Trafficking in Human Beings* (2011)

<http://www.iom.org.ua/en/legislation/migration-related-legislation/on-combating-trafficking-in-human-beings.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

<sup>185</sup> მათ შორის დაუსრულებელი დანაშაულის გამოვლენას.



ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის ძირითად სტანდარტებს წარმოადგენს:

1. ადამიანთ ვაჭრობის პრევენცია საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, პრევენციული ღონისძიებების გატარების, მოსახლეობის ტრეფიკინგის დანაშაულითან მამართლებაში დაუცველობის შემცირების და მოთხოვნის შემცირების გზით;
2. ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთ ვაჭრობის დანაშაულთან, ტრეფიკინგის დანაშაულის აღმოჩენის, დანაშაულში ჩართული პირების იდენტიფიკაციისა და მათი სისხლისსამართლებრივი დევნის გზით;
3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება მათი უფლებების აღდგენის, მათთვის მომსახურების გაწევისა და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების/აგენტების მიერ ღონისძიებების გატარების გზით.

ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია ხდება შემდეგი გზებით:

- )/ სიტუაციის შესწავლა;
- )/ ცნობიერების ამაღლება;
- )/ ტრეფიკინგის დანაშაულითან მამართლებაში მოსახლეობის დაუცველობის შემცირება;
- )/ მოთხოვნის შემცირება საორგანიზაციო, კვლევითი, საინფორმაციო, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ტიპის ღონისძიებების გატარების გზით.

#### 4.1.3. ჩინეთი

ჩინეთი<sup>186</sup> არის ტრეფიკინგის მსხვერპლთა წყარო, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყანა. ჩინეთში საკმაოდ ხშირია შიდა ტრეფიკინგი, თუმცა ჩინეთის მოქალაქეები აგრეთვე ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლები საზღვარგარეთ – აფრიკის, აზიის, ევროპის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. ჩინელი ქალები ხშირად ხდებიან სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლები ტაივანში, ტაილანდში, მალაიზიაში და იაპონიაში. ქალები და ბავშვები მონღოლეთიდან, ბურმადან, ჩრდილოეთ კორეიდან, რუსეთიდან და ვიეტნამიდან ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლები ჩინეთში. ექსპერტებს მიაჩნიათ რომ ჩინეთის აკრძალვამ ოჯახებს ყოლოდათ ერთ შვილზე მეტი, გამოიწვია ქალისა და მამაკაცის შობადობის ბალანსის დარღვევა, რამაც შედეგად მოიტანა ქალთა ტრეფიკინგის გაზრდა, მათზე დაქორწინების მიზნით.

ჩინეთი კვლავ აგრძელებს ტრეფიკინგის მსხვერპლებისადმი, როგორც დამნაშავეებისადმი, მიდგომას და რეგულარულად უკეთებს დეპორტს ტრეფიკინგის მსხვერპლებს ჩრდილოეთ კორეაში, სადაც ისინი საშინელ პირობებში ხვდებიან. ჩინეთში პროსტიტუცია აკრძალულია და სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლებისადმი მიდგომა არის ისეთივე,

<sup>186</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.126-129 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

როგორც პროსტიტუციაში ჩაბმული კრიმინალებისადმი. ეს მიდგომა გულის უცრუებს ტრეფიკინგის მსხვერპლებს ითანამშრომლონ სამართალდამცველებთან, რადგან ისინი შეიძლება დააკავონ პროსტიტუციაში მონაწილეობისთვის ან მოახდინონ მათი დეპორტაცია წარმოშობის ქვეყანაში, სადაც ისინი მძიმე პირობებში აღმოჩნდებიან<sup>187</sup>.

1991 წელს ჩინეთის კონგრესმა კრიმინალიზება გაუკეთა ქალთა ყიდვას მიიღო რა „გადაწყვეტილება დამნაშავეების მკაცრად დასჯის შესახებ, რომლებიც იტაცებენ და იძულებით მიჰყავთ ქალები და ბავშვები“<sup>188</sup>. ამ გადაწყვეტილებით ქალების და ბავშვების გატაცება და გაყიდვა ცალ-ცალკე დანაშაული გახდა. მანამდე ბევრი ადამიანით მოვაჭრე, რომელიც ყიდიდა ქალს, რომელიც თვითონ არ ჰყავდა გატაცებული, არ ისჯებოდა კანონის შესაბამისად.

1992 წელს კანონი ქალთა უფლებების და ინტერესების დაცვის შესახებ<sup>189</sup> იქნა მიღებული. ეს იყო საბაზისო კანონი ქალთა ინტერესების დასაცავად. კანონი კრძალავს ქალის გატაცებას, ტრეფიკინგს და ყიდვას, თუმცა კანონში არ არის გასაზღვრული კონკრეტული სასჯელი ამ დანაშაულებისთვის; აგრეთვე არ არის მოცემული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ცნება. თუმცა პირები, რომლებიც იყიდნენ გატაცებულ ქალებს და აიძულებენ მათ ჰქონდეთ სექსი, შეიძლება იყვნენ გასამართლებულნი ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლები 236, 241). სხვა ტიპის დანაშაული გატაცებულ ქალთა მიმართ, აგრეთვე ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 236 აწესებს სამიდან ათ წლამდე პატიმრობას გაუპატიურებისთვის, ხოლო 14 წლამდე გოგონების სექსუალური ექსპლუატაციისთვის შეიძლება იქნას მისჯილი სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა. მუხლი 240 ეხება ქალების და ბავშვების გატაცებას და ტრეფიკინგს, და ითვალისწინებს ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობას. ამ მუხლის შესაბამისად სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა შეიძლება დაეკისროს პირებს, რომლებიც გაიტაცებენ და ტრეფიკინგს გაუწევენ, გააუპატიურებენ ან პროსტიტუციაში ჩართავენ ქალებსა და ბავშვებს, მოიპარავენ ჩვილს გაყიდვის მიზნით ან გაყიდიან ჩინეთის ფარგლებს გარეთ. გატაცებული ქალებისა და ბავშვების შესყიდვა სამ წლამდე პატიმრობით ისჯება, თუმცა სასჯელი შეიძლება იყოს გაერთიანებული სხვა დანაშაულებთან, მაგალითად გაუპატიურებასთან. ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსში არ მოხდა იძულებით ან მოტყუებით კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩართვის კრიმინალიზაცია, აგრეთვე არ არის აკრძალული ტრეფიკინგის ყველა ფორმა, მაგალითად სავალო კაბალა.

მუხლი 240 არ ითვალისწინებს სასჯელს მამაკაცთა ტრეფიკინგისთვის, ხოლო თვითონ მუხლში მოყვანილი ქმედებები არ არის კავშირში

<sup>187</sup> Tiefenbrun Susan (2008) *Human trafficking in China*, The University of St. Thomas Law Journal Vol. 6, Issue 1, გვ. 250.

<sup>188</sup> „Decision Relating to the Severe Punishment of Criminals Who Abduct and Kidnap Women and Children“ <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>189</sup> Law on the Protection of Women's Rights and Interests (LPWRI).

ექსპლუატაციის მიზანთან, როგორცაა მაგალითად იძულებითი შრომა ან იძულებითი პორსტიტუცია<sup>190</sup>.

2016 წელს ჩინეთის უზენაესმა სასამართლომ განმარტა მუხლი 240, განაცხადა რა, რომ „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, თუ რა იყო მიზანი. უზენაესი სასამართლო დასჯის ტრეფიკინგის და ადამიანის შესყიდვის ნებისმიერ ფაქტს, მიუხედავად მსხვერპლის სქესისა, ასაკისა და ეროვნებისა და რა იყოს მსხვერპლის ყიდვა-გაყიდვის მიზანი.“

მუხლი 358 კრძალავს პროსტიტუციის ორგანიზებას ან იძულებით პროსტიტუციაში ჩართვას და პატიმრობა განსაზღვრულია ხუთიდან ათ წლამდე, დამამძიმებელ გარემოებებში განსაზღვრულია სამუდამო პატიმრობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მუხლში იძულებითი პროსტიტუციის და პროსტიტუციის განმარტება ძალიან ფართოა. მუხლი 359 ეხება 14 წლამდე გოგონათა ჩართვას პროსტიტუციაში, მაგარამ არაფერია ნათქვამი 18 წლამდე ბიჭების პროსტიტუციაში ჩართვაზე ან 14-18 წლის გოგონების პროსტიტუციაში ჩართვაზე. თუმცა ჩინეთის ორი პროვინციის სასამართლოებმა განავრცეს ეს მუხლები და მათი გამოყენება მოხდა მამაკაცებზეც, ქალებზეც და ბავშვებზეც.

მუხლი 244 კრძალავს პირის მუშაობის იძულებას და გათვალისწინებულია პატიმრობა სამიდან ათ წლამდე და ჯარიმა. ამ მუხლით ბრალეულობა ვრცელდება გადამბირებელზე, გადამყვანზე და დამხმარეზე, რომელმაც „აიძულა სხვა ემუშავა“. თუმცა საბოლოოდ გამოდის რომ თუ ეს ადამიანი ერთი პირი არაა, მაშინ ხდება მხოლოდ დამქირავებლის/ექსპლუატაციის გამწევი პირის დასჯა, რადგან გადამბირებლის და გადამყვანის ბრალეულობას უნდა ჰქონდეს ექსპლუატაციის მიზანი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რაც ამ მუხლში არ არის მოყვანილი.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშის<sup>191</sup> მიხედვით გაუგებარია ჩინეთის კანონმდებლობის მიხედვით ყველა 18 წლამდე პროსტიტუციაში ჩართული ბავშვი ითვლება თუ არა ტრეფიკინგის მსხვერპლად, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა მათი იძულება.

1991 წელს იქნა მიღებული კანონი არასრულწლოვანთა დაცვაზე, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2006 წელს (ძალაში შევიდა 2007 წელს). კანონი კონკრეტულად კრძალავს არასრულწლოვანთა ტრეფიკინგს, გატაცებას და სექსუალურ ექსპლუატაციას.

2007 წელს დაფუძნდა ბავშვებისა და ქალების ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ოფისი.

<sup>190</sup> ხოლო საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები ტრეფიკინგს განმარტავენ ექსპლუატაციის მიზნის არსებობით.

<sup>191</sup> <http://www.state.gov/documents/organization/243558.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

#### 4.14. იამაიკა

იამაიკა<sup>192</sup> არის წყარო და შიდა ტრეფიკინგის დანიშნულების ქვეყანა. ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები და არასრულწლოვნები იამაიკიდან ხვდებიან ღამის კლუბებში, ბარებში, მასაჟის სალონებში და სახლებში კარიბიის ზღვის ქვეყნებში, კანადაში, აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში. უცხოელი მიგრანტები ხდებიან იამაიკაში შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლები სათევზაო გემებზე და ფერმებში. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებების შესაბამისად, იამაიკაში ტურისტულ ადგილებში არსებობს ბავშვთა სექს ტურიზმი. ქვეყნის ფარგლებში ბევრი არასრულწლოვანი ითვლება დაკარგულად და სავარაუდოდ, ისინი არიან სექსუალური და შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლები.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობის შექმნაში რამდენიმე მიდგომაა:

- 1) პირველი ტიპის მიდგომა არის ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, არსებულ კოდექსებში ცვლილების შეტანა, ტიპიურად სისხლის სამართლის კოდექსში და შრომის კოდექსში. ამის დადებითი მხარე არის, რომ ამ მიდგომით ქვეყნის კანონმდებლობაში გრძელვადიანად შედის ტრეფიკინგთან ბრძოლის მუხლები. უარყოფითი მხარე კი არის, რომ ამ მიდგომაში დავიწყებულია ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებები, მათი დახმარება, და აგრეთვე სახელმწიფო არ არის ორიენტირებული ტრეფიკინგის პრევენციაზე, სპეციალური პროგრამების გატარებაზე დანაშაულის პრევენციისთვის.
- 2) მეორე ტიპის მიდგომაა, სპეციალური კანონის მიღება, რომელიც პრაქტიკულად იმეორებს „პალერმოს ოქმში“ ჩამოთვლილ ვალდებულებებს. ამ ტიპის მიდგომაში გათვალისწინებულია „სამი პ-ს პრინციპი“.<sup>193</sup>

იამაიკის მთავრობა მეორე გზით წავიდა და 2007 წელს მიიღო ადამიანით ვაჭრობის (პრევენციის, აღკვეთის და დასჯის) აქტი. შეიძლება ითქვას, რომ კარიბიის ზღვის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში იამაიკის კანონი ყველაზე კარგადაა შედგენილი. იგი დაყოფილია 4 ნაწილად:

- 1) პირველ ნაწილში ახსნილია ტრეფიკინგის დეფინიცია, მასში მოყვანილია აქტის შექმნის მიზანი.
- 2) მეორე ნაწილში ახსნილია ტრეფიკინგის ეტაპები და ფორმები, ექსპლუატაციის მიზანი, და მოყვანილია სასჯელის ზომები: ათ წლამდე პატიმრობა და ჯარიმა. იგივე სასჯელია განსაზღვრული პირისთვის, ვინც მიიღო შემოსავალი/მოგება ტრეფიკინგის მსხვერპლის ექსპლუატაციიდან. დანაშაულის მცდელობაც დასჯადად ითვლება, მიუხედავად იმისა თუ რა შედეგი დადგა. დანაშაულის ჩამდენი აგრეთვე შეიძლება იყოს იურიდიული პირი.

<sup>192</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.223-225 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>193</sup> Cicero-Dominguez Salvador A. (2011) *Lessons from the Road: Ecuador, Jamaica, and Other Efforts to Combat Trafficking in Persons in the Americas*, Northern Illinois University Law Review, Vol. 31, Issue 3, გვ. 534-537.

ეს ნაწილი მნიშვნელოვანია მსხვერპლთა დაცვის თვალსაზრისით, რადგან ჩამორთმეული ფინანსური საშუალებებით შესაძლებელია მსხვერპლებისთვის თავშესაფრების დაარსება და მათთვის სხვა სარეაბილიტაციო ტიპის მომსახურების გაწევა.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი ამ ნაწილში, არის ტრეფიკინგს მსხვერპლად ყოფნის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის არ დაწესება. მართალია დრო სჭირდება სამართალდამცველების პერსპექტივის შეცვლას ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით თუ მსხვერპლი აქტიურად იყო ჩართული დანაშაულებრივ საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ მას აიძულებდნენ ამ ქმედებების ჩადენას.

ქ) მესამე ნაწილი ეძღვნება მსხვერპლთა დახმარებას და დაცვას. დახმარება გამოიხატება მსხვერპლისთვის თავშესაფრის შეთავაზებაში, საიმპერაციო სტატუსის მინიჭებაში<sup>194</sup>, და ეკონომიკური დახმარების გაწევაში, რათა მსხვერპლმა მოახერხოს ქვეყანაში ცხოვრება, საზოგადოებაში რეინტეგრაცია და მოხდეს ადმიანთ მოვაჭრეების სისხლისსამართლებრივი დევნა. მსხვერპლებისთვის ეფექტურად დახმარებისთვის სახელმწიფო თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კანონში ნაპოვნია სწორი ბალანსი ბრალდებულის უფლებას დაუპირისპირდეს პირს, ვინც მას ბრალს სდებს, და მსხვერპლის დაცვის საჭიროებას შორის. იქმნება მსხვერპლის დაცვის სპეციალური ზომები, რომლის მიხედვითაც თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია, ან მძიმე ფსიქოლოგიური ტრამვა გადაიტანა, სასამართლო პროცესი დახურული უნდა იყოს.

ამავე ნაწილში მოყვანილია მსხვერპლის საკუთარ ქვეყანაში მშვიდობიანი დაბრუნების რეგულაციები. სამწუხაროდ, ამ აქტში არ არის დარეგულირებული მსხვერპლის მუდმივი ბინადრობის საკითხი, თუ მსხვერპლს უნდა იამაიკაში დარჩენა, თუმცა მთავრობას შეუძლია მიიღოს სპეციალური ზომები, რათა უზრუნველყოს მსხვერპლი, რომელსაც არ აქვს უფლება დარჩეს ან ცხოვრობდეს იამაიკაში, საცხოვრებელი პირობებით და გაუწიოს სხვა მას სახის დახმარება.

ქ) საბოლოოდ, მეოთხე ნაწილი შეეხება პროცედურულ საკითხებს: სამართალდამცველების მიერ ორდერის მიღების პროცედურები ჩხრეკის და ქონების კონფისკაციის ჩასატარებლად, სამართალდამცველებისთვის ხელისშეშლის და მათი დაშინების შემთხვევების რეგულირება<sup>195</sup>, ამ აქტში მოყვანილი ჯარიმის გაზრდის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება და ა.შ.

სამწუხაროდ, ეს კანონი ნაკლებად არეგულირებს ტრეფიკინგის პრევენციის საკითხებს.

2014 წლის აპრილში მიღებული იქნა სისხლის სამართლის იუსტიციის აქტი, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირების წინააღმდეგ, რომლებიც არიან

<sup>194</sup> თუ მსხვერპლი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

<sup>195</sup> ჯარიმა ან პატიმრობა მაქსიმუმ 6 თვემდე ვადით.

„დანაშაულებრივი ორგანიზაციის“ წევრები. ამ დანაშაულისთვის განსაზღვრულია 15 წლამდე პატიმრობა.

## 4.2. კანონმდებლობა დანიშნულების ქვეყნებში

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ ისრაელის, საბერძნეთის, ფინეთის, თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობას ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში. ძირითადად ამ ქვეყნებში მიემგზავრებიან შრომითი მიგრანტები საქართველოდან.

### 4.2.1. ისრაელი

ისრაელი<sup>196</sup> არის დანიშნულების ადგილი ათასობით ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის. ისრაელს აქვს ისეთი ადგილმდებარეობა, რომ ადვილად მისაღწევია აფრიკიდანაც, ევროპიდანაც და აზიიდანაც, და აგრეთვე არსებობს ეგვიპტიდან ისრაელში საზღვარზე უკანონოდ გადასვლის საკმაოდ ადვილი შესაძლებლობა. ამიტომ, ისრაელი არის დანიშნულების და ტრანზიტის ქვეყანა მიგრანტებისთვის და ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის. ამასთან, ისრაელში არსებული ლეგალიზირებული პროსტიტუცია<sup>197</sup>, განვითარებული ეკონომიკა, მესამე ქვეყნების წარმომადგენლების სურვილი, მოხვდნენ ამ ქვეყანაში, ისრაელის მოსახლეობის დაბერება, რომლებსაც მომვლენები სჭირდებათ, ხელს უწყობს ისრაელში ტრეფიკინგის არსებობას. ისრაელის საზოგადოების სოციალური წყობა და ღირებულებები იძლევა საშუალებას არსებობდეს უცხოელი მუშახელის ექსპლუატაციის მძიმე ფორმები. უცხოელი მუშახელი ძირითადად დაუცველია და არ იცის ისრაელში არსებული სამართლებრივი სისტემა<sup>198</sup>.

ისრაელმა შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში 2000 წელს და 2002 წელს მიიღო ტრეფიკინგთან ბრძოლის აქტი, რომლითაც მსხვერპლებს მიენიჭათ სხვადასხვა უფლებები, მაგალითად სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლს შუძლია დარჩეს თავშესაფარში სანამ მისი საქმის გამოძიება მიმდინარეობს და ხდება ადამიანით მოვაჭრეს სისხლისსამართლებრივი დევნა, მსხვერპლს ენიჭება ერთწლიანი ვიზა და მუშაობის უფლება, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლია გააგრძელოს ერთწლიანი-ვიზის მოქმედება. იურიდიული დახმარების ოფისი უწევს უფასო სამართლებრივ დახმარებას ტრეფიკინგის მსხვერპლებს როგორც საზღვრის გადაკვეთის დარღვევების, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებში, რომლებიც დაკავშირებულია ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის პერიოდთან. ბრალდებას შეუძლია მოითხოვოს მსხვერპლისთვის კომპენსაცია სისხლის სამართლის საქმის

<sup>196</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.218-221 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>197</sup> სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები ძირითადად არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან.

<sup>198</sup> Leevan Sarah (2008) *Comparative treatment of human trafficking in the United States & Israel: financial tools to encourage Victim rehabilitation and prevent trafficking*, Cardozo Public Law, Policy and Ethics Journal Vol. 6, Issue 3, გვ. 775.

მიმდინარეობის დროს, დაახლოებით 40,000 აშშ დოლარამდე ფარგლებში. თუ საქმე საპროცესო გარიგებით სრულდება, უმეტესად მასში გათვალისწინებულია მსხვერპლისთვის მისაცემი კომპენსაცია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სტიგმადან გამომდინარე, მთავრობა ფრთხილობს ჩადოს თანხა სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლების რეაბილიტაციაში, ჯანდაცვის სამინისტრომ დაარსა კლინიკები თელავიში და ჰაიფაში, რათა მსხვერპლებს გაეწიოთ უფასო სამედიცინო მომსახურება სექსუალურად გადამდები დაავადებების და ფსიქოლოგიური კონსულტაციის სფეროებში. მსხვერპლების მშვიდობიანი დაბრუნება ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში.

2006 წლის ოქტომბერში ისრაელმა განაახლა ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობა, შეიტანა რა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში. ამ ცვლილების მიზანი იყო გაძლიერებულიყო ტრეფიკინგთან ბრძოლა და ისრაელს მოეყვანა საკუთარი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, რისი ვალდებულებაც რატიფიცირებული კონვენციებით ჰქონდა. ახალი კანონმდებლობის მიხედვით ტრეფიკინგის დანაშაული 16 წლამდე პატიმრობით ისჯება, ხოლო არასრულწლოვნის ტრეფიკინგი 20 წლამდე პატიმრობით. აგრეთვე 16 წლიანი პატიმრობაა გათვალისწინებული მონობისთვის და 7 წლამდე პატიმრობა იძულებითი შრომისთვის. აგრეთვე პირის ნების საწინააღმდეგოდ პასპორტის ჩამორთმევა ისჯება პატიმრობით სამიდან ხუთ წლამდე. სასამართლოს მიერ ზოგიერთ შემთხვევაში ტრეფიკინგის დანაშაულისათვის მისჯილი პატიმრობის ვადა არაადეკვატურად მცირეა. ისრაელში მომსამართლეს აქვს უფლება მიუსაჯოს ბრალდებულს უფრო ნაკლები ვადა, ვიდრე გათვალისწინებულია, თუმცა ამისთვის უნდა დაწეროს ცალკე მოტივირებული დასაბუთება<sup>199</sup>.

ისრაელის სამართალდამცველები ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების ერთ-ერთ პრობლემად ასახელებდნენ მსხვერპლების უარს იმონაწილეონ ტრეფიკინგის გამოძიების საქმეში. მათ არ უნდათ დარჩნენ ისრაელში და მისცენ ჩვენება ადამიანით მოვაჭრეს წინააღმდეგ, არამედ ურჩევნიათ დააბრუნონ თავიანთ ქვეყნებში<sup>200</sup>.

#### 4.2.2. საბერძნეთი

საბერძნეთი<sup>201</sup> ტრეფიკინგის მსხვერპლების ტრანზიტის და დანიშნულების ქვეყანაა, და ძალიან იშვიათ შემთხვევებში, წარმოშობის ქვეყანა. შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლები ჩამოყავთ აღმოსავლეთ ევროპიდან, სამხრეთ აზიიდან და აფრიკიდან. შრომითი მიგრანტები ხვდებიან სავალო კაბალის ტყვეობაში, უმეტესად სოფლის მეურნეობის სფეროში.

<sup>199</sup> იქვე

<sup>200</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ტრეფიკინგის ანგარიში* გვ.193-195 <http://www.state.gov/documents/organization/243559.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>201</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში*, გვ.184-186 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

2016-2017 წწ. საბერძნეთში ხორციელდებოდა ზრდადი მიგრაცია ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან. ამ პირებს შორის ძირითადად იყვნენ თავშესაფრის მაძიებელნი, პოტენციური ლტოლვილები, ეკონომიკური მიგრანტები. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით<sup>202</sup> 2016 წელს საბერძნეთმა მიიღო 170,000 მიგრანტი და თავშესაფრის მაძიებელი. მოსახლეობის ეს ფენა არის განსაკუთრებულად მოწყვლადი ტრეფიკინგის დანაშაულის მიმართ.

საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსში 2002 წლიდან სამი მუხლი ახდენს ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაციას – მუხლი 351 „პორსტიტუციაში ჩართვა“, მუხლი 349 „პროსტიტუციის ხელშეწყობა“ და მუხლი 323ა „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“<sup>203</sup>. მუხლი 323 შეეხება შრომით ექსპლუატაციას და დანაშაულისთვის განსაზღვრულია 10 წლამდე პატიმრობა და ჯარიმა 10,000-50,000 ევრომდე. არასრულწლოვანი მსხვერპლის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, სასჯელად განსაზღვრულია მინიმუმ 10 წლამდე პატიმრობა და ჯარიმა 50,000-100,000 ევრომდე. იგივე სასჯელია განსაზღვრული არასრულწლოვნის გადაბირებისთვის, შეიარაღებულ კონფლიქტში ჩასართავად. მინიმუმ ექვს თვემდე პატიმრობაა განსაზღვრული პირისთვის, რომელმაც შეგნებულად მიიღო ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურება. მუხლი 351 შეეხება სექსუალურ ექსპლუატაციას და დანაშაულისთვის 10 წლამდე პატიმრობას, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში, მინიმუმ 10 წლამდე პატიმრობას და 50,000-100,000 ევრომდე ჯარიმას ითვალისწინებს. თუ ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად მსხვერპლმა სერიოზული დაზიანება მიიღო, გათვალისწინებული პატიმრობა მინიმუმ 10 წლამდე, ხოლო თუ დანაშაულის შედეგად მსხვერპლი გარდაიცვალა, გათვალისწინებულია სამუდამო პატიმრობა<sup>204</sup>.

2003 წელს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა №233 ბრძანებულებას „სისხლის სამართლის კოდექსის 323, 323ა, 349, 351 და 351ა მუხლებში ჩამოთვლილი დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“<sup>205</sup>. ბრძანებულებით განისაზღვრა მსხვერპლის ვინაობა, მათი დახმარების წესი, შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის წესი და ა.შ. ბრძანებულება შეეხება ყველა ტრეფიკინგის მსხვერპლს, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა და მსხვერპლთა დაცვა არ არის დამოკიდებული ფაქტზე ითანამშრომლებენ თუ არა ისინი სამართალდამცავ ორგანოებთან<sup>206</sup>.

<sup>202</sup> *Mediterranean Migrant Arrivals in 2016: 169,060; Deaths: 620*, IOM, <https://reliefweb.int/report/greece/mediterranean-migrant-arrivals-2016-169060-deaths-620> , <http://www.iom.int/news/mediterranean-migrant-arrivals-2016-169846-deaths-620> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).  
<sup>203</sup> [http://www.unodc.org/documents/data-and-analysis/glotip/Glotip16\\_Country\\_profile\\_WC\\_Europe.pdf](http://www.unodc.org/documents/data-and-analysis/glotip/Glotip16_Country_profile_WC_Europe.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).  
<sup>204</sup> *Children's Rights: Greece* (2007) Law Library of Congress, გვ.10, <https://www.loc.gov/law/help/child-rights/pdfs/ChildrensRights-Greece.pdf>, (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/12/2017).  
<sup>205</sup> [http://www.warnathgroup.com/wp-content/uploads/2015/03/Greece-Presidential-Decree-233\\_2003.pdf](http://www.warnathgroup.com/wp-content/uploads/2015/03/Greece-Presidential-Decree-233_2003.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).  
<sup>206</sup> *Speech of Christos D. Naintos PhD, Deputy Public Prosecutor Greece on Judges Summit on Human Trafficking and organized crime* (3-4 June, 2016), Vatican City



2010 წელს საბერძნეთმა გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის კონვენციის რატიფიკაციასთან<sup>207</sup> დაკავშირებით ცვლილება შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში და უფასო სამართლებრივი დახმარება ტრეფიკინგის მსხვერპლებზეც გავრცელდა. 2009 წლიდან კი ტრეფიკინგის მსხვერპლებს მიენიჭათ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

2013 წელს საბერძნეთმა განახორციელა ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება და იმავე წელს მიიღო „კანონი<sup>208</sup> ტრეფიკინგი პრევენციისა და მასთან ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვის შესახებ“<sup>209</sup>. კანონის შესაბამისად, ჩამოყალიბდა ეროვნული მომსახურების ოფისი, რომელიც ანგარიშვალდებულია არაფორმალური კოორდინაციის მექანიზმის წინაშე, რომელიც შედგება შესაბამისი სამინისტროების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან<sup>210</sup>.

ცალკე სპეციალური სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლისათვის საბერძნეთში არ არის<sup>211</sup>.

### 4.2.3. ფინეთი

ფინეთი<sup>212</sup> არის ტრეფიკინგის მსხვერპლების ტრანზიტის და დანიშნულების ქვეყანა. ძირითადად ხდება ქალების და გოგონების სექსუალური ტრეფიკინგი, თუმცა შრომითი ტრეფიკინგის შემთხვევებიც ფიქსირდება. შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლები ძირითადად არიან აღმოსავლეთ ევროპიდან და აზიიდან და ხვდებიან მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, კვების, მეტალის გადამამუშავებელ და სატრანსპორტო წარმოებებში, აგრეთვე დასაქმებულნი არიან შინამეურნეობებში. სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლები არიან ჩეხეთიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიიდან, ნიგერიიდან,

---

<http://www.endslavery.va/content/endslavery/en/publications/judges/naintos.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).

<sup>207</sup> საბერძნეთში კონვენციის რატიფიცირება 11/01/2011 წ. განხორციელდა

[https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XVIII-12&chapter=18&clang=\\_en](https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XVIII-12&chapter=18&clang=_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).

<sup>208</sup> Law №4198/2013 on preventing and combating trafficking in human beings and protecting its victims, and other provisions.

<sup>209</sup> [http://www.ilo.org/dyn/natlex/natlex4.detail?p\\_lang=en&p\\_isn=100467](http://www.ilo.org/dyn/natlex/natlex4.detail?p_lang=en&p_isn=100467) .

<sup>210</sup> Greece - 2. Institutional and Legal Framework, European Commission, (last update 11/10/2017)

[https://ec.europa.eu/anti-trafficking/member-states/greece-2-institutional-and-legal-framework\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/member-states/greece-2-institutional-and-legal-framework_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).

<sup>211</sup> Report concerning the implementation of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings by Greece, First evaluation round, (2017) Secretariat of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings (GRETA and Committee of the Parties), გვ.13, <https://rm.coe.int/greta-2017-27-fgr-gre-en/168075f2b6>, (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/12/2017).

<sup>212</sup> Latomaa Sari (2014) *Human trafficking in Finland*, Intercultural Human Rights Law Review Vol.9, გვ.234.

პოლონეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და აფრიკის ქვეყნებიდან<sup>213</sup>.

ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზება მოხდა ფინეთის კანონმდებლობაში 2004 წელს. მანამდე ეს დანაშაული დისკრიმინაციის ან პროსტიტუციის მუხლით იხდებოდა. სისხლის სამართლის კოდექსი აყალიბებს ტრეფიკინგის სამ ფორმას: სექსუალური ძალადობა და პროსტიტუცია, იძულებითი შრომა და სხვა ტიპის დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენება, და ფინანსური მოგებისთვის ორგანოებით ვაჭრობა. თუ მსხვერპლი 18 წლამდე ასაკისაა, მნიშვნელობა არ აქვს იყო თუ არა მის მიმართ ძალადობა ან იძულება გამოყენებული. სასჯელი ტრეფიკინგის დანაშაულისთვის არის მინიმუმ ოთხი თვის და მაქსიმუმ 6 წლის პატიმრობა. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება, თუ გამოყენებული იქნა ძალადობა, ან ძალადობის მუქარა, გამოიწვია მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანება ან მსხვერპლი არასრულწლოვანია, ან დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ იყო ჩადენილი, და სასჯელი ორიდან ათ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. აგრეთვე დასჯადია მსგავსი დანაშაულის შესახებ ცოდნა და შესაბამისი ორგანოებისთვის არ შეტყობინება.

ფინეთის კანონმდებლობის შესაბამისად, თუ მსხვერპლი არალეგალურად შემოვიდა ქვეყანაში, მათ ეპატიებათ სასაზღვრო კანონმდებლობის დარღვევა.

ფინეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ტრეფიკინგის დანაშაული და შუამავლობის/მაჭანკლობის დანაშაული საკმაოდ გავს ერთმანეთს და ხშირად მათი აღრევა ხდება. შუამავლობა/მაჭანკლობა ძირითადად გულისხმობს კომერციული სექსუალური მომსახურებით დაკავებული პირების სუტინორობას, ამ შემთხვევაში პირები კომერციული სექსუალური მომსახურებაში თავისი ნებით ერთვებიან. თუმცა კონკრეტულად სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი ითვალისწინებს პროსტიტუციაში მოტყუებით ან იძულებით ჩართვას ფინანსური სარგებლის მისაღებად და ითვალისწინებს ჯარიმას ან სამ წლამდე პატიმრობას. მცდელობაც დანაშაულად განიხილება. თუ მოხდა 18 წლამდე პირის პროსტიტუციაში ჩაბმა, ან დანაშაული სისტემატიურად ხდება დიდი ფინანსური მოგების მოსატანად, სასჯელი არის ოთხი თვიდან 6 წლამდე პატიმრობა.

აგრეთვე ფინეთის კანონმდებლობა დასჯადად აღიარებს სამუშაო დისკრიმინაციას და ამისთვის ჯარიმას ან 6 თვემდე პატიმრობას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ შრომითი ტრეფიკინგი თავისთავად გულისხმობს შრომით დისკრიმინაციას, ხდება ამ დანაშაულების აღრევა. ფინეთის კანონმდებლობის მიხედვით, ტრეფიკინგის მსხვერპლს აქვს რიგი უფლებები და სახელწიფო მათ დახმარებას უწევს, ხოლო თუ ისინი პროსტიტუციაში ჩართვის ან

<sup>213</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.170-172 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

შრომითი დისკრიმინაციის მუხლებით ხდებიან დაზარალებულები, მაშინ მათ ეს დახმარება უკვე აღარ ეკუთვნით<sup>214</sup>.

ფინეთის კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია ტრეფიკინგის მსხვერპლის დეპორტირება. მსხვერპლს ეძლევა ბინადრობის უფლება თუ მიმდინარეობს ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიება და სასამართლო პროცესი და მსხვერპლი თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან. თუ მსხვერპლი განაკუთრებით უმწეო მდგომარეობაშია, მას მუდმივი ბინადრობის უფლება მიეცემა; ბინადრობის უფლება შეიძლება მსხვერპლის ოჯახის წევრებსაც მიენიჭოთ. მსხვერპლს ეძლევა სამართალდამცველებთან თანამშრომლობისთვის მოსაფიქრებელი დრო ოცდაათი დღიდან ექვს თვემდე ვადით. ამ პერიოდში მსხვერპლს უწევს ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და სხვა სახის დახმარებას, ათავსებენ თავშესაფარში და ა.შ. თუ მსხვერპლის გადაწყვეტს თავის ქვეყანაში დაბრუნებას და არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, სახელმწიფო უზრუნველყოფს მის მშვიდობიანად დაბრუნებას.

2010 წელს მიღებული ინტეგრაციის წახალისების აქტი<sup>215</sup> მოიცავს მსხვერპლთა დახმარების და მათთვის გაწეული სერვისების ანაზღაურების წესს, აგრეთვე ყველა არასრულწლოვანი ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის, რომელიც ქვეყანაში მეურვეს გარეშე იმყოფება, წარმომადგენლის დანიშვნას. 2011 წელს მიღებული საერთაშორისო დახმარების მაძიებელი პირების აქტი<sup>216</sup> მოიცავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სახელმძღვანელო პრინციპებს. ჩამოყალიბებულია თუ რა ტიპის დახმარება უნდა გაეწიოს მსხვერპლს, რომელმაც ორგანიზაციამ უნდა გასწიოს ეს დახმარება და როგორ ხდება დახმარების სისტემის მონიტორინგი.

#### 4.2.4. თურქეთი

თურქეთი<sup>217</sup> არის ქალების, მამაკაცებისა და ბავშვებისთვის სექსუალური და შრომითი ტრეფიკინგის დანიშნულების და ტრანზიტის ქვეყანა, და ნაკლებად წყარო ქვეყანა. ტრეფიკინგის მსხვერპლები არიან ცენტრალური და სამხრეთ აზიიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან, სირიიდან და მაროკოდან, აგრეთვე საქართველოდან. თურქი ქალები ხდებიან შიდა სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლები.

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 80-ე მუხლი<sup>218</sup> კრძალავს სექსუალურ და შრომით ტრეფიკინგს იძულების, მუქარის, თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით და ითვალისწინებს სასჯელს რვიდან თორმეტ წლამდე პატიმრობას და ჯარიმას. მსხვერპლის წინასწარ თანხმობას არ აქვს მნიშვნელობა ამ დანაშაულის ბრალეულობისთვის. ამ მუხლში აგრეთვე გათვალისწინებული არის

<sup>214</sup> Latomaa Sari (2014) *Human trafficking in Finland*, Intercultural Human Rights Law Review vol.9, გვ. 236-238.

<sup>215</sup> Act on Promotion of Immigrant Integration (Act No. 1386/2010).

<sup>216</sup> Act on Reception of Persons Seeking for International Assistance (Act. No.746/2011).

<sup>217</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.400-402

<https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>218</sup> შეტანილ იქნა 2005 წელს.

იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაული – სასჯელი ლიცენზიის შეწყვეტა და დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლის კონფისკაცია. მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, 18 წლამდე პირის გადაბირება, მოტაცება, ტრანსპორტირება ან გადაყვანა, შეფარება თუ იყო ტრეფიკინგის მიზანი, აგრეთვე დასჯადია.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 227 შეეხება პროსტიტუციაში ჩართვას. პირველი ნაწილი კრძალავს ბავშვთა ტრეფიკინგის ხელშეწყობას და ითვალისწინებს ოთხიდან 10 წლამდე პატიმრობას და ჯარიმას. ამ დანაშაულის მცდელობაც დასჯადია.

არსებითად, არ არსებობს კონკრეტული რეგულაციები ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები გამოიყენება ყველა დანაშაულის მსხვერპლისთვის, როგორცაა უფასო თარჯიმნის უფლება, მტკიცებულებათა შეგროვების და გამოძიებისგან ნებისმიერი დოკუმენტის ასლის მოთხოვნის უფლება, ადვოკატით სარგებლობის უფლება გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს, ა.შ. მსხვერპლი, რომლის ფსიქიკა მძიმედ იქნა დაზიანებული დანაშაულის შედეგად, შეიძლება იქნეს დაკითხული მხოლოდ ერთხელ სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო პროცესის დროს.

არასრულწლოვანი მსხვერპლის და იმ მსხვერპლის დაკითხვის დროს, ვისი ფსიქიკაც მძიმედ იქნა დაზიანებული დანაშაულის შედეგად, აუცილებელია ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ექიმის, ან პედაგოგის დასწრება. გარდა ამისა, თურქეთის სასამართლოს შეუძლია ჩაატაროს ექსპერტის, მოწმის ან ბრალდებულის დაკითხვა აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის ტექნოლოგიის საშუალებით. მსხვერპლს აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის<sup>219</sup>.

2013 წელს იქნა მიღებული „უცხოელთა და საერთაშორისო დახმარების აქტი“, რომელიც იძლევა ტრეფიკინგის დანაშაულის სამართლებრივ განმარტებას და აყალიბებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებას მიეცეს სპეციალური ტიპის ბინადრობის უფლება, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს სამი წლის ვადით.

2002 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა „ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი ჯგუფი“, რომელიც შედგება თურქეთის ხელისუფლების შესაბამისი ოფიციალური პირებისგან. პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა მომზადდა ეროვნული სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცდა პრემიერ-მინისტრის მიერ 2003 წლის მარტში; ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხების ეროვნული კოორდინატორია საგარეო საქმეთა სამინისტრო.

2016 წლის იანვარში თურქეთმა რატიფიცირება გაუკეთა ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმი. ამავე

<sup>219</sup> *Turkey's effort to fight against human trafficking* (2008) Speech of Dr. Iknur Altunta Public Prosecutor of the Court of Cassation Ankara, Turkey on European Commission Salzburg Forum [http://ec.europa.eu/enlargement/taiaex/dyn/create\\_speech.jsp?speechID=10295&key=86a66405e9066c9e78d0dee53191d392](http://ec.europa.eu/enlargement/taiaex/dyn/create_speech.jsp?speechID=10295&key=86a66405e9066c9e78d0dee53191d392) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

დროს მთავრობამ მიიღო რეგულაციები, რომლებიც საშუალებას აძლევს სირიელ ლტოლვილებს გაიარონ რეგისტრაცია, რათა შესძლონ დროებით ლეგალურად იმუშაონ თურქეთში და იქნენ დაცულები.

#### 4.2.5. ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-მ მიიღო „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტი“ 2000 წელს<sup>220</sup>. აქტში ცვლილება რამდენჯერმე შევიდა – 2003, 2006, 2008, 2013 და 2015 წლებში. ამჟამად აქტი არის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ხორციელდებოდეს ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლა როგორც აშშ-ს შიგნით, ასევე მთელს მსოფლიოში. აქტის შესაბამისად შეიქმნა სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან ბრძოლისა და მონიტორინგის ოფისი სახელმწიფო დეპარტამენტში და პრეზიდენტთან არსებული ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან ბრძოლისა და მონიტორინგის უწყებათაშორისი სპეციალური ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმიანობას.

2003 წელს იქნა მიღებული „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის უფლებამოსილების გადანაწილების აქტი“, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფოებმა დაიწყეს მათ ქვეყანაში ტრეფიკინგის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისათვის, რომელიც ყოველწლიურ ანგარიშს ამზადებს.

„ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის“ მიღების შემდეგ აშშ-ს კოდექსში 18-ე ნაწილის „დანაშაული და სისხლისსამართლებრივი პროცედურები“ 77-ე თავში „პეონაჟი“<sup>221</sup>, მონობა და ადამიანობით ვაჭრობა“ შევიდა ცვლილება, რათა ასახულიყო ტრეფიკინგის ყველა ფორმა და გაზრდილიყო სასჯელის ზომები<sup>222</sup>. პეონაჟისთვის

<sup>220</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.415-420 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>221</sup> კაბალური დამოკიდებულება ვალის გადაუხდელობის გამო.

<sup>222</sup> ნაწილი 18, თავი 77 - პეონაჟი, მონობა და ადამიანობით ვაჭრობა

- ) § 1581 პეონაჟი, აღსრულების შეფერხება
- ) § 1582 ხომალდი მონებით ვაჭრობისთვის
- ) § 1583 შეტყუება მონობაში
- ) § 1584 გაყიდვა იძულებითი დამონებისთვის
- ) § 1585 გატაცება, დაკავება, ტრანსპორტირება ან მონათა გაყიდვა
- ) § 1586 ხომალდის მომსახურება მონებით ვაჭრობისთვის
- ) § 1587 ხომალდის ფლობა რომელზეც მონები არიან
- ) § 1588 მონათა ტრანსპორტირება ამერიკის შეერთებული შტატებიდან
- ) § 1589 იძულებითი შრომა
- ) § 1590 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) პეონაჟთან, მონობასთან, იძულებით დამონებასთან და იძულებით შრომისთან მიმართებით
- ) § 1591 ბავშვთა სექსუალური ტრეფიკინგი ან ძალის გამოყენებით, თადლითობით ან იძულებით
- ) § 1592 უკანონო ქმედება დოკუმენტებთან მიმართებით, რამაც ხელი შეუწყო ტრეფიკინგის, პეონაჟის, მონობის, იძულებითი დამონების ან იძულებით შრომის განხორციელებას
- ) § 1593 სავალდებულო რესტიტუცია

გათვალისწინებულია 20 წლამდე პატიმრობა, აგრეთვე დამამძიმებელ გარემოებებში გათვალისწინებულია სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა. აგრეთვე გაიზარდა მაქსიმალური სასჯელი (10-დან 20 წლამდე) პირის გატაცებისთვის ან პირის დარწმუნებისთვის იმოგზაუროს, საბოლოოდ მისი ექსპლუატაციისთვის გაყიდვის მიზნით. პირის შეფარება ან გაყიდვა მისი ექსპლუატაციის მიზნით აგრეთვე ისჯება 10-დან 20 წლამდე პატიმრობით.

2000 წელს აქტში იქნა დამატებული იძულებითი შრომის საკითხი. დანაშაულად ითვლება შეგნებულად შრომითი მომსახურების მიღება სხვა პირისგან მუქარით ან ფიზიკური შევიწროებით, ან ძალადობით ან ძალადობის მუქარით. მაქსიმალური სასჯელი გათვალისწინებულია 20 წლამდე პატიმრობა. მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი შრომის მუხლი დანაშაულად აღიარებს მხოლოდ პირებს, ვინც მიიღო ასეთი მომსახურება, ყველა ამ დანაშაულის ხელშემწყობი პირი აგრეთვე ითვლება დამნაშავედ და დაისჯება ჯარიმითა და 20 წლამდე პატიმრობით. მუდმივი პატიმრობა და გაზრდილი ჯარიმა არის განსაზღვრული თუ დანაშაულის შედეგად მსხვერპლი გარდაიცვლება ან სხვა დამამძიმებელი გარემოებების დროს. აგრეთვე დანაშაულად ითვლება პირისთვის საიმპერაციო დოკუმენტების ჩამორთმევა ან განადგურება, თუ საბოლოო მიზანი იყო პირის ექსპლუატაცია. სასჯელი ამ დანაშაულისთვის არის ჯარიმა და პატიმრობა. აგრეთვე იგივე სასჯელია განსაზღვრული ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის გადაადგილების შეზღუდვისთვის.

აქტში განსაზღვრულია სამოქალაქო პასუხისმგებლობა იმ პირებისთვის, ვინც შეგნებულად შეისყიდა იძულებითი შრომის მომსახურება, იყო შუამავალი ტრეფიკინგისგან მიღებული შემოსავლის ფინანსურ ოპერაციებში, და შეგნებულად მიიღო მონაწილეობა ბავშვთა ტრეფიკინგში.<sup>223</sup>

აქტში აგრეთვე განსაზღვრულია ტრეფიკინგის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების დებულებები. მაგალითად, სასამართლომ უნდა მოითხოვოს ბრალდებულისგან მსხვერპლის მორალური და ფიზიკური ზიანის ანაზღაურება. მიუხედავად ამ დებულებისა, მსხვერპლი ხშირად ვერ იღებს ანაზღაურებას, იმიტომ რომ ბრალდებულს აღარ აქვს თანხა<sup>224</sup> ან მოხდა ბრალდებულთან გარიგება სანამ განაჩენი იქნებოდა გამოტანილი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები სთავაზობენ ჩამორთმეული ქონებიდან იქნეს ანაზღაურებული მსხვერპლის ზიანი, ეს დებულება ჯერ არის შეტანილი აქტში.

- 1) § 1593a ფინანსური მოგება პეონაჟისგან, მონობისგან ან ტრეფიკინგისგან
- 2) § 1594 ზოგადი დებულებები
- 3) § 1595 სამოქალაქო ანაზღაურება
- 4) § 1596 დამატებითი იურისდიქცია კონკრეტულ ტრეფიკინგის დარღვევებზე
- 5) § 1597 საიმპერაციოს დოკუმენტებზე განხორციელებული უკანონო ქმედებები

<https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/part-I/chapter-77> ,  
<http://uscode.house.gov/browse/prelim@title22/chapter78&edition=prelim> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13/10/2017).

<sup>223</sup> საკმაოდ რთულია „შეგნებული ცოდნის“ დადასტურება, თუმცა აქ უფრო დაბალი სტანდარტია, ვიდრე „ექსპლუატაციის მიზნის განზრახვის“ დადგენის სტანდარტი.

<sup>224</sup> მოხდა მისი ქონების კონფისკაცია მთავრობის მიერ.

აქტი აგრეთვე ცნობს პირდაპირ კავშირს ეკონომიკურ უფლებებსა და ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობას შორის და ითვალისწინებს საერთაშორისო ეკონომიკური ინიციატივების წამოწყებას ტრეფიკინგის დანაშაულისადმი მოწყველადი მოსახლეობისთვის, რათა მოხდეს ქვეყანაში ტრეფიკინგის პრევენცია.

მიუხედავად იმისა, რომ აქტის დიდი ნაწილი ეძღვნება ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას, როგორც საზღვარგარეთ ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაცვის ღონისძიებები უფრო მიმართულია ტრეფიკინგის მძიმე ფორმის მსხვერპლებისაკენ. ასეთ მსხვერპლებს ენიჭებათ ისეთივე უფლებები, როგორც ლტოლვილებს, მიუხედავად მათი საიმიგრაციო სტატუსისა, თუმცა მსხვერპლი უნდა თანამშრომლობდეს სამართალდამცავ ორგანოებთან და აძლევდეს ჩვენებას ადამიანით მოვაჭრეს წინააღმდეგ. მათ ენიჭებათ T-ტიპის ვიზა და შეუძლიათ ქვეყანაში სამი წელი გაჩერება და შემდგომში მუდმივი ბინადრობის უფლების მიღება. თუ მსხვერპლი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, მაგრამ მისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება საშიშია, მთავრობა ცდილობს იპოვოს სხვა სამართლებრივი გზები მსხვერპლის დასახმარებლად.

ყოველწლიურად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს ტრეფიკინგის ანგარიშს, სადაც ხდება ქვეყნების შეფასება ადამიანით ვაჭრობის აღმოფხვრის მინიმალური სტანდარტების შესაბამისად<sup>225</sup>. ანგარიშში ხდება ქვეყნების განაწილება კალათების მიხედვით, იმის შესაბამისად თუ რა ღონისძიებებს ატარებს ქვეყნის მთავრობა ტრეფიკინგის დანაშაულის აღმოფხვრისათვის. ანგარიშში შეფასება ხდება „სამი პ-ს პრინციპით“ - ტრეფიკინგის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და ადამიანით მოვაჭრეების სისხლისსამართლებრივი დევნა და მოყვანილია ქვეყნისთვის რეკომენდაციები. თუ ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, აშშ-მ შეიძლება მის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები გაატაროს. მაგალითად 2006 წელს პრეზიდენტმა ბუშმა შეუმცირა 2007 წლის დაფინანსება ბურმას, ვენესუელას, ზიმბაბვეს, კუბას, კორეას, ირანს და სირიას, სანამ ეს ქვეყნები არ დააკმაყოფილებდნენ მინიმალურ სტანდარტებს ან არ განახორციელებდნენ მნიშვნელოვან ქმედებებს სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. პრეზიდენტმა ბუშმა ახსნა, რომ ეს სანქციები არ იყო პოლიტიკური<sup>226</sup>. აშშ ახდენს სხვა ქვეყნების ტრეფიკინგთან ბრძოლის შეფასებას, რადგან ეს არის ტრეფიკინგის დანაშაულის ერთგვარი პრევენცია თვითონ აშშ-ში, რადგან ამ ქვეყანაში მსხვერპლები სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან<sup>227</sup>.

2016 წლის თებერვალში პრეზიდენტმა ობამამ ხელი მოაწერა მეგანის საერთაშორისო კანონს სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების

<sup>225</sup> *Trafficking Victims Protection Act: Minimum Standards for the Elimination of Trafficking in Persons* (2000) <http://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2015/243371.htm> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>226</sup> Leevan Sarah (2008) *Comparative treatment of human trafficking in the United States & Israel: financial tools to encourage Victim rehabilitation and prevent trafficking*, *Cardozo Public Law, Policy and Ethics Journal* Vol. 6, Issue 3, გვ. 785.

<sup>227</sup> Schaffner Jessica E. (2014) *Optimal deterrence: a law and economics assessment of sex and labor trafficking law in the United States*, *Houston Law Review* Vol. 51 Issue 5, გვ.1527.

მოგზაურობის შესახებ წინასწარი შეტყობინების აუცილებლობას ბავშვთა ექსპლუატაციის და სხვა სექსუალური დანაშაულების პრევენციის მიზნით, რომელიც აძლევს საშუალებას საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტს და იუსტიციის დეპარტამენტს შეატყობინონ უცხოეთის მთავრობებს, რომ სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი რეგისტრირებული პირი მოემგზავრება მათ ქვეყანაში და მიიღონ ინფორმაცია როდის დაბრუნდება ეს პირი უკან აშშ-ში.

აგრეთვე 2016 წლის თებერვალში ძალაში შევიდა 2015 წლის „ვაჭრობის ხელშეწყობისა და ვაჭრობის აღსრულების აქტი“, რომლის შესაბამისად გაუქმდა გამონაკლისი წესი, რომელიც აძლევდა საშუალებას აშშ-ში შესულიყო იმპორტულ საქონელი წარმოებული იძულებითი შრომის გამოყენებით, თუ აშშ-ში ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას.

ამ თავში განვიხილეთ ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლისა და მისი პრევენციის კანონმდებლობა სხვადასხვა ქვეყანაში. როგორც ზემოთ ავლინებთ ძირითადად ქვეყნებმა „პალერმოს ოქმის“ მიღების შემდეგ დაიწვეს კანონმდებლობის შემუშავება და ძირითადად ამ დოკუმენტიდან აიღეს ტრეფიკინგის დანაშაულის განმარტება. ქვეყნებმა ან შეიტანეს ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში და მოახდინეს ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაცია და/ან მიიღეს ცალკე დოკუმენტი - კანონი ან აქტი, სადაც მოყვანილია ტრეფიკინგის დეფინიცია, მისი ფორმები და მოყვანილია ტრეფიკინგის დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელი, აღწერილია ტრეფიკინგის პრევენციის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები.

შემდეგ თავში მიმოვიხილავთ საქართველოში არსებულ კანონმდებლობას. 2003 წელს მოხდა ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაცია, ხოლო 2006 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო-შორისო საკოორდინაციო საბჭოს შემუშავებულ იქნა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა.



## 5. თავი მეხუთე - საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში

ამ თავში განვიხილავთ საქართველოში არსებულ კანონმდებლობას ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში – სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სამოქმედო გეგმები და სხვა ატები. უნდა ითქვას, რომ საქართველოში არსებული კანონმდებლობა ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის სფეროში ნამდვილად შთამბეჭდავია, თუმცა რამდენად გამოიყენება პრაქტიკაში, ამას შემდეგ თავებში ვნახავთ.

ტრეფიკინგი განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საქართველოს, რაც გამოწვეულია ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ჯერ კიდევ რთული ეკონომიკური ვითარებით, რის გამოც საქართველო ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის და ასევე ტრანზიტის სახელმწიფოდ მიიჩნევა. ვითარებას განსაკუთრებით ამწვავებს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი – მილიონ ადამიანზე მეტი, სამუშაოს საძებნელად წასულია საზღვარგარეთ, სადაც მათი უმეტესობა არაღებულად იმყოფება, დაკავებულია უკანონო და დაბალანაზღაურებადი საქმიანობით და ამდენად ნებისმიერი მათგანი წარმოადგენს ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლს<sup>228</sup>.

2000 წელს საქართველომ ხელი მოაწერა და 2006 წლის 7 ივნისს საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა გაეროს კონვენციას „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და ოქმს „ადამიანის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“<sup>229</sup>.

საერთაშორისო დეფინიცია თითქმის სრულად იქნა ასახული საქართველოს კანონმდებლობაში. საქართველო 2006 წელს აგრეთვე მიუერთდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას. ამ კონვენციის შესაბამისად ადამიანით ვაჭრობის განმარტება თითქმის იდენტურია გაეროს განმარტებისა.

2003 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი 143<sup>1</sup> ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და მუხლი 143<sup>2</sup> არასრულწლოვანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი). ამ მუხლებში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და დღეისთვის ტრეფიკინგის დანაშაულისთვის სასჯელი არის თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის შემთხვევაში

<sup>228</sup> ბაძაღუა მიხეილ (2010) *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე)*, გვ. 5, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000408/badzagua%20disertacia%20trefikingi.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>229</sup> ე.წ. „პალერმოს ოქმი“, *საქართველოს პარლამენტის დადგენილება 3202-III* (15/06/2006) სსმ, 81 (მიღების თარიღი 07/06/2006).

თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2003 წლამდე მსგავსი დანაშაულზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით - თავისუფლების უკანონო აღკვეთით მიმდინარეობდა.

## 5.1. სისხლის სამართლის კოდექსი

როდესაც 143<sup>1</sup> მუხლი პირველად იქნა შეტანილი<sup>230</sup> სისხლის სამართლის კოდექსში<sup>231</sup>, იგი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში<sup>232</sup> თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა ვადით თორმეტიდან ოც წლამდე.

მუხლს ახლდა შენიშვნა, რომელიც განმარტავდა ექსპლუატაციას: „ექსპლუატაციად ჩაითვლება ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.“

143<sup>1</sup> მუხლში ოთხჯერ შევიდა ცვლილება<sup>233</sup> - ეს განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის კანონმდებლობის ჰარმონიზაციით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან<sup>234</sup>.

<sup>230</sup> 24.06.2003წ.

<sup>231</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (13/08/1999) სსმ, 41(48), დოკუმენტის ნომერი 2287.

<sup>232</sup> ორი ან მეტი პირის მიმართ; დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; და ა.შ.

<sup>233</sup> 15.05.2006წ., 13.07.2006წ., 07.08.2006წ., 04.06.2014წ.

<sup>234</sup> საბოლოოდ დღეს 143<sup>1</sup> მუხლი ასე გამოიყურება:

მუხლი 143<sup>1</sup>. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

143<sup>2</sup> მუხლი არასრულწლოვანთა ტრეფიკინგს ეხება და მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის, იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
- ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
- გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) არაერთგზის;
- ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
- დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

- ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა:  
1. კოდექსის ამ და 143<sup>2</sup> მუხლების მიზნებისათვის ექსპლუატაციად მიიჩნევა დამნაშავეს მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით:

- ა) შრომის ან მომსახურების გაწვევის იძულება;
- ბ) სექსუალური მომსახურების გაწვევის იძულება;
- გ) პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა;
- დ) ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება;
- ე) ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო. პირზე დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს, მათ შორის:
  - ე.ა) პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, კონტროლით ან განზრახ ხელყოფით;
  - ე.ბ) თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან თავისუფალი გადაადგილების კონტროლით;
  - ე.გ) ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის, შეზღუდვით ან კონტროლით;
  - ე.დ) იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით.

2. კოდექსის ამ და 143<sup>2</sup> მუხლების მიზნებისათვის პირის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მის თანხმობას მნიშვნელობა არ აქვს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამართალდამცველი ორგანოები თუ ვერ ახერხებენ 143<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად გამოძიების დაწყებას არასრულწლოვანთა პროსტიტუციაში ჩაბმის საქმეზე, ტრეფიკინგის ნიშნების მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, საქმე გადაკვალიფიცირდება 171 მუხლით<sup>235</sup> და გამოძიება მიმდინარეობს ამ მუხლის შესაბამისად.

კანონმდებლებმა ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა იურიდიული პირსაც დააკისრეს და ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისთვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

2013 წელს ჩატარდა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს რამდენიმე სხდომა, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროსა<sup>236</sup> და პროკურატურის მიერ გამოძიებების დაკლების ერთ-ერთ მიზეზად გამოცხადდა არსებული კანონმდებლობის<sup>237</sup> ხარვეზები<sup>238</sup> და დადგა მოთხოვნა ამ მუხლების განახლების შესახებ. ტრეფიკინგის დანაშაული თავისთავად ვითარდება და მისი ფორმები იცვლება, შესაბამისად მუხლები თანამედროვეობასთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი. 2006 წლის ივნისის 143<sup>1</sup> მუხლის რედაქციით, რომელიც იმ მომენტისთვის იყო ძალაში, ექსპლუატაციად მიიჩნეოდა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში

<sup>235</sup> მუხლი 171. არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი* (13/08/1999) სსმ, 41(48), დოკუმენტის ნომერი 2287.

<sup>236</sup> შემდგომში მოვიხსენიებთ როგორც „შსს“ ან „შს სამინისტრო“.

<sup>237</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლები.

<sup>238</sup> სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, მე ვესწრებოდი საკოორდინაციო საბჭოს სხდომას, სადაც შსს-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროკურატურაც და სასამართლოც ტრეფიკინგის მუხლისთვის ითხოვდნენ რომ ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების დეფინიციად გამოყენებული ყოფილიყო ჩამოთვლილი ყველა პირობა ერთდროულად: პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვა, კულტურული იზოლაცია, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ან/და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება. თანამედროვე პირობებში ხშირად აღარ ხდება მსხვერპლისთვის დოკუმენტების ჩამორთმევა ან მისი ჩაკეტვა, განსაკუთრებით სექსუალური ექსპლუატაციის დროს მსხვერპლს აქვს გადაადგილების საშუალება, შეუძლია სატელეფონო კავშირის დამყარება ახლობლებთან, მაგრამ რადგან იგი ან ძალიან დაშინებულია ადამიანთ მოვაჭრეს მიერ ან არის ჩავარდნილი სავალო კაბალაში ან კიდევ რაიმენაირად არის დამოკიდებული დამნაშავეზე, იგი ძირითადად აღარ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს და არ გარბის ექსპლუატაციის გამწვევი პირისგან, მიუხედავად იმისა, რომ გადაადგილება შეზღუდული არ აქვს. შესაბამისად, ქართველ სამართალდამცველებს უხდებოდათ ტრეფიკინგის მუხლებით დაწყებული გამოძიების შეწყვეტა, ან არასრულწლოვანის შემთხვევაში 171-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება.

ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ შეიქმნა კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სახელმწიფო უწყების<sup>239</sup>, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და 2014 წლის 12 თებერვლის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა პარლამენტში წარსადგენი ცვლილებების საკანონმდებლო პაკეტი<sup>240</sup>. 2014 წლის 14 მაისს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა პაკეტი საქართველოს პარლამენტს წარუდგინა<sup>241</sup>, და პარლამენტმა 2014 წლის 29 მაისს დაამტკიცა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლიდან არსებობს მუხლი 143<sup>3</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა. ამ მუხლის მიზანი არის ტრეფიკინგის დანაშაულის ბაზრის შემცირება და თვითონ ბენეფიციარების პასუხისმგებლობის დაყენება. ამ მუხლის შესაბამისად წინასწარი შეცნობით ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, თავისთავად წარმოადგენს ექსპლუატაციას და ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. დღეის მდგომარეობით ამ მუხლით საქართველოში არ გვეყავს მსჯავრდებული.

## 5.2. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

2006 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ<sup>242</sup>. ხაზი უნდა გაესვას, რომ კანონი დაიწერა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობით.

კანონი განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა,

<sup>239</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო.

<sup>240</sup> <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=4441> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).

<sup>241</sup> <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=4530> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/10/2017).

<sup>242</sup> საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (28/04/2006) სსმ, 15, 16/05/2006, №294-11, [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=26152&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=26152&lang=ge). (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

კანონით ტრეფიკინგის თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაში ხელის შეწყობის, მათი საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით შეიქმნა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებო-სამართლებრივ საკოორდინაციო საბჭო. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო იურიდიული პირები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.

საკოორდინაციო საბჭო ზედამხედველობას უწევს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესრულებას. დღეისათვის უკვე მეშვიდე საქმომედო გეგმის განხორციელება მიმდინარეობს. 2017-2018 წწ. გეგმა, ისევე როგორც წინა გეგმები, ოთხი-„პ“-ს პრინციპითაა<sup>243</sup> დაყოფილი: პრევენცია, დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნა და პარტნიორობა.

კანონის შესაბამისად ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. ფონდის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ფონდს მართავს ფონდის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ფონდის მიერ შეიქმნა ორი თავშესაფარი ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის – ერთი დასავლეთ და მეორე აღმოსავლეთ საქართველოში. ფონდი უწევს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას ტრეფიკინგის მსხვერპლებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, ეხმარება ახალი პროფესიის მიღებასა და დასაქმებაში, უზრუნველყოფს მსხვერპლთა უსაფრთხოებას, და ა.შ.

კანონმა შემოიტანა ტრეფიკინგის მსხვერპლისა და დაზარალებულის სტატუსი: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დაზარალებულის სტატუსს ანიჭებს სამართალდამცველი ორგანო ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიებისას. თუმცა თუ მსხვერპლი არ თანამშრომლობს გამოძიებასთან, მას ენიჭება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, და მას აქვს ყველა სახელმწიფო

<sup>243</sup> თავიდან იყო 3 „პ“-ს პრინციპი: Prevention, Protection, and Prosecution; შემდეგ ამას პარტნიორობის პრინციპიც დაემატა Partnership და 4 „პ“ გადაიქცა.

სერვისების მოხმარების უფლება, რომელიც აქვს ტრეფიკინგის დანაშაულის დაზარალებულს. ჯგუფი იკრიბება პირის მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის) ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეზე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც სხვა სახელმწიფოში ცნობილ იქნა ტრეფიკინგის მსხვერპლად, ვრცელდება ზუსტად იგივე დებულებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოში ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლზე.

კანონის მეორე თავი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმებსა და ტრეფიკინგის თავიდან აცილების სფეროში სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას ეძღვნება. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები არის იმ ორგანიზაციული, სამართლებრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემცირებისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ.

სახელმწიფოს საქმიანობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში გულისხმობს:

- 1) მოკლე- და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას ქვეყანაში სიღარიბის, ეკონომიკური განვითარების დაბალი ღონის, უმუშევრობისა და შესაძლებლობებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემცირებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის;
- 2) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზების ანალიზსა და შეფასებას;
- 3) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმებისა და გავრცელების მასშტაბის კვლევასა და მონაცემთა შეგროვებას ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით;
- 4) მიგრაციის სრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებას, ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას;
- 5) არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხის შემცირებას საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით;
- 6) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეტანას;
- 7) სპეციალური მოსამზადებელი კურსების ან სემინარების ორგანიზებასა და ჩატარებას იმ სახელმწიფო მოხელეთათვის, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს;

ქ) დონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ადამიანის ექსპლუატაციის ხელშემწყობი ყველა ფაქტორის წინააღმდეგ.

სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ქმნიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის საჭირო პირობებს, ახორციელებენ ამ დანაშაულის შესაძლო რისკის ჯგუფებისათვის სამართლებრივი, ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღებას, აგრეთვე ატარებენ შესაბამის საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიას.

### 5.3. ტრეფიკინგთან ბრძოლის და პრევენციის სფეროს სხვა აქტები

კანონის გარდა იქნა მიღებული რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც ხელს უწყობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებასა და რეაბილიტაციას, ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და დამნაშავეთა დასჯას:

#### 5.3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემუშავებულ იქნა 2006-2007, 2007-2009, 2009-2011, 2011-2012, 2013-2014, 2015-2016, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმები<sup>244</sup>. გეგმის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. სამოქმედო გეგმა ეყრდნობა იმ ძირითად პრინციპებს, როგორცაა, ადამიანით ვაჭრობის, პრევენცია, მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა/დახმარება, ტრეფიკინგის დანაშაულზე ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება და სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სამოქმედო გეგმის შესაბამისად ტრეფიკინგის პრევენციაში იგულისხმება ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება – ტრეფიკინგის სწავლების დანერგვა და საინფორმაციო შეხვედრებისა და კონფერენციების მოწყობა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავება, საინფორმაციო რადიო- და ვიდეო-რგოლების დამზადება და გაშვება, ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის დამზადება და გავრცელება, მოწვევლად ჯგუფებთან<sup>245</sup> საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, შრომის კოდექსის პარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. გეგმის შესაბამისად პრევენცია აგრეთვე ითვალისწინებს მიუსაფარი ბავშვების<sup>246</sup>

<sup>244</sup> <http://www.atipfund.gov.ge/index.php/ka/legislation/action-plans> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>245</sup> იძულებით გადაადგილებული პირები და ბავშვთა ზრუნვის დაწესებულებაში მყოფი ბავშვები.

<sup>246</sup> ე.წ. ქუჩის ბავშვების.



იდენტიფიცირებას და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის დანაშაულზე ინფორმაციის მიწოდებას და მათ შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებას.

**5.3.2. საკანონმდებლო ცვლილებები ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებისა და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის**

საქართველოს კანონმდებლობით არ განისაზღვრებოდა, თუ ვინ წარმოდგენდა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვის კატეგორიას. იმის გამო, რომ ბავშვები არ არიან აღრიცხულნი და მათ არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია, ისინი ვერ იღებენ განათლებას და ვერ ხერხდება მათი ჩართვა სხვადასხვა სოციალურ თუ სამედიცინო სახელმწიფო პროგრამაში. ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, არ არსებობდა, ასევე, მისი მოძალადისაგან მყისიერად განცალკევების მექანიზმი.

ამ საკითხების კანონის დონეზე მოწესრიგების მიზნით 2014 წლის 14 ნოემბერს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ როგორც სამთავრობო უწყებები, ისე საკითხით პირდაპირ დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტმა<sup>247</sup> შემოიტანა ცნება „მიუსაფარი ბავშვი“, რომლის თანახმად, მიუსაფარ ბავშვად ითვლება ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, მაძიებლის ანკეტის საფუძველზე. აღნიშნული დეფინიციის საკანონმდებლო დონეზე შემუშავებამ საშუალება მისცა სახელმწიფოს, ამ კატეგორიის ბავშვებს მოუწესრიგოს საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია, რაც, თავის მხრივ, მიუსაფარი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომს გახდის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისს.

შესაძლებელი გახდა, ასევე, არასრულწლოვანის დაცვა გარეშე პირის ძალადობისგან. კანონში შემოვიდა „სხვა პირის“ ცნება, რომელიც შესაძლოა, ახორციელებდეს ძალადობას მოზარდზე. ამ ცვლილების მიზეზი ის გარემოებაა, რომ ხშირად შეუძლებელია დადგენა, კონკრეტულად, ვინ ძალადობს ბავშვზე. სოციალურ მუშაკს აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის არა მარტო მოძალადე

<sup>247</sup> სამუშაო ჯგუფმა საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავა შემდეგ საკანონმდებლო აქტში: 1. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში; 2. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონში; 3. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში; 4. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“; 5. „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“; 6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“; 7. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“; 8. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“; 9. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და 10. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში.

მშობლისგან ან კანონიერი წარმომადგენლისგან, არამედ სხვა პირისაგან განცალკევების თაობაზე. აუცილებლობის შემთხვევაში კი, მოხდება მშობლის უფლებების შეჩერება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენება და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა შეძლონ ბავშვისთვის დახმარების, მათ შორის, სამედიცინო დახმარების, შეთავაზება.

საკანონმდებლო ცვლილებებით სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობისთვის, ასევე, დაწესდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ პირისათვის, ვინც აღნიშნული გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებულია.

აღნიშნული ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2016 წლის 22 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 2016 წლის 10 აგვისტოდან.

გარდა ამისა, მიუსაფარი ბავშვებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის გაცემის მიზნით 2016 წლის 10 აგვისტოდან შესაბამისი ცვლილებები შევიდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის 98 და „დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის 50 ბრძანებებში, ხოლო 2016 წლის 18 აგვისტოდან - „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულტო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების გადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 508 დადგენილებაში.

ამასთან, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, ნაცვლად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებისა, 2016 წლის 12 სექტემბერს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 437 დადგენილებით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებმა გააფართოვა აღნიშნულ პროცედურებში ჩართული უწყებების წრე, რაც ხელს შეუწყობს კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით ოჯახში და მის გარეთ ბავშვის დაცვას ყველა ფორმის ძალადობისგან.

აღნიშნული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების საფუძველზე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის 04-519/ო ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“.

ამასთან, საჯარო სკოლებმა, როგორც რეფერირების პროცედურებში ჩართულმა სუბიექტებმა, შეიმუშავეს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები. აღნიშნული ინსტრუქციის საფუძველზე სკოლებში დანიშნულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელ პირები - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, მანდატურის არარსებობის შემთხვევაში სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე.

სკოლების საერთო მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია შემოწმება, თუ რამდენად ეფექტიანად და სწორად ხორციელდება საჯარო სკოლების მიერ რეფერირების პროცედურები.

გარდა ამისა, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების ეფექტიანად გამოვლენის მიზნით შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დამტკიცებული აქვს მობილური ჯგუფების მიერ გასატარებელი ღონისძიებები და მიუსაფარი ბავშვების პრობლემების გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების სტრატეგია და გეგმა, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მუშაობა გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

### 5.3.3. შრომის ინსპექციის სისტემის შექმნა

საქართველოს ვიზის ლიბერალიზაციის ფარგლებში, დისკრიმინაციული შემთხვევების აღმოსაფხვრელად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ვალდებულება დაეკისრა<sup>248</sup>. ამ ვალდებულების შესასრულებლად 2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი<sup>249</sup>. 2016 წელს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის“ შესახებ<sup>250</sup>, რომლის საფუძველზეც შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს მიენიჭა უფლებამოსილება, განახორციელოს საჯარო და კერძო საწარმო/ორგანიზაციების გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება ტრეფიკინგის შესაძლო ნიშნების აღმოჩენისა და ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის მიზნით.

<sup>248</sup> <http://www.gtuc.ge/?p=6987> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>249</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 81 (02/03/2015).

<sup>250</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 112 (07/03/2016).

ამასთან, 2016 წლის 15 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-86/თ ბრძანების შესაბამისად, დამტკიცდა ტრეფიკინგის ნიშნით შესამოწმებელ საწარმო/ორგანიზაციათა რეესტრი 2016 წლისათვის. რეესტრში შეყვანილ იქნა 91 კერძო კომპანია, სადაც, წინასწარი ინფორმაციით, შესაძლოა, ყოფილიყო იძულებითი შრომის ან/და შრომითი ექსპლუატაციის ნიშნები. საქართველოს მთავრობის 112 დადგენილების შესაბამისად, სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ყოველი წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშავებს შესამოწმებელი კომპანიების კრიტერიუმებს და რეესტრს, რის შემდეგაც წარუდგენს მას მინისტრს დასამტკიცებლად.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის დებულების<sup>251</sup> თანახმად ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით დეპარტამენტის ფუნქციებია:

- 1) იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციული ზომების მიღება;
- 2) დისკრიმინაციული შემთხვევებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, აღრიცხვა და რეკომენდაციების შემუშავება;
- 3) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განცხადებების, წერილების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა.

დეპარტამენტის უფლება-მოვალეობებია:

- 1) შესაბამისი საკანონმდებლო აქტით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების ინსპექტირება რისკის ანალიზისა ან შესაბამისი მომართვის საფუძველზე;
- 2) შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირისათვის შესაბამისი წერილობითი რეკომენდაციის მიცემა;
- 3) შესაბამისი საკანონმდებლო კანონით მინიჭებული კომპეტენციის შესაბამისად, ინსპექტირების მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვა;
- 4) დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება მოქმედი შრომითი კანონმდებლობის, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმების დაცვაზე;
- 5) შესაბამისი ღონისძიებების გატარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- 6) შრომითი დისკრიმინაციის შემთხვევების აღმოფხვრის ხელშეწყობა;

ინსპექტირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, საჭიროებისამებრ, განხორციელდება სოციალური პარტნიორების ჩართულობითა და მონაწილეობით.

<sup>251</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 01-10/ნ (21/04/2015).

**5.3.4. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება<sup>252</sup>**

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა<sup>253</sup>.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს<sup>254</sup> და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს<sup>255</sup>.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“ ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში<sup>256</sup>. მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა 15 პლენარული სესია შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე, 6 რაუნდი - ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობის სივრცეზე და 100-მდე ვიდეო-კონფერენცია დარგობრივი თანამშრომლობის საკითხებსა და DC FTA-ზე. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო საქართველოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და უწყება. შეთანხმების პარაფირება<sup>257</sup> მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან<sup>258</sup> განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს<sup>259</sup>. ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და

<sup>252</sup> ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.“

<sup>253</sup> <http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/Association-Agreement.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23/10/2017).

<sup>254</sup> Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA.

<sup>255</sup> <http://www.dcfta.gov.ge/ge/home> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23/10/2017).

<sup>256</sup> ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტზე - 2011 წლის დეკემბერში.

<sup>257</sup> მოლაპარაკებული ტექსტის დადასტურება მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ, შეთანხმების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმით.

<sup>258</sup> Free trade agreement.

<sup>259</sup> მაგალითად, სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა.

ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.

DC FTA აგრეთვე შეეხება იძულებითი შრომის და ტრეფიკინგის საკითხებს. პრეამბულაშივე ნახსენები რომ მხარეები ვალდებულებას იღებენ ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშაულსა და უკანონო ვაჭრობას (ტრეფიკინგს) და კიდევ უფრო გააძლიერონ თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში; ვალდებულებას იღებენ, გააღრმავონ დიალოგი და თანამშრომლობა მობილურობის, მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის მიმართულებით, ასევე, ევროკავშირისა და საქართველოს შორის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის გათვალისწინებით, ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენებით, ყურადღება გაამახვილონ კანონიერ მიგრაციაზე, ცირკულარული მიგრაციის ჩათვლით, და უკანონო მიგრაციის, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასა და რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციისკენ მიმართულ თანამშრომლობაზე.

მე-15 მუხლის „თანამშრომლობა მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის სფეროებში“ შესაბამისად მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ ტერიტორიებს შორის მიგრაციული ნაკადების ერთობლივი მართვის მნიშვნელობას და მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში დანერგავენ ყოვლისმომცველი დიალოგის ფორმატს, რაც ასევე მოიცავს ლეგალურ მიგრაციას, საერთაშორისო დაცვასა და არალეგალური მიგრაციის, კონტრაბანდისა და ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას.

მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად თანამშრომლობა დაეფუძნება კონკრეტული საჭიროებების შეფასებას, რომელიც განხორციელდება მხარეთა შორის ორმხრივი კონსულტაციების შედეგად და შესრუდება შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. კერძოდ, ყურადღება გამახვილდება სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი და პრევენციული პოლიტიკის გაძლიერება, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა და ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მათ შორის ის საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა პირთა და ადამიანთა მოვაჭრეთა ქსელის წინააღმდეგ ბრძოლა და ამგვარი ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვა.

მე-17 მუხლის „ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა“ შესაბამისად მხარეები ითანამშრომლებენ დანაშაულისა და სხვა სახის უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კუთხით, კერძოდ, ისეთ ტრანსნაციონალურ, ორგანიზებულ ან სხვა სახის ქმედებებთან მიმართებაში, როგორცაა საზღვარზე ადამიანთა უკანონო გადაყვანა და ტრეფიკინგი, ასევე მცირე შეიარაღებითა და ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა.

მე-13 თავის „ვაჭრობა და მდგრადი განვითარება“ მუხლი 229 აყალიბებს მრავალმხრივ შრომითი სტანდარტებსა და შეთანხმებებს. მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის შედეგად, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ დეკლარაციით

აღებული ვალდებულებების შესაბამისად და მის განსახორციელებლად, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის შრომის საერთაშორისო კონფერენციის 86-ე სესიაზე, მხარეები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ, ხელი შეუწეონ და ასახონ საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში და მოეღოს ტერიტორიაზე საერთაშორისოდ აღიარებული შრომის ძირითადი სტანდარტები იმ ფორმით, როგორც ეს მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში და განსაკუთრებით:

- (ა) გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების რეალური აღიარება;
- (ბ) იძულებითი ან ძალდატანებითი შრომის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრა;
- (გ) ბავშვთა შრომის რეალური გაუქმება;
- (დ) ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთა დასაქმებასა და შრომასთან მიმართებაში.

მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, რეალურად ასახონ მათ კანონებში და პრაქტიკაში განახორციელონ ფუნდამენტური, პრიორიტეტული და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა კონვენციები, რომლებიც საქართველოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერაა რატიფიცირებული.

### 5.3.5. სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები

ტრეფიკინგის პრევენციისთვის საკითხებს აგრეთვე არეგულირებს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. ძირითადი აქტები, რლებიც ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებს არეგულირებს, მომზადებულია ან მიღებულია საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ<sup>260</sup>. თუმცა ტრეფიკინგის სფეროს სხვა დოკუმენტებიც არეგულირებს:

---

<sup>260</sup>საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო მის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი; საქართველოს მთავარი პროკურორი; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები; საქართველოს სახალხო დამცველი და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი. საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვათ: საქართველოს პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებს; სახალხო დამცველის, ევროპის საბჭოს, ევროკომისიის, აშშ-ის საელჩოს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გაეროს ბავშვთა ფონდის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების („თანადგომა“, „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ და „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი“) წარმომადგენლები <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/332> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

- ქ საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ<sup>261</sup>,
- ქ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესის დამტკიცების შესახებ (2014 წ.)<sup>262</sup>,
- ქ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია (2007 წ.)<sup>263</sup>,
- ქ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (2016 წ.)<sup>264</sup>,
- ქ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამა (2017 წ.)<sup>265</sup>,
- ქ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია (2014წ.)<sup>266</sup>,
- ქ საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია (2015 წ.)<sup>267</sup>,
- ქ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმხორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია (2014 წ.)<sup>268</sup>,
- ქ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის) (2014 წ.)<sup>269</sup>,
- ქ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის (2016 წ.)<sup>270</sup>.
- ქ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა ხელი მოაწერა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ ტრეფიკინგის მსხვერპლის სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ ან იურიდიულ დახმარებას<sup>271</sup>.

<sup>261</sup> №3418-IIIს (ძალაშია 01/11/2015).

<sup>262</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 284 (11/04/2014) ქ. თბილისი.

<sup>263</sup> დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმხორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ (19/07/2007).

<sup>264</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 437 (12/09/2016).

<sup>265</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 121 (09/03/2017).

<sup>266</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 226 (13/03/2014).

<sup>267</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 622 (14/12/2015).

<sup>268</sup> [http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%2F2FIP\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%2F2FIP_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>269</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2315-IIIს (30/04/2014).

<sup>270</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება 338 (21/07/2016) ქ. თბილისი.

<sup>271</sup> <http://atipfund.gov.ge/geo/list/show/280-memorandumi-dzaladobisagan-datsvis-erovnul-qselntan-> , <http://atipfund.gov.ge/geo/list/show/454-tanamshromlobis-memorandumi> , <http://atipfund.gov.ge/geo/list/show/271-memorandumi-tsentrtn-tanadgoma> ,



- J ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ<sup>272</sup>.
- J 2017 წლის დეკემბერში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ მომზადდა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში<sup>273</sup>, რომელის შესაბამისად მოხდება კრიმინალიზაცია პირის პროსტიტუციაზე დაყოლიება ან პროსტიტუციაში ჩართვის სხვა არაძალადობრივი ქმედების განხორციელება<sup>274</sup>. ცვლილება დამტკიცდა საბჭოს მიერ 2017 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე<sup>275</sup> და წარედგინება პარლამენტს უახლოეს მომავალში. ეს ცვლილება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ ტერმინი „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“ ნახსენები იქნეს ტრეფიკინგთან მიმართებაში და პროსტიტუციის დანაშაულში ჩაბმისთვის გამოყენებული იყოს ტერმინი „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“, რაც თავისთავად გამოიწვევს ცვლილებებს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებშიც (253, 255<sup>1</sup>, 376, 143<sup>1</sup>, 1432, 143<sup>3</sup>, 171, 11<sup>1</sup>) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.
- J სამართალდამცავი ორგანოებისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის განახლებული სახელმძღვანელო პრინციპები (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭო, 2017 წ.),
- J საქართველოს საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სასმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭო, 2017 წ.).

როგორც ამ თავში მიმოვიხილეთ, საქართველოს აქვს ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის და მისი პრევენციის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზა. ტრეფიკინგის პრევენცია ჩამოყალიბებულია როგორც საქართველოს კანონში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

<http://atipfund.gov.ge/geo/list/show/285-memorandumi-sakhelmtsifo-fondsa-da-qalta-sainformatsio-tsentr-shoris> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>272</sup> საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 534 (01/09/2006) ქ. თბილისი.

<sup>273</sup> მუხლი 254 „პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა“ ჩამოყალიბდება როგორც „პროსტიტუციის ხელშეწყობა“.

<sup>274</sup> ე.წ. „სუტენორობის“ დანაშაული (მოიხსენიება შემდეგი ტერმინებით: „pimping“, „pandering“, „le proxénétisme“), რომელიც ადრე არ იყო კრიმინალიზირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯადია დასავლეთის ბევრ ქვეყნებში (აშშ, საფრანგეთი, ავსტრია, კანადა) ისჯება პატიმრობით ერთიდან მაქსიმუმ შვიდ წლამდე და ჯარიმით.

<sup>275</sup> <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7590> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25/12/2017).

წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებები გაწერილია სამოქმედო გეგმებში. ამასთან, შეიქმნა შრომითი ინსპექცია, რომელმაც უნდა შეამოწმოს კომპანიები ტრეფიკინგის დანაშაულის ფაქტების არსებობაზე, შემუშავდა საკანონმდებლო პაკეტი რათა მოხდეს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ტრეფიკინგში ჩათრევის პრევენცია და მოხდეს არასრულწლოვანთა ინფორმირება ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ. შემდეგ თავში მიმოვიხილავთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მიერ შემუშავებულ საუკეთესო გამოცდილებას ტრეფიკინგის პრევენციის ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში.

## 6. თავი მეექვსე - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის საუკეთესო გამოცდილება ევროპის საბჭოს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებში

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფმა (GRETA) ევროპული ტრეფიკინგთან ბრძოლის დღის მეთე აღნიშვნასთან დაკავშირებით გამოქვეყნა სახელმძღვანელო<sup>276</sup>, სადაც შეკრიბა ტრეფიკინგთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. ამ თავში მიმოვიხილავთ ამ გამოცდილებას, და რადგან შემდგომ თავებში მიმოვიხილავთ ჩვენს მიერ შერჩეული ქვეყნებისა და საქართველოს მიერ ტრეფიკინგის პრევენციის პრაქტიკული ზომები განხორციელებას, ვნახავთ რამდენად იყენებენ ჩვენს მიერ არჩეული ქვეყნები და საქართველო საუკეთესო გამოცდილებას და პრაქტიკას. და თუ საქართველო არ ატარებს მსგავს ღონისძიებებს, რა გამოცდილება შეიძლება იქნეს არჩეული მომავლისთვის.

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბორნ იაგლანდმა განაცხადა - „ადამიანთ ვაჭრობა არის თანამედროვე დანაშაული, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩვენს წევრ ქვეყნებში ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა რათა მოხდეს ტრეფიკინგის თავიდან აცილება, მსხვერპლთა დაცვა და დამნაშავეების დასჯა. კარგი პრაქტიკის მაგალითები შეიკრიბა წარმოშობის ქვეყნებიდან, სატრანზიტო ქვეყნებიდან და დანიშნულების ქვეყნებიდან. პირველად შევკრიბეთ ისინი ერთ ადგილას, რათა დავეხმაროთ ხელისუფლებებს ბოლო მოუღონ ადამიანის უფლებების ამ საშინელ დარღვევას.“

სახელმძღვანელოს პირველ თავში არის თავმოყრილი საუკეთესო გამოცდილება ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში:

### 6.1. მონაცემთა შეგროვება და კვლევა

მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის სხვადასხვა ასპექტების შესახებ მონაცემების შეგროვება, რათა მოხდეს ტრეფიკინგის ტენდენციების მონიტორინგი და ტრეფიკინგთან ბრძოლის პოლიტიკის შესრულების და მისი განმახორციელებლების შეფასება. ამასთან, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს არსებული პოლიტიკის გავლენის შეფასება და ინფორმაციის შეგროვება სამომავლო ღონისძიებების დასაგეგმად. GRETA-მ აღნიშნა, რომ წარმატებული პრაქტიკაა ქვეყანაში მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობა, რომელიც მოახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმიანობის შეფასებას, და აგრეთვე შეაგროვებს ინფორმაციას და ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის საკითხებზე კვლევის ჩატარებას, მაგალითად ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა როგორცაა ეროვნული მომსახურებელი.

<sup>276</sup> *Compendium of good practices on the implementation of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings* (2016) Secretariat of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings (GRETA and Committee of the Parties), Council of Europe, F-67075 Strasbourg Cedex, France, გვ.5-13, <https://rm.coe.int/16806af624> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09/10/2017).

ტრეფიკინგის კვლევა რთული და მგრძობიარე საკითხია, რადგან დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულთან და შეიძლება შედეგად მოყვეს ადამიანით მოვაჭრეების, სუტენიორების და კრიმინალური დაჯგუფებების მხრიდან ანგარიშსწორება ტრეფიკინგის მსხვერპლებთან, მკვლევართან და პრაქტიკოს იურისტებთანაც კი. ტრეფიკინგის კვლევა არ არის ადვილი ამოცანა. ადამიანების, პიროვნებების, კვლევის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია „არ მიაყენო ზიანი მონაწილეებს“. კვლევის მონაწილეებთან მუშაობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მათ არ მიადგეთ ზიანი, არ მოხვდნენ არახელსაყრელ პირობებში ან რისკის ქვეშ<sup>277</sup>. ამასთან, პირებს, ვინც ახორციელებენ კვლევას, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ მკვლევარი მაინც სუბიექტურია ხარისხობრივი კვლევის ჩატარებისას და ფაქტების უყურებს თავისი განათლების, პროფესიის, რელიგიის, ეთნოსის, საზოგადოებრივი შემეცნების პერსპექტივიდან<sup>278</sup>. ამიტომ კვლევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყანაში რასებუი სიტუაცია, ტრადიციები, კულტურული ღირებულებები და სტიგმები.

**ნიდერლანდებში** არსებობს ეროვნული მომხსენებელი და მისი ოფისი აგროვეს ინფორმაციას ტრეფიკინგის ყველა ასპექტზე, ატარებს კვლევებს და სისტემატიურად აქვეყნებს ანგარიშებს. მომხსენებელს აქვს წვდომა პოლიციის და პროკურატურის ფაილებზე. პოლიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაცია ტრეფიკინგის მსხვერპლების შესახებ თავს იყრის არასამთავრობო ორგანიზაცია „კომენშა“-ში.

**ფინეთში** ეროვნული მომხსენებლის ოფისი არსებობს 2009 წლიდან და არის ფინეთის უმცირესობათა ინსტიტუტის აპარატში. მომხსენებელი მონიტორინგს უწევს ფინეთის მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმების შესრულებას, ამაზღებს რეკომენდაციებს, ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს მთავრობას და ოთხ წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებს პარლამენტს. ტრეფიკინგის საკითხების კვლევით დაკავებულია დანაშაულის პრევენციისა და კონტროლის ევროპული ინსტიტუტი (HEUNI).

**პორტუგალიაში** მსგავსი ინსტიტუტი შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან.

**ინგლისში** ტრეფიკინგის მსხვერპლთა ინფორმაცია გროვდება ეროვნული დანაშაულის ინსტიტუტის ქვეშ არსებულ ადამიანით ვაჭრობის ცენტრში. ცენტრი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს, სტატისტიკურ ინფორმაციას, უკეთებს ანალიზს მონაცემებს საფრთხეების გამოსავლენად. კვლევებს ახორციელებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები.

<sup>277</sup> Duong Kim Anh PhD (2015) *Doing Human Trafficking Research: Reflections on Ethical Challenges* University of Waikato; The Vietnam Women's Academy, Journal of Research in Gender Studies, Volume 5, Issue 2, გვ.175, ISSN: 2164-0262.

<sup>278</sup> Spires Robert W. (2015) *Preventing Human Trafficking: Education and NGOs in Thailand*, Routledge Taylor & Francis Group Published 2016, 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN, ISBN 9781472443021 (hbk), ISBN 9781315602103 (ebk).

**ალბანეთში** მსხვერპლთა საინფორმაციო ბაზა არის საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემის ერთიანი ბაზის ნაწილი და ინფორმაცია მიიღება პოლიციიდან, სოციალური სამსახურებიდან, საკონსულოებიდან და მსხვერპლთა თავშესაფრებიდან. ბაზას ხელმძღვანელობს კონკრეტული პირი, რომელიც მუშაობს ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს ეროვნული კოორდინატორის ოფისში.

## **6.2. ცნობიერების ამაღლება**

ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც პრევენციის ფორმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ქმედებაში. GRETA მიესალმება კონვენციის მონაწილეების მიერ ჩატარებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში მოხდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გავლენის შეფასება და აღნიშნავს, რომ სამომავლო ქმედებები უნდა შემუშავდეს კამპანიების შეფასების საფუძველზე.

**ირლანდიაში** 2013 წელს იუსტიციის და თანასწორობის ტრეფიკინგთან ბრძოლის სამმართველოს მიერ საინფორმაციო პაკეტი ტრეფიკინგის შესახებ გავრცელდა უცხოეთში სავიზო და საკონსულო ოფისებში, სკოლებში, დაურიგდათ ექიმებს. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ინფორმაცია მიეწოდათ მიგრანტ დასაქმებულებს და ადგილობრივ მუშებს.

**ლიტვაში** 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარდა აქტიური საინფორმაციო კამპანია შრომითი ექსპლუატაციის შესახებ, რადგან არსებული ინფორმაციით ლიტვის მოქალაქეები ხშირად ხდებოდნენ შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლები. ევროპის დასაქმების მომსახურების ოფისი აგრეთვე აქტიურად ავრცელებდა ინფორმაციას ევროკავშირში შრომითი უფლებების შესახებ.

**რუმინეთი** 2016 წელს ატარებდა ორი სახის საინფორმაცია კამპანიას – კლასიკური კამპანია<sup>279</sup> ორივე ტიპის ექსპლუატაციაზე და ინტერნეტ კამპანია შრომით ექსპლუატაციაზე<sup>280</sup>. შეფასებამ აჩვენა, რომ მსგავსმა მიდგომამ მოიცვა მოსახლეობის დიდი ფენა.

**სერბიაში** 2011 წელს გადაიღეს მხატვრული ფილმი ტრეფიკინგზე „დები“ და აჩვენეს კინოთეატრებში და ტელევიზიით. მთავრობა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან საინფორმაციო კამპანიის ჩატარებაში.

## **6.3. მიზნობრივი პრევენცია მოწყვლადი ჯგუფებისათვის**

**ბულგარეთში** 2016 წელს ჩატარდა მიზნობრივი საინფორმაციო კამპანია ბოშა თემებისთვის, ხორციელდება მათი ჯანდაცვის და სოციალურ პროგრამებში ჩართვა.

<sup>279</sup> შეხვედრები მოსახლეობასთან, პლაკატები, ბროშურები, აუდიო- და ვიდეო- კლიპები.

<sup>280</sup> ინფორმაციის განთავსება ფესიბუქის ვებგვერდზე და ინფორმაციის ონლაინ გავრცელება.

**მოლდოვაში** ტარდება მოწყვლადი ჯგუფის ქალებისთვის, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის, ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები.

**სერბიაში** ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის ტარდება სპეციალური პროგრამები რათა მათ დაეხმარონ დასაქმებაში და გაიზარდოს მათი საზოგადოებაში ჩართვა. არასამათავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ის კომპანიები, რომლებიც ასაქმებენ ტრეფიკინგის მსხვერპლებს, იღებენ საგადასახადო შეღავათებს. სერბიაში აგრეთვე მიზანმიმართულად მუშაობენ ბოშა თემებზე, განსაკუთრებით ჯანდაცვის კუთხით.

**ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში** ბოშა თემები ითვლებიან ტრეფიკინგის დანაშაულისადმი განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფად და ხდება მათი საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა. გაიხსნა ორი დღის ცენტრი ქუჩაში მაცხოვრებელი და მომუშავე ბავშვებისთვის.

#### **6.4. მოთხოვნის შესამცირებლად გატარებული ქმედებები**

კონვენცია პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს მხარეებს, მიიღონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, სოციალური, კულტურული ან სხვა ზომები, რათა შემცირდეს მოთხოვნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, მომსახურებაზე. კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს მინიმალურ ღონისძიებათა ჩამონათვალს, მათ შორის საუკეთესო პრაქტიკის, მეთოდებისა და სტრატეგიების კვლევას, მედიის გამოყენებას ცნობიერების ამაღლების, მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიების და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერულ თანასწორობასა და ადამიანურ ღირსებას. კონვენცია ასევე შეიცავს დებულებებს, რომლებიც წაახალისებენ ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა გახდეს სისხლის სამართლის დანაშაული.

**ნორვეგიაში** აეროპორტებში, ტაქსებში და ინტერნეტზე ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების გაფრთხილებას, რომლებსაც პირველად შეიძლებოდა მონდომებოდათ სექსუალური მომსახურების შეძენა უცხო ქვეყანაში. 2008 წელს ნორვეგიის პარლამენტმა კრიმინალიზება გაუკეთა სექსუალური მომსახურების შეძენას.

**რუმინეთში** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო კამპანია „ექსპლუატაცია კლავს სულს“, რომელიც მიზნად ისახავს სამიზნე ჯგუფების და ზოგადად საზოგადოების ინფორმირებას ტრეფიკინგის მსხვერპლების მიმართ განხორციელებული ძალადობის და კანონით გათვალისწინებული სასჯელის შესახებ, და ამ გზით მოთხოვნის შემცირებას. კამპანია ძირითადად ონლაინ რეჟიმში ჩატარდა, სოციალური მედიის ქსელების გამოყენებით. აგრეთვე ჩატარდა დასაქმების სააგენტოები ინფორმირება შრომითი ექსპლუატაციის შემცირების მიზნით.

**მონტენეგროში** ხელი მოეწერა თანამშრომლობის ოქმს ტრეფიკინგთან ბრძოლის ოფისსა და დამსაქმებელთა ასოციაციას შორის 2011 წელს.

აგრეთვე შეიქმნა ქვეყნის კოდექსი ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის, რათა მოხდეს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია ტურიზმის სფეროში.

## 6.5. შრომითი ექსპლუატაციის თავიდან აცილების მიზნით გატარებული ღონისძიებები

ავსტრიაში 2014 წელს დაარსდა [საიდენტიფიკაციო] დოკუმენტების არ მქონე მუშაკთა კონსულტაციის ცენტრი (UNDOK). მას მართავენ პროფკავშირების, შრომის პალატის, ეროვნული სტუდენტური კავშირისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. UNDOK ფინანსდება შრომის, სოციალური დაცვისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტროს, ვენის დასაქმების ხელშეწყობის ფონდის, შრომის პალატის და პროფკავშირების პალატის მიერ. ავსტრიაში მომუშავე პირებს, რომლებსაც არ აქვთ საცხოვრებელი ან/და სამუშაო ნებართვა, რომლებსაც არ გადაუხადეს შეთანხმებული ანაზღაურდება ან მათი უფლებები სხვანაირად დაირღვა დამსაქმებლების მიერ, იღებენ კონსულტაციებს შრომის კანონმდებლობის, სოციალური უსაფრთხოების და დახმარების შესახებ. საინფორმაციო ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ურიგდებათ მიგრანტებს.

**ბულგარეთი** - შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ მიაგლინა „შრომითი ატაშეები“ ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც ბევრი ბულგარელი მოქალაქე საქმდება. ისინი საზღვარგარეთ მომუშავე ბულგარელ მოქალაქეებს აწვდიან ინფორმაციას და რჩევებს, აგრეთვე მუშაობენ როგორც მეკავშირე პირები ბულგარეთის მოქალაქეებსა და საზღვარგარეთ ადგილობრივ სამსახურებს შორის. გარდა ამისა, შრომის სამინისტროს დასაქმების სააგენტო გასცემს ლიცენზიებს დასაქმების სააგენტოებზე, თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას საზღვარგარეთ ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების, სამუშაო პირობებისა და საზღვარგარეთ შრომითი უფლებების შესახებ. შრომის ინსპექციის აღმასრულებელი სააგენტო პასუხისმგებელია ლიცენზირებული დასაქმებული შუამავლების შემოწმებაზე.

**დანის** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრმა 2014 წელს გამოსცა სახელმძღვანელო პრინციპები/რეკომენდაციები კომპანიებისა და დამსაქმებლებისთვის როგორ უნდა მოხდეს ფარული იძულებითი შრომის რისკის მართვა. ეს რეკომენდაციები ხელმისაწვდომია როგორც ინტერაქტიული ვებ-ინსტრუმენტი.

## 6.6. ტრენინგები

ავსტრიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრენინგის დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სთავაზობს ტრეფიკინგებს ტრენინგს სხვადასხვა დონეზე<sup>281</sup>. აგრეთვე, დეპარტამენტი ყოველწლიურად ატარებს სამდღიან ტრენინგებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების შესახებ. აგრეთვე, ტარდება შრომის ინსპექტორების, საგადასახადო ორგანოების და საბაჟო ორგანოების

<sup>281</sup> საბაზისო პოლიციის ტრენინგი, საშუალო და უფროსი მენეჯმენტის ტრენინგი.

წარმოდგენილების ტრენინგები. საგარეო საქმეთა სამინისტრო ატარებს დიპლომატიური და საკონსულო პერსონალის ტრენინგს, მათ შორის დიპლომატიური ოჯახების მიერ ოჯახში დასაქმებული პერსონალის ექსპლუატაციის პრევენციისთვის,

**ბელგიაში** სისტემატიურად ტარდება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი კოორდინაციის სამმართველოს თანამშრომლების, მოსამართლეების, პოლიციელების, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმღები კადრების, აგრეთვე ტრეფიკინგის ბრძოლის წინა ხაზზე მყოფი პირების ტრენინგები. აგრეთვე ტარდება შრომის ინსპექტორების და სოციალური მუშაკების ტრენინგები.

**ნორვეგიაში** შრომის და სოციალური კვლევის ინსტიტუტმა შეიმუშავა ტრენინგ მოდულები თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრების და სოციალური უზრუნველყოფის ოფისებში მომუშავე პერსონალისთვის, რომლებიც შეიძლება კონტაქტში შევიდნენ არასრულწლოვან ტრეფიკინგის მსხვერპლებთან.

**პოლონეთში** ტრეფიკინგის საკითხები შედის პოლიციის აკადემიების სასწავლო პროგრამებში. აგრეთვე ტრენინგს გადიან მესაზღვრეები, რომლებსაც შეიძლება პირველი შეხება ჰქონდეთ ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლთან. შრომის ინსპექტორები ასევე გადიან ტრენინგებს შრომითი ექსპლუატაციის საკითხებზე.

**პორტუგალიაში** საწყისი და შემდგომი ტრენინგი უტარდებათ პოლიციის ოფიცრებს ტრეფიკინგის გამოძიების ტექნიკაზე, მსხვერპლთან გასაუბრების თავისებურებაზე და მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე. ყოველწლიურად გადიან ტრენინგებს მესაზღვრეები, პროკურორები და მოსამართლეები. გარდა ამისა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ტრენინგს გადიან შრომის ინსპექტორები, სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსები, სოციალური მუშაკები, ჯანდაცვის სფეროს მუშაკები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები რეგიონებიდან, რომლებსაც შეიძლება შეხება ჰქონდეთ ტრეფიკინგის დანაშაულის რისკთან სოფლის მეურნეობის სფეროში.

ამ თავში ვნახეთ GRETA-ს მიერ შედგენილი ტრეფიკინგთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ევროპის კონვენციის ხელმძღვანელ ქვეყნებში. აქ შეკრებილია ტრეფიკინგის პრევენციის მაგალითები როგორც დანიშნულების, ისე წარმოშობის და სატრანზიტო ქვეყნებიდან. GRETA საუკეთესო პრაქტიკად განიხილავს დამოუკიდებელი ეროვნული მომხსენებლის ინსტიტუტის არსებობას, კვლევების ჩატარებას, მიზანმიმართულ საინფორმაციო კამპანიებს, და შემდეგ ამ კამპანიების მიერ მიღებული შედეგის/გავლენის შეფასებას, იმ პირების ტრენინგებს, ვისაც შეიძლება შეხება ჰქონდეს ტრეფიკინგის მსხვერპლებსა და პოტენციურ მსხვერპლებთან, და ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციას ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომხაზურებაზე მოთხოვნის შესამცირებლად გატარებული ქმედებების განხორციელებით. საუკეთესო მაგალითებად სახელდება ქვეყნები, სადაც მთავრობამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიზანმიმართული, გააზრებული და



განგრძობითი ნაბიჯები გადადგა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის.

შემდეგ თავში მიმოვიხილავთ რამდენად ხორციელდება მეოთხე თავში მოყვანილი ქვეყნების კანონმდებლობაში დასახული ტრეფიკინგის პრევენციის ამოცანები პრაქტიკაში. ჩვენს მიერ შერჩეული ქვეყნებიდან ორი ნახსენები იქნა GRETA-ს მიერ როგორც საუკეთესო მაგალითები: ფინეთში 2009 წლიდან არსებობს ეროვნული მომხსენებელის ოფისი, რომელიც მონიტორინგს უწევს ფინეთის მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო ადგილობრივი ნორმების შესრულებას, ამაზდებს რეკომენდაციებს და ანგარიშებს და მოლდოვაში ტარდება ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები მოწყვლადი ჯგუფის ქალებისთვის, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის.

## 7. თავი მეშვიდე - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის პრაქტიკა შერჩეულ წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებში

მეოთხე თავში მიმოვიხილეთ ჩამდენიმე შერჩეული ქვეყნის კანონმდებლობა ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში. ამ თავში ვნახავთ რამდენად სრულდება კანონმდებლობაში ჩადებული ნორმები პრაქტიკაში, რა ქმედებებს ახორციელებენ მთავრობები შიდა კანონმდებობაზე და საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით, რათა მოხდეს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია. ამასთანავე, წინა თავში მიმოვიხილეთ საუკეთესო პრაქტიკა, როდესაც ქვეყნები ატარებენ სპეციალურ პროგრამებს, რათა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, ტრეფიკინგის სფეროში მომუშავე პირების განათლების გაღრმავება ტრეფიკინგის დანაშაულის საკითხებზე, სპეციალური პროგრამების გატარება მოწყვლადი ჯგუფებისთვის და ა.შ. ვნახოთ რა ქმედებებს ახორციელებენ ჩვენს მიერ შერჩეული ქვეყნები.

საერთაშორისო კონვენციებზე და ოქმებზე დაყრდნობით ქვეყნები იღებენ შიდა კანონმდებლობას და ატარებენ ზომებს, რათა მოხდეს ქვეყანაში ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია. ეს ძირითადად გულისმობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, იმ ადამიანების ტრენინგებს ვისაც შეიძლება ჰქონდეთ შეხება ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლებთან, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირებას, ადამიანთ მოვაჭრეთა სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო პასუხისმგებლობას და ა.შ.

„პალერმოს ოქმის“ შესაბამისად ტრეფიკინგის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა კვლევითი საქმიანობა, საინფორმაციო და მასმედიის კამპანიები და სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები.

ევროსაბჭოს კონვენციის შესაბამისად თითოეულმა მონაწილე ქვეყანამ უნდა მიიღოს ზომები ეროვნულ დონეზე კოორდინაციის განხორციელების ან განმტკიცების მიზნით იმ ორგანოთა შორის, რომლებსაც ევალებათ ადამიანთ ვაჭრობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა. ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ და/ან გააძლიერონ ეფექტური პოლიტიკა და პროგრამები ადამიანთ ვაჭრობის პრევენციის მიზნით ისეთი საშუალებების გამოყენების გზით, როგორებიცაა: კვლევა, ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება და საგანმანათლებლო კამპანიები, სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები და სასწავლო პროგრამები, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც წარმოადგენენ ტრეფიკინგის სამიზნეს და იმ პროფესიონალებისათვის, რომლებიც მუშაობენ ადამიანთ ვაჭრობის სფეროში.

ტრეფიკინგის პრევენციისა და ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირების სისხლისსამართლებრივი დევნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი არის ის, რომ აღიარებული იყოს დანაშაულის სირთულე, რომელიც ვერ მოგვარდება ვაკუუმში. ტრეფიკინგთან ბრძოლის სტრატეგიები უნდა ტარდებოდეს პოლიტიკის ყველა სფეროში, დაწყებული წარმოშობის ქვეყნებში ქალთა განათლების გაუმჯობესებით,

რათა გოგონები ნაკლებად მოწყვლადნი გახდნენ ტრეფიკინგის დანაშაულის მიმართ, დამთავრებული დანიშნულების ქვეყნებში პოლიციისთვის ხელფასის გაზრდით, რათა ისინი ნაკლებად იყვნენ მიდრეკილნი მექრთამეობისკენ. არ შეიძლება ტრეფიკინგის პრობლემის მოგვარება რამდენიმე სპეციალური სამუშაო ჯგუფისა ან განყოფილების შექმნის გზით. მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს რა არის ტრეფიკინგი, რა გავლენას ახდენს მათზე და რა შეიძლება მათ გააკეთონ რომ შეაჩერონ ტრეფიკინგი<sup>282</sup>.

## 7.1. წარმოშობის ქვეყნები

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისათვის განხორციელებულ ქმედებას წარმოშობის ქვეყნებში - ვნახავთ მოლდოვას, უკრაინას, ჩინეთისა და იამაიკას გამოცდილებას.

### 7.1.1. მოლდოვა

მოლდოვაში<sup>283</sup> არსებობს ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას უწევს მთავრობის ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმიანობას. ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის 2014-2016 წწ. სამოქმედო გეგმის<sup>284</sup> შესაბამისად მთავრობამ განახორციელა ქმედებები, რათა გაეზარდა ცნობიერება ადამიანთ ვაჭრობის დანაშაულის შესახებ სტუდენტებს, უცხოეთში მცხოვრებ მოლდოვას მოქალაქეებსა და ზოგადად ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ამისთვის გამოყენებული იყო რადიო გადაცემები, კომიტეტის ვებ-გვერდი, და გატარდა ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის კვირეული. 2016 წელს, წინა წლებთან შედარებით, მთავრობამ შეამცირა ტრეფიკინგის პრევენციის საქმიანობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის ცენტრი, თუმცა მას არ ჰყავდა დირექტორი 2015 წლის შვიდი თვის განმავლობაში და 2016 წელს 10 თვის განმავლობაში. თანამშრომლობა ცენტრსა და სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის 2015 წელს გაუარესდა და 2016 წელს იგივე გაგრძელდა. ერთ-ერთი ამის მიზეზი იყო, რომ პოლიციამ გადაიტანა ყურადღება საერთაშორისო სექსუალურ და შრომითი ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებიდან, ადგილობრივი პროსტიტუციის საქმეების გამოძიებაზე, რათა ამით გაეზარდა ცენტრის გამოძიების სტატისტიკის მაჩვენებელი. ამასთან, პროკურორები საქმეებს საფუძვლად ძირითადად მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლის ჩვენებას უდებდნენ, რასაც შედეგად ხშირად მოყვებოდა გამამართლებელი განაჩენის დადგომა, რადგან ხშირად მსხვერპლს აღარ უნდა ადამიანთ

<sup>282</sup> *Prevention, Prosecution and Protection - Human Trafficking*, The Magazine of the United Nations, Vol. XLVII No. 1 2010 February 2010, <https://unchronicle.un.org/article/prevention-prosecution-and-protection-human-trafficking> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>283</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში* გვ.283-285 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> . (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

<sup>284</sup> რომელიც კიდევ ერთი წლით გაგრძელდა 2017 წელს.

მოვაჭრეს წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და ცვლის ჩვენებას<sup>285</sup>. ამასთან, ადგილობრივი ორგანიზაციები აცხადებდნენ ინფორმაციას სამართალდამცავ სისტემაში კორუფციის ფაქტების შესახებ. 2016 წელს დაიწყო გამოძიება კორუფციის ბრალდებით კომიტეტის უფროსის მოდვილის და ერთ-ერთი გამომძიებლის წინააღმდეგ. კორუფცია სასამართლო სისტემაში აგრეთვე დიდი პრობლემაა. სასამართლოები ხშირად აუქმებდნენ გამამტყუნებელ განაჩენს აპელაციის ეტაპზე დასაბუთებული ახსნის გარეშე.

2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეჭვიმტანილი შეიძლება მხოლოდ 12 თვე იმყოფებოდეს წინასწარ პატიმრობაში. ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებას წლების სჭირდება და ეს გადაწყვეტილება საშუალებას აძლევს ტრეფიკინგის დანაშაულის ეჭვიმტანილებს გამოვიდნენ ციხიდან და დატოვონ ქვეყანა.

2016 წელს მთავრობამ 151 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია, 33 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 33 საქმეში დადგა გაგამტყუნებელი განაჩენი<sup>286</sup>. 2015 წელს მთავრობამ 189 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია, 76 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 76 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა. 2014 წელს მთავრობამ 175 საქმე გამოიძია, 49 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 43 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა. 2013 წელს – 155 საქმე იყო გამოიძიებული, 51 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 25 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა. 2014 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგის ანგარიშის მიხედვით მოლდოვას სასამართლო სისტემის მიერ დაკისრებული სასჯელი არ შეესაბამებოდა დანაშაულის სისტიკეს რადგან ძირითადად ხდებოდა ჯარიმების დაკისრება ან მსუბუქი პატიმრობის ვადის დაკისრება ადამიანით მოვაჭრეებისთვის; აგრეთვე აპელაციების დროს ხშირად ხდებოდა პირველი ინსტანციების გადაწყვეტილებების შეცვლა. 2015 წელს საშუალო სასჯელი ტრეფიკინგის დანაშაულისთვის 7.3 წელი იყო და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისთვის 16.3 წელი. 2016 წელს საშუალო სასჯელი ტრეფიკინგის დანაშაულისთვის 7.5 წელი იყო და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისთვის 9.5 წელი. მოლდოვას ხელისუფლება თანამშრომლობდა უცხოელ კოლეგებთან ტრეფიკინგის რამდენიმე საქმის გამოძიებაში.

მთავრობამ ჩაატარა დიპლომატების პოლიციის, სასაზღვრო დაცვის, პროკურორების და მოსამართლეების ტრენინგი 2016 წელს, ძირითადად დონორთა დახმარებით. მოსამართლეების და პროკურორების კანდიდატებს მოეთხოვებოდათ 40-საათიანი ტრეფიკინგის კურსის გაგება. ჩატარდა დიპლომატიური პერსონალის ტრენინგი ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის შესახებ.

მთავრობას არ გაუტარებია ღონისიებები კომერციული სექსუალური მომსახურების ან იძულებითი შრომის მოთხოვნის შესამცირებლად.

<sup>285</sup> ან იმდენად ტრამფირებულია, რომ არ უნდა ჩვენების მიცემა.

<sup>286</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ფარავს 1 აპრილიდან შემდეგი წლის 31 მარტის პერიოდს და არა კალენდარულ წელს.

## 7.1.2. უკრაინა

უკრაინამ<sup>287</sup> 2016 წლის თებერვალში მიიღო 2016-220 №. სამოქმედო გეგმა. 2016 წლის იანვარში სამინისტროებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ტრეფიკინგის დანაშაულის ერთიანი სტატისტიკური ბაზა. ჩატარდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც განსაკუთრებულად იყო მიმართული ახალგაზრდებზე, რომლებიც აპირებენ დასაქმებას უცხოეთში. მთავრობა 2015 წლიდან ნაკლებად ატარებს შრომით ინსპექტირებას რესურსების შემცირებისა და ინსპექციის მანდატის შემცირების გამო. ყოველწლიურად სოციალური პოლიტიკის სამინისტრო აქვეყნებს ლიცენზირებული დასაქმების კომპანიების სიას. 2015 წლიდან არ დაწყებულა გამოძიება ტრეფიკინგის ბრალდებით არც ერთი დასაქმების კომპანიის წინააღმდეგ. რაიმე კონკრეტული ღონისძიება კომერციული სექსუალური მომსახურების ან იძულებითი შრომის მოთხოვნის შესამცირებლად არ ტარდება.

2017 წლის ბიუჯეტში მთავრობამ გაითვალისწინა ხარჯები ტრეფიკინგთან ბრძოლის პროგრამებზე. აგრეთვე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები: სატელევიზო პროგრამები, რეკლამები ტელევიზიით და 40 ბილბორდებზე ქუჩებში, შეხვედრები მოსახლეობასთან, ლექციები სტუდენტებისა და ახალგაზრდობისთვის, დარიგდა 4,000 ბროშოურა, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ და მითითებულია ტრეფიკინგისა და მიგრაციის საკითხების ცხელი ხაზის ნომერი.

2016 წელს მთავრობამ 112 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია, 45 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 28 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა. 2015 წელს მთავრობამ 111 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია, 59 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 25 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა. 2014 წელს მთავრობამ 109 საქმე გამოიძია და 57 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა. 2016 წელს გასამართლებული 26 ადამიანით მოვაჭრეთაგან 21-ს (81%) არ მიესაჯა პატიმრობა, 5 ადამიანით მოვაჭრეს მიესაჯა პატიმრობა 2-დან 10 წლამდე და მოხდა ორი დამნაშავეს ქონების კონფისკაცია. 2015 წელს გასამართლებული 32 ადამიანით მოვაჭრისაგან 20-ს არ მიესაჯა პატიმრობა. უკრაინის ხელისუფლება თანამშრომლობდა ისრაელის, პოლონეთის და აშშ-ს უცხოელ კოლეგებთან ტრეფიკინგის რამდენიმე საქმის გამოძიებაში. პროკურორები საქმეებს საფუძვლად ძირითადად მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლის ჩვენებას უდებდნენ, რასაც შედეგად ხშირად მოყვებოდა გასამართლებელი განაჩენის დადგომა, რადგან ხშირად მსხვერპლს აღარ უნდა დამნაშავეს წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და ცვლის ჩვენებას, ან იმდენად ტრამპირებულია, რომ საერთოდ არ უნდა ჩვენების მიცემა.

ქვეყანაში არ ხორციელდება გამოძიება სახელმწიფო მოხელეების მიერ ტრეფიკინგის დანაშაულში მონაწილეობის ან ხელშეწყობის ფაქტებზე, მაშინ როდესაც სამოქალაქო სექტორი აცხადებს, რომ ქვეყანაში

<sup>287</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.406-409 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf>. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

გავრცელებული კორუფცია საშუალებას იძლევა ხელი შეეწეოს ტრეფიკინგის დანაშაულს.

2016 წელს სამართალდამცველებმა შეისწავლეს ოფიციალური და არაოფიციალური დასაქმების ქსელები, რის შედეგადაც დაიწყო გამოძიება დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც თაღლითური სქემით აიძულებდნენ უკრაინის მოქალაქეებს განეხორციელებინათ ნარკოტიკების კონტრაბანდა.

2016 წელს სახელმწიფო შრომის ინსპექციამ დამატებით დაასაქმა 190 შრომის ინსპექტორი, თუმცა ექსპერტები აცხადებდნენ, რომ შრომის კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი და ინსპექციები არასრულფასოვნად ტარდება. მთავრობამ გამოაცხადა მცირე ბიზნესის შემოწმებაზე მორატორიუმი 2017 წლის დეკემბრამდე, რაც ზღუდავს პოლიციას განახორციელოს მცირე ბიზნესის პროაქტიული შემოწმება.

ტრეფიკინგის საკითხებზე ტრენინგები უტარდებათ სამხედროებს, რომლებიც საერთაშორისო მისებში მიემგზავრებიან და უკრაინის დიპლომატიური მისიების თანამშრომელებს. ხელისუფლება საერთაშორისო დაფინანსებით ატრებს ტრენინგებს მომსამართლეებისთვის, პროკურორებისა და სამართალდამცველებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, პოლიციისა და სამოქალაქო სექტორის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის გამო, ბევრი ადგილობრივი მოხელე გამოიცვალა და მათ არ აქვთ შესაბამისი ცოდნა ტრეფიკინგის დანაშაულის სფეროში.

### 7.1.3. ჩინეთი

ჩინეთის<sup>288</sup> მთავრობა ატარებს ფართო ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ტრეფიკინგის საკითხებზე – 2016 წელს მთავრობამ დააფინანსა სატელევიზიო შოუ ტრეფიკინგის საკითხებზე, ინფორმაცია ტრეფიკინგის შესახებ, აგრეთვე ვრცელდება ტრადიციული და სოციალური მედით, 2015 წელს მთავრობამ დააფინანსა მხატვრული ფილმის გადაღება ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო და ჩინეთის ქალთა ფედერაცია ატარებენ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებს მატარებლებსა და ავტობუსებში და ეროვნულ რადიოზე – ძირითადად მიგრანტი დასაქმებულების ინფორმირებისთვის.

ექპერტების აზრით, ჩინეთის ერთი შვილის გაჩენის უფლების პოლიტიკა იწვევს გენდერულ დისბალანსს, რაც ხელს უწყობს ტრეფიკინგის დანაშაულს, რადგან მაღალია მოთხოვნა უცხოელ საცოლეებზე ჩინელი მამაკაცებისთვის და კომერციული სექსუალური მომსახურების მიღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეზღუდვა გაუქმდა, გენდერული დისბალანსი კვლავ არსებობს. იძულებითი ქორწინების მაღალი მაჩვენებლის გამო, ხელისუფლების მოთხოვნით გულდასმით ხდება ჩინეთის ვიზის მდებარეობითი სქესის მსურველთა აპლიკაციების შესწავლა.

<sup>288</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.126-129 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf>. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

მთავრობა აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც მოხდა ქალებისა და ბავშვების შესყიდვის კრიმილაზიაცია, რათა მოხდეს პოტენციური მყიდველების რაოდენობის შემცირება. აგრეთვე ფართოდ ვრცელდება ინფორმაცია შრომითი ტრეფიკინგის დანაშაულის სისხლისსამართლებრივ დევნაზე და დამნაშავეების დაკავებაზე, რათა შემცირდეს მოთხოვნა შრომითი ექსპლუატაციის მომსახურებაზე. თუმცა მსგავსი ინფორმირება არ ხდება სექსუალური ტრეფიკინგის საქმეებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩინეთის მოქალაქეები მონაწილეობას იღებენ უცხოეთში ბავშვთა სექსტურიზმში, ხელისუფლება არ იღებს ზომებს ამ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგის ანგარიშის შესაბამისად, ჩინეთის მთავრობის ინფორმაციით, 2016 წელს დაიწყო გამოძიება 1004 საქმეზე და 2036 ეჭვმიტანილის დაპატიმრება, მათგან 45 საქმეში ბრალდება იყო შრომითი ექსპლუატაციის საქმეებზე. დამნაშავედ იქნა ცნობილი 435 ადამიანით მოვაჭრე სექსუალური ექსპლუატაციის საქმეებზე და 19 პირი შრომითი ექსპლუატაციის საქმეებზე. 2015 წელს დაიწყო 1414 გამოძიება, მოხდა 194 ადამიანით მოვაჭრეს დაკავება და 35 პირის გასამართლება, თუმცა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით ჩინეთის მთავრობის ტენდენცია აურიონ ერთმანეთში საზღვარზე მიგრანტების უკანონოდ გადაყვანა, ბავშვების გატაცება, პროსტიტუცია, უკანონო შვილება და ტრეფიკინგის დანაშაულები, ცოტა გაუგებარია საერთაშორისო სამართლის მიხედვით კონკრეტულად რამდენი ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირი იყო დაკავებული და გასამართლებული. 2016 წელს არ დაწყებულა გამოძიება არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის ფაქტებზე ან შეზღუდული შესაძლებლობის პირების იძულებაზე იმათხოვრონ ან ჩაიდინონ სხვა უკანონო ქმედება.

2016 წელს მთავრობამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განახორციელა მთავრობის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ტრენინგები ეროვნული რეფერენსული მექანიზმისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთან მოპყრობის სტანდარტების შესახებ. აგრეთვე ჩატარდა ტრენინგები ჩინეთის დიპლომატიური პერსონალისთვის და სამხედრო მოსამსახურეებისთვის, სანამ ისინი გაემგზავრებოდნენ სამშვიდობო მისიით საზღვარგარეთ.

#### 7.14. იამაკა

იამაკის<sup>289</sup> მთავრობამ მიიღო 2015-2018 წწ. ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა, რომელსაც კოორდინირებას უწევს ეროვნული სპეციალური დანიშნულების ჯგუფი, თუმა მას არ აქვს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2015 წელს დაინიშნა ეროვნული მომსახურებელი, რომელმაც უნდა გამოიძიოს ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულზე.

<sup>289</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.223-225 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> . (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13/10/2017).

ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დარღვევაზე, და მთავრობას წარუდგინოს ყოველწლიური მოხსენება.

მთავრობა ახორციელებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა ასპექტზე, როგორც მედიით, ასევე ხორციელდება შეხვედრები საზოგადოებასთან, უნივერსიტეტებში და სკოლებში. საზოგადოებას უჩვენეს ფილმი ტრეფიკინგის შესახებ, გამოიცა კომიქსი წიგნები ბავშვებისთვის, დაიბეჭდა და გავრცელდა წამყვან გაზეთთან ერთად 70,000 ბროშურა ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ.

შრომის სამინისტრო ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ტრეფიკინგის დანაშაულის საშიშროების შესახებ იმაკის მოქალაქე მუშებთან, რომლებიც მიდიან სხვა ქვეყნებში სეზონური სასოფლო-სამეურნეო პროგრამებში მონაწილეობისთვის. ეროვნული სპეციალური დანიშნულების ჯგუფი ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებთან და აძლევს მათ რეკომენდაციას განაცხადონ ინფორმაცია, თუ ეჭვი გაუჩნდებათ სექს-ტურიზმის არსებობის ფაქტების შესახებ.

პოლიცია ატარებს სპეციალურ ოპერაციებს რაიონებში, სადაც ხორციელდება კომერციული სექსუალური მომსახურება, შედეგად დაიკეტა რამდენიმე დაწესებულება, სადაც ეჭვი იყო, რომ ხორციელდებოდა უკანონო ქმედებები, და მოხდა რამდენიმე პირის დაკავება, ვინც შეიძინა კომერციული სექსუალური მომსახურება.

მთავრობა არ ახორციელებს რაიმე კონკრეტულ საქმიანობას იძულებითი შრომის მოთხოვნის შესამცირებლად.

2016 წელს მთავრობამ 40 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია, 9 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 2 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა 2015 წელს მთავრობამ 30 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია, 9 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 2 ადამიანით მოვაჭრე გასამართლდა. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2 საქმეზე – ერთი შრომითი ტრეფიკინგის საქმეზე და ერთი სექსუალური ტრეფიკინგის საქმეზე. შრომითი ტრეფიკინგის საქმეზე სასჯელად დაეკისრა 2.4 მილიონი იამაკური დოლარის<sup>290</sup> ჯარიმის სახით გადახდა და ამდენივე 3 მსხვერპლისთვის გადახდა ზიანის ასანაზღაურებლად. სექსუალური ტრეფიკინგის საქმეზე დამნაშავეს მიესაჯა 15 წლით მძიმე შრომა. 2014 წელს მთავრობამ 38 საქმე გამოიძია.

გამომძიებელთა დამოუკიდებელ კომისიას აქვს მინიჭებული უფლებამოსილება გამოიძიოს პოლიციის ოფიცრების და სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დარღვევები. მაგალითად 2015 წელს დაიწყო გამოძიება ანტიდოპინგური კომიტეტის თავჯდომარის ყოფილი მოადგილის წინააღმდეგ პროსტიტუციიდან მიღებული შემოსავლის ბრალდებით, რაც წარმოადგენს სექსუალური სამართალდარღვევის აქტის დარღვევას.

2016 წელს ჩატარდა 1063 პოლიციელის ტრენინგი ტრეფიკინგის საკითხებზე, 2015 წელს კი 563 პოლიციელის ტრენინგი. აგრეთვე

<sup>290</sup> დაახლოებით 47 ათასი ლარი.



ჩატარდა 70 მოსამართლის და 2,000 მსოფლიოს მოსამართლეთა<sup>291</sup> ტრენინგი, რომლებსაც ევალუატიონით მიიღონ გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიერ ქვეყნის დატოვების შესახებ არამშობელ მეურვესთან ერთად.

## 7.2. დანიშნულების ქვეყნები

ამ ქვეყნებში მიმოვიხილავთ ისრაელში, საბერძნეთში, ფინეთში, თურქეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებში არსებულ პრაქტიკას ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში.

### 7.2.1. ისრაელი

ისრაელი<sup>292</sup> ასორციელებს აქტიურ ქმედებებს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის და ატარებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს საზოგადოებასა და სახელმწიფო მოხელეებს შორის. ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილება უწევს კოორდინაციას შესაბამისი სამინისტროების და არასამთავრობო ორგანიზაციების ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმიანობას; აგრეთვე ატარებს ტრენინგებს, მათ შორის ტრენინგებს ტრენინგებს, და ცნობიერების ამაღლების კამპანიების სახელმწიფო მოხელეებისთვის, და აქვს ვებ-გვერდი, სადაც თავსდება ინფორმაცია ადამიანთა ვაჭრობის შესახებ. განყოფილება აგრეთვე ხელმძღვანელობს მინისტრთაშორის კომიტეტს, რომელიც შეისწავლის ქალთა და ბავშვთა პროსტიტუციის საკითხებს ისრაელში. განყოფილება მუშაობს ტურისტულ ორგანიზაციებთან რათა გაზარდოს ცნობიერება პროსტიტუციისა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე სასტუმროებსა და „სტუმართმოყვარეობის სექტორში“<sup>293</sup>.

2015 წლამდე კენესტში არსებობდა ქალთა ტრეფიკინგის და პროსტიტუციის ქვეკომიტეტი. 2015 წელს ის დაიშალა, მაგრამ მისი მანდატი გადაეცა ქალთა სტატუსისა და გენდერული თანასწორობის კენესტის კომიტეტს, რომელიც სხვადასხვა სამინისტროებთან კოორდინაციით მუშაობს სექსუალურ ტრეფიკინგის საკითხებზე და პოლიტიკაზე. 2016 წლის თებერვალში ქალთა ტრეფიკინგის და პროსტიტუციის ქვეკომიტეტმა განაახლა მუშაობა.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით, მთავრობა ამზადებს და ავრცელებს საინფორმაციო ბუკლეტებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის და შესაბამისი ტრეფიკინგთან ბრძოლის რესურსების შესახებ დასაქმების სააგენტოებში. დასაქმების სააგენტოებს, რომლებიც

<sup>291</sup> Justice de paix.

<sup>292</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.218-221 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf>. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

<sup>293</sup> „სტუმართმოყვარეობის სექტორი/ინდუსტრია“ არის ტურისტული მომსახურების ერთ-ერთი სფერო, რომელიც მოიცავს სასტუმროებს, საცხოვრებელს, კვებას, ღონისძიებების დაგეგმვას, თემატურ პარკებს, ტრანსპორტირებას, კრუიზებს და ა.შ.

სტუმართმოყვარეობის ინდუსტრია მრავალმილიონიანი დოლარიანი ინდუსტრიაა, რომელშიც დასაქმებულია უამრავი ადამიანი (მომსახურე პერსონალი, დამლაგებლები, კარისკაცები, სამზარეულოში მომუშავე მუშაკები, ბარმენები, მძღოლები, გიდები და ა.შ.). [https://en.wikipedia.org/wiki/Hospitality\\_industry](https://en.wikipedia.org/wiki/Hospitality_industry) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01/10/2017).

ასაქმებენ მომვლელებს, მოეთხოვებათ ლიცენზირებული სოციალური მუშაკის აყვანა, რომელიც მონიტორინგს უწევს უცხოელი მომვლელების მუშაობის პირებობს, ახორციელებს ვიზიტებს სახლებში, სადაც ისინი არიან დასაქმებულები და მთავრობას აცვობინებს შრომითი დარღვევების შესახებ.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით მთავრობა ამუშავებს 24 საათიან ცხელ ხაზს ისარელში დასაქმებული უცხოელი მშრომელებისთვის.

2016 წელს მთავრობამ წამოიწყო 279 საქმე სექსუალური ტრეფიკინგის მუხლით და 31 საქმე შრომით ტრეფიკინგზე. 2016 წელს განხორციელდა 20 ადამიანით მოვაჭრეს სისხლისსამართლებრივი დევნა სექსუალური ექსპლუატაციის ბრალდებით და ერთი შრომითი ექსპლუატაციის ბრალდებით. 16 დამნაშავეს მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, მათ შორის 8 იქნა დამნაშავედ ცნობილი არასრულწლოვანის სექსუალური მომსახურების გამოყენებისთვის. 2015 წელს მთავრობამ წამოიწყო 234 საქმე სექსუალური ტრეფიკინგის მუხლით, მათ შორის 23 საქმე არასრულწლოვანთა ტრეფიკინგზე, და 158 საქმე შრომით ტრეფიკინგზე, რომელთა შორის 3 შემთხვევაში ფიგურირებდა პასპორტის ჩამორთმევა. 2015 წელს განხორციელდა 9 ადამიანით მოვაჭრეს სისხლისსამართლებრივი დევნა სექსუალური ექსპლუატაციის ბრალდებით, მაგრამ არც ერთი ბრალდება არ ყოფილა შრომით ექსპლუატაციაზე; ამ 9 ბრალდებულიდან 3 იქნა ცნობილი დამნაშავედ. 2014 წელს 14 ადამიანით მოვაჭრეს სისხლისსამართლებრივი დევნა მოხდა სექსუალური ექსპლუატაციის ბრალდებით და კვლავ არც ერთი ბრალდება შრომით ექსპლუატაციაზე. სასამართლოს გამოაქვს საკამოდ მკაცრი განაჩენი ზოგ ტრეფიკინგის საქმეზე, მაგრამ ზოგიერთი ადამიანით მოვაჭრეს წინააღმდეგ გამოყენებულია ისეთი სასჯელი როგორცაა პატიმრობის გადადება, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, რომელიც პრობაციის ტოლფასია, და ფინანსური ჯარიმა, ყოველივე ეს კი არ შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს მსგავსი სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის შესაბამისი სასჯელის გამოყენებაზე.

ისრაელის მთავრობის განცხადებით საკამოდ რთულია სექსუალური ექსპლუატაციის და იძულებითი შრომის დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან მსვერპლებს ურჩევნიათ რეპატრაცია, იმის მაგივრად რომ დარჩნენ ისარელში და მისცენ ჩვენება დამნაშავეს წინააღმდეგ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის იმიგრაციის და საზღვრის განყოფილება მონიტორინგს უწევს დასაქმების სააგენტოებს შრომითი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ეკონომიკის სამინისტროს ჰყავს 261 შრომითი ინსპექტორი და ხელშეკრულებით დასაქმებული თარჯიმანი, რომლებიც ახორციელებენ ინსპექციებს. 2016 წელს გაიცა 1518 ადმინისტრაციული გაფრთხილება და 7 ჯარიმა შრომითი დარღვევის საკითხებზე. 2015 წელს დაიწყო 1,007 გამოძიება, გაიცა 2,429 ადმინისტრაციული გაფრთხილება და 23 ჯარიმა შრომითი დარღვევის საკითხებზე.

აგრეთვე ეკონომიკის სამინისტროში არის უცხოელ მუშაკთა უფლებების ომბუდსმენი. 2016 წელს მან მიიღო და უპასუხა 1,500 შრომით საჩივარს შრომის კანონის დარღვევებზე, 2015 წელს მან მიიღო და უპასუხა 1,300 შრომით საჩივარს შრომის კანონის დარღვევებზე სასოფლო სამეურნეო სფეროში და ამ საჩივრებიდან 90% გადააგზავნა შესაბამის ორგანოებში გამოძიებისთვის.

მთავრობა ახორციელებს ქმედებებს იძულებით შრომაზე და კომერციული სექსუალურ მომსახურებაზე მოთხოვნის შესამცირებლად და აგრეთვე იღებს ზომებს სექს-ტურიზმის წინააღმდეგ. 2016 წელს დაიხურა 6 ბორდელი 30-90 დღით სექსუალური ტრეფიკინგის შემთხვევების პრევენციისთვის. კანონი უკრძალავს ისრაელის მოქალაქეებს უცხოეთში სექს-ტურიზმში ჩართვას.

ტარდება დიპლომატიური პერსონალის ტრენინგი ტრეფიკინგის საკითხებზე. აგრეთვე ტარდება ტრენინგები და სემინარები სხვადასხვა სამინისტროს თანამშრომლებისა და პოლიციისთვის არასრულწლოვანთა სექსუალური ტრეფიკინგის შემთხვევაში შესაბამისი პროცედურების გამოყენების საკითხებზე.

## 7.2.2. საბერძნეთი

როგორც ზემოთ ვახსენეთ, საბერძნეთს<sup>294</sup> არ აქვს სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის. ბოლო ასეთი გეგმა საბერძნეთს 2012 წელს ჰქონდა<sup>295</sup>. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ტრეფიკინგის საკითხებზე ეროვნული მომხსენებელი უწევს კოორდინაციას მთავრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობას, თუმცა არ აქვს საკმარისი რესურსები. ეროვნული მომხსენებელი აგროვებს ტრეფიკინგის სტატისტიკას და მონაცემებს, ინფორმაციას ახალი ტენდენციების შესახებ და შეიმუშავებს წინადადებებს სამომავლო ქმედებებისათვის. იგი ამზადებს ყოველწლიური ანგარიშს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი წარუდგენს საბერძნეთის პარლამენტს. ეროვნული მომხსენებელი თანამშრომლობს პოლიციასთან, სასამართლო ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და IOM-თან. ეროვნული მომხსენებლის აპარატის აგრეთვე მუშაობს ცნობიერების ამაღლების, განათლებისა და ტრენინგების საკითხებზე.

შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტროს ქვეშ არსებული სოციალური სოლიდარობის ეროვნული ცენტრი არის სააგენტო, რომელიც კოორდინაციას უწევს კრიზისულ სიტუაციებში ან საგანგებო საჭიროებაში მყოფი მოსახლეობის

<sup>294</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში*, გვ.184-186 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/10/2017).

<sup>295</sup> *Report concerning the implementation of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings by Greece, First evaluation round, GRETA (2017) გვ.13* <https://rm.coe.int/greta-2017-27-fgr-gre-en/168075f2b6> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

სოციალურ მხარდაჭერას, მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებას.

მთავრობა თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში. 2016 წელს მთავრობამ ადაღინა პარლამენტის ქვეკომიტეტი ტრეფიკინგის საკითხებზე სამუშაოდ.

ტრეფიკინგის სტატისტიკის სპეციალური ბაზის შექმნა ჯერ კიდევ შემუშავების ეტაპზეა.

2016 წელს მთავრობამ ჩაატარა ორდღიანი ტრეფიკინგის ცნობიერების ამაღლების ფესტივალი „დავამსხვრიოთ ბორკილები“ და ეროვნული მომხსენებელის ინფორმაციით, ფესტივალის შემდეგ გაიზარდა სატელეფონო ზარების რაოდენობა ცხელ ხაზზე, მათ შორის დარეკეს პირებმა, ვინც მიიღო სექსუალური მომსახურება ბორდელებში და განაცხადეს ტრეფიკინგის შესაძლო ფაქტების შესახებ.

ტელევიზიით გადის უფასო სოციალური რეკლამა ტრეფიკინგის დანაშაულის საშიშროების შესახებ, ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. სკოლებსა და უნივერსიტეტებში ტარდება ლექციები ტრეფიკინგის საკითხებზე, ძირითადი მიზანი არის მოთხოვნის შემცირება. ათენსა და თესალონიკში ჩატარდა ცნობიერების ამაღლება ტაქსების მძღოლებს. სხვადასხვა ქალაქებში თეატრალური ჯგუფი ანახებს წარმოდგენას “სექსუალური ტრეფიკინგი”<sup>296</sup>.

მთავრობა ყოველწლიურად ატარებს საჯარო მოხელეების ტრენინგებს ტრეფიკინგის საკითხებზე. უტარდება ტრენინგები საბერძნეთის დიპლომატიურ პერსონალსაც.

საბერძნეთის პოლიციაში არის 2 ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილება – ქათენში და ქ.თესალონიკში, და 12 მცირე ქედანაყოფი, რომლებიც იძიებენ ორგანიზებულ დანაშაულს, მათ შორის ტრეფიკინგის დანაშაულს. პოლიცია ატარებს მსხვერპლების პროაქტიულ იდენტიფიკაციას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. 2016 წელს დაიწყო გამოძიება 25 საქმეზე, 97 ეჭვიმტანილის წინააღმდეგ, 2015 წელს 32 გამოძიება იქნა დაწყებული. ტრეფიკინგის საკითხებზე ტრენინგები უტარდებათ ამ განყოფილებების თანამშრომლებს, მესაზღვრეებს და მებაჟეებს, და საგანი ისწავლება პოლიციის აკადემიაში. მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, პოლიციელებმა, რომელთა სპეციალიზაცია არ არის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, და საჯარო მოხელეებმა არ იციან ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლთან მუშაობა და არ ესმით როგორ ხდება ექსპლუატაციის გამწევი პირის მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლის ემოციური და ფსიქოლოგიური იძულება.

2017 წლის მარტში ადამიანის უფლებათა ევროპულმა დაადგინა საბერძნეთის მიერ კონვენციის მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა<sup>297</sup>. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანებმა არ მიიღეს საკმარისი ეფექტური დაცვა საბერძნეთის სახელმწიფოსგან, აგრეთვე

<sup>296</sup> [https://ec.europa.eu/anti-trafficking/content/nip/greece\\_en](https://ec.europa.eu/anti-trafficking/content/nip/greece_en) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20/10/2017).

<sup>297</sup> იძულებითი შრომის აკრძალვა.

საბერძნეთმა არ შეასრულა ვალდებულება მოეხდინა ტრეფიკინგის პრევენცია, დაეცვა მსხვერპლები, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება და დაესაჯა დამნაშავეები. საქმე შეეხებოდა ბანგლადეშელ მიგრანტებს მარწყვის ფერმაში, სადაც მათ თავს ადგათ შეიარაღებული დაცვა და ხდებოდა მათი შრომითი ექსპლუატაცია.

საბერძნეთში პროსტიტუცია კანონიერია და არსებობს 200 ლიცენზირებული ბოროდელი. 2017 წლის აპრილში, გენდერული თანასწორობის გენერალური სამდივნომ ეროვნული მომხსენებლის აპარატთან თანამშრომლობით, შექმნა საქსპერტო კომისია, რათა მოხდეს პროსტიტუციის საკითხებზე არსებული სამართლებრივი ბაზის განხილვა და განხორციელდეს სექსუალური ექსპლუატაციისა და კომერციულ სექსზე მოთხოვნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების წახალისება. ექსპერტთა კომიტეტში შედიან იურიდიული სფეროს ექსპერტები, აკადემიკოსები, ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილების პოლიციის თანამშრომლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### 7.2.3. ფინეთი

ფინეთში<sup>298</sup> მუშაობს ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის კოორდინატორი, როგორც სამთავრობო კოორდინაციის ორგანო და ყოველ სამინისტროში არის ტრეფიკინგის პრევენციის ოფიცერი. კოორდინატორმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავა 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმა. 2016 წელს მთავრობამ გამოყო 553 აშშ დოლარი პროგრამების განსახორციელებლად, რომლებშიც გათვალისწინებულია ტრენინგები, საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის კამპანიები, მსხვერპლთა დახმარების სერვისები და კვლევების ჩატარება.

პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, არსებობდა დამოუკიდებელი მომხსენებელი, აირჩეული 4 წლის ვადით, და რომელიც მუშაობდა ტრეფიკინგის პრევენციის, სისხლისსამართლებრივი დევნის და დაცვის საკითხებზე და გრძელვადიან დაფინანსებაზე და იყო ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე. 2015 წლის იანვარში მომხსენებელი გადავიდა ახლადშექმნილ დისკრიმინაციათან ბრძოლის ომბუდსმენის ოფისში. ომბუდსმენის ოფისი გამოსცემს ყოველწლიურ ანგარიშებს დისკრიმინაციის სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ტრეფიკინგზე, უწევს კოორდინაციას მთავრობის ტრეფიკინგის პრევენციის საქმიანობას და თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მთავრობა ატარებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს საზოგადოების იმ ფენებისთვის, ვინც პოტენციურად შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლი, მაგალითად პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები, თუმცა GRETA-ს შეფასებით არ იქნა ჩატარებული კვლევა თუ რამდენად ეფექტურია ეს კამპანიები. 2016 წელს ჩატარდა სამთვიანი ცნობიერების

<sup>298</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.170-172 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf>. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

ამაღლების კამპანია ეროვნულ მაუწყებელზე ტრეფიკინგისა და ადამიანთა კონტრაბანდის საკითხებზე. ამ კამპანიის მიზანი იყო ინფორმაცია მიეწოდებინათ მიგრანტებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის. ხელსუფლება ატარებს საზოგადოებრივი ცნობიერების კამპანიებს მედიით, ავრცელებს ბროშურებს ტურისტულ ადგილებში, ატარებს ტრენინგებს ტრეფიკინგის საკითხებზე დიპლომატიური პერსონალისთვის და სამხედრო მოსამსახურეებისთვის, სანამ ისინი გაემგზავრებიან სამშვიდობო მისიით საზღვარგარეთ. ყოველწლიური ტრენინგი ტრეფიკინგის საკითხებზე უტარდებათ პროკურორებს და სამართალდამცველებს.

კენკრის კრეფვაზე დასაქმებული პირები განსაკუთრებულად იყვნენ დაუცველები შრომითი კანონდარღვევებისგან, რადგან მშრომელთა დაცვის კანონები მათზე არ ვრცელდებოდა. მთავრობამ შეისწავლა ეს საკითხი და მოსთხოვა კომპანიებს შეთანხმებულიყვნენ ზოგად ქცევის კოდექსზე. აგრეთვე 2016 წლის სექტემბერში დაიწყო გამოძიება ამ სფეროში შრომითი ექსპლუატაციის საქმეებზე.

ფინეთის მთავრობამ მიაგლინა სამართალდამცველები თავის საელჩოებში, რათა ისინი დახმარებოდნენ იქ მომუშავე პერსონალს ტრეფიკინგის პრევენციაში და მომხდარიყო პოტენციური ტრეფიკინგის მსხვერპლების ამოცნობა ვიზის აპლიკაციის პროცესში.

2016 წელს მთავრობამ 74 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია - 35 სექსუალური ექსპლუატაციის და 16 შრომითი ექსპლუატაციის საქმე, 4 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 6 ადამიანით მოვაჭრეს მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა ეროვნული მომხსენებელი აცხადებდა, რომ გამოძიების ხარისხი განსხვავდებოდა სხვადასხვა რეგიონის მიხედვით. 2015 წელს მთავრობამ 32 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია - 12 სექსუალური ექსპლუატაციის და 19 შრომითი ექსპლუატაციის საქმე, 4 საქმეში მოხდა სისხლისსამართლებრივი დევნა, და 4 საქმეში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლო სექსუალური ექსპლუატაციის საქმეებზე საშუალოდ აკისრებს 32-46 თვემდე პატიმრობას, შრომითი ექსპლუატაციის საქმეებში კი, საშუალოდ 12-20 თვემდე პატიმრობას.

მთავრობამ მიაგლინა ფინეთის თერთმეტივე რეგიონში პოლიციის ოფიცრები, რათა მათ იმუშაონ ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული ქსელის ექსპერტებად და ტრენერებად. ოფიცრები ხვდებიან ერთმანეთს წელიწადში ორჯერ საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად. აგრეთვე 5 პროკურორი ფინეთის მასშტაბით, არის მიმაგრებული კონკრეტულად ტრეფიკინგის საქმეებზე.

#### 7.2.4. თურქეთი

2016 წელს თურქეთმა რატიფიცირება გაუკეთა ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელსაც აქვს თავისი დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც განხილული გაქვს წინა თავებში. შესაბამისად 2016 წელს ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში თურქეთში ბევრი რა გააკეთდა.

თურქეთში<sup>299</sup> არის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს მთავრობის ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმიანობის კოორდინაციას და ამზადებს ცვლილებებს კანონმდებლობაში. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი ჯგუფი არ ატარებს შეხვედრებს, თუმცა სამუშაო ჯგუფები იკრიბებიან უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და რეფერალური მექანიზმის საკითხებზე. სახელმწიფოს არ განუახლება სამოქმედო გეგმა 2009 წლიდან 2016 წლამდე. 2016 წელს იქნა მიღებული ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელმაც პრიორიტეტად დასახა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა და პოტენციალის/შესაძლებლობების განვითარება. მთავრობამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინაციით განსახდურა დაფინანსების წყაროები.

ეროვნული კომიტეტი ჩამოყალიბდა 2016 წელს, რომელიც შედგება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის მქონე პირებისგან და ახორციელებს უწყებათაშორის კოორდინაციას ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებზე. კომიტეტის პირველი შეხვედრა 2017 წლის მარტში შედგა.

2016 წელს შეიქმნა მიგრანტთა კონტრაბანდისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი თურქეთის ეროვნულ პოლიციაში, რომელშიც დასაქმებულია 50 პოლიციელი, და აგრეთვე გაიხსნა დეპარტამენტის რეგიონალური ოფისები, რათა განხორციელდეს კოორდინაცია ადგილობრივ სამართალდამცველებთან. არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებდნენ ქვეყანაში არსებული კორუფციის ფაქტებზე და გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ კორუფციამ შესაძლოა შეაღწია სამართალდამცველთა სტრუქტურებშიც. მთავრობამ დაიწყო გამოძიება ამ განცხადებებზე, მაგრამ ვერ აღმოაჩინა მსგავსი ფაქტები.

მთავრობას აქვს ცხელი ხაზი ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის და 2015 წლიდან მიგრანტებისთვის. ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ ვრცელდება ბროშურებით აქვს ენაზე და პლაკატებით აეროპორტებში. ტარდება ცხელ ხაზზე მომუშავე პირების ტრენინგები.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის დეპარტამენტს აქვს ოფისები თურქეთის ოთხმოცდაერთივე პროვინციაში და თანამშრომლობს სამართალდამცველებთან ტრეფიკინგის მსხვერპლების იდენტიფიკაციის საკითხებში. ეს ოფისები აგრეთვე ატარებენ ინტერვიუებს მიგრანტებთან და თავშესაფრის მაძიებლებთან ტრეფიკინგის იდენტიფიცირებისთვის.

ტრენინგი უტარდებათ სამხედრო მოსამსახურეებს ტრეფიკინგის საკითხებზე, სანამ ისინი გაემგზავრებიან სამშვიდობო მისიით საზღვარგარეთ, სამართალდამცველებს, საზღვრის დაცვას, პროკურორებს, მოსამართლეებს, შრომის ინსპექტორებს, სოციალურ მუშაკებს, იმიგრაციის ოფიცრებს და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს. დიპლომატიურ პერსონლს არ უტარდება ტრენინგები ტრეფიკინგის საკითხებზე.

<sup>299</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.400-402 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> გვ.400-402 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

მთავრობა ახორციელებს მიგრანტთა რეგისტრაციას და დაახლოებით 3 მილიონი სირიელი მიგრანტი იქნა აღრიცხული; აგრეთვე გასცემს დაბადების მომწმობებს ლტოლვილთა ახალგაჩენილ ბავშვებზე. მთავრობა ინფორმაციას ავრცელებს სირიელ ლტოლვილთა ბანაკებში ტრეფიკინგის საშიშროების შესახებ.

2016 წელს მთავრობამ 253 ტრეფიკინგის საქმე გამოიძია 257 ეჭვმიტანილის წინააღმდეგ, იუსტიციის სამინისტრო აგრძელებდა წინა წლის 187 საქმეში სისხლის სამართლებრივ დევნას 1594 ბრალდებულის წინააღმდეგ. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 40 ადამიანით მოვაჭრეს წინააღმდეგ. 2015 წლის პირველ სამ კვარტალში მთავრობამ 50 სექსუალური ექსპლუატაციის საქმე გამოიძია (238 ეჭვმიტანილი), დამატებით გრძელდებოდა წინა წლის 188 საქმის გამოძიება, რომელთაგან 75 დამთავრდა 2015 წელს. სასამართლომ დამნაშავედ ცნო 37 ადამიანით მოვაჭრე, რომელთაგან ყველას მიესაჯა პატიმრობა და 35 მსჯავრდებულს დამატებით მიესაჯა ჯარიმის გადახდა. 306 ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი დადგა, რამაც სტატისტიკურად შეადგინა ადამიანით მოვაჭრეთა წინააღმდეგ საქმეებზე გამამართლებელი განაჩენის დადგომის 90%. 2014 წელს 71 საქმეზე იყო სისხლისსამართლებრივი დევნა 749 ბრალდებულის წინააღმდეგ და 25 ადამიანით მოვაჭრეს წინააღმდეგ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. ექსპერტები აკრიტიკებენ მთავრობის მიდგომას მსვერპლთა ჩვენებების მიმართ, რომლებიც ჩაწერილი იყო მსხვერპლის იდენტიფიკაციის დროს ან გამოძიების ადრეულ სტადიაზე, მთავრობა ითოსს ახალ ჩვენებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლმა დატოვა ქვეყანა.

2015 წელს თურქეთი მთავრობამ დადო ტრეფიკინგთან ბრძოლის თანამშრომლობის შეთანხმებები მრავალ ქვეყანასთან ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში და დაიწყო გამოძიება 87 ადამიანით მოვაჭრის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, ეს მაჩვენებელი 26-ს შეადგენდა 2014 წელს. 2016 წელს მთავრობამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობის და ექსტრადიციის შესახებ.

მთავრობა არ ატარებს რაიმე ღონისძიებებს რათა შეამციროს მოთხოვნა კომერციულ სექსუალურ მომსახურებას ან იძულებით შრომაზე; არ იღებს ზომებს რათა აღკვეთოს თურქეთის მოქალაქეების ჩართვა ბავშვთა სექს-ტურიზმში უცხოეთში, უფრო მეტიც, უარყოფს ბავშვთა სექს-ტურიზმის ფაქტებს თურქეთში ან თურქეთის მოქალაქეების მონაწილეობას უცხოეთში.

### 7.2.5. ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ში<sup>300</sup> ტრეფიკინგთან ბრძოლის საკოორდინაციო ორგანო ფედერალურ დონეზე არის პრეზიდენტთან არსებული ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლისა და მონიტორინგის უწყებათაშორისი სამუშაო

<sup>300</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ტრეფიკინგის ანგარიში გვ.415-420 <https://www.state.gov/documents/organization/271339.pdf> გვ.415-420 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13/10/2017).



ჯგუფი<sup>301</sup> და მისი საკოორდინაციო უწყება – პოლიტიკის უფროსი ოპერატიული ჯგუფი<sup>302</sup>. 2016 წელს სახაზინო დეპარტამენტი შეუერთდა უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს, რითიც გაზარდა მისი ცოდნა და გამოცდილება, სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ფულის გათეთრებასა და ტრეფიკინგს შორის არსებულ კავშირზე.

მთავრობა აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს ეროვნული ტრეფიკინგის რესურს-ცენტრი და ცხელი ხაზი. 2016 წელს ცხელ ხაზზე 51,167 ზარი შემოვიდა. 2017 წლის იანვარში შეიქმნა ტრენინგისა და ტექნიკური დახმარების ცენტრი, რათა გაზიარდოს ტრეფიკინგის სფეროში მომუშავე პირების ცოდნა. აშშ-ს საკონსულოებსა და საელჩოებში ვრცელდება ბროშურა „ცოდე შენი უფლებები“ ტრეფიკინგის დანაშაულის საშიშროების შესახებ და მითითებულია ცხელი ხაზის ნომერი. 2016 წელს ბროშურის გამოყენებით ცხელ ხაზზე განხორციელდა 459 ზარი.

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი და ჯანდაცვის და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი ატარებენ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს საკვები პროდუქტისა და სოფლის მეურნეობის წარმოებებში, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს სოფლის თემებში მცხოვრებ მოსახლეობისთვის.

აშშ-ს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს მიეწოდებათ ინფორმაცია აშშ-ს მოქალაქეების სახლებში მომუშავე ადამიანების ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად ჩასატარებელ ზომებზე. 2016 წლის თებერვლიდან ტარდება ტრენინგები აშშ-ს საელჩოს პერსონალისთვის საზღვარგარეთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული აშშ-ს დიპლომატების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენა. აგრეთვე დიპლომატიურ პერსონალს აეკრძალა მათთან მომუშავე პირებს დაუკავონ ხელფასიდან თანხა კვებისა და ცხოვრებისთვის.

ტრენინგი უტარდებათ კომერციული საავიაციო და ავტობუსების ხაზების თანამშრომლებს ტრეფიკინგის საკითხებზე და რეფერალურ მექანიზმზე. 2016 წლის ივლისში ტრეფიკინგის საკითხები, კერძოდ კი პოტენციური მსხვერპლის ამოცნობის და რეფერირების საკითხები, შევიდა თვითმფრინავის ბორტგამცილებლების სავალდებულო საგანმანათლებლო პროგრამაში. ტრენინგი ტრეფიკინგის საკითხებზე უტარდებათ სასკოლო საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების უფროსებს ყველა შტატში. განათლების დეპარტამენტი მუშაობს სკოლებთან, რათა ტრეფიკინგის საკითხები შეტანილი იყოს სასკოლო საგნების კურიკულუმში. თავდაცვის დეპარტამენტი ატარებს ტრენინგებს სამხედრო მოსამსახურეებისთვის ტრეფიკინგის საკითხებზე, სანამ ისინი გაემგზავრებიან სამშვიდობო მისიით საზღვარგარეთ. სისტემატიური ტრენინგები უტარდებათ სამართალდამცველებს, მოსამართლეებს, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების გამწვევებს, შრომის ინსპექტორებს, ადვოკატებს.

<sup>301</sup> The President’s Interagency Task Force to Monitor and Combat Trafficking in Persons –PITF.

<sup>302</sup> Senior Policy Operating Group.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო<sup>303</sup> ატარებს უცხო ქვეყნების სამართალდამცველების, მოსამართლეების და პროკურორების ტრენინგებს, ეხმარება ტექნოლოგიების განვითარებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში. 2016 წელს სააგენტომ დააფინანსა 34 ქვეყანა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამების განსახორციელებლად.

უსაფრთხოების დეპარტამენტმა 2016 წელს წამოიწყო ტრეფიკინგზე ცნობიერების ამაღლების კამპანია – ე.წ. ლურჯი კამპანია, და შეიმუშავა სპეციალური სახელმძღვანელო „სტუმართმოყვარეობის სექტორის“ წარმომადგენლებისთვის ტრეფიკინგის საკითხებზე.

აშშ-ს მთავრობა მუშაობს კომერციული სექსუალური მომსახურების და იძულებითი შრომის მოთხოვნის შემცირებაზე. 2015 წელს თავდაცვის დეპარტამენტმა გამოიძია 38 საქმე, სადაც სამხედრო მოსამსახურებმა პოტენციურად დაარღვიეს კომერციული სექსუალური მომსახურების მიღების აკრძალვა.

შრომის დეპარტამენტმა გაავრცელა იმ ნივთების/პროდუქტების ჩამონათვალი, რომლებიც პოტენციურად ბავშვთა შრომის ან იძულებითი შრომით არის წარმოებული. აშშ-ს ფედერალური მთავრობის ნებისმიერმა კონტრაქტორმა, რომელიც იყენებს ან შემოაქვს ეს პროდუქცია, უნდა დაამტკიცოს რომ კარგად გადაამოწმა და დარწმუნებულია, რომ პროდუქცია არ იქნა ნაწარმოები ბავშვთა შრომის ან იძულებითი შრომის გამოყენებით.

იუსტიციის დეპარტამენტი და უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებენ საქმეებს, სადაც შეიძლება იყოს ბავშვთა სექს-ტურიზმის ფაქტები. დეპარტამენტები თანამშრომლობენ უცხოელ სამართალდამცველებთან, რათა შეატყობინონ მათ სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირების მათ ქვეყანაში გამგზავრების შესახებ.

იუსტიციის დეპარტამენტი, უსაფრთხოების დეპარტამენტი და სახელმწიფო დეპარტამენტი არიან ძირითადი უწყებები, რომლებიც ფედერალურ დონეზე იძიებენ ტრეფიკინგის დანაშაულის საქმეებს, სისხლისსამართლებრივ დევნას იუსტიციის დეპარტამენტი ახორციელებს. შრომის დეპარტამენტი უერთდება ამ უწყებებს შრომითი ექსპლუატაციის საქმეების გამოძიებისას. იუსტიციის დეპარტამენტმა, უსაფრთხოების დეპარტამენტმა და შრომის დეპარტამენტმა 6 ქალაქში შექმნეს ტრეფიკინგთან ბრძოლის კოორინდაციის ჯგუფები, რათა ხელი შეეწყო კოორდინაციას ფედერალური პროკურორებს და აგენტებს შორის და გაძლიერდეს ფედერალური უწყებთაშორის გამოძიებები და სისხლისსამართლებრივი დევნა. ცალკე იუსტიციის დეპარტამენტმა ჩამოაყალიბა 16 სპეციალური სამუშაო ჯგუფი ტრეფიკინგის საკითხებზე<sup>304</sup>, რომელშიც შედიან ფედერალური, საშტატო და ადგილობრივი სამართალდამცავები და პროკურორები, შრომის აღსრულების მოსამსახურეები და მსხვერპლებისთვის მომსახურების გამწვევი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ ჯგუფების მიზანია

<sup>303</sup> United States Agency for International Development (USAID).

<sup>304</sup> Enhanced Collaborative Model (ECM) antitrafficking taskforces.

გაუმჯობესდეს თანამშრომლობა სამართალდამცავ უწყებებსა და მსხვერპლთა მომსახურების გამწვევ ორგანიზაციებს შორის.

აშშ-ს მთავრობა აწარმოებს მონიტორინგის პროგრამებს დასაქმების იმ ადგილებში, სადაც პოტენციურად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტრეფიკინგის ფაქტებს.

ფედერალური გამოძიების ბიურო ატარებს გამოძიებას თუ არის ინფორმაცია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ აშშ-ში სამთავრობო კონტრაქტებზე, შეიძლება იყვნენ სავალო კაბალაში ან უწევდეთ დასაქმების სააგენტოსთვის ზედმეტად მაღალი გადასახადის გადახდა. შრომის დეპარტამენტის თანამშრომლები უწევენ მონიტორინგს იმ წარმოებებს, სადაც პოტენციურად შეიძლება ადგილი ჰქონდეს შრომით ექსპლუატაციას – სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ტანსაცმლის ფაბრიკები, დასუფთავება-დალაგების მომსახურება და საკვები ობიექტები.

2016 წელს უსაფრთხოების დეპარტამენტმა წამოიწყო 1029 გამოძიება ტრეფიკინგის საქმეებზე, 2015 წელს 1034 საქმეზე დაიწყო გამოძიება. იუსტიციის დეპარტამენტმა 2016 წელს 1800 გამოძიება დაიწყო, ხოლო იუსტიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის საკითხებზე სპეციალურმა სამუშაო ჯგუფებმა 982 გამოძიება დაიწვეს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 2016 წელს აშშ-ს უწყებებმა დაიწვეს 288 გამოძიება ტრეფიკინგის საქმეებზე სხვა ქვეყნებში. თავდაცვის დეპარტამენტმა 2016 წელს დაიწყო 13 გამოძიება სამხედრო მოსამსახურეების მიერ ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენაზე. შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა გამოიძია ერთი საქმე სექსუალურ ექსპლუატაციაზე, რასაც შედეგად მოყვა გამატყუნებელი განაჩენი 22 წლიანი პატიმრობით.

იუსტიციის დეპარტამენტმა ფედერალურ დონეზე განახორციელა 241 სისხლისსამართლებრივი დევნა 2016 წელს და ბრალი წაუყენა 531 პირს, 2015 წელს განხორციელდა 257 სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალი წაუყენა 377 პირს. იუსტიციის დეპარტამენტმა სახელმწიფო დონეზე 2016 წელს განახორციელა 439 სისხლისსამართლებრივი დევნა, მათგან 425 საქმეში იყო სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტები და 14 შემთხვევაში შრომითი ექსპლუატაციის ფაქტები, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში ორივე ტიპის ექსპლუატაცია ხორციელდებოდა. 2015 წელს განხორციელდა 297 სისხლისსამართლებრივი დევნა.

ფედერალური კანონი აძლევს საშუალებას მსხვერპლს სამოქალაქო სარჩელით მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. 2013 წლისთვის, ამ პრაქტიკის 10 წლის განმავლობაში ასეთი 117 საქმე იყო სასამართლოში და 75%-ში სასამართლომ გადაწყვეტილება ტრეფიკინგის მსხვერპლის სასარგებლოდ მიიღო.

ამ თავში მიმოვიხილეთ წარმოშობისა და დანიშნულების შერჩეული ქვეყნების გამოცდილება ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში. უმეტეს ქვეყნებში არის კონკრეტული უწყება, რომელიც არსებობს პრეზიდენტი აპარატთან ან მთავრობაში, რომელიც კოორდინაციას უწევს სახელმწიფოს ტრეფიკინგთან ბრძოლის და პრევენციის საქმიანობას.

ქვეყნები ატარებენ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, თუმცა იშვიათ შემთხვევაში ხდება შესფასების ჩატარება, თუ რამდენად ეფექტური იყო კამპანია და რამდენად გასაგები იყო კონკრეტული ჯგუფისთვის, ვისი ცოდნის გაზრდაც იყო საჭირო. სამართალდამცველების, პროკურორების, მოსამართლეების და სოციალური მუშაკების ტრენინგები ტრეფიკინგის სხვადასხვა ასპექტებზე ძირითადად ყველგან ხორციელდება, თუმცა რამდენიმე ქვეყნის შემთხვევაში არასამთავრობოები კორუფციის არსებობის ან ცოდნის ნაკლებობის გამო აცხადებდნენ, რომ გამოძიება ეფექტური არ არის. იშვიათად ტარდება კვლევები ტრეფიკინგის სხვადასხვა ასპექტებზე. შემდეგ თავში ვნახავთ რა საქმიანობას ახორციელებს საქართველო ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში, რამდენად ასრულებს კანონით და საერთაშორისო დოკუმენტებით აღებულ ვალდებულებებს და პრაქტიკაში რამდენად ეფექტურია მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები.

## 8. თავი მერვე - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სფეროში არსებული პრაქტიკა საქართველოში

წინა თავში მიმოვიხილეთ წარმოშობის და დანიშნულების ქვეყნებში რა ღონისძიებები ხორციელდება ტრეფიკინგის პრევენციისთვის. ამ თავში ვნახავთ რა ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობა ქვეყნაში ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში. მიმოვიხილათ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, სადაც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციისთვის საქართველოს მთავრობის ქმედებებია ჩამოთვლილი. ვნახავთ ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკას, GRETA-სა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებსა და რეკომენდაციებს საქართველოში ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში. გავეცნობით საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ღონისძიებებს.

საუწყებათაშორისო საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსებულია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სადაც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციისთვის საქართველოს მთავრობის ქმედებებია ჩამოთვლილი<sup>305</sup>.

ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის საქართველოში ტარდება შემდეგი ზომები:

### 8.1. ცნობიერების ამაღლება

საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყებები ახორციელებენ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს. ძირითადად ეს უწყებებია განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

2015-2017 წლებში შემდეგი ცნობიერების ამაღლების კამპანიები ჩატარდა:

- 1) სკოლებში „სამოქალაქო განათლების“ შესწავლისას IX და X კლასის მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მონობის თანამედროვე ფორმის შესახებ.

<sup>305</sup> <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F07%2F2015->

2016%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08/10/2017).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს ტრეფიკინგის შესახებ სწავლებას.

- ქ) ოცდარვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 3 უნივერსიტეტში არსებობს სილაბუსები შემდეგი სახელწოდებით: ა. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი); ბ. ტრეფიკინგის იურიდიული ბუნება; გ. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა (ისწავლება არჩევით საგანად).
- ქ) ჩატარდა რამდენიმე იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.
- ქ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ 2011 წლის 24 ნოემბერს დამზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლები გაშვებულ იქნა საქართველოს ტელეარხებზე, მათ შორის აჭარის ტელევიზიით და რადიოთი.
- ქ) საინფორმაციო ბროშურები ვრცელდებოდა იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში. საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელშეწყობით ბროშურები ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე დამზადდა.
- ქ) ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ტარდება განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან.
- ქ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე<sup>306</sup> ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ეროვნული რეფერალური მექანიზმის, სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების, სტატისტიკური მონაცემებისა და საგრანტო კონკურსების შესახებ.
- ქ) დამატებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე<sup>307</sup> ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ და ხდება არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება.

<sup>306</sup> <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/309>.

<sup>307</sup> <http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba>.

- 1) საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე<sup>308</sup> მიმდინარეობს ტრეფიკინგის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განაჩენის გამოტანის შემთხვევებში საზოგადოების ინფორმირება. ყველა საქმეზე იდება შესაბამისი პრესრელიზები.
- 2) ტრეფიკინგის ფაქტების პრევენციის და შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. მითითებული ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე<sup>309</sup>. ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე, რიგ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის საკითხებზე. ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაცია, ასევე, შეიცავს ადგილსამყოფელ ქვეყანაში ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებს.
- 3) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს აქვს 2016 წელს განახლებული საკუთარი ვებგვერდი<sup>310</sup>, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ კანონმდებლობის, ფონდის სერვისებისა და ფონდის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ფონდს, ასევე, აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში Facebook სახელწოდებით „Atipfund Georgia“, სადაც თავსდება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული ინფორმაცია.

საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ მოსახლეობის ფენები, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ტრეფიკინგის დანაშაულის მიმართ, როგორცაა სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობა, ბოშათა თემები, იძულებით გადაადგილებული პირები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლები და საქართველოში ჩამოსული მიგრანტები. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების 2016 წლის ანგარიშის მიხედვით 2016 წლის განმავლობაში<sup>311</sup> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გასცა მუშაობისა და ცხოვრების 9,580 ნებართვა, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასცა 517 გრძელვადიანი და 3,452 მოკლევადიანი ვიზა. „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ინფორმაციით<sup>312</sup>, მიგრანტ მშრომელთა უმრავლესობა ქვეყანაში დიდ, უცხოური დაფინანსების პროექტებში იყო დასაქმებული, სადაც სამუშაო ადგილის მიხედვით ცხოვრობდა, ან ქვეყანაში წინასწარ მოძებნილი სამსახურის გარეშე ჩამოდიოდა. მშრომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არაფორმალურ ეკონომიკაში იყო დასაქმებული. ვინაიდან არაფორმალურ ეკონომიკაში ხშირად შრომითი ხელშეკრულება არ იდება, ადგილი

<sup>308</sup> <http://www.pog.gov.ge/>.

<sup>309</sup> <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/Trafficking.aspx>.

<sup>310</sup> <http://www.atipfund.gov.ge/>.

<sup>311</sup> ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2016 წლის ანგარიში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ.50, <https://ge.usembassy.gov/ka/human-rights-reports-2016-ka/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08/10/2017).

<sup>312</sup> იქვე.

ჰქონდა ექსპლუატაციურ პირობებს. ასეთი პირობები გავრცელებულია ქუჩაში გამყიდველების ან დაურეგულირებელ ბაზრებში მომუშავეთა შემთხვევაში. მოსახლეობის ამ ნაწილის ინფორმირება ტრეფიკინგის საშიშროების შესახებ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

## 8.2. ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება, მათი ინფორმირება იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების წარმოდაგენენ ტრეფიკინგის დანაშაულისთვის მოწყვლად ჯგუფს. მათი იდენტიფიცირების მიზნით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ფარგლებში მოქმედებს 3 მობილური ჯგუფი. აღნიშნული მობილური ჯგუფები ცდილობენ, დაამყარონ ურთიერთობა ამ კატეგორიის ბავშვებთან, მოახდინონ ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი დახმარება. მობილური ჯგუფის წევრები ბავშვებთან კონტაქტის დროს ახდენენ მათ ინფორმირებას სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, იძულებითი შრომისა და სექსუალური ექსპლუატაციის თაობაზე.

მობილური ჯგუფების მუშაობის შედეგად 2015-2016 წლებში იდენტიფიცირებულ იქნა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე 342 ბავშვი.

2016 წლის დეკემბერში „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ დახმარებით 2 უფროს სოციალურ მუშაკს ჩაუტარდა ტრენინგი ბავშვთა ტრეფიკინგისა და მსხვერპლთა მომსახურების მიწოდების თაობაზე. 2017 წელს იგეგმება აღნიშნულ საკითხებზე მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრენინგების ჩატარება.

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა ეფექტიანი იდენტიფიცირების ხელშეწყობის მიზნით 2016 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი თემაზე: „ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“. საგრანტო კონკურსი გულისხმობს გამარჯვებული ორი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ჯამში 54000 ლარის გრანტის გაცემას. კონკურსის შედეგად გამოვლინდა 2 გამარჯვებული: „World Vision International“-ის ფილიალი საქართველოში“ და „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“, რომლებმაც საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დაიწყეს 2017 წლის იანვრიდან.

2015 და 2016 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისთვის“, რომელიც შემუშავდა და დაიგეგმა ქვეპროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის საქართველოში“ ფარგლებში. პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ საქართველოს შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური დაცვის სააგენტოს“ დაქვემდებარებაში



არსებული მიუსაფარი ბავშვების სადღეღამისო თავშესაფრებსა და დღის ცენტრებში მყოფი ბავშვები (ქ. თბილისში, ქ. რუსთავსა და ქ. ქუთაისში). სპეციალური სერვისის განხორციელების მიზანია სკოლის მიღმა დარჩენილი და დარჩენის მაღალი რისკის მქონე მიუსაფარი ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და აკადემიური უნარების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობა მათი ფორმალურ განათლებაში ჩართვისა და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისთვის.

**8.3. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტრეფიკინგის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი**

ფონდის ცხელ ხაზზე (116 0060) ზარი უფასო და ანონიმურია. გაიცემა ინფორმაცია თუ რას სთავაზობს სახელმწიფო ფონდი ტრეფიკინგის მსხვერპლს:

- )] თავშესაფრის მომსახურება (3 თვემდე ვადით);
- )] ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია;
- )] სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
- )] სამართლებრივი დახმარება;
- )] ერთჯერადი კომპენსაცია;
- )] საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება;

ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ ვრცელდება ბროშურების, ბილბორდების, აუდიო- და ვიდეო- კლიპების და სოციალური მედიის საშუალებით.

ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარების შესახებ ინფორმაცია 2014-2017 წწ.:

- )] 2014 – 121 ზარი
- )] 2015 - 189 ზარი
- )] 2016 - 123 ზარი<sup>313</sup>
- )] 2017 - 70 ზარი<sup>314</sup>.

**8.4. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობა**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2016 წლის განმავლობაში, გარდა გეგმური შემოწმებებისა, განახორციელა 7 არაგეგმური შემოწმება ცხელი ხაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. სულ შემოწმებული 99 კომპანიიდან ერთი საქმე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომითო ტრეფიკინგის შესაძლო

<sup>313</sup> <http://atipfund.gov.ge/res/docs/statistika77.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07/10/2017).

<sup>314</sup> სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან“ გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, 27/12/2017წ.

ნიშნების არსებობის გამო<sup>315</sup>. 2017 წელს ჩატარდა 115 შემოწმება – 107 გეგმიური და 8 ცხელი ხაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა არც ერთ შემოწმებაში არ გამოკვეთილა ტრეფიკინგის შესაძლო ნიშნები<sup>316</sup>.

## 8.5. ტრეფიკინგის ერთიანი მონაცემთა ბაზა

2015 წლის 6 აგვისტოს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და ანალიზის თემაზე.

ტრენინგი შედგა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთა შორის საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით, ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.

მიღებული ცოდნის საფუძველზე, 2015 წელს საბჭოს სამდივნომ (იუსტიციის სამინისტრომ) შეიმუშავა ტრეფიკინგის ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მუდმივად განახლების პროცესშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა შეიცავს 2010-2016 წლების შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. მონაცემები სისხლის სამართლის საქმეების შესახებ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლოში გაგზავნილი საქმეებისა და განაჩენების რაოდენობა სეგრეგირებული ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით;
2. მონაცემები ბრალდებული და მსჯავრდებული პირების შესახებ - რაოდენობა, მოქალაქეობა, ასაკი, სქესი;
3. მონაცემები ტრეფიკინგის დაზარალებულისა და მსხვერპლის შესახებ - რაოდენობა, მოქალაქეობა, სქესი, ასაკი, ექსპლუატაციის ფორმა, სახელმწიფო ფონდის რა სახის სერვისებით ისარგებლა (სამედიცინო, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, თავშესაფარი, კომპენსაცია, სპეციალური ბინადრობის ნებართვა);
4. სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარება და საპოლიციო თანამშრომლობა ტრეფიკინგის თემაზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შუამდგომლობებისა და

<sup>315</sup> შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წლიური ანგარიში (11/01/2017) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო <http://www.moh.gov.ge/news/2885/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05/10/2017).

<sup>316</sup> შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 21/12/2017წ.

## 8.6. ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სტატისტიკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია მოხდა 2003 წელს. 2005 წლის მთავრობამ ჩამოყალიბდა ახალი უწყება ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის - განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი<sup>317</sup>. 2012 წლის ნოემბერში ეს უწყება გაუქმდა და ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიება ქვემდებარეობით გადაეცა კრიმინალურ პოლიციას და პოლიციის ქვედანაყოფებს საქართველოს მასშტაბით. 2013 წლის მთავრობამ კვლავ გაზარდა ტრეფიკინგთან ბრძოლის ღონისძიებები, და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო. 2014 წლის მარტში აჭარის რეგიონში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, პროკურორებისა და შსს-ს თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი შეიქმნა. ქვემოთ მოყვანილია ინფორმაცია საქართველოში ტრეფიკინგის გამოძიების უწყების შექმნისა და განვითარების შესახებ, აგრეთვე ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა.

### 8.6.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კრიმინალიზაცია და გამოძიება

უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წელს, როდესაც მიღებული იქნა 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლები, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს მესამე კალათიდან მეორე კალათის ქვეყნების რიცხვში გადაიყვანა, თუმცა იქვე აღნიშნული იყო რომ საქართველოში ამ დანაშაულზე გამოძიება არ მიმდინარეობდა<sup>318</sup>. 2004 წელს დაიწყო ორი გამოძიება და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ხაზს უსვამდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყება უფრო ყურადღებას ამახვილებდა უკანონო გაშვილებებზე, ვიდრე საერთაშორისო გაგებით, ტრეფიკინგის დანაშაულზე, თუმცა თავად ეს უწყება მხოლოდ ორი წლის წინ შეიქმნა და ბევრი რამ ჰქონდა სასწავლი<sup>319</sup>. 2005 წლის იანვარში, მთავრობამ ჩამოყალიბდა ახალი უწყება ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის, სადაც საქართველოს მასშტაბით 49 თანამშრომელი

<sup>317</sup> მაკადამი მარიკა (2016) *საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში*, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გვ.9, [http://informedmigration.ge/cms/sites/default/files/pdf/Counter%20Trafficking\\_Georgia\\_Geo.pdf](http://informedmigration.ge/cms/sites/default/files/pdf/Counter%20Trafficking_Georgia_Geo.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/10/2017).

<sup>318</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წლის ტრეფიკინგის ანგარიში* <http://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2003/21275.htm> გვ.68 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>319</sup> *აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2004 წლის ტრეფიკინგის ანგარიში* <http://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2004/33192.htm> გვ.141-142 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

მუშაობდა. ფუნქციონირების პირველივე თვეების განმავლობაში, უწყების მიერ გამოძიებული იქნა 13 შემთხვევა და დააკავეს 30 ექვმიტანილი. ერთ შემთხვევაში, საქართველოს სამართალდამცველებმა გამოავლინეს საქრთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა საქართველოში, თურქეთსა და აზერბაიჯანში. 2004 წელს სამი ადამიანით მოვაჭრე წარსდგა სასამართლოს წინაშე. მთავრობამ დაიწყო ბრძოლა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ კორუფციასთან და 2004 წლის აგვისტოში და 2005 წლის თებერვალში დააკავეს სამი სახელმწიფო მოხელე პასპორტების გაყალბებისთვის<sup>320</sup>. 2006 წელს დაიწყო გამოძიება 33 საქმეზე, ხოლო 2007 წელს 28 საქმეზე<sup>321</sup>. 2007 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველო პირველ კალათაში გადაიყვანა<sup>322</sup>. 2008 წელს გამოძიება დაიწყო 10 საქმეზე, 2009 წელს 12 საქმეზე, 2010 წელს 11 საქმეზე, 2011 წელს 10 საქმეზე, 2012 წელს 5 საქმეზე<sup>323</sup>.

2012 წლის ნოემბერში გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოებისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტები (სოდ-ი), ხოლო მათ ნაცვლად შეიქმნა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები; ასევე, სამინისტროში შეიქმნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი<sup>324</sup>. სოდ-ის თანამშრომლები იძიებდნენ ორგანიზებულ დანაშაულს და მათ შორის ტრეფიკინგის დანაშაულს. სოდ-ის თანამშრომლებს გავლელი ქონდათ უამრავი ტრენინგები ტრეფიკინგის გამოძიების საკითხებზე, მაგრამ შს სამინისტროს დეპოლიტიზებას და რესტრუქტურისაციას რეფორმის შედეგად ამ თანამშრომლებმა ძირითადად დატოვეს სამსახური და ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიება ქვემდებარეობით გადაეცა კრიმინალურ პოლიციას და პოლიციის ქვედანაყოფებს საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, გამოძიებების რიცხვმა იკლო.

2013-2014 წლებში აჭარის ზღვისპირა გონიოს მოსახლეობა საპროტესტო აქციებით გამოვიდა გონიოში არსებული მრავალრიცხოვანი ბორდელების წინააღმდეგ, სადაც ძირითადად მსახურობდნენ შუა აზიიდან ჩამოსული სექსუალური მომსახურების სფეროს მუშაკები და კლიენტები ძირითადად თურქეთის მოქალაქეები<sup>325</sup> იყვნენ<sup>326</sup>. 2011-2012 წლამდე

<sup>320</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2005 წლის ტრეფიკინგის ანგარიში <http://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2005/46613.htm> გვ.109-110 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>321</sup> ტრეფიკინგის მუხლით ჩადენილი დანაშაული [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=601&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>322</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ტრეფიკინგის ანგარიში <http://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2007/82805.htm> გვ.104-105 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>323</sup> ტრეფიკინგის მუხლით ჩადენილი დანაშაული [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=601&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>324</sup> შინაგან საქმეთა მინისტრმა უწყების წლიური ანგარიში წარადგინა (24/10/2013) შინაგან საქმეთა სამინისტრო <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-ministrma-utskebis-tsluiri-angarishi-tsaradgina/5684?print=1> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>325</sup> <https://www.youtube.com/watch?v=fm7TQ2s-UMY> , <http://movie.omosiro.biz/t26Lv6HGShM.html>, <http://wapr.us/video.php?id=U4URSM3DxRE> , <http://www.ambebi.ge/regionebi/55784-gonios->

პროსტიტუციის ბიზნესი თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში იყო გავრცელებული. მას შემდეგ, რაც თურქეთის პოლიციამ მასობრივი ბრძოლა გამოუცხადა პროსტიტუციას და ქალაქის პოლიციის ახლად დანიშნულმა უფროსმა კანონი მთელი სიმკაცრით აამოქმედა, ტრეფიკინგმა და პროსტიტუციამ გეოგრაფიული არეალი შეიცვალა და აჭარა ამისთვის საუკეთესო ადგილად იქცა<sup>327</sup>. განსაკუთრებულ „პიკს“ ეს ბიზნესი ზაფხულის თვეებში აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოდ არ ჩანდა ტრეფიკინგის ფაქტები, პროსტიტუციის არსებობის შემთხვევაში სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა გააკონტროლონ სიტუაცია, რათა მოხდეს პოტენციური ტრეფიკინგის მსხვერპლების აღმოჩენა და იდენტიფიკაცია.

აჭარაში არსებული სიტუაცია აშშ-ს დეპარტამენტის 2014 წლის ანგარიშშიც მოხვდა და ქვეყნას მიეცა რეკომენდაციები: „აჭარაში შექმენით სპეციალური პოლიცია, რომლის თანამშრომლებიც, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შესაბამის ტრენინგის გავლის შემდეგ, დაიწყებენ ბორდელებში<sup>328</sup> რეიდებს და ტრეფიკინგის მსხვერპლებს გაუწევენ დახმარებას ან გადააგზავნიან დახმარების სააგენტოში. გამოიძიეთ და როდესაც არსებობს საკმარისი სამხილი, დააკავეთ ეჭვმიტანილი პირები და ბორდელების მფლობელები.“

2013 წლის მაისში 26 წლის უზბეკეთის მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლი მოკლული იქნა აჭარაში<sup>329</sup>. 2013 წლის ნოემბრიდან აჭარაში დაიწყო სპეცოპერაციები ბორდელების აღმოსაჩენად<sup>330</sup>. შსს-ს განცხადებით ხდება იქ მომუშავე ქალბატონებთან გასაუბრება ტრეფიკინგის მსხვერპლის აღმოჩენის მიზნით. აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსმა ვალერი თელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „პირები, რომლებმაც პროსტიტუციისთვის ფართი გასცეს, უმკაცრესად დაისჯებიან, აღნიშნული დანაშაულისთვის ბოლო ათი თვის

---

sastumroebshi-prostitucia-yvavis.html?add=1, <http://myrights.ge/index.php?do=fullmod/news&id=447> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>326</sup> ანუ აჭარა გახდა სექსუალური ტურიზმის ადგილი.

<sup>327</sup> [http://www.for.ge/view.php?for\\_id=31186&cat=3](http://www.for.ge/view.php?for_id=31186&cat=3) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>328</sup> დაწესებულებები, რომელზეც არსებობს ეჭვი, რომ საიდუმლო ბორდელია.

<sup>329</sup> სამართალდამცველების ინფორმაციით, ის საქართველოში ნარგიზ ბეგი რახმანოვამ პროსტიტუციაში ჩართვის მიზნით ჩამოიყვანა. გოგონას მალე შეექმნა ფსიქიკური პრობლემები. ის რახმანოვას ემუქრებოდა, რომ სამშობლოში დაბრუნდებოდა და დაასმენდა პოლიციაში ქალების პროსტიტუციაში ჩაბმის შესახებ. ხელვაჩაურის პროკურორის ლაშა კლდიაშვილის თქმით, „ამის გამო ნარგიზბეგი რახმანოვამ გადაწყვიტა გოგონა თავიდან მოეშორებინა, რადგან ის არა მხოლოდ საქართველოში უქმნიდა პრობლემას, არამედ უზბეკეთშიც იმავეს აპირებდა, სადაც კანონი ანალოგიური დანაშაულისთვის გაცილებით მკაცრია, ვიდრე საქართველოში“. გამოძიების მასალების მიხედვით, ნარგიზმა, რომელიც მაისის ბოლოს გაემგზავრა საქართველოდან, უზბეკეთის მოქალაქე ხაიოტ რაჯაბოვს 2000 დოლარის სანაცვლოდ გოგონას მოკვლა შეუპოვებოდა. „ქალის მკვლელობა 2000 დოლარის სანაცვლოდ“ (15/07/2013) ნეტგაზეთი, <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21646/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>330</sup> მაგალითად, 2013 წლის 11 ნოემბერის პოლიციის რეიდის დროს გონიოსა და ბათუმში 14 სასტუმროსა და დისკო კლუბში პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავეს. <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/259794-goniosa-da-bathumshi-prostituciisthvis-farthis-gadacemis-braldebith-ramdenime-obieqtis-mflobelidaakaves.html?ar> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

განმავლობაში გამოვლენილ იქნა 30 ფაქტი, ძიების პროცესში გამოვლენილ იქნა საერთაშორისო მნიშვნელობის ტრეფიკინგის ხუთი ფაქტი. ყველა ის ობიექტი, რომელიც ეცდება, რომ პროსტიტუციისთვის გადასცეს ადგილი და დაარქვას ე.წ. სასტუმრო, ყველა უმკაცრესად იქნება დასჯილი. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით“. მსგავსი რეიდები აჭარაში კიდევ რამდენჯერმე ჩატარდა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ სასტუმრო-ბორდელები იკეტება ცოტა ხნით, და შემდეგ უკვე სხვა მეპარტონეს მიერ იხსნება იგივე დანიშნულებით.

2013 წლის მეორე კალათაში გადაყვანის შემდეგ მთავრობამ გაზარდა ტრეფიკინგთან ბრძოლის ღონისძიებები. დღეისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაულის სიმძიმის და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო. 2014 წლის მარტში აჭარის რეგიონში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, პროკურორებისა და შსს-ს თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი<sup>331</sup> შეიქმნა, რომელთა სპეცმოზადებას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია უზრუნველყოფს.

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ფარგლებში მოქმედებს ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა მოვაჭრეთა იდენტიფიკაციას და მათ შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას. შსს-ს სისტემის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა სახელდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, სადაც ცალკე თავად არის გაწერილი ამ კუთხით არსებული გამოწვევები და მომავალში განსახორციელებელი ღონისძიებები<sup>332</sup>.

შსს-ს ინფორმაციით<sup>333</sup> ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების არსებობა. სწორედ ამ მიზნით, შსს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა სათანადო მომზადებასა და გადამზადებას - შსს-ს აკადემია უზრუნველყოფს სამართალდამცავთა საბაზისო მომზადებას. აღნიშნული საბაზისო მომზადების კურიკულუმები, სხვა თემებთან ერთად, მოიცავს ტრეფიკინგის საკითხებს. ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და ერთობლივი პროექტების განხორციელებით, უზრუნველყოფილია თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავება და თანამედროვე ტენდენციების შესახებ სიახლეების გაცნობა.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში ფუნქციონირებს ორმხრივი თანამშრომლობის განყოფილება და სუამის განყოფილება, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უსაფრთხო ქსელებით

<sup>331</sup> Task Force.

<sup>332</sup> <http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017)

<sup>333</sup> იქვე.

უზრუნველყოფენ ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას შესაბამის ქვეყნებთან.

საქართველოს ოც ქვეყანასთან აქვს გაფორმებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროშიც. ტრეფიკინგის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიებების გატარების მიზნით, შესაბამისი ოქმი ხელმოწერილია თურქეთის რესპუბლიკასთან.

### 8.6.2. საქართველოს მთავრობის სტატისტიკა ადგიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით<sup>334</sup> ტრეფიკინგის მუხლებზე შემდეგი სტატისტიკაა<sup>335</sup>:

| წელი                | გამოძიება დაიწყო | დევნა | გაიგზავნა სასამართლოში | განაჩენი | დაზარალებული | მსხვერპლი | მსჯავრდებული |
|---------------------|------------------|-------|------------------------|----------|--------------|-----------|--------------|
| 2010                | 11               | 4     | 0                      | 0        | 8            | 3         | 0            |
| 2011                | 11               | 4     | 4                      | 4        | 5            | 1         | 4            |
| 2012                | 10               | 1     | 1                      | 1        | 2            | 4         | 1            |
| 2013                | 11               | 5     | 4                      | 2        | 10           | 29        | 2            |
| 2014                | 13               | 5     | 4                      | 4        | 7            | 5         | 6            |
| 2015                | 18               | 5     | 3                      | 3        | 8            | 8         | 3            |
| 2016                | 20               | 1     | 0                      | 2        | 2            | 1         | 4            |
| 2017 <sup>336</sup> | 21               | 4     | 3                      | 2        | 8            | 4         | 2            |

<sup>334</sup> ადგიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადებული სტატისტიკა: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/357>, საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადებული ადგიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F07%2F2015-2016%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf> გვ. 76-79 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02/10/2017).

<sup>335</sup> უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს მთავრობის სტატისტიკა გასხვავებულია, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ფარავს 1 აპრილიდან შემდეგი წლის 31 მარტის პერიოდს, ხოლო საქართველოს უწყებები აქვეყნებენ სტატისტიკას წლის 1 იანვარი-31 დეკემბერი პერიოდზე.

<sup>336</sup> ადგიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოდან გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, 28/12/2017წ.

საქართველოს 2007 წლიდან აქვს სისხლის სამართლის კოდექსში 143<sup>3</sup> მუხლი, რომელიც დასჯადს ხდის ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას. ამ მუხლის მიზანი იყო ტრეფიკინგის დანაშაულის ბაზრის შემცირება, თუმცა საქართველოს რეალობაში ამ მუხლით გამოძიება არ დაწყებულა, რაც იმიტია გამოწვეული, რომ რთულია დამტკიცდეს რომ მომხმარებელმა იცოდა, რომ იღებდა ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებას.

## 8.7. ტრენინგები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ატარებენ თანამშრომლების ტრენინგებს. აგრეთვე ხორციელდება მოსამართლეების და ადამიანით ვაჭრობის სფეროში მომუშავე პროფესიონალების ტრენინგები.

- J 2015-2017 წლებში ხორციელდებოდა პროკურორებისა და სტაჟიორი პროკურორების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე.
- J საქმიანობის შესრულების მიზნით, შსს-ის საპატრულო პოლიციის და სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სპეციალურ ტრენინგებში.
- J ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს შსს აკადემიის საბაზისო სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი საკითხია. კურსის განმავლობაში მსმენელები ეცნობიან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ადგილობრივ და საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტებს. ამას გარდა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ ტრენინგებში, რომლებიც ტარდება სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით<sup>337</sup>.
- J ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეების გადამზადებების აქტივობების ფარგლებში 2015-2016 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეთა და მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის ტარდებოდა ტრენინგები<sup>338</sup>.
- J ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის აპარატისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) თანამშრომლებისათვის

<sup>337</sup> 2015-2016 წლებში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე საქართველოში ჩატარებულ 11 ტრენინგში და საზღვარგარეთის ქვეყნებში დაგეგმილ 8 ტრენინგსა და შეხვედრაში.

<sup>338</sup> 2015 წელს „ადამიანით ვაჭრობა; ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ბავშვების ეფექტიანი დაცვა“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 6-მა თანამშრომელმა; 2016 წელს „ტრეფიკინგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ბავშვების ეფექტიანი დაცვა“. ტრენინგს დაესწრო 13 მონაწილე, მათ შორის 7 მოსამართლე; 2016 წელს „ტრეფიკინგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ბავშვების ეფექტიანი დაცვა“. ტრენინგს დაესწრო 17 მოხელე.



ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე 2015-2016 წლებში ჩატარდა ტრენინგები.

- ქ) ტრეფიკინგთან ბრძოლის 2015-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ყურადღებას უთმობს საკონსულტო თანამშრომელთა გადამზადებას ტრეფიკინგის საგარეო მსხვერპლთა/დაზარალებულთა მოპყრობისა და დახმარების საკითხთან მიმართებით. საქართველოს საკონსულტო თანამდებობის პირებს ეგზავნებათ ინფორმაცია ტრეფიკინგის და ადამიანის უფლებების/ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ნორმების შესახებ. დამატებით, თბილისში პერიოდულად იმართება საქართველოს საკონსულტო თანამდებობის პირთა შეკრება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილება ტრეფიკინგის თემატიკაც.
- ქ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ საკონსულტო თანამდებობის პირთა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ერთ-ერთ სალექციო თემატიკად განსაზღვრულია „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და სახელმწიფოს ვალდებულება“. სასწავლო კურსის დამთავრების შემდგომ სწავლებაში მონაწილე მოხელეები აბარებენ ტესტურ გამოცდას და, დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ეძლევათ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოში საკონსულტო თანამდებობის პირად დანიშვნის შესაძლებლობა.

### **8.8. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის მოლაპარაკებებს, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიციის ატაშეებთან, რომელთა სამუშაო ოფისები მდებარეობს საქართველოში ან ისინი ფარავენ საქართველოს სხვა ქვეყნიდან. ამასთან, შსს თანამშრომლობს პოლიციის ატაშეებთან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში პოლიციის ატაშეები დახმარებას უწევენ ერთმანეთს გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მყისიერად და ოპერატიულად მოპოვებაში, ასევე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობენ საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას და ა.შ. პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოების მიზნით საქართველოს ატაშეები მსახურობენ სომხეთში, ავსტრიაში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საფრანგეთში, საბერძნეთში, თურქეთსა (2 ატაშე) და უკრაინაში.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის კომპეტენციაა GUAM, BSEC და SELEC ფარგლებში თანამშრომლობა, რომელსაც იგი უზრუნველყოფს თანამედროვე

უსაფრთხო ინტერნეტკსელებით. თანამშრომლობის ფარგლებში წვერი სამართალდამცველები მართავენ ონლაინ კონფერენციებს და უსაფრთხო საკომუნიკაციო საშუალებებით გეგმავენ ერთობლივ ოპერატიულ ღონისძიებებს.

საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან თანამშრომლობას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკასთან, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავს 2 ატაშე. თურქეთის რესპუბლიკას, ასევე, მეკავშირე ოფიცერი ჰყავს საქართველოში. მათი დახმარებით ხორციელდება ოპერატიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და თანამშრომლობა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით. ასეთი სახით თანამშრომლობა მიმდინარეობს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის მეშვეობით

გარდა ამისა, მჭიდროდ მიმდინარეობს თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე.

#### 8.9. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში

2013 წელს საქართველო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მეორე კალათაში იქნა გადაყვანილი და მხოლოდ 2016 წელს დაბრუნდა პირველ კალათაში. საქართველოს ჩამოიქვეითებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ტრეფიკინგის საქმეების გამოძიების რიცხვის შემცირება<sup>339</sup>, სასამართლოს მიერ ადამიანთ მთავრებისთვის გამამართლებელი განაჩენების გამოტანა, პოტენციური ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოვლენის სიმცირე, პროაქტიული მეთოდების არ გამოყენება, მთავრობა არ აფინანსებდა არასამთავრობო ორგანიზაციებს და არ მუშაობდა ბავშვთა ტრეფიკინგის გამოვლენასა და გამოძიებაზე. 2013 წელს სამართალდაცველი ორგანოების მიერ 2 ადამიანი იქნა მიცემული პასუხისგებაში 171 მუხლის „დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ“ მესამე ნაწილით - არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ხუთ წლამდე და ჯარიმას, შესაბამისად, ამ პირებს სასამართლომ მიუსაჯა ერთს თავისუფლების აღკვეთა ვადით 2 წლამდე და 3000 აშშ დოლარის ჯარიმა, ხოლო მეორეს 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და 12000 აშშ დოლარის ჯარიმა.

2016 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს პირველ კალათაში დააბრუნა. 2017 წელს საქართველო კვლავ პირველ კალათაშია, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდაციად კვლავ რჩება:

- 1) ენერგიულად გამოიძიეთ, 143<sup>1</sup>-ე მუხლით გაასამართლეთ და სასჯელი მიუსაჯეთ ადამიანთ ვაჭრობაში ჩართულ პირებს;

<sup>339</sup> 2012 წელს 7 გამოძიება დაიწყო.

- )] გააუმჯობესეთ ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით მიუსაფარი ბავშვებისა და დაუცველ სამუშაო სექტორებში დასაქმებული ქართველ და უცხოელ მსხვერპლთა პროაქტიული იდენტიფიკაცია;
- )] გაზარდეთ სამართალდამცველი უწყებების შესაძლებლობები, გამოიძიონ რთული საქმეები;
- )] შრომის ინსპექცია უკეთ განსაზღვრული როლითა და პასუხისმგებლობით უფრო აქტიურად ჩართეთ ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაში;
- )] გააუმჯობესეთ ზომები, რომელიც მსხვერპლს კომპენსაციაზე გარანტირებულ წვდომას მიანიჭებს, ქონების ჩამორთმევის ჩათვლით, გააცანით მსხვერპლთ მათი უფლება, მიიღონ კომპენსაცია და სამართლებრივი დახმარება;
- )] გაზარდეთ უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გამჭვირვალობა;
- )] სრულად აღასრულეთ კანონი, რომელიც მიუსაფარი ბავშვებისთვის მთავრობის მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთების უფასოდ გაცემას ითვალისწინებს;
- )] შექმენით გაერთიანებული უწყებათშორისი სტრატეგიები, რომელიც შეამცირებს მოწვევადობას და იძულებით მათხოვრობას შეებრძოლებს;
- )] გააგრძელეთ ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიები იმის შესახებ, რომ არსებობს ადამიანით ვაჭრობა, აგრეთვე მოწვევადი ჯგუფების სამართლებრივი დახმარებისა და დაცვის სამსახურები<sup>340</sup>.

<sup>340</sup> 2016 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოს პირველ კალათაში დაბრუნების შემდგომ სახელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდაციები იყო:

- )] გაიზარდოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ძალისხმევა;
- )] გაიზარდოს სექსუალური და შრომითი ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და დევნის ძალისხმევა;
- )] ჩაატარდეს ყოვლისმომცველი კვლევა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ;
- )] შეიქმნას ინტეგრირებული, უწყებათაშორისი სტრატეგიები, რათა შემცირდეს იძულებითი მათხოვრობისადმი დაუცველობა;
- )] ჩაატარდეს სამართალდამცავი ორგანოების ტრენინგები ინტერვიუს ჩატარების უნარებისა და გრძელვადიანი საქმისწარმოების შესახებ;
- )] წახალისონ პოლიცია და პროკურორები რომ გამოიყენონ ფულის გათეთრების გამოძიების პრაქტიკა მტკიცებულებების შემუშავების მიზნით და გამოიყენონ ექსპერტი მოწმეები, რათა ახსნილი იყოს მსხვერპლთა ქცევა და გამოცდილება სასამართლოში;
- )] საპროცესო გარიგების გამოყენების გაზრდა ნაკლებად სერიოზული საქმეების დამნაშავეების მოტივაციისათვის, თუ გამოვლენილია უფრო დიდი დანაშაულებრივი ორგანიზაცია;
- )] უწყებათაშორისი ტრეფიკინგის საკოორდინაციო საბჭოს გამჭვირვალობის გაზრდა;
- )] და გააგრძელონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები მოწვევადი ჯგუფებისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) არსებობის, არსებული იურიდიული რესურსის და დაცვის სერვისების შესახებ.  
<https://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2016/index.htm> გვ.177 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13/10/2017).

## 8.10. ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) პირველი შეფასების ანგარიში

ექსპერტთა ჯგუფი „მოქმედება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ“ (GRETA) მონიტორინგს უწევს მხარეთა მიერ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ევროკავშირის კონვენციის მოთხოვნათა შესრულებას. ის რეგულარულად აქვეყნებს შეფასების ანგარიშებს. GRETA-ს პირველი ვიზიტი საქართველოში შედგა 2011 წლის 11-14 აპრილს პირველი მონიტორინგის ანგარიში მოსამზადებლად და ანგარიში გამოქვეყნდა 2012 წლის თებერვალში<sup>341</sup>. GRETA-ს რეკომენდაციები იმ დროისთვის იყო<sup>342</sup>:

- 1) საქართველოს ხელისუფლების მცდელობა გაძლიეროს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია საინფორმაციო და განათლების ზომების მეშვეობით უნდა იყოს შემუშავებული წინა ზომების შეფასების ფონზე და ორიენტირებული უნდა იყოს იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე.
- 2) საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ცნობიერების ამაღლება და საინფორმაციო კამპანიები, რათა თავიდან აიცილოს ტრეფიკინგის დანაშაული შრომითი ექსპლუატაციის მიზნით, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ჯგუფებზე (იძულებით გადაადგილებულ პირები, ბავშვები, პოტენციურ მიგრანტები).
- 3) GRETA მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გააძლიეროს ძალისხმევა სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადი იძულებით გადაადგილებულ პირებზე, პოტენციურ მიგრანტებსა და ბავშვებზე (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური სკოლები და ინსტიტუტები). ამ კონტექსტში, GRETA მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ჩართოს კონკრეტული ინიციატივები დევნილთა ეროვნული სტრატეგიაში.
- 4) GRETA მიიხნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა რათა შეამციროს მოთხოვნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების გამოყენებაზე, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება იმ სექტორებს, სადაც არის ტრეფიკინგის დანაშაულის უფრო მაღალი რისკი.
- 5) საქართველოს მთავრობამ უნდა:
  - აღმოაჩინოს ტრეფიკინგის დანაშაულის შემთხვევები სასაზღვრო კონტროლის პუნქტებზე პროაქტიული სკრინინგის გამოყენებით;

<sup>341</sup> <http://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/georgia> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03/10/2017).

<sup>342</sup> *Report concerning the implementation of the Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings by Georgia*, (7 February 2012), GRETA First evaluation round, Strasbourg [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/trafficking/Docs/Reports/GRETA\\_2011\\_24\\_FGR\\_GEO\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/trafficking/Docs/Reports/GRETA_2011_24_FGR_GEO_en.pdf), <https://rm.coe.int/1680631c08> გვ. 3-6 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01/10/2017).

- გამოიკვილოს დასაქმების კერძო სააგენტოების როლი და ჩართულობა ტრეფიკინგის დანაშაულის შემთხვევებში შრომითი ექსპლუატაციის მიზნით;
- შემოიღოს სპეციალური სია (checklist) პოტენციური ტრეფიკინგის დანაშაულის რისკებზე სავიზო განაცხადის სისტემაში.

J GRETA მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას განიხილოს საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, რათა გააფრთხილოს პოტენციური უცხოელი ტრეფიკინგის მსხვერპლები ტრეფიკინგის დანაშაულის რისკებზე და როგორ უნდა მიიღონ დახმარება, ითანამშრომლოს წარმოშობის ქვეყნებთან.

J GRETA მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას მონიტორინგი გაუწიოს და შეაფასოს ეფექტიანობა ახალი სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა, რათა მოხდეს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია და გამოვლენა.

### 8.11. ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) შეფასების მეორე რაუნდი

2014 წლის 3 სექტემბერს GRETA-მ დაიწყო კონვენციის შესრულების შეფასების მეორე რაუნდი. 2015 წლის 22-26 ივნისს შედგა საქართველოს შეფასების მეორე ვიზიტი. ანგარიში გამოქვეყნდა 2016 წლის ივნისში და 2012 წლის იანვრიდან 2016 წლის 11 მარტამდე საანგარიშო პერიოდს მოიცავს. რეკომენდაციები ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის სფეროში<sup>343</sup>:

J გააგრძელდეს პოლიციის ოფიცრების, პროკურორების, მოსამართლეების, იურისტების, შრომის ინსპექტორების, სამედიცინო პერსონალის, სოციალური მუშაკების და ბავშვებთან მუშაობის პროფესიონალებისთვის რეგულარული ტრენინგები ტრეფიკინგის თემაზე, რათა გაუმჯობესდეს მათი ცოდნა მსხვერპლთა იდენტიფიკაციაზე, დაცვასა და დახმარებაზე, კომენსაციის მოთხოვნაზე და რეფერალურ მექანიზმზე.

J უზრუნველყოფილი იყოს, რომ მონაცემთა ბაზაში შევიდეს სანდო სტატისტიკური მონაცემები ტრეფიკინგის სფეროში მომუშავე ყველა ძირითადი სუბიექტისგან.

J საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს და მხარი დაუჭიროს შემდგომ კვლევებს ტრეფიკინგის საკითხებზე, როგორც მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს მომავალი ღონისძიებების გატარებისთვის. სფეროები, სადაც საჭიროა კვლევა არის ბავშვებთან ტრეფიკინგი, შრომითი ექსპლუატაცია და უცხო ქვეყნის მოქალაქეების ტრეფიკინგი საქართველოში.

J საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაზარდოს ძალისხმევა, რათა საზოგადოებას გააცნოს ინფორმაცია ტრეფიკინგის საკითხებზე, ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმებზე, როგორც საზღვარგარეთ ისე ქვეყნის ფარგლებს შიგნით. სამომავლო ღონისძიებები უნდა შემუშავდეს წინა ღონისძიებების ზემოქმედების შეფასების ბაზაზე,

<sup>343</sup> <https://rm.coe.int/168065bf89> გვ. 12-21 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01/10/2017).

განსახდევრულ საჭიროებებისა და მიზნობრივ ჯგუფებზე ყურადღების გამახვილებით.

- J საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს ცნობიერების ამაღლება შრომითი ექსპლუატაციის შესახებ და შემოიღოს კერძო დასაქმების საგენტოების ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი.
- J გაზარდოს ახლად დაფუძნებული შრომის ინსპექციის შესაძლებლობები რათა მათ ქონდეთ საკმარისი ადამიანური რესურსები რათა აღმოაჩინონ და ფრერირება გაუკეთონ შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლებს.
- J საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად.
- J საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა რომ გაძლიეროს ტრეფიკინგის პრევენცია სოციალურად დაუცველი ჯგუფებში, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირებში, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ღონისძიებების მეშვეობით. უნდა გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, მოხდეს გენდერულ ძალადობასთან და სტერეოტიპებთან ბრძოლა და ქალთა გაძლიერებისათვის კონკრეტული პოლიტიკის მხარდაჭერა.
- J საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს დამატებითი ზომები საზღვრის დაცვის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რათა მოხდეს არასრულწლოვანი ტრეფიკინგის მსხვერპლების გამოვლენა და ამოცნობა.
- J GRETA იწვევს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილოს ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის მე-20 მუხლით, რომელიც ძალაში შევიდა საქართველოსთან მიმართებაში 2014 წლის 1 მაისს.
- J GRETA იწვევს საქართველოს ხელისუფლებას, გაზარდოს მათი ძალისხმევა რათა ქონდეს სტრატეგიული პარტნიორობა სამოქალაქო საზოგადოებასთან, პროფკავშირებსა და კერძო სექტორთან.

ამ თავში განვიხილეთ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებები ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის სფეროში. საქართველოში 2015-2016 წლებში აქტიურად ტარდებოდა ცნობიერების ამაღლების კამპანიები. ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს ახალგაზრდები წარმოადგენდნენ – ტრეფიკინგის შესახებ ისწავლება სკოლებში, 3 უმაღლეს სასწავლებლებში, ტარდება იმიტირებული სასამართლო პროცესები. როგორც საუწყებათაშორისო საბჭოს ანგარიშებიდან ჩანს, მზადდება ვიდეორგოლები და საინფორმაციო ბუკლეტები, ხორციელდება შეხვედრები დევნილებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ინფორმაცია ტრეფიკინგის შესახებ განთავსებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ფონდის ვებგვერდებზე. საქართველოს მთავრობა მუშაობს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან, რომლებიც წარმოადგენენ მოწვევლად ჯგუფს ტრეფიკინგის დანაშაულისთვის, აწვდის მათ

ინფორმაციას ტრეფიკინგის საშიშროების შესახებ. შრომის ინსპექციის წარმოდგენლება 2016 წელს ჩაატარეს 98 კომპანიის შემოწმება და ერთი საქმე გადაიგზავნა შსს-ში, 2017 წელს 115 კომპანია შემოწმდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2017 წელს 21 საქმეზე დაიწყო გამოძიება, 2016 წელს კი 20 საქმეზე. 2017 წელს 2 საქმეზე დადგა განაჩენი, 2016 წელს 2 საქმეზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები – აშშ-ს სახელწმიფო დეპარტამენტი და ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი კვლავ მოუწოდებენ საქართველოს გააგრძელონ ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიები ადამიანით ვაჭრობა შესახებ, მისი სხვადასხვა ფორმების შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწვევად ჯგუფებს<sup>344</sup>. დიდი ყურადღება ექცევა რეკომენდაციებში პროაქტიულ იდენტიფიკაციას, დანაშაულის გამოძიებას და სისხლისსამართლებრივ დევნას. ხაზი აქვს გასმული, რომ საჭიროა გაძლიერდეს შრომის ინსპექციის როლი და ეს სააგენტო უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს ტრეფიკინგის პრევენციის საკითხებში.

შემდეგ თავში ვეცდებით ყველა ზემოთ განხილული დოკუმენტის, მექნიზმის, გამოცდილებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, ვიპოვოთ საუკეთესო გამოცდილება, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს საქართველოში ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის. ჩვენ ვნახეთ GRETA-ს მიერ შეკრებილი საუკეთესო გამოცდილება, ჩვენს მიერ არჩეულ ქვეყნებში განხორციელებული ქმედებები, განვიხილეთ რა ვალდებულებები ეკისრება ქვეყნებს საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, შესაბამისად შემდეგ თავში ამ ყოველივეს შეჯამების შედეგად გვექნება მცდელობა ვიპოვოთ საქართველოსთვის მისაღები და ეფექტიანი გზა.

---

<sup>344</sup> სოციალურად დაუცველი ჯგუფებს, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირებს.

## 9. დასკვნა

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) გადაიქცა გაუგებარი ცნებიდან აქტიურად განხილულ საერთაშორისო პრობლემად, რომელსაც ებრძვიან საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. და მიუხედავდ იმისა, რომ ტრეფიკინგის დანაშაულისკენ მიპყრობილია გლობალური ყურადღება, მისი სწორი გაგება მაინც ბოლომდე არ ხდება. ექსპერტების შეფასებით ტრეფიკინგი არის თანამედროვე მონობის ფორმა, მილიონობით აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის მომტანი დანაშაულებრივი ბიზნესი, რომლის მსხვერპლიც 20.9 მილიონი ადამიანია მსოფლიოში<sup>345</sup>.

უმეტეს შემთხვევებში, ტრეფიკინგი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ხორციელდება. კრიმინალები სისტემატიურად ხვეწენ მეთოდებს, რომ გადაიბირონ მეტი მსხვერპლი, დააშინონ ისინი, გატეხონ მათი ნება და მათი მუშაობისგან მიიღონ სარგებელი. სამართალდამცველები ებრძვიან ორგანიზებული ჯგუფების დანაშაულებრივ ქმედებებს, მაგრამ ასეთ ჯგუფებთან ბრძოლა რთულია, რადგან ხშირად ჯგუფების წევრები არამარტო სხვადასხვა ქვეყნების, არამედ სხვადასხვა კონტინენტებზე ეწევიან დანაშაულებრივ საქმიანობას. ამასთან, ისინი სხვადასხვა სულ ახალ და დახვეწილ მეთოდებს იყენებენ. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მათ წინააღმდეგ თანამედროვე და ახლებური მეთოდებით ბრძოლა.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ადამიანით ვაჭრობის დანაშაული აღმოჩენა და აღკვეთა საწყის ეტაპზე ძალიან რთულია. ამიტომაც თანამედროვე გამოცდილებით ძალისხმევა მიმათულია ტრეფიკინგის პრევენციაზე – ინფორმირებული და გაფრთხილებული ადამიანი უფრო ნაკლებად გახდება კრიმინალის მსხვერპლი. სწორედ ამიტომ, ავირჩიეთ თემის კვლევის საგნად ტრეფიკინგის პრევენცია, რომ სხვა ქვეყნების საუკეთესო და თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობას ჰქონდეს შესაძლებლობა უფრო მრავალფეროვანი გახადოს ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლა და გაზარდოს ძალისხმევა ამ დანაშაულის პრევენციისთვის, საქართველოზე მორგებული, ახლებური და შედეგზე ორიენტირებული მეთოდებით.

ქვეყნების მთავრობების ძალისხმევა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის სფეროში აისახება მათ ეროვნულ კანონმდებლობაში – სისხლის სამართლის კოდექსში, ტრეფიკინგის საკითხებისადმი მიძღვნილ კანონში ან აქტში, საერთაშორისო და რეგიონალურ თანამშრომლობის ხელშეკრულებებში, სამოქმედო გეგმებში, სასამართლოს პრაქტიკაში.

ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2000 წლიდან დაიწყო მუშაობა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციასა და მის ოქმებზე. რა თქმა უნდა, ტრეფიკინგის თემაზე მუშაობა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა ერთიანი საერთაშორისო ბრძოლა მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს დაიწყო და 2000 წელს კონვენციის და ოქმების მიღება, ამ

<sup>345</sup> Chacon Jennifer M. (2017) *Human Trafficking, Immigration Regulation, and Subfederal Criminalization*, *New Criminal Law Review* Vol. 20, გვ.97.



მუშაობის დაგვირგვინება იყო, თუმცა ამავე დროს მხოლოდ დასაწყისი. 2003 წელს ძალაში შევიდა გაეროს კონვენცია და მისი ოქმი ადამიანის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ.

2005 წელს ევროპის საბჭომ მიიღო და 2008 წელს ძალაში შევიდა კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის განმარტება პრაქტიკულად იმეორებს გაეროს ოქმის დებულებას, ამ კონვენციამ უფრო დახვეწა ტრეფიკინგის დებულებები და აქცენტი გააკეთა არასრულწლოვან მსხვერპლებზე და საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროებაზე.

ტრეფიკინგის საკითხებზე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქტიურად მუშაობდნენ – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო კონვენციები ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის საკითხებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC) 2009 წელს შეიმუშავა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონი, აგრეთვე დაიწყო ადამიანით ვაჭრობის გლობალური ანგარიშების მომზადება<sup>346</sup>, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს ყოველწიურ ტრეფიკინგის ანგარიშებს 2003 წლიდან, აგრეთვე დაიღო საერთაშორისო ხელშეკრულებები და თანამშრომლობის მემორანდუმები ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.

დროთა განმავლობაში, ტრეფიკინგის დანაშაულის განვითარებასთან ერთად, დადგა საკითხი, რომ ჩატარებულიყო ეროვნული კანონმდებლობების განახლება და დახვეწა. იგივე მიდგომაა საერთაშორისო კონვენციების მიმართ. მაგალითად, დღევანდელობაში იშვიათად ხდება მაილინტიფიცირებული დოკუმენტების ჩამორთმევა, გადაადგილების შეზღუდვა<sup>347</sup>, გაჩნდა სავალო კაბალის ცნება, ხდება მსხვერპლის იმგვარი დაშინება, რომ მიუხედავად გადაადგილების თავისუფლებისა, მსხვერპლი მაინც არ ტოვებს მისი ექსპლუატაციის ადგილს. ზოგიერთი სამართალდამცველის და მოსამართლის გაგებით, თუ ტრეფიკინგის მსხვერპლს შეუძლია გადაადგილება, ახლობლებთან კავშირი, პოლიციაში დარეკვის საშუალება აქვს, იგი თავისი ნებით მუშაობს და ტრეფიკინგის დანაშაული არ ხდება. ასეთ შემთხვევებში პოლიცია პროსტიტუციაში ჩართვის, მათხოვრობაში ჩართვის, სამუშაო დისკრიმინაციისა ან რაიმე მსგავსი მუხლით აწარმოებს გამოძიებას. სწორედ ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ განმარტეს ოქმის მესამე მუხლის ცნება. UNODC-მ შეიმუშავა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც შეეხება ტრეფიკინგის დანაშაულის მთავარ ასპექტებს და განმარტავს ოქმის მესამე მუხლს: „პირების დაუცველი მდგომარეობის ბოროტი გამოყენება და სხვა „საშუალებები“ ადამიანით ვაჭრობის ცნებებში“ (2013), „თანხმობის როლი ადამიანით ვაჭრობის ოქმში“ (2014) და „ექსპლუატაციის“ ცნება ადამიანით ვაჭრობის ოქმში“ (2015). 2013

<sup>346</sup> 2012 და 2014 წლების ანგარიშები.

<sup>347</sup> განსაკუთრებით სექსუალური ტრეფიკინგის შემთხვევაში.

წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატარა სამმხრივი შეხვედრა იძულებითი შრომისა და შრომითი ტრეფიკინგის სფეროს ექსპერტებთან, რათა მათ რეკომენდაცია მიეცათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, თუ რა დამატებითი სტანდარტები იყო შემოსაღები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებთან ერთად, რათა შემუშავებული ყოფილიყო შესაბამისი მიდგომები შრომით ექსპლუატაციასთან საბრძოლველად.

საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად, ქვეყნებს შეექმნათ ვალდებულება შეეტანათ ტრეფიკინგთან ბრძოლის დებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში. ძირითადად ქვეყნებმა მოახდინეს გაეროს კონვენციისა და ოქმის მიერ ტრეფიკინგის დეფინიციის „ექსპორტირება“ ეროვნულ კანონმდებლობებში, თუმცა, ეროვნული კანონმდებლობების დახვეწა რამდენიმე გზით მოხდა:

- 1) ზოგიერთმა ქვეყანამ შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში და მოახდინა ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაცია, მაგრამ არ მიიღო სპეციალური კანონი, რომელშიც ტრეფიკინგის პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის საკითხები იქნებოდა რეგულირებული.
- 2) ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო ცალკე დოკუმენტი – კანონი ან აქტი, სადაც მოყვანილია ტრეფიკინგის დეფინიცია, მისი ფორმები, რომლებიც ძირითადად იმეორებენ „პალერმოს ოქმს“, და მოყვანილია ტრეფიკინგის დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელი. აქვეა აღწერილი ტრეფიკინგის პრევენციის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები.
- 3) ზოგიერთმა ქვეყანამ ცალკე მოახდინა ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზება სისხლის სამართლის და/ან შრომის კოდექსში და ცალკე მიიღო კანონი, რომელშიც დარეგულირდა ტრეფიკინგის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები.

ზემოთ ჩამოვლილი განსხვავებების გარდა ქვეყნებს აქვთ ტრეფიკინგის კანონმდებლობაში შემდეგი განსხვავებები:

- 1) სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთმა ქვეყანამ ცალ-ცალკე შეიტანა სრულწლოვანთა ტრეფიკინგი და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი (მოლდოვა), ხოლო ზოგიერთმა ერთ მუხლში – პირველი პუნქტი სრულწლოვანთა ტრეფიკინგი, მეორე არასრულწლოვნებს შეეხება (უკრაინა). ორივე შემთხვევაში არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისათვის სასჯელი უფრო მაღალია, ვიდრე ზრდასრული პირების ტრეფიკინგისათვის. არასრულწლოვნის შემთხვევაში არ არის აუცილებელი ძალადობის ან მუქარის გამოყენების არსებობა.
- 2) ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში დანაშაულის მცდელობა, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი დადგა, დანაშაულად ითვლება (იამაიკა, თურქეთი). თუმცა, მხოლოდ გადაბირებისთვის, გადაყვანისთვის ან შეფარებისთვის ექსპლუატაციის მიზნის დამტკიცება საკმაოდ რთულია.
- 3) ზოგი ქვეყანა აყენებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისთვის და სასჯელად ქონების, მიღებული

მოგების, ლიცენზიის ჩამორთმევას ან ლიკვიდაციას ითვალისწინებს (მოლდოვა, თურქეთი, აშშ), ზოგან იურიდიული პირის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული არ არის (უკრაინა).

- J) ზოგიერთ ქვეყანაში დასჯადია ტრეფიკინგის მსხვერპლებისაგან „შეგნებულად“ მომსახურების მიღება (აშშ), თუმცა ეს „წინასწარი ცოდნა“ რთული დასამტკიცებელია. ეს ზომა მიმართულია მოთხოვნის შემცირებაზე.
- J) ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად ჩინეთში და ზოგიერთი ექსპერტების აზრით, აშშ-ში) მეტი აქცენტია გაკეთებული სექსუალურ ტრეფიკინგზე და ნაკლებად ჩანს შრომითი ტრეფიკინგის დანაშაული, არ ხდება მისი სწორი დეფინიცია, იდენტიფიკაცია და მისი პრევენცია.
- J) დანიშნულების ქვეყნებში თუ უცხოეთის მოქალაქე მსხვერპლი თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, მას სახელმწიფო ეხმარება, უზრუნველყოფს თავშესაფრით, ბინადრობის უფლებით და ა.შ. თუ მსხვერპლს არ უნდა თანამშრომლობა, უზრუნველყოფილია მისი მშვიდობიანად დაბრუნება წარმოშობის ქვეყანაში. აშშ-ში თუ მსხვერპლი არ თანამშრომლობს გამოძიებასთან, მაგრამ მისი დაბრუნება საკუთარ ქვეყანაში საშიშია, მთავრობა ცდილობს გამოძებნოს სხვა სამართლებრივი გზები მსხვერპლის დასახმარებლად. აქაც განსხვავებაა, რომ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მთავრობები თვითონ იღებენ ამ პასუხისმგებლობას, ეკონომიკურად შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნები კი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებას მიმართავენ.
- J) უმეტეს ქვეყნებში მსხვერპლი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან დანაშაულისთვის, რომელიც მან ჩაიდინა მსხვერპლად ყოფნის პერიოდში, თუმცა, აქაც განსხვავებებია თუ რა ტიპის დანაშაულზეა საუბარი – ფინეთში ეს მხოლოდ სასაზღვრო და საიმიგრაციო რეჟიმს შეეხება, უკრაინაში და იამაკაში საუბარია მსხვერპლად ყოფნის დროს ჩადენილ დანაშაულებზე.

წესით კანონმდებლობა უნდა განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს წარმოშობის, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნები - მაგალითად, წარმოშობის ქვეყანაში უნდა კეთდებოდეს მეტი აქცენტი ტრეფიკინგის პრევენციის, საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის და (ქვეყანაში დაბრუნებულ) მსხვერპლთა დახმარების და საზოგადოებაში რეინტეგრაციის საკითხებზე. ამ ქვეყნებში წესით უფრო აქტიურად მუშაობენ გადამბირებლები და გადამყვანები, ვიდრე პირები, ვინც ახდენს მსხვერპლის ექსპლუატაციას. დანიშნულების ქვეყნებში მეტი აქცენტი უნდა კეთდებოდეს ტრეფიკინგის დანაშაულის აღმოჩენაზე და მსხვერპლთა იდენტიფიკაციაზე, მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე, მსხვერპლთა სამართალდამცველებთან თანამშრომლობის საკითხებზე და დამნაშავეების სისხლისსამართლებრივ დევნასა და მათ სამაგალითო დასჯაზე. სატრანზიტო ქვეყნებმა საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდასა და სასაზღვრო და საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებაზე უნდა გააკეთონ აქცენტი.

თუმცა, სინამდვილეში ქვეყნების მხოლოდ ასეთი დაყოფა საკმაოდ პირობითია, რადგან იგივე წყარო ქვეყნებში შიდა ტრეფიკინგიც

ხორციელდება და თავისთავად ქვეყანა დანიშნულების ქვეყანაც გამოდის, ან იგივე ქვეყანაში შეიძლება ნაკლები რაოდენობით, მაგრამ მაინც ხდებოდეს ტრეფიკინგი მეზობელი, შედარებით ნაკლებად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან. რაც არ უნდა ეკონომიკურად სუსტი იყოს ქვეყანა, მისი მხოლოდ წყარო ქვეყანად აღქმა არასწორია. გასაგებია, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ტრეფიკინგის მსხვერპლები სხვა ქვეყნებიდან, ძირითადად ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებიდან ჩამოდიან, თუმცა შიდა ტრეფიკინგი მაინც არსებობს, ან იმავე განვითარებულ ქვეყნიდან შეიძლება მოხდეს საზოგადოების მოწყველადი ფენის წარმომადგენელთა<sup>348</sup> გადაბირება და გადაყვანა სხვა ქვეყნებში<sup>349</sup>.

ჩვენ ნაშრომში ქვეყნები მაინც დავაჯგუფეთ წარმოშობისა (მოდლოვა, უკრაინა, ჩინეთი, იამაიკა) და დანიშნულების (ისრაელი, საბერძნეთი, ფინეთი, თურქეთი, აშშ) ქვეყნების მიხედვით:

- 1) მოდლოვას აქვს ტრეფიკინგი კრიმინალიზირებული სისხლის სამართლის კოდექსში და აქვს ცალ-ცალკე მუხლები სრულწლოვანთა ტრეფიკინგისთვის და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისთვის. 2005 წელს მოდლოვამ მიიღო კანონი ადამიანთ ტრეფიკინგის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ.
- 2) უკრაინას აქვს ტრეფიკინგი კრიმინალიზირებული სისხლის სამართლის კოდექსის ერთ მუხლში. 2011 წლის სექტემბერში უკრაინამ მიიღო კანონი ადამიანთ ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ.
- 3) ჩინეთში სისხლის სამართლის კოდექსში არის რამდენიმე მუხლი, რომელიც ეხება ქალების და ბავშვების სექსუალურ ტრეფიკინგს, თუმცა, არ არის საუბარი ექსპლუატაციის მიზანზე; აგრეთვე არის მუხლი, რომელიც კრძალავს ჩვილის მოპარვას გაყიდვის მიზნით ან გაყიდვას ჩინეთის ფარგლებს გარეთ. კიდევ ერთი მუხლი კრძალავს პირის მუშაობის იძულებას და ბრალეულობა ვრცელდება გადამბირებელზე, გადამყვანზე და დამხმარეზე, რომელმაც „აიძულა სხვა ემუშავა“. თუმცა საბოლოოდ გამოდის, რომ თუ ეს ადამიანი ერთი პირი არაა, მაშინ ხდება მხოლოდ დამქირავებლის/ექსპლუატაციის გამწვევი პირის დასჯა, რადგან გადამბირებლის და გადამყვანის ბრალეულობას უნდა ჰქონდეს ექსპლუატაციის მიზანი საერთაშორისო სამართლის გაგებით, რაც ამ მუხლში არ არის. 1992 წელს იქნა მიღებული კანონი ქალთა უფლებების და ინტერესების დაცვის შესახებ, რომელიც კრძალავს ქალის გატაცებას, ტრეფიკინგს და ყიდვას, თუმცა, კანონში არ არის განსაზღვრული კონკრეტული სასჯელი ამ დანაშაულებისთვის; აგრეთვე არ არის მოცემული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ცნება.
- 4) იამაიკის მთავრობამ 2007 წელს მიიღო ადამიანთ ვაჭრობის (პრევენციის, აღკვეთის და დასჯის) აქტი, სადაც ახსნილია

<sup>348</sup> მაგალითად სოციალურად გაჭირვებულები, დევნილები/ლტოლვილები, ახალგაზრდები.

<sup>349</sup> მაგალითად ფინეთი ძირითადად დანიშნულების ან სატრანზიტო ქვეყანაა, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ხდება ფინელი გოგნებისა და ქალების სექსუალური ტრეფიკინგი ქვეყნის შიგნით.

ტრეფიკინგის დეფინიცია, ტრეფიკინგის ეტაპები და ფორმები, ექსპლუატაციის მიზანი, და მოყვანილია სასჯელის ზომები. 2014 წლის აპრილში მიღებული იქნა სისხლის სამართლის იუსტიციის აქტი, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული ადამიანით მოვაჭრეების წინააღმდეგ, რომლებიც არიან „დანაშაულებრივი ორგანიზაციის“ წევრები.

ს) ისრაელმა შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში 2000 წელს და 2002 წელს მიიღო ტრეფიკინგთან ბრძოლის აქტი, რომლითაც მსხვერპლებს მიენიჭათ სხვადასხვა უფლებები<sup>350</sup>. 2006 წლის ოქტომბერში ისრაელმა განაახლა ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობა, შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში.

ს) საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსში 2002 წლიდან სამი მუხლი ახდენს ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაციას – მუხლი 351. „პროსტიტუციაში ჩართვა“, მუხლი 349 „პროსტიტუციის ხელშეწყობა“ და მუხლი 323ა „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. 2013 წელს საბერძნეთმა განახორციელა ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება და იმავე წელს მიიღო „კანონი ტრეფიკინგის პრევენციისა და მასთან ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვის შესახებ“. კანონის შესაბამისად ჩამოყალიბდა ეროვნული მომხსენებლის ოფისი, რომელიც ანგარიშვალდებულია არაფორმალური კოორდინაციის მექანიზმის წინაშე, რომელიც შედგება შესაბამისი სამინისტროების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. ცალკე სპეციალური სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლისათვის საბერძნეთში არ არის.

ს) ფინეთის კანონმდებლობაში ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზება მოხდა 2004 წელს. 2010 წელს იქნა მიღებული ინტეგრაციის წახალისების აქტი, რომელიც მოიცავს მსხვერპლთა დახმარების და მათთვის გაწეული სერვისების ანაზღაურების წესს. 2011 წელს იქნა მიღებული საერთაშორისო დახმარების მაძიებელი პირების აქტი, რომელიც მოიცავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სახელმძღვანელო პრინციპებს.

ს) თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 80-ე მუხლი კრძალავს სექსუალურ და შრომით ტრეფიკინგს იძულების, მუქარის, თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით. მსხვერპლის წინასწარ თანხმობას არ აქვს მნიშვნელობა ამ დანაშაულის ბრალეულობისთვის. ამ მუხლში აგრეთვე გათვალისწინებული არის იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაული. თურქეთში არსებითად, არ არსებობს კონკრეტული რეგულაციები ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებთან დაკავშირებით და გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები დანაშაულის მსხვერპლისთვის. 2013 წელს იქნა მიღებული „უცხოელთა და საერთაშორისო დახმარების აქტი“, რომელიც იძლევა ტრეფიკინგის დანაშაულის სამართლებრივ განმარტებას და აყალიბებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებას მიეცეს

<sup>350</sup> მაგალითად, თავშესაფარით სარგებლობა, ერთწლიანი ვიზა და მუშაობის უფლება.

სპეციალური ტიპის ბინადრობის უფლება, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს სამი წლით.

- ქ) აშშ-მ მიიღო ტრეფიკინგის „მსხვერპლთა დაცვის აქტი“ 2000 წელს. 2003, 2005, 2008, 2013 და 2015 წლებში იქნა მიღებული „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის უფლებამოსილების გადანაწილების აქტი“. აქტის მიღების შემდეგ აშშ-ს კოდექსში 77-ე თავში „პეონაჟი, მონობა და ადამიანობით ვაჭრობა“ შევიდა ცვლილება, რათა ასახულიყო ტრეფიკინგის ყველა ფორმა და გაზრდილიყო სასჯელის ზომები. 2000 წლის აქტში იქნა შეტანილი იძულებითი შრომის საკითხი. აქტში განსაზღვრულია სამოქალაქო პასუხისმგებლობა იმ პირთათვის, ვინც შეგნებულად შეისყიდა იძულებითი შრომის მომსახურება, იყო შუამავალი ტრეფიკინგისგან მიღებულ ფინანსურ ოპერაციებში, და შეგნებულად იმონაწილევა ბავშვთა ტრეფიკინგში.
- ქ) საქართველო - 2003 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი 143<sup>1</sup> ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და მუხლი 143<sup>2</sup> არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). 2007 წლიდან არსებობს მუხლი 143<sup>3</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა. 2006 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა 2006-2007, 2007-2009, 2009-2011, 2011-2012, 2013-2014, 2015-2016, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმები.

გაეროს „პალერმოს ოქმის“ ხელმოწერის და რატიფიცირების შემდეგ, ქვეყნებს ჰქონდათ ვალდებულება ეროვნულ კანონმდებლობაში შეეტანათ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დებულებები. UNODC-მ სპეციალური სამოდელო კანონიც კი შეიმუშავა, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო ქვეყნის შიდა საკანონმდებლო სისტემა და სამართლებრივი კულტურა. თუმცა კონკრეტულად როგორ მოახდენდა სახელმწიფო ტრეფიკინგის კანონმდებლობის მიღებას, ეს თავად მასზე იყო დამოკიდებული. როგორც ზემოთ ვნახეთ, უმეტესმა ქვეყნებმა აღებული საერთაშორისო ვალდებულება სისხლის სამართლის კოდექსში მუხლის ჩამატებით აღასრულეს, თუმცა ზოგიერთმა დამატებით მიიღო კანონი ან აქტი, რომელშიც მოხდა ტრეფიკინგის დეფინიციის განვრცობა, გათვალისწინებული იქნა პრევენციის ზომები, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ზომები და სფეროს კოორდინაციისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები. ასეთი მიდგომა ყველაზე ეფექტურია, რადგან ხდება ტრეფიკინგის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა<sup>351</sup>, მსხვერპლთა უფლებებზე, მათი დაცვისა და დახმარების ღონისძიებებზე მუშაობა, ადამიანით მოვაჭრეების ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა<sup>352</sup>, შედეგიანი თანამშრომლობის დაგეგმვა, როგორც სამოქალაქო სექტორთან ისე სხვა ქვეყნებთან, ტრეფიკინგთან ბრძოლის კოორდინაცია და მონიტორინგი, და ა.შ.

<sup>351</sup> საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები, საინფორმაციო კამპანიები.

<sup>352</sup> პოლიციის და პროკურატურის ტრენინგები, გამოცდილების გაზიარება.

GRETA-მ ევროპული ტრეფიკინგთან ბრძოლის დღის მეათე აღნიშვნასთან დაკავშირებით გამოქვეყნა სახელმძღვანელო, სადაც შეკრიბა ტრეფიკინგთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. სახელმძღვანელოს პირველ თავში არის თავმოყრილი საუკეთესო გამოცდილება ტრეფიკინგის პრევენციის სფეროში:

- 1) მონაცემთა შეგროვება და კვლევა - ტრეფიკინგის სხვადასხვა ასპექტების შესახებ მონაცემების შეგროვება, რათა მოხდეს ტრეფიკინგის ტენდენციების მონიტორინგი და ტრეფიკინგთან ბრძოლის პოლიტიკის შესრულების და მისი განმახორციელებლების შეფასება. ამასთან, მნიშვნელოვანია კვლევაში მოხდეს არსებული პოლიტიკის გავლენის შეფასება და ინფორმაციის შეგროვება სამომავლო ღონისძიებების დასაგეგმად.
- 2) ცნობიერების ამაღლება - საინფორმაციო პაკეტის გავრცელება ტრეფიკინგის შესახებ უცხოეთში სავიზო და საკონსულო ოფისებში, სკოლებში, საავადმყოფოებში, დასაქმების მომსახურების ოფისებში, საინფორმაცია კამპანია: შეხვედრები მოსახლეობასთან, პლაკატები, ბროშურები, აუდიო- და ვიდეო-კლიპები, ინფორმაციის გავრცელება ფესიბუქის ვებგვერდზე და ონლაინ, მსატრეფიკინგის ფილმი ტრეფიკინგის თემაზე.
- 3) მიზნობრივი პრევენცია მოწყვლადი ჯგუფებისათვის - საინფორმაციო კამპანია ბოშა თემებისთვის, მათი ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში ჩართვა, ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ქალებისათვის, ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის დასაქმების სპეციალური პროგრამები.
- 4) მოთხოვნის შესამცირებლად გატარებული ქმედებები - საინფორმაციო კამპანიები ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც პირველად შეიძლებოდა მონდომებოდათ სექსუალური მომსახურების შექმნა უცხო ქვეყანაში, საზოგადოების ინფორმირება ტრეფიკინგის მსხვერპლების მიმართ განხორციელებული ძალადობის და კანონით გათვალისწინებული სასჯელის შესახებ, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლების ინფორმირება რათა მოხდეს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია ტურიზმის სფეროში.
- 5) შრომითი ექსპლუატაციის თავიდან აცილების მიზნით გატარებული ღონისძიებები - თანამშრომლობა მთავრობას, პროფკავშირების, შრომის პალატის, ეროვნული სტუდენტური კავშირის, სამოქალაქო საზოგადოების, დასაქმების ფორმების წარმომადგენლებს შორის, რათა მოხდეს საზოგადოების, განსაკუთრებით შრომითი მიგრანტების, ინფორმირება შრომითი ექსპლუატაციის შესახებ, დასაქმებულების კონსულტაციები შრომის კანონმდებლობის, სოციალური უსაფრთხოების და დახმარების შესახებ.
- 6) ტრენინგები - პოლიციელების, პროკურორების, მოსამართლეების, შრომის ინსპექტორების, საგადასახადო ორგანოების და საბაჟო ორგანოების წარმომადგენლების, დიპლომატების, სოციალური მუშაკების, მთავრობის წარმომადგენლების და ტრეფიკინგის ბრძოლის წინა ხაზზე მყოფი პირების ტრენინგები.

ჩვენს მიერ შესწავლილ ქვეყნებში პრევენციისთვის შემდეგი ღონისძიებები ტარდება:

- 1) მოლდოვაში არსებობს ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას უწევს მთავრობის ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმიანობას. ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის 2014-2016 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მთავრობამ განახორციელა ქმედებები, რათა გაეზრდა ცნობიერება ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის შესახებ სტუდენტებს, უცხოეთში მცხოვრებ მოლდოვას მოქალაქეებსა და ზოგადად ადგილობრივ მოსახლეებს შორის.
- 2) უკრაინამ 2016 წლის თებერვალში მიიღო 2016-220 წწ. სამოქმედო გეგმა. 2016 წლის იანვარში სამინისტროებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ტრეფიკინგის დანაშაულის ერთიანი სტატისტიკური ბაზა. ჩატარდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც განსაკუთრებულად იყო მიმართული ახალგაზრდებზე, რომლებიც აპირებენ დასაქმებას უცხოეთში.
- 3) ჩინეთის მთავრობა ატარებს ფართო ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ტრეფიკინგის საკითხებზე – 2015 წელს მთავრობამ დააფინანსა მხატვრული ფილმი, ეთერში გავიდა სატელევიზიო შოუ, ვრცელდება ინფორმაცია ტრადიციული და სოციალური მედით. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო და ჩინეთის ქალთა ფედერაცია ატარებენ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებს მატარებლებსა და ავტობუსებში და ეროვნულ რადიოზე – ძირითადად მიგრანტი დასაქმებულების ინფორმირებისთვის.
- 4) იამაიკის მთავრობამ მიიღო 2015-2018 წწ. ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა, რომელსაც კოორდინირებას უწევს ეროვნული სპეციალური დანიშნულების ჯგუფი, თუმა მას არ აქვს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2015 წელს დაინიშნა ეროვნული მომხსენებელი, რომელმაც უნდა გამოიძიოს ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულზე, ინფორმაცია ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დარღვევაზე და მთავრობას წარუდგინოს ყოველწლიური მოხსენება. მთავრობა ახორციელებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა ასპექტზე, როგორც მედიაში, აგრეთვე ხორციელდება შეხვედრები საზოგადოებასთან, უნივერსიტეტებში და სკოლებში.
- 5) ისრაელი ახორციელებს აქტიურ ქმედებებს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის და ატარებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს საზოგადოებასა და სახელმწიფო მოხელეებს შორის. ეროვნული ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილება უწევს კოორდინაციას შესაბამისი სამინისტროების და არასამთავრობო ორგანიზაციების ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმიანობას.
- 6) საბერძნეთს არ აქვს სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისთვის. ბოლო ასეთი გეგმა საბერძნეთს 2012 წელს ჰქონდა. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული



ტრეფიკინგის საკითხებზე ეროვნული მომხსენებელი უწევს კოორდინაციას მთავრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობას, თუმცა არ აქვს საკმარისი რესურსები. ეროვნული მომხსენებელი აგროვებს ტრეფიკინგის სტატისტიკას და მონაცემებს, ინფორმაციას ახალი ტენდენციების შესახებ და შეიმუშავებს წინადადებებს სამომავლო ქმედებებისათვის. 2016 წელს მთავრობამ ჩაატარა ორდღიანი ტრეფიკინგის ცნობიერების ამაღლების ფესტივალი „დავამსხვრიოთ ბორკილები“ და ეროვნული მომხსენებლის ინფორმაციით ფესტივალის შემდეგ გაიზარდა სატელეფონო ზარების რაოდენობა ცხელ ხაზზე. ტელევიზიით გადის უფასო სოციალური რეკლამა ტრეფიკინგის დანაშაულის საშიშროების შესახებ ძირითადად არასამთავრობო როგანიზაციების მიერ.

